

114  
1977 | 2

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
საქართველოს

# მეათეტი

8

1977



# ენათობი



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ეზრუნა

წელიწადი 54-ე

№ 8

აგვისტო, 1977 წ.

საქართველოს სახელობა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

### 60 დიკდი თქტომგებრი 60

მომავალი სანადიგაჰი — შინი ცხომკობის ბაღასანადი . . . . .	8
ვახტანგ გორგანელი — ლექსები . . . . .	13
ოთარ აუკაბა — სიკინაქონის ტყის სიჭაბი, რომანი, დასასრული . . . . .	17
ოთარ ვილიძე — ლექსები . . . . .	53
მეღაზ შავლიუშვილი — არა ხელეუ, მოთხრობა . . . . .	57
ნათელა თნაშვილი — ბანაით სავსი ზეღა, მოთხრობა . . . . .	72
დოდარ ივარჯიშა — ლექსები . . . . .	78
ჯამალ იფეია — ლექსები . . . . .	82
ზურაბ კახიანი — პა, თქვე დრეულანდოქი . . . . .	84
მირანულ აბსაჯანოვილი — ლექსები . . . . .	93
ზურაბ ბაქთული — ციხელი, ლექსი . . . . .	95
ბაბრატ შინაუბა — უკანასკნელი შინი, რომანი, ვაგრძელეზა . . . . .	95
როდინე ქოქია — მინატურები . . . . .	125

### 60 დიკდი თქტომგებრი 60

სიკინა — თქტომგებრი და ბაქთული მწერლეზა . . . . .	132
---	-----

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

მომავალი მარგვილაშვილი — არჩილ სულაბაშვილის საწყაროში . . . . .	149
ვლადიმერ ჯიგაბი — მუღაზ ხალხთან ბრთა . . . . .	164
ნოდარ ვალდისიანი — მითხრობები საუკუნისგონივრული ანაზა . . . . .	168
რევაზ სიკაბა — სიმგულე-კალეგონიული ბაგონაბგონათვის ბაქთულ მწერლეზა . . . . .	173

### ხელთხევა

ლალი შურულაშვილი — ბაქთული სკინის ოსტაბი . . . . .	182
--	-----

საქართველოს კა ცენტრალური კომიტეტის ბაგონივრული

კ. მარჯოს სბ, საქ. სსრ  
სახელმწიფო ბელობი.



ალექსანდრე სივანე — წარსული ლიტერატურის ისტორია  
მარგანე ჯავახიანი — „ნილანი“

189  
1919

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

ი. აბაშიძე, კ. ავაშვილი (პ/მგ მდევანო), ხ. ბარულაშვილი, მ. გიგინეიშვილი, ვ. ლეხანიძე,  
ლ. მარაშვილი, ბ. ნულაგაძე, ა. ქუთათელი, ხ. ზანაიაშვილი, დ. ზანგელიანი,  
ნ. წულუისიანი, მ. წულუაძე, მ. მთელიანი, ბ. ხარაზანი, კ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ნიმუშები რ. ნაკვთები

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბილიმონები: რედაქტორის — 92-55-11.  
პ/მგ მდევანო — 92-55-18, განყოფილებუ-  
ნის — 92-55-15, 92-55-17, 92-55-20.

გადაეცა ინაწეობად 6/VII-77 წ., ზელმოწერა-  
ლია დასაბეჭდად 24/VIII-77 წ., ინაწეობის ზომი  
7 1/4 X 12, ტიპოგრაფიის ფორმატი 70 X 108 1/8,  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირთბითი  
ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო  
თაბაზი 16,58.

№ 01675. ტირაჟი 13.900. შეკვ. 2336.  
საქ. კვ. ც-ის გამოცემლობის ტტაბა,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



გომოგზი სანადირაჰი

## შენი ცხოვრების გადასახადი

აუცილებელი შეხამაღი. სიღნაღის რაიონი... იღლისს მეორე დეკადა... სოფელი ტიბაანი... შუადღისას იშვიათად შეხვდები ვინმეს კოლმურანების კანტორასთან — სოფელი შირაქსა და ნაზარდუშისა გაერთიანი — პურეულია ასაღებ-დასახინავებელი. ჩრდილში პლუს მს გრადუსისა ცეცხლივით ბრიაღებს მზე ლურჯ ცაზე ერთი ბეწო ღრუბელიც ანა ჩანს — სივრცე ზოღებად იქოღება. უბის წიგნაკში ჩაეწერე ამ სიციხის განმსაზღვრელი აქაური გამოანათქვამი: „ტორილა პირდაღებულა სუნთქავსო“. მაგრამ ეს სიციხე მისწრება კომბაინათის — ხორბლისა და ქერის გაფიცებულ ღეროს იგი ადვილად უმკლავდება. ჩვენი მანქანა შავ, მტერიან გზას მისდევს.

აგერ კომბაინერთა „საზღებულთ სადგომი“ — გვერდით გაღწეული ხორბლის ზეაეობი. იქვე თვალსაჩინო ადგილას პლაკატთა „ქვეყანას, ჩვენ პარტიასა და ხალხს, შეათე ზუთწიღეღში ჰოღლის უღიდესი, უღერესად საინტერესო მუშაობა, ეს მუშაობა ფრთად პასუხსაგებია, იმაზე, თუ როგორ ვიძუშავებთ, როგორ შევასრულებთ დასახულ გეგმებს, დამოკლებულია ჩვენი სამშაობლოს ძლიერება, ავტორიტეტი და აუჯავება, თვითეული ოჯახის, თვითეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობა და ბედნიერება“.

ეს პლაკატი შემთხვევით არ გამოუკრავთ კომბაინერებს. თავიანთ უკველ მექტარის დიდ პოლიტიკურს და სოციალურს სიმაღლიდან ზომიანენ. და განა მართო მექტარებს? შეთელს რესპუბლიკაში შრომის არსახული სუ-

ფევა. აგერ ახლახან განიხილეს და ერთსულონად მოიწონეს ახალი კონსტიტუციის პროექტი, სოფელი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიექვეს სესიის გადაწყვეტილებებს, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიანის ლეონიდ ილიას ძე ბრენენვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის. ეს სწორედ მისი სიტყვებით დამაშვენებელი პლაკატი გამოუკრავთ ტიბაანელებს. ისინი კადეგ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტისაკენ გაბედებენ: წელიწადი შესრულდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. ამ დადგენილებას ჩვენმა ხალხმა ისტორიული უწოდა. ხალხი კი არასოდეს ცდებია მან მშაფრად შეიგრძნო ამ დადგენილების პოლიტიკური მნიშვნელობა და მტყნეირული სიღრმე — მან ხომ ჩვენი შექვაგომი წინსვლის გზები განსაზღვრა.

მახსოვს, რა აღტოთოვანებით შეხვდნენ ამ დადგენილებას რესპუბლიკის შრომელები. მოხდა ისე, რომ იმხანადაც ტიბაანში გახლდით სეტყუასა და უამინდობას გაცნახეცერებინა ზერები, მოესრა და მიწაში ჩაუტანა მეცენახის ნაშრომ-ნაღვაწი. ცუდი ზაფხული იყო შარშან. მაგრამ უნდა გენახათ, რა გააფთრებულე კიადილი გაიმართა სოფლის ბოლოებსა და ალაზანზე. — მუდზე კაცს გამწვიდა — იბრძოდნენ (დაახ, სწორედ რომ იბრ-

საქართველო  
საქართველოს  
საქართველოს

მოაქვს თითოეული ძირისათვის, მტვერისათვის, ფოთლისათვის... ახე იყო სხვა სოფლებშიც. მაგრამ დღეს, როცა ტიბაანელთა გახული შუბოღჯოშის მონაცემებს ეცნობი და რაიონის ურჩქმის მოსავლის საშუალო მონაცემებს. უფარდებ, ზედება, ამაოდ არ ჩაუვლია მათს მუხლანაურად შრომას. არ გაუტრბაეთ სიტყვა. როგორ შეიძლება ეს ტიბაანელებმა, მთელს ზენს რესპუბლიკასთან ერთად, სწორად გაიგონ ამ დადგენილების ძირითადი სულისკვეთება, წარუვადი მნიშვნელობა. რა უძლეა ამას წინ? ის, რომ ამ დადგენილებით სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწონა და დამკვიდრა პოლიტიკური პროცესები, საქარაველოს კომუნისტურ ორგანიზაციაში, მთელს რესპუბლიკაში რომ მიმდინარეობს.

მთავი ზუსტი დღის პირველმა წელმა კარგა კვადო დატოვა საქართველოს შიწა-წყალზე. თუ სტატისტიკას მოვხვედლებით, რესპუბლიკის შრომელებმა საერთო-საკავშირო უფლებას თითქმის 7 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქტაში შეაწილეს, მის მილიონით მეტო, ვიდრე 1975 წელს. შესრულდა ზორცის, რძის, ბოსტნეულის, ჩაის ფოთლის, ხაღის, კვარცხისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

ახლა ხიდნადის რაიონის წყლები განვსაზღვროთ ამ მიმდევთა ფონზე: ვიდრე ტიბაანის კოლმეურნეობაში მივიდოდით, ვესაუბრე პარტიის ხიდნადის რაიონის პირველ მდივანს ვახტანგ ქარაშოვიძეს. მას არ დასჭირვებია ეკონომისტის მოწყობება, თავად ჩამხედა რაიონის გახული წლის ბალანსში: საშეშოღჯოშო კულტურების ნათესებიდან თვითოეულ ჰექტარზე მიღებულია 29 ცენტერი მარცალა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაიონმა გვიშთი გათვალისწინებული 48.576 ტონის ნაცვლად აწარმოა 54.778 ტონა მარცალა. შე ჩავიწერე: მარცვლეთულის მიუიღვის ვეგმა — 220 პროცენტი, მწესუმწიხისი — 104 პროცენტი, ბოსტნეულისა — 105 პროცენტი, ხორცისა — 110 პროცენტი...

რაიონის პირველი მდივანი ციფრებს წარმოსთქვადა გამოკვეთით, მაგრამ უქვეტექსტოდ, აქურბებს ისე ზევიათ — ვაკეთებულ საქმეზე არ უყვართ უზრაველების განხვადება. მაგრამ მე ხომ ვიცო, რა იმალება ამ მშრალი სტატისტიკის უკან?

სამშე, დიამ, დიდი საქმე, რომელსაც ეს მზეზე გარუჯული ადამიანები აკეთებენ. ეს შირაქია. აქედან ტიბაანამდე საკმაოდ დიდი მანძილია. შორსაა კოლმეურნეობის სახნავი ფართობები, მაგრამ ეს სულაც არ უწლით ზელს. ოქახიდან წამოსულ კაცს აქ მუშაობისა და დახვეწების უფლება პირობა გააჩნია ახლომხლდ პირწინდად აღებულია თვით-

ვი. მაგრამ ცოცა იქით... როგორ უნდა გაწოლილია მწიფე უნა ვეება მის ქვეშ გარემო სიციხით გათანგულა. ხორბალი კი სუნთქავს, შირება. შორეულ პორცებზე მთელმხარე ბაცი აღმური ისე ჩამარულა და შეზამებია არგვლეე გამეფებულ მუღრობებს, გეშინია უნებურად დამფროსალმა მწვერწიტამ არ დაარღვიოს გაფიცებულნი მარცხს ქსოვალი. მაგრამ აი, კომბინები თანდათან ახლოვდებიან და ერთბაშად ქრება მოჩვენებითი მუღრობების ილუზია.

სტუმარი დვისიანა...  
რიკრიკობით ვეცნობი: რუნიან გურაშვილი, გვიე ლათიანაშვილი, დიმიტრი ზუცუბაძე, ელადიერ ალავერდშვილი...

ძალეს ითქვამენ სულს. ჩქარი ტემპი აუღლით. ხანამ წვიმა არ მოსვლია, პურეულის აღება უნდა მოასწროს. რაზე ლაპარაკობენ იხინი? ამა, სათადარიგო ნაწილება აკლიათ... კიდევ? ზოგი უნა დღეობით ვერ ეღრება თურქ შარშანდელს. მაგრამ ეს აქა-იქაა მხოლოდ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე მკვრივად შერეული, ბეჭებგანიერი ახლგაზრდა კაცია. უხმოდ უსმენს კომბინერებს. რას იწამ, — მოწყენით ამბობს ბოლოს და ჭეჭენ იურება, — მომავლისათვის გაეთვალისწინებთ... მაგრამ გულდასაწყვეტო მაინც არავერს გვაქვს — მოსავალი შარშანდელზე ნაკლები როდი იქნება! თქვენზე, მექანოზატორებზე ბეჭის რამ არის დამოკიდებული. მოსავალს უნაში კი არა, ბედებელი უნდა ანგარიშო, ჰოდა, როცა ბედებელი სწრაფად და უღანკაღისოდ მივტანთ მთელს მოსავალს, შერევეწონ-დაწვწონით დანაპირ-ვალდებულებანი.

მერე მე ცნობილი მექანოზატორი გვიე ლათიანაშვილი დავიმარტობედ.

— ხაოკრად ცოცა დრო მაქვს, — მოთხრა მოზოდებუბით, — არ შეიძლება ჩენი ხაუბარი რამდენიმე დღით გადავდოთ?

— მეც ვჩქარობ, — ვკადე ამხსნა მოსვლის მინანი.

— რა გაცწყობა, — სადღაც ჩემს მიღმა გაიხედა და გააღმა. — სადღაც ორგე ვჩქარობთ, მაღე შორეუბით...

მიმი ლათიანაშვილის ნაბმტობი, კვალოფილი თუ ვარ ჩემი მუშაობით? რა თქმა უნდა, არა. აი, წედან ჩვენმა ბიჭებმა თავმჯდომარებთან სათადარიგო ნაწილებზე დოწუწუნეს. თქვენ გგონია, „საქსოფტექნიკაში“ არის და თავმჯდომარემ არ იზრუნა? არა, არ გვაძლევენ საკმაოდ. ამის თაობაზე ვქმალს (ასე მქვია თავმჯდომარეს) სიტყვა არ უთქვამს. არ უყვარს ზედმეტი ხმაური და ამიტომ, საოქმელი კი მქონდა. შე, და რა საოქმელის წედან აღებულ უნაში არ იყავით? დაგვჩნა. კარგად ვერ ავიღეთ ხორბალე, თავივთი ძალზე დახალზე და დანამ



ვერ მოხდოა მირი. ჭეშაღმა კი მხოლოდ ის მოთხა, ვინაა ეს ფართობი. ვინაა და უველა ზღვთაგანისა. უკლები თავთავი გასაფრთხილებელია. შოლა, ისე უნდა მოეუბრუნებოდეს, ისე ვადავატაროთ მანქანა. მაღლობა ღმერთს, ჭრჭერობით ნამი არ წამოვარდნილა ჩვენთან... თორემ... თორემ ეს პაწია ნაკეთია რა არის... აი, შარშან ვიყავით საშინელი საფრთხის წინაშე. ჩვენ ხომ აღაწანსრეც გვაქვს ფართობები მთელი ეს თვე წვაშიდა. რა დონისჭრებში არ ვავატარეთ, როგორ არ ვცადეთ ზორბლის აღება, მაგრამ არაფერი გამოვიდა — დღესით და დამით ვამუშავებთ კომპანინები. ხანდახან აოჩრ შვედილოთ ერთხა და იმავე ნაკეთში. ამოვ. რა გვექნა — შორაქმეც გვერინდა მოსავალი ახალეები, შოლა ეს მოსავალი რომ დავაბინავებთ, ისე მოეუბრუნებოდა აღაწანს. ვიმარჯვეთ. დიდძალი ფართობი გამოვტაცეთ წვიმას. მაგრამ წარალიც საგრძნობი ვექონდა. როცა ბუნება და ადამიანი ხმას შეუწყობენ ერთი-მეორეს, მოსავალი მაშინ მოდის უხვადა. თორემ შოვა ერთი ნამი და მშვიდობით, ღერო იმწუთშივე დაიწყებს დახვევას — აღარ დაკნებდება. ამიტომ, ვაღერ მართლა არ ვამწვიმბდა, ვამიშვიო...

რბ შიმღშე შარშან? გიჯა ლათიანშიელი უკვე შორს იყო, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვასული წლია პურეულის მოსავალზე ჩამოვუკვამ სიტყვა.

— აჟი წელანც ვთქვა — ცუდი ზაფხული იყო მეოქი. აღაწანის ხანახებში მზემ საერთოდ მოგვანატრა თავი. აგრობტქინის სრული დაცვა 1907 ჰექტარზე დავთებეთ თავთავინა კულტურები. აქედან 997 ჰექტარე ზორბადრ იყო და 8.197 ტონა ხორბალი მივიღეთ. როგორც ვთქვი, მიუხედავად უველა აგრობტქინეოქი პარობების გათვადისწინებისა, ქერის (ნათებება თითქმის ნახევარი), უფრო ზუსტად კი — 539 ჰექტარი აღაწანის დულზე აუღებელი გვრნებოდა.

— ხორბალიც გქონდათ?

— ზო ორმოცდაათ ჰექტარამდე. ქემლის ხატის უწინაოთ ჩრდილო ადგას. აქნებ ეს შინაგანი დეღობი ბრალი? იქნებ ვასული მების დაძაბული დღეები დაუღვა თვალწინ? ალბათ. ვეება, დაკოფრალი ზედით შუბლზე ჩამოშლილ თამს ისწორებს და ღრმა, შავი თვალბობი მოეუბრებს.

— ხიმარაღე თუ გნებავთ, ძალიან შევეშინდი. ვულში, რა თქმა უნდა. ამა, როგორ გამოვამუდგენებდი ამახი მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა ნამდვილად ივარგეს. ივარგეს — ცოტაა. ეს თავდადება იყო, ვიპრობა იყო. ხედავთ ამ ბიჭებს? უშორაოდ, ულაწინოდ და, საერთოდ, უსაქმიოდ შათ ცხადგრება ვერ წარმოვადგენათ. ამიტომ, რომ შათი ვატაცება — შრომაა. და რაჟი შრომანე ჩამოვადედი სიტყვა,

იმასაც ვიტყვით, რომ შორაქი შათი უსოფრების ის დღეი ვადახებოდა, ზაიდანც ნამყორო მოჩანს. ზო, არის ასეთი ვადახებედი, ოღონდ უველას თავთავისი აქვს. საერთო კერთათა: მუშაობით ამშვენებდე ამ ადგილს, ამშვენებდე საერთო საქმისაღში მაღალი პასუხისმეებლობით, პირადი მაგალითით.

ტიბანელთა ახლავარდა თავკაცს ღიმილმა ვადაურბინა სახტე — შუბლი ერთიანად მოუტინათლდა. დიხარა, მიწიდან რამდენიმე მარცვალი აკრიფა, ზელისგულზე დაიდო და დიდხანს დასკტროდა.

მე უკვე ვიცო, რომ კოლმეურნეობაში ზევრია ისეთი დამიანი, რომელიც „მუშაობით ამშვენებს ადგილს“. მეორე ბრივადის მუშაეები: შოთა მვედლიშვილი (რაიონის ქალდეც დამისახურა), ნინო ლათიანშიელი, ქეთო მახსოტაძე, იზოლა ნატროშვილი, სიმონ ბეფანიშვილი, კარლო ქავანიშვილი... მე გრამცნეს ქერ კიდევ ახლავარდა, მაგრამ უკვე საქმიად სახელგანთქმული ცაკი — პირველი ბრივადის ზელმჭვანელი (ვას ფართობი ციმყოფებოდათ) ფარტე გურაშვილი. ვასულ, სწორედ იმ მუამულ ზაფხულს, მისმა ბრივადამ კოლმეურნეობის ისტორიაში ხარტეორდო მოსავალი — 728 ჰექტარ ხორბლის ნათესიდან 2.631 ტონა ზორბალი მიიღო. ჰექტარზე საშუალოდ 87 ცენტრის უფრო ღრამდ ჩავიხედე მის საბრივადო დავთარში. თუკი შათ ნაზრომს ციურბით ეწონავთ, გურაშვილის ბრივადას ნადდად მოსაწონად ჰქონია თავი: ქერი — 822 ტონა; დობიო — 19,7 ცენტრე; სიმინდი — 306 ტონა; სიღოსი — 1740 ტონა; კარტოფილი — 56 ცენტრე; ნაქა — 1718 ტონა; თვა — 396 ტონა; სენავი — 870 ტონა... მე შგონი, საქმარინია. ახლა დავიანგარაშოთ, რა მიხლა ბრივადის თითოეულ წევრს ასეთმა ნამუშევარმა — კადღებუ მ შანეთი და 57 კაიკო. ბრივადამ პროდუქციის ძირითადი ნაწილი კომალექსური მენაწისაკის დანერგვით შექმნა.

— იცი, აქ ბრძოლის წინა ზაზია, — კარვად თქვა ეს ქემალ ხატაშვილმა. — ამ წინა ზაზე მარტო საქუთარი სინდისის წინაშე კი არ ავებ პასუხს, არამედ ამხანაგებს — შენი თანამებრძოლების სინდის-ნამუხიც ვადევს მხრებზე. შედავათვე ფიქრი ზედჭეტიანეს იმიტომ, რომ უადრესად დიღია კომუნისტის მოვალეობა. თუ უსაზღვროდ ერთხელს არა ხარ პარტიის იდეალებსა, თუ თავდადებით არ შრომობ, თუ მუდმივად არ ზრუნავ შენი კოლექტივის, რაიონის, რესპუბლიკისა და ქვეყნის წარმატებისათვის, ჩაფადე, რომ ამაოდ ატარებ პარტიულ ბიდედს, —

თი, ეს შენიშნა ჭეშმელ ხატიაშვილის ნაამბობადან.

„სოფლის მშრომლებმა გაზარდეს პროდუქციის წარმოება მერვე ხუთწლეულთან შედარებით“, — უნებურად ვახსენებუბა ივნიისის ესტორაული დადგენილების ერთი სტრაქიონი. ამ დადგენილებას კი ხამი უწინშეწელოვანისი ასპექტი აქვს: ეკონომიური, სოციალური, სოციალურ-ეთიკური.

აქ, შირაქში ბუნებასა და მიწას ვაჭიბრებულ ადამიანთა შრომას სწორედ ეს ფასეულოვანი უდევს საფუძვლად. დღეს, თუ ამ ფასეულობებით არ მოხვედი შირაქში, ვერაფერს ვაწუწობ. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დღევანდელი დღის უმატარესი ზნეობრავი პრინციპია.

— ჩვენი დღეების უმეტეს ნაწილს მინდორში ვატარებთ, — მითხრა მექანაზტორმა ხეო ბეწონიშვილმა, იგი ერთ-ერთი მათგანია, ვის კისერზეც ვადაღის მოხალის მოუყანის ადებისა და დებინაუების სიმძიმე. — აბა, გამოვთვალო: ზამთარი — შირაქი, ვაზფხულზე — შირაქი, ზაფხულ-შემოდგომა თავისთავად... რაღა რჩება? ერთი სიტყვით, როგორც ერთ სმდე-რამია — თორმეტ თვეს ვმუშაობთ, დანარჩენს ვისვენებთ... ვხუმრობ — ცხადია. ნაჯრამ, რომ უცარიდები და საქმის გაკეთება თუ გინდა — სხვანაირად არ შეიძლება.

— არ გვიბრათ? — ვეითხებია.

— რომ ვთქვა, არაო, რა გულწრფელობა იქნება! მეგობრულად ვცხოვრობთ. ვაქვს ხახტუმრო, ხახადილო, ახანო (ეს ბრავადანი აქვე ზედავს). ვეზირად ერძებს გვაწვდაან.

— უფასოდ? — ვეითხებია ისევ.

— აბა?! ეს დიდებული რამ კი შემოიღეს ერთი პარობა რაღაც ვერ იჩინდნენ მარცხობას ჩვენი მზარეულები, შეიძლება თავის შეწუხებაც არ უნდაოდა... ახლა ყველაფერი რიგზეა, ოღონდ ცოტა შეზღუდვა დასჭირდათ და ეს არის...

გამანებს სოციალისტური შეცვლების ფართო ხაზარობის თავისებური ფორმები. იგი არ ვამდევს წაფორბილების ან მოდუნების საშუალებას. კარგი საქმიანათვის კი ხაერთო ყურადღებება არემი მოგაკცევს. რა არის ეს? რამ განამარობა ავჯარი ხელნაწილის აუცილებლობა? ეს, რე ერთგვარი გამოხახილია იმ უახლესი ფორმებისა, რომლის რესვი ივნიისის ესტორაულ დადგენილებებში ნახსენებ ძირითად ასპექტებზეა. დამაწილო. დიხა, კოლმეურნეობა ყურადღებას ამახვილებს მოწინავეებზე, ადამიანთა საკმარის საქმიებზე, თავადებზე, ზოლო ჩამორჩენასა და ჩავარდნას განგაშით ზედება. ეს კი იმის ნიშნავს, რომ კომუნისტის თვალს და გონება წყდება მეთურნობას ყველა უბანს, ფლობს ვითარებას და არის მდგომარეობის ბატონპატარონი.

სოფლის სარკე მისი ეკონომიკაა. ჩაიხედოთ

ამ სარკეში. არახელსაურელი კლიმატური პირობების მიუხედავად, ტბაანელებმა აწარმოეს 4.2 მნტონა მარცვლეული. პირობების საშუალო სამეტკარო მოხალისი 85,5 ცენტნერი იყო, ყურძენი — 1.15 მტონა, ხორცი — 260 ტონა, რძე 622 ტონა... კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია, ეს ღარებია ასე გამოიყურება პროცენტებში: მარცვლის გეგმა — 240, მესხუზირასი — 152, ხორცისა — 141, ბოსტნეულისა — 180, ზღაჩეულისა 102... ყოველივე ამან უშუალო ვაგდენა იქონია კოლმეურნის სახელფასო უწყისზე. შრომის ანაზღაურება გახულ წილთან შედარებით ერთ კაცდღეზე საშუალოდ 86 კაპიტოთ გიწარდა.

— გაიზარდა და მერე როგორ! — მითხრა ტბაანის საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტარანში და მისმა პირველმა თვაკცმა პეტრე ხატიაშვილმა: ჩვენ შეზინებულმა სოფლსაბჭოს შემობაში შევხვდით ერთმანეთს. ომბიოც წილს მატანებული კაცია. მხნედ გამოიყურება. — მას მერე რაც ეს გარნდა, სულ კოლექტივში ვიყავი, ვარ და ვიქნები... დაბერდით. მე უბნებანი. დავტრები ვითომ? მოიწათ, ურშია უნდა ვითხრათ რაღაც... ნადე ვარ?

— ასეა, — ვიცინა მე.

იქდა ჩემს წინ — არ იცოდა ხად წადლო ვებება ხელები. ხან ხალათის ღილს აწვადებდა, ხანაც ვაზეობ ახვედა კიდეც. გონების თვითონ შევცაყდე წარმომდგინა მისი სიბაბუყე, როცა ცხოვრებაში სრულიად გამოუსყდელ კაცს სოფელმა პირველი საკოლმეურნეო არტელის რწმუნებანი ანდო.

მაშინ არტელს „ხირხის გლეხთა შრომა“ ერქვა. ახეთი არტელი ტბაანში კიდევ ერთი ყოფილა. იყო კიდევ „მისის წყარო“, „რემედისი“, „გლეხთა მარჯვენი“, „ოქტომბრის მეცამეტე წლისთავი“ (ეს უკანასკნელი მოგვიანებით შექმნილა).

ჩემი თამბის ადამიანისათვის, რომელსაც დიდი სამაშულო ომის შემდეგ მოუხდა ანხანის შესწავლა, ძნელად წარმოხადგენია საკოლმეურნეო არტელის შექმნის პირველი პერიოდი. შესაძლოა, ბევრს ეს პირველი ნაბიჯები პირვეტოულადაც მოეწონება. რა ვაწყრობა, მაგრამ დღევანდელი კოლმეურნე, დღევანდელი სოფელი სწორედ იმ წარსულით ამაყობს. ის, რაც დღეისდღეობით შრომის სასწაულია, სწორედ იმ შორეულ წლებში წამოწყებულ საქმეთა ბინულიდნ ფუთქავს.

თამბიდროვე სოფელს განათლებული, საკოლმეურნეო საქმეში ყოველმხრივ ჩახედული კაცი რომ სჭირდება, ეს საყოველთაო კუჭმაროტებაა. მაგრამ წინათ მარტო ეს როდი ვმაროდა პირველი არტელის სადავეების ხელში ასადებდ. ახე მოხდა ტბაანშიც. სოფელში განა არ მოიძებნებოდა ადამიანი, რომელმაც დაბალი განათლების მქონე პეტრე ხატიაშვილზე უკე-



თხად იცოდა სოფელი? მოიძებნებოდა. თანაც პეტრეც დააღეს ზელი. რატომ? ანტონი, რომ იმ წლებში სხვაანო ვასალები სჭირდებოდა მომავლისაკენ იმედის თვალთ ვახედულ ადამიანს.

ზარ თუ არა კომუნის მომხრე?

თუ ზარ, როგორ — ოპტიმულად, თუ მითელი სულით და გულით!

ამასთან ერთად უნდა უოფილიუაფი პატროსანი, სამაგალითო, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში, დაუღალავად გებრძოლა საზოგადო მეურნეობის მტრებთან, აი, რა არსებით ზონადა სოფელი მომავალ თავკაცს, აი, რა მორალური და ზნეობრივი თვისებები უნდა ჰქონოდა პირველ თავმჯდომარეს.

პეტრე ერთი უბრალო, თავმდაბალი კაცო გახლდათ. მკაცრი ხასიათით დაეკიდებოდა ბუნებას. პირდაპირობით ბევრი ადამიანი გაენაწურებინა. ამას ზედ ისიც ერთვოდა, რომ თანამებრძოვ აგრონომის ძირითადი კანონების ცოდნითაც ვერ მოიწონებდა თავს. მაგრამ ტიპანტელები კარგა ხნის მანძილზე სწორედ მას ანდობდნენ თავკაცობის ბეჭედს. და მერცხა, როცა ქვეყანას გაუჭირდა და სოფლის საუკეთესო შეილებმა ფრონტს მიაშურეს, ტიპანტელებმა ისევ ეს უჩვეულოდ თავმდაბალი კაცო მოიკითხეს. ეს კი, უპირველესად, ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებში უნდა ვეძიოთ. აქედან დასკვნა: კოლმეურნეობა გლეხისათვის მარტო სამუშაო ადგილი და საარსებო წყარო როდია. კოლმეურნეობა გლეხისათვის უკუდაფერია — მისი და მისი მომდევნო თაობის სოციალური და პოლიტიკური საზოგადოება, რა ვასაკვირია, პირველ ხანებში, როცა იგი საფრთხილით, ზოგჯერ შიშითაც ადგამდა ფეხს საზოგადოებრივი მეურნეობის ქვე კიდევ გაუქმალავ ბილიკზე. მისთვის უმთავრესი თავმჯდომარის სამეურნეო ნიჭი კი არ გახლდათ, არამედ სწორედ ეს კრიტერიუმი: წმინდა კაცო იყო თუ არა იგი, და, სწორედ, შეიძლებოდა თუ არა ასეთი ადამიანისთვის საკუთარი ხედვის მიწოდება.

ტიპანტელებმა სწორედ ასეთი მონიწიეს პეტრე ხატიაშვიდი. სწამდათ: მკაცრი ხასიათი აქვს, მაგრამ სამაგიეროდ სამართლიანია და საკოლმეურნეო საქმიანობის თვდადებულად.

გავიდა დრო.

მხოლოდ დრომ შესწლო განესაზღვრა ადამიანის შრომის შედეგი.

მე არ შევუღებე აქ იმ ეკონომიური ძვრების დაწვრილებით ანალიზს, რაც სოფელში მოხდა პირველი არტელადან დღემდე. მაგრამ სოფელში ახსოვთ: მოჰყავდათ თამბაქო, მერცხა ბამბას უვლდნენ. ჰქონდათ ვენახებიც... არ ჰქონდათ მწყობარი, ერთიანი მეურნეობა. უკიდრადო. ხანდახან საკოლმეურნეო მიზნებში

შრომა მარტოოდენ ენთუზიაზმზე იყო დამყარებული, მაგრამ დიდეს?

დღეს კოლმეურნეობა 640 კომლს აერთიანებს — თითქმის 1500 კაცი კოლმეურნეობაში შრომობს. უოველა მთავანის საშუალო თვიური გამომუშავება 108 მანეთია. ტიპანტის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი საწარმოა. 1977 წლის იანვრისათვის მას ერთცხებოდა 8.587 მეტრარი საყარგული. მათ შორის 2.908 ხანავი. დანარჩენი მრავლწლიან ნარგავებს უჭირავს. ჰუავთ 1.821 სული მსხვილფეხა პირტუცეს, 1.055 ღორი. 8.140 ცხვარი. ამავე პერიოდისათვის ძირითად საწარმოო საშუალებათა დარეზულეებმა შეადგინა 4.540.530 მანეთი ხოლო კოლმეურნეობის განუყოფელმა ფონდმა — 4.215.032 მანეთი.

საოცრად იცვალა სახე სოფელმა. მშვენიერა ხანლები, ხეილით დაუურული ეზოები... თითქმის უოველ მესამე ტიშყართან მსუბუქი ავტომანქანა დგას.

ივანე ბალაშვილი, სოფლის უბუცესი კაცი, ჩენი საუკუნის თანატოლია.

— მახსოვს, — ამბობს იგი, — როცა კოლექტივიზაცია დაიწყო, ჩემს მეზობელთაგან ბევრმა უნდებოდა შეეტედა ამ საქმეს. თუმცა უვრელახათვის ცხადი იყო — ერთიანი ძალით, ერთმანეთის გვერდით ადვილად გაიმართებოდნენ წელში. მაგრამ ახრი, რომ ერთადერთი, გამწვე ძალას უნდა შეელოდნენ. მოხერხება უყარავდათ. იყო ასეთი დრო — ეგრძომესაკუთრულ ინსტიტუტს მაგრად მოეკიდებინა ფეხი, ადვილად ვერ ამოძრკვავდის! და აი, ახლა, ამდენი წლის მერე, როცა ახალი კონსტიტუციის პროექტი განვიხილავ, მისმა მეთურამეტე პუნქტმა დოდალ გამახარა — იგი იმ სოციალურ ფასეულობათა უდადეს მარაგზე მიგვანიშნებს, რაც საკოლმეურნეო წყობილებას დაუფროვებია თავისი არსებობის მანძილზე.

მართლაც, ამა წარსოვიდგინოთ. რა ძვრები მოხდა მიწათმოქმედთა ცხოვრებასა და საქმიანობაში, მათ შეგნებასა და ფსიქოლოგიაში ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებას, მინდობილ საქმესა და სახალხო დოვლათს უღამაზესი მსცნა — „ჩენი“ უდევს საფუძვლად. ამის შესახებ უფრო კონკრეტულად გინდა საუბარი. მაგალითები უოველ ნაბიჭვია. მაგრამ საკოლმეურნეო შრომის ვეტერანი — ცოტა უყან, წარსულისაკენ ვახედებს. ომის მძიმე წლებისაკენ ვახედებს. მაშინ სოფლის მძიმე ტვირთი ქალბებმა და ბერკაცებმა იტვირთეს.

- შაქრო ვახსოვს? — იყოთავს პეტრე.
- რომელი, ხატიაშვილი?
- ჰო, ფარცხავა.
- ფარცხავა რაღა? — შიყვარს.
- მეორე ხახვლია. შინაურული. უღვამებო ჰქონდა გახუტბილი და იმითმ შევარტვით, — მახსენს.



— გულენა? — ისევ ზედმეტ სახელს აწვე-  
ლიებს იყავ ბალიაშვილი.

— კარგი ბიჭი იყო საშუალო, იქმ, თითებზე  
წამოსათვლელნი დაერჩით, — ამბობს ოთხმო-  
ციდაობ წელს მიტანებულა ნიკო ლაბიბაშვი-  
ლი, სოფლად წერა-კითხვის გავრცელების  
პირველმოთავე... იგი სოფლის მეშატანა.

— ჩვენი სკოლა ნახეთ? — შიბხრა მან, —  
წადარული სასახლეა. მე კი გუშინდელივით  
მასსოვს, ეკლესიასთან რომ სკოლა არსებობდა,  
სოფლის ბოლოს, ნაკელიშვილების ბინაზე გა-  
დავიტანეთ... მასსოვს გლეხური ამხანაგობის  
სკოლაც... მაგრამ საშუალო, ისიც ახეთ თანა-  
მედროვე სკოლაზე ოცნებაც არ შეგვეფიქო...  
ხანდახან მოვალ ხოლმე ამ ახალ შენობასთან—  
უყვადფერი თერობად კრიბლებს, ხალხსობენ  
ბუღლები, საკუთარი ავტომანქანა ჰყავთ —  
ისე რომ, საშუალო სკოლის ატესტატთან  
ერთად ავტომანქანის მძღოლის წიგნაციც მი-  
აქვთ, შინ... შერე მათ ნაკეთოს არ იყოთავეთ?...  
ჰ, ცრემლიც მომადგა თვალზე! სიხარულის  
ცრემლია (შეხედა გვერდით მწვდომ ზაქრო  
ჩავახიშვილს), სიბერისა არ გვეგონოს.

— მაშ არ დაბერებულხარ?  
— გაბიერება არაფერი მაქვს და დიდხანს  
რომ ვიცოცხლო კიდევ, ვითომ შევეუმილი ვინ-  
მეს ზღვს.

თითქმის ნიკოს თანატოლია ზაქრო გურა-  
შვილი, თავისი ასაკის ნახევარზე მეტი ცხვარში  
გაუტარებია, პენსიაზეა ახლა. უმადლეს პენსიას  
იღებს. ისე კი, უოველი ტიბანელი მწვემის  
საშუალო თვიური ზედღასია (დღევსათვის) 305  
მანეთია.

— მწვემის მქვიანო, დღევანდელმა მწვემმა  
უნდა დაიკენოს, — ილაშება ზაქრო, — წუ-  
ხელ ჩვენს თავმჯდომარეს შევხვებ, ეს რა სა-  
ოცრება მიიხრას ცხვარს მომთაბარე ვიცი მე!  
ჩვენა თავმჯდომარე კი მისხამ წელიწადია  
ფარის ნახევარს ადგილზე ტოვებს თურმე.

— სადა, კაცო? — ახლა ნიკო მასწავლებ-  
ლის გაყვარების ჩერი დადგა.

— ნაწარლებში, მწვემის მდგომარეობა  
ქარხნის მუშის მდგომარეობას უნდა გავუტო-  
ლოთო...

— ეს როგორ გავიგოთ? — იკითხა პეტრემ.  
— ნორმირებულ სამუშაო დღეზე აპირებს  
გადუფანას...  
დღეშილი.

მე უკვე ვიცოდი თავმჯდომარის ამ წამო-  
წყების შესახებ.

შესამე წელიწადია მას ექსპერიმენტის სა-  
ხით შირაქში, თითქმის ბაგურ სისტემაზე შეავს  
ცხვარი. ხადისტრატის ოთხმას ამუშავებს. სა-  
ოცარი წარმატებები მაქონა. მაგრამ ქვეტრო-  
ბით, ვადრე ექსპერიმენტის საბოლოო წარ-  
მატებებში არ დაერწმუნდები, საყოველთაო  
ურდადლების მიხურობა, არ მინდაო.

ეს ექსპერიმენტი მრავალ ასპექტთანაა და-  
კავშირებული. დანაკარგები ძალზე უმნიშვნე-  
ლოა. ახლა კოლმეურნეობის ფერა ათი ათას  
სულს ითვლის.

ხოლო მერე?  
— წამგებანი რომ იყოს, ჩვენი გიორგას  
ბიჭს ვახედებდი იქეთ? — ასეცნიან სოფლის  
უზუტესი ადამიანები.

რამდენიმე სიტყვა გიორგას ბიჭამ. გიორ-  
გი ზოტატყნისი იყო. უმაღლესი განათლების  
მქონე კაცს სოფელი სიუვარულია იხსენებს:  
სამშობლოს დამცველთა პირველივე ენთელის  
გამყოლია ფრონტზე. პოეტური სულის კაცი  
ყოფილა. რამდენიმე თვის ბიჭს ფრონთავით  
სწერდა წერაღს. ქერ ქერწმი იბრძოდა. შერე  
სხედასტოვალში, იქ მარჯვენა ფეხში დაიჭრა  
და ომიდან ჩამოსული პირველი კაცი იხილეს  
ტიბანელებმა, დიდი ამბავი იყო სოფელში,  
დიდი და პატარა ხატიაშვილების სახლის კარ-  
ზე შეურბილყვენ. უვარჩენიანია კაცი დიმი-  
ლით და ხუმრობით ყველადა ფრონტულ ამ-  
ბებში... ყველმა, ალბათ, სმწირის ბურთი ახს-  
რობდა, მაგრამ მაინც იღიმებოდა. — აჰ, სო-  
ფელში ფრონტზე საქლებ რადი უქირდათ!

— მაშ, არ არის ი პიტეტერი ასე საშიში?  
მორტვა იმას კაცი? — იკითხებოდადენ აქეთ-  
იქედან.

— საშიშია, — ბრძოლის ველზე დაღუპულს  
მეგობრები დაუდგებოდა თვალწინ. — მაგრამ  
ჩვენს კაცს ვერაფერს დააქლებს. ხომ ვჯერათ  
ჩემი, სოფლებო? ზოდა; ესეც დამაჩერეთ  
— სულ მალე მოყვებნო ბოლოს.

იგი ათი თვის შემდეგ ისევ წავიდა ფრონტ-  
ზე. წავიდა და აღარ დაბრუნებულა, დარჩა  
პოლონეთიდან გამოშავნილი, დროისგან გა-  
ყვითლებული, ქიშიური ფანქრით ნაწერი სა-  
ოცრად თბილი წერილები და სურვილი: „შე-  
მოადგომა რომ დადებდა, დაიწყებთ კახეთს  
რთვებლა — ხილს მოკრეფთ ვარდივით... თუ  
სიცოცხლე მარტოა, ამ დღეს შეც მოვესწრები!“

ახლა, მისი შვილი — ჯემალი ტიბანის  
უწარმაზარი კოლმეურნეობის თავაკია, ისიც  
მაშის კვალს გაჰყვა. ფრიალზე დაიკვა დიბლო-  
მი. ურჩიეს ასპირანტურაში დარჩენა. დარჩა.  
პავლოდარში გაგზავნეს, ვერ გაძლო ცოტა  
ავადმყოფობამაც (დუბილს იტიყებს) შეაშინა  
და შობლიურ სოფელში მოთავს ზოტატყნი-  
კოსად დაიწყო მუშაობა. მერე კოლმეურნეო-  
ბის თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს.  
1974 წლის 9 მარტს კოლმეურნეებმა თავაკიის  
რწმუნებანი წნდეს.

ჩემი, თავმჯდომარეებულა, თითქმის უბიტყვო  
კაცია. მისი ხე სასიათი მთელმა სოფელში იციის.  
მისი სამუშაო დღე დილის ხუთის ნახევრიდან  
იწყება. ხოლო როდის ბრუნდება შინადან გა-  
სული? ამაზე ვერ გეტყვით ზუსტ მასულს.  
ცხვარი რომ ნაწარლებმა და მათთუშეთში

შეავს განწილებული, კამერი ალაზნაზე მოსაკითხი. პურტორი და შტეტსიარა — ალაზნის ვალმა — ტიურში. კლმურტრეობის ფართობები ხანგალოს ხაზდრამდტ აღწევნა.

დამეთანხმებით — გაფანტული მეურნეობა. რამდენ რამეზე უნდა იფიქროს, რამდენი რამე — ვაითეაღისწინოს... ხაზრუნა, უღრვი ხაზრუნა. თვალს კვიდე — ხაშუშო მავალაზე ერთ დღეში მოსაკვარებელ საქმეთა გრძელი ნუსხა, იღო წარწერით — „არ დამავაწყდეს“; ტრაქტორი; შიფრი; მწესუშირა; რაიკოს ბიურო; აღმასკომის ხელმძღვანელი თვალში გასაგზავნი ინფორმაცია; ფერმების აღჭურვილობა; ტრაქტი; სენთი... ხანამ ამ ნუსხას ბოლოში ნახვად, თვალს დაგედდება, უსველი მათვანი კი ხახხორკოვლია, აუკოვლი ბელი, დიდი სახელმწიფოებრივი მასუხისმგებლობით მომავრებული. საქმარისა ერთი რამე დიდი მათვანს შეცდილო ბელი, დარდვას მუიდიოდ შეტრული რგოლი.

ამ ერთი წლის წინათ შევხვდით ერთმანეთს. იგი როგორღაც აღგზნებული ჩანდა. წარამარა საათზე იუბრებოდა, ბოლოს გამოტყდა — ახლა ერთდროულად ხამ ადგილას უნდა ვიყურო... და მეოთხე აირჩია, შირაქში გავმგზავრა... ნერბებს დასათვლიერებლად. გავუვი.

გზას რომ დავადგეით, ვკითხე: — რა მივანიათ საქართველოს კომუნისტთა ყველაზე დიდ მონაპოვრად თქვანსკენელ ხუთწილედში-მეთქი.

დაფიქრებო შეშხედა, მერე უფრო მოხერხებულად დაქდა საქებთან (თავად მართავდა მანქანას) და ის, რაც მან მიხსრა, მე შებდეგანამდე ჩამოვაუბედი.

ისტორიკი გზაში — როცა მონაპოვარზე მიდგება საქმე, მხოლოდ ბოლო სამი წლის მონაცემი უნდა ვახსენოთ. რატომ? სიკეთის ნერგს მხოლოდ ამ დროის მანძილზე მიეცა ლაღად გაზარების შესაძლებლობა. დიხ. ჩვენ არ ვმადავთ, რომ დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა დაგვიკრდა კომუნისტების, ყველა მშრომელბის დახარაზმავად, რათა ხაშურნეო და კულტურულ მშენებლობაში არსებული სერიოზული ნაკლავანებები დაგვეღლია. მოშლილი იყო სახელმწიფო და პარტიული დისციპლინა, მორალურ-ფსიქოლოგიური ჰავა გაქანადებას იმყოფდა, უნდა ამადლებულყო კადრების მასუხისმგებლობა. ხოლო ნეგატორი მოკლენები? ხომ უნდა გავგვეშლა მთი წინააღმდეგ უკომარკოსო ბრძოლა? რესპუბლიკის მშრომელები განსაკუთრებული წარმატებებით შეხედენ საქართველოს კომპარტიის XXV ურილობას. ახლა თამამად შეეცდილა ვიყვანო, რომ მტრეველობას, სიკვლის მეურნეობის მშრომელებმა, ინტელიგენციამ აქმდე გაუფონარი ვმარობის მავალით მოგვეცა — გადაფარა მეტრეველი წილის მარტევი. ხუთწილედ რომ წლის ჩამორჩენა. ხუთწილედ რომ შეგვეტრულებინა, ამასათვის მტრეველობას 200 მილიონი მანეთის ზეგვიშოი პროდუქცია უნდა გამოეშვა, ხოლო სოფლის მშრომელებს სახელმწიფოსათვის დაკლებიან ვადამტებთ 120 მილიონი მანეთის პროდუქცია უნდა მიეცა. თავადლებით ვიშრომით. ყველა — დიდა და მატრამ, გდაკარბებით შესრულდა ხუთწილედის გეგმა. არ არის ეს საქართველოს კომუნისტთა უდიდესი მონაპოვარი? ცხადია, არის.

გალით მოგვეცა — გადაფარა მეტრეველი წილის მარტევი ორი წლის ჩამორჩენა. ხუთწილედ რომ შეგვეტრულებინა, ამასათვის მტრეველობას 200 მილიონი მანეთის ზეგვიშოი პროდუქცია უნდა გამოეშვა, ხოლო სოფლის მშრომელებს სახელმწიფოსათვის დაკლებიან ვადამტებთ 120 მილიონი მანეთის პროდუქცია უნდა მიეცა. თავადლებით ვიშრომით. ყველა — დიდა და მატრამ, გდაკარბებით შესრულდა ხუთწილედის გეგმა. არ არის ეს საქართველოს კომუნისტთა უდიდესი მონაპოვარი? ცხადია, არის.

— გასულ ხუთწილედში ჩვენს ქვეყანასა და ხაზდვარკრეო, რა მოუდენა მივანიათ ყველაზე მნიშვნელოვანად?

— დამაცოთ, მოცილიქრო... მოკლენებს რა დავივს... მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი? საუკუნის მშენებლობა... კა, ამას წინათ რამე დიდაც შეტრულია ასეთი უცნაური რამე ამოვაციებე. დასავლეთგერმანულ ტურნაილისტს ახლავარდა დედებისა და მამების ჩვეულისათვის ასეთი კოხვა მიუცია, — ვინ იყო მატლერიო, „მატლერი“ — ფოსუნია ერთი. — მგონი, უნტრეოციტრია იყო მარკულ მსოფლიო ომში“. მეორეს — ჩაბლინის ორეული მგონებია, მესამეს — ტრევი. მეოთხეს — ზავარიული დუღას დამაზადებელი... ერთი სიტყვით, სწორი მასუხი არავის გაუცია. როგორ ფიქრობთ, ნამეტანი ადრე ხომ არ დაგვიწყუდა ის ხაშინელებანი, რაც მატლერიმმა შეტყარა მსოფლიოს?! ამას ომში დაღუპული ქარისკაცის შვილი გედაპარკებთ, ხულ ახლან ჩომ მიაკვლია მამის საფლავს... ამიტომ ჩვენს ქვეყნის ყველაზე უდიდეს მონაპოვრად, მისი სამშვიდობო პოლიტიკა მიმანია, გარეთებს ხომ ვკითხულობ, დღე არ იქნება, რომ სადმე ბოში არ გავარდეს, ან სახელმწიფო ვადატრიალება არ მოხდეს... ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი ქვეყნისა და ამერიკის შეტრეებული მტატების შეგობრება თანამშრომლობაში. მარტო კოსმოსში ერთობლივი გაფრენა რად დიხს ხოლო მედისინკის ისტორიული შეხვედრა...! ხხენებ ყველაფერ ამას და გინდებლდა უმთავრესის გამოყოფა. ახლა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს რესპუბლიკაშიც შევიხედოთ! ავიღოთ ადამიანთა ურთიერთდაპირედებულებამ ასე მგონია, მერე, რომლითაც ჩვენ ვხუნუქავთ, უფრო დაწმინდა, გამსუბუქდა. — ივარგებს ასეთი გამოთქმა? ქართველი კაცი ყველთვის ხახათელოვს სიბრლითა და მარკევიბიარობით. რატომღაც მეჩვენება, რომ უფრო დატუტებით ერთმანეთს... სწორედ ასე — დატუტებით. გესმით? შეიძლება კაცი გამდიდრდეს, მაგრამ არ გავანდებს ასეთი თვისება — გულუბეგობა და გულისხიერება. იხე რომ, მეტრეველი ხუთწილედის წარმატებთან ერთად ეხებ არანაკლებ წინადაც ტატრო

საქართველო  
1917 წლის  
11 თებერვალი

რია — აღმიათა ურთიერთდამოკიდებულება.

— თქვენი გეგმები მეთუ ზუსტად აღწერილია?

— ჩემი გეგმები? ისინი რაიონის ცხოვრებასთან, ჩემი კომუნურნიების ცხოვრებასთან არიან დაკავშირებული. რაზე ვოცნებობ? თუ პატრიოტულად არ ჩამომართმევთ, ძალიან მინდა, რომ სადაც, მეთუ ზუსტად პირველ ოთხ წელშია რაიონის სოფლის მეურნეობაზე ვაანადგოს ყველა ვალდებულება... ჩვენ ამისთვის უკვე პირბა გავაგანია. და კიდევ (გაციონა), მეთუ ზუსტადის უმთავრესი მოვლენა გაინტერესებთ?

ჩემი უფროსი ბიჭი წელს პირველ კლასში მიღის.

შეიქმნება, თუთ კომუნურნიების თავმჯდომარეს სამი ვატი ჰყავს, ჭრჭერობით ოცი თქმა, რადგან — ეს წერილი აღბათ დაბეჭდილი იქნება, როცა ხატიაშვილის ოჯახში კიდევ ერთი ახალი წევრის შემატებას იზებებენ.

მაგრამ არანაკლებ სიხარული აქვთ ტიბანელთა სხვა ოჯახებსაც — წელს საშუალო სკოლადათავრებულთა უმეტესობა კომუნურნიებაში დარჩა საშუალოდ.

გურამ ჩითინაშვილს, კომუნურნიების კომკავშირის კომიტეტის მდივანს, ზუსტობათ ტიბანელად ახალგაზრდობის პრეზიდენტ ეძახიან. ეს სწორად მის გარშემო იურის თავს სოფლის ახალგაზრდობა.

თანმიმდევრობით გაგაცნობთ:

ბარბარა ელაშვილი. შინაურები ბაბულას ეძახიან.

— არ იფიქროთ, რომ სწავლის გარძელებაზე არ ვფიქრობდე. სწავლა ძალიან მინდა. მაგრამ სოფელს ვერ მივტოვებ. რატომ? მიყვარს სოფელი.

თამარ ნატროშვილი. ეს ხალხურად ქრიალა, ნათელთალება გოგო მოიღოს სოფელს ფურსს. მისი სურათი კომუნურნიების მოწინავეთა დათუვა გამოკრული. სულ ახლახან თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. და უსწრებლად სოფლისაგან მოუწყვეტლივ აპირებს უმაღლესი ცოდნის მიღებას.

გურამ ჩითინაშვილი მეუბნება:

— თამარივით ყოველმხრივ შექმნილი გოგო გვეყვება შევესახეობის მეთერთმეტე ბრიგადაში. ეს ბრიგადა ახალგაზრდულია, საშუალო სკოლადათავრებულებით, ასე ვთქვათ, ვისაზოვარის ქალიშვილებით დაკომპლექტებული. მოდა, არ წაგვართმევს ერთი გოგო აგერ ახლახან?!

— თამარსაც წაგვართმევს, აღბათ... —

იციან მარინე გოგლაძე

— რას ნიშნავს „წაგვართმევს“ — ვიციოხებ

— სხვა სოფელში გასოცებას.

— ნუ დარბობთ! — ამბობს კომკავშირის

კომიტეტის მდივანი. — მე პირად აღწერილი მარისაგან მდიდრე საიდუმლო დირექტორია — თამარს სხვა სოფელში არ გავათხოვებ...

თამარი სხვა ჩემად, აუხსნელს გარდელ წამყამებს, მზემოცილებულ სახეზე სწიფილ არ ემჩნევა.

გიორგი ბურაშვილი. ეს პარტული, შეატუბა ბიჭი თივის ფქვილის აგრეგატზე მუშაობს — მეცხოველეობის საკვებს უმზადებს. აგრეგატი სოფლის ბოლოს, გართა მიწებზეა მოთავსებული. გიორგის გარდა კიდევ ოთხი ახალგაზრდა მუშაობს აქ. მიქლინარე წლის სახელმწიფო გეგმა უკვე შესრულებული შემოიდა. ჯამბალ ჯანაშიაშვილი: დიდი გეგმები და საშუალოები მოგველეს წინ. დასაძალი ადარა, რომ რაც დრო გადის, ფართოვდება აღმიათის მორიზონტი, იზრდება მისი მოსახლეობა.

ქმილი სულ ახლახან სოფლის ახალგაზრდობასთან ერთად მეფრანველეობის ფერმის ჩაუდგა სათავეში. უჭირო, ფრინველის გამოზრდის გამოცდილება არა აქვთ. მაგრამ რაიონში არის საკომუნურნიებათაშორისო მეფრანველეობის ფერმა. უფროსი ამხანაგები ცოდნას და ურჩადლებას არ აკლებენ.

— ახლა არ იტყვიოთ, რად მოვიდოდნენ მეფრანველეობის ფერმის შექმნა? ისე მეფრანველობის ინტერესებიდან გამომდინარე, შემოდგომამდე ათი ათასი ფრთა ჩრისხე გვეყოლება, ზოლო მომავალში?

„საბოლოო ეფექტი უნდა განსაზღვროს სოფლის მეურნეობის მექანიკისადაც ჩვენმა მიდგომამაც. პირველ პლანზე უნდა დაეყენოს ტრაქტორების, მანქანებისა და მოწყობილობის ხარისხი, მათი კომპლექსური შინაგდება, სოფლად მექანიკატორთა მომზადება და შენარჩუნება.“ — ხაზგასმით აღნიშნავდა ლ. ბრენევი ოქტომბრის პლენუმზე. და მართლაც, ხელნაწილი სოფლის მეურნეობა უკვე წარმოუდგენელიცაა მექანიკატორთა გარეშე. სწორედ მექანიკატორთა კადრებმა უნდა გადამწყვიტოს სოფლის მეურნეობის ყველა ამოცანა. დღესათვის კომუნურნიებაში ჰყავთ 48 ტრაქტორი, ცხრა კომბაინი, ყველა ხახის 50 აქტომანქანა დიდი რაოდენობის მანქანათარაღები, ერთი სახელმწიფო და ერთი ავტოპარკი.

— გასულ წელს საშინელ დღეში ჩავვაგდო დიღმის სატომონტი ქარხანამ — მისობა სტრაქტორი პარკის ინჟინერმა რადუნდ გურაშვილმა. — გარემონტებული, უკვე აღგადე შეკეთებული ტრაქტორების ხელმეორედ დაშლა და ძრავების ამოღება დაგვირბდა. ერთი ტრაქტორიდან ზეოფრე ამოვიღეთ ძრავა და ჩავდგით. ხშირი იყო შემთხვევა, რომ ძრავს ერთი საათიც არ უშუშავია, დღესაც, სამი-ოთხი თვის წინ გაჩერებული ტრაქტორებისათვა ძრავების უქონლობის გამო ვერაფერი მოგვაბერებია. ვინ უნდა მიხედოს ამ საქმეს?

„საქსოფტტექნიკის“ ჩაიონულმა გაერთიანებამ. საერთოდ, გვაქვია სათადარიგო ნაწილები. ხასიცილო, მაგრამ ფაქტია, ისეთი უმნიშვნელო დეტალი, როგორც ქანჭი და ქანჩია, სამი წელიწადია თავლით არ გვიწახვავს, რკინის მასალას კი არ გვაქვია.

— თავად დამზადებდით? — დავიხტერებდი.

— ცხადია. სპეციალისტებით დავამუშავებდით სახელის საგვარსო.

შე ვნახე ეს ხანა, ჩინებულია, მაგრამ რად გინდა, მსაღის უქონლობის გამო თვეებით გაჩერებული არაა. ილექტროდი რომ ილექტროდია, ისიც კი ხანატრული ჰქონიათ. გახარობა, „საქსოფტტექნიკის“ ამგვარი პოზიცია — ან საერთოდ მოეშავს კომპიუტერობას, ან არავა, სრული ტექნიკური მომსახურება ითვას. ახლა კომპიუტერობა, „საქსოფტტექნიკისაკ“ უბის ფულს და უსაქმოდ მყოფ ზელოსებსაც! ეს საკითხი უახლოეს ხანში უნდა მოგვარდეს.

ავტომატის სოფლის სასიცოცხლო არტერიის ენახის კომპიუტერობის თავმჯდომარე. პუჯის საუკეთესო მძღოლებიც; ნახუიდა ონანაშვილი, ვალერი გურამილი, შაქრო ბეგანიშვილი, თაზო ალავერდიაშვილი, ბიკო ათანელიშვილი. შორს წავსვლას უყვია მათგანის ჩამოთვლა...

სოფელი მომავლისაკენ თამამი ნაბიჯით მიემართება. შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს, თუ თანადროულობის რაიმე ხელე არსებობს, უყვიაფერს ამ დამაზ, შერს შედარებულ სოფელში მოსურია თავი.

დღეა ოქტომბრის მუხამოცე წლისთავთან დაკავშირებით ტიპანელებმა მრავალი შრომითი ვალდებულება აიღეს. თვით სოფელში ბევრი რამ კეთდება: სადაცა მწყობრში ჩადგება ტიპანელოთა კიდევ ერთი ულამაზესი შენობა (სამუშაო სკოლის შემდეგ)! — კულტურის სახალე. იგი რვაას კაცზეა გამიზნული და თავისი არქიტექტურით, ტრადიციითა და შიდა სათავსოებით სახეებით პასუხობს თანამედროვე მოთხოვნილებებს.

რა ხმელა უშენა. „სორნახუჯის ჩრდილოთ, შოაში, არს ელესია ამალეებსა, კეთილშენენარ ნახება, ვუმთხათანი, შუშუმხარაი და დ-ბატული. ამის ჩრდილოთ ჩამოუვარდებას ზევი ბარსა, გამომდინარე ცივა შოადამ და მოქდინარე დემოსკვეთად დასაკლენთილიამ. ამ სერის კლდეზე, ჩრდილოთ კერძო არს მონასტერი ბარსისა, რომელი ჰყო 13 მამათაგანან წმიდამან სტეფანემ, დიდკეთილშენი და დავლული არს წმიდა სტეფანე და მის წინამძღვარი“.

აქედით, ამ ვაკეურტიან გორაკიდან უჩვეულო პანორამა იშლება, მაგრამ პანორამისთვის არ გვაქვია ახლა. ბროწეულებით განაზნახებულ ბილიეთთ ელესიისაკენ იქნარო, მაღალ

ალტრში ფეხი გებლანდება. ფრთხილად წინ დამრცია. წინაში ვერც გავლი აღბათ. შიტოვებულა და გავერანებულა ელესიის შემოგარენი. აქა-იქ გათხრების ნაკვეთიაც მოჩანს. უსიამო შეგრძნება უფრო გამაფრება შენობის შიგნით. ვადაფუცილო კედლები. ყუროლი ფილები. ერთ კუთხეში ცეცხლიც კი დაუნთია ვილაცას. კოლექტორთა „ავტოგრაფების“ ნაშუშებია.

იცოცხლე, ეს უკანასკნელი არასოდეს ვავიწყდება!

მაგრამ რატომ არა ჩანს არსად თვით ამ უღელის ქმნილების პირველშენებლის ვინაობის მიმანიშნებელი წარწერა?

რა დიდი შეწუხება უნდოდა ერთი უბრალო ფირფიტის გაკრება?

მაგონდება: „ამისევე-ზე მოვიდნენ ბ. გ. მამანი შუამდინარეად, მოეგება ევლავიოზ კათოლიკოსი და მოიკითხა ასურულითა ენითა; სოლო მათ ქართულ პასუხ-უტებს, რამეთუ უცნობელნი იყვნენ ენათა ურთიერთთა, რომელთაც სახელები ესენი არიან:

- თიანე ზედაძენელი;
- დავით გარეკელი;
- სტეფანე ხარსელი;“

ელესიას, ხადაც ახლა ვიშოფები, სტეფანე ხარსელის სახელი ჰქვია,

ელესიის ყრუ კედლებში საუკუნეთა გრძელი ლანდები იმშალნენ.

დაღამდა.

ქვევით, თანამედროვე დამაზ სახლებში ერთმანეთის მიყოლებით აბრიალდნენ ნათურები.

შრომით გულგაქრებული სოფელი ვახშმის თადარიგს შესდგომოდა.

სოფლის კლუბში „იონე მრისხანეს“ უჩვენებდნენ.

სოფლის კეთილმოწყობილ გზაზე ახალგაზრდები მოდიოდნენ, სიცილ-ხუმრობით მოაბიჭებდნენ. მოაბიჭებდნენ „კაცნი მხნენი, ახოვანნი, შემმართებელნი, მაგარნი, მიქოლნი ურთიერთთა...“

არა, არ გამწყვდარა და არ მოშლილა პირველქართველის ხორბოთა ძირი. იგი აქა, შენს გვერდით, ზედშესახებად, თითქმის დიდხანა იცნობ ამ ახალგაზრდებს. თითქმის პირველად კი არა, დიდხანა მოაბიჭებ მათ გვერდით. და უცებ შენდაუნებურად ზელები ამ უშუალოების საიდუმლოს. თურმე ძალზე მარტივი ყოფილა ეს ყველაფერი. ისინი ამ წინაპართა, მემკვიდრენი არიან, რომლებმაც შინა და ღარით არ დაუქარგეს ამ მიწას. ისინი ყოველთვის იქნებიან, რადგან არ იცვლება ჭემ-მარტივი შრომელის კლასიკური სახე, დიდილი. მათი სულის მოძრაობა, ის, რისი ახსნაც ახე

ძნელია ხელაღებით, ერთი თაობიდან მეორეს გადაცემა მიმდინარეობით.

მათ იციან, რისთვის მოვიდნენ დედამიწაზე, მათ იციან, რომ დიდ სახალხო საქმეს აკეთებენ და აკეთებენ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით.

მაშ, რად არ მიუხედავთ სტეფანე ხირსელიის ცელესიისაკენ?

ღიას, ჩვენ ათეისტები ვართ.

გაგარინის ეპოქაში სასაცილოდ მოსწონს ცელესიაში ხალაოცავად შესული ადამიანი.

მაგრამ ცელესიები მარტო ღვთისმსახურები-სათვის არ აშენებული ჩვენში. ამ ძველებში შემოვიყვანებთ ის საფუძვლებო თვისებები, რაც ერს გააჩნდა, შემოვიყვანებთ კულტურა, ისტორია.

იციან სოფლის კლუბისაკენ მიმავალმა ახალგაზრდებმა, რომ ხირსის ცელესიის გუმბათის ქვეთა წუობა ქართველი ხუროთმოძღვარის განედული აზრის ნაყოფია?

არ იციან.

არ გვაწყენდა კი ამის ცოდნა!

მამილეტი. აჰა, მიიწურა წყარო — მივდივართ ვატკობს ისევ უნდა დავბრუნდეთ უკან: რამდენა ძვირფასი ადამიანი გავიცანო, რამდენი გასაცნობი დამრჩა!

— ტიბანიის შემოდგომაზე უნდა ნახოთ! — შეუბნება ჩემი მასპინძელი და მიგზურობს ზაურ ბიძინაშვილი. — ჩვენი ვენახი ხირსატ მიწაზე იზრდება. მისგან დაწურულმა ღვინომ არ შეიძლება ძალია და მხნეობა არ შეგმატოთ.

მაგრამ რაღა დამრჩა შემოდგომაში?

მაერში სულ უფრო და უფრო მძაფრად იგრძნობა მოახლოებული რაველის სუნთქვა: წინორის ხაკოლმეურნეო ბაზარზე ადრეული ურძენიეც გაჰჩნდა.

ტიბანიის სახელგანთქმული ღვინის ქარხანა მზადაა მოსაყვლის მისაღებად.

აიღება ჰირსაშული, გაიყვება ქვევარი. შეაქამებს მშრომელი კაცი ერთი წლის ნაღვანს, ხულს დაითქვას, კმაყოფილებით გასაძებნს მეზობელს, ბარაქით სავსე ხუფრასთან დაივას და ოქროსფერი ღვინით სავსე უიალით ბედნიერი ცხოვრების სადღეგრძელოს შეხვამს...



მახტანგ გორგაძელი

მნამს. არსენობა მოწინააღმდეგე

ზემო ქედის კოლმეურნეობის  
თავჯიქის არსენ კობახიძის

დაძრა შეკრებიდან იმდენი სიტბო  
შირაქის ცამ და შირაქის მიწამ,  
როგორც დავუდე სათავე სტრიქონს,  
მაშინვე სიტყვა ნაღვერდლად იქცა.

ნაბერწყლებს ვინ კრეფს ვარსკვლავთა  
ახლოს,  
ვინ აწკრიბალებს ლითონზე ლითონს?  
ჯერ ქედელების ბედლები ნახოს  
და მერე შენი სახელი მკითხოს.

ჯერ გადაზომოს თავთავე თვალთ, —  
ფხა გაუსინჯოს ყანაში ნამგალს,  
ნახოს, ვით გასწევს ფოლადის ხარი,  
როცა ველ-მინდვრებს დაუწყებს ქარგვას.

ნახოს ცისკარით დახუნძლულ ვაზებს,  
როგორ ედება ალაზნის ნანა,  
თვალმარგალიტით ყელამდე სავსე,  
როცა გოდრები მთებივით დგანან.

გადავარდნილი სიმღერის ვშხში  
მდეღვარე გული იხილოს მაშინ,  
როცა მკლავს გაშლის ქედელი გლები  
და ნამაგარს წაიღებს სახლში.

ჯერ დაითვალოს მზის აღმასები,  
მისი ნათელით ულოს რომ გრეხენ  
და მერე ვეტყვი ქედში არსენამ  
ვით დააყენა სოფელი ფესზე.

ნახოს თუ როგორ ტრიალებს მაჯა,  
თვალის გახელას ცას როგორ ასწრებს...  
თავდადებულმა შრომამ და გარჯამ  
საქვეყნო კაცად გაქცია, არსენ!

ვინც უნდა იყოს მუშა თუ მწყემსი,  
ბრძმედთან იბრძვის თუ ოქროს მადნებთან,  
რომ გაიაროს ალაზნის ზერებში,  
მწამს, არსენობა მოწინააღმდეგე.

დედაც და დამ...

მალაროსკარის კოლმეურნეობის მოწინავე  
მწველავს შარიაშ ალუდაურს.

ბროლის ტალღები ჭალებს მოკვეფენ,  
ცვივა შხეფი და სხივებს ირეკლავს  
და შემურდებათ ალბათ პროსპექტებს,  
შენ რომ არაგვთან ფურებს მირგაკე!

რძის რომ დადგება თეთრი მორევი —  
მაშინ სხვა არის ფახი მარჯვენის,  
მაშინ ეს მთები თავს იწონებენ  
და სხვარიც შევნი ქალი გამრჯელი.

ვაჭა-ფშაველას ლელა ხარ მაშინ,  
მაშინ შენ მართლად ქვეყნარ მეომარს,  
მეომარს, ვინაც დაიცვა მთაში  
ხევსური ქალის სულის მხნეობა.

არა, ზოგივით მთა არ გაცვალე,  
გზააღდენილი ვერც კვლავ გიხილონ,

შენი ჭირიშე, შენ გენაცვალე  
დედავ, დაო და მამულიშვილო!

შენი წინსვლით და შენი დიდებით,  
გული ხარობს და მკერდი იხსება,  
რომ იქ ხარ, სადაც მამულს სჭირდება  
და იცავ შენი მთების ღირსებას.

### შენ გავიყარვო...

ვუძღვნი შალაროსკარის კოლმეურნეობის  
მწყემსს სოლომონ ნარიშკინს.

მართლაც მთების ხარ ნუგეში,  
ვაშა ხარ, სადაც გაჩნდები.  
სიტყვა და საქმე ერთი გაქვს,  
ამაოდ არ იხარჯები.

თუმცა მრავალჯერ უკულმა  
დაბრუნდა ბედის ბორბალი,  
მაინც არ გადაგიგდია  
შენი მწყემსური კომბალი.

არ გაქცევიხარ ცხვარ-ძროხას,  
არც დვარძლი გულში გდებია,

მხოლოდ ვაჭაყის სახელი  
ამ მთებთან მოგიძებნია.

დღეს რაც ხარ გმადლობთ... და გვჯერა  
ხვალ უკეთესად გიხილავთ,  
იმატოს შენმა ცხვარ-ძროხამ  
სოფლის დოვლათის გვირგვინად.

მიდიხარ, ასე მგონია,  
მთა კალთებს მოაშრიალე...  
მაგ შენი პირნათელობით  
სულ ასე ყინწად იარე!

### როგორც ჩანდა

ნაპერწყლებივით ცვივა მხედები,  
კლდე ზრიალებს და მთები იძვრიან,  
თითქოს ქარჭაში ჩაუგებელი  
აქ დარჩენია ხმალი მინდიას.

ზვირთებს ხანძარი თუ ვრჟოლვა უვლით,  
ზათკი გამველეებს ნაღველს უქარვებს,

აქ წინაპრების იქნებ დულს სული  
და ამ კლდეებზე გადმოშქვხარებს.

როგორც თვით მთებში ენთები ალადა,  
ჩანჩქერო, ისე კვლავ წინსვლას გვიხმობ.  
მშობელი მიწის ძარღვებში მარად  
მამაბაპური იჭროლე ხისხლო!

### მადლობა

მალაროსკარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ ბილიხოძეს, რომელიც თრმოცო წლის წინათ გურიიდან ფშაე-ხვესურეთში მოვიდა სამუშაოდ.

რა მოსთვლის რა ცეცხლს გადაუვლია, რა მოსთვლის კაცი რამდენს ზრუნავდი, ვიცი, თვალთ გიდგა აქაც გურია, შენი ფაცხა და შენი ჯუმათი.

არაგვმა შთანთქა ის ძველი სუედა, არც მობრუნდება რაც იყო მაშინ. მართლაც, მადლობა შენს გამზრდელ დედას, რომ წამოსულხარ ბარიდან მთაში.

ჰე, რა ხანია ამ გზას მიჰყვები, როგორ ლამაზად გზა გაგიწაღდავს. მიხარის იქ ხარ, სადაც სჭირდება ამ მთებს, ამ ჭალებს, მშობელ მიწა-წყალს.

ვიცი, გურიამ დაგიკრა ტაში და ჩასწვდათ ხმები ამ მთებს გულამდი, რომ თქვი — აქ არის მალაროსკარში, შენი ფაცხა და შენი ჯუმათი.

### სიხოსხლის გზა

წვალტუბოელ მექანიზატორ მილუა ავალიანს, რომელიც „რკინის ხარით“ მოსულა და ხვესურეთში გზა გააფხა.

დაეშუქე ვარსკვლავად, დაეშუქე მთვარედ. კაცთაგან და ხეთისაგან მიტოვებულ მხარეს.

აქაც გააჩირადდნე ლაფვარდები რწმუნის.

მკლავი ისე გაშალე, ისე მარჯვედ მისდევ, როგორც გუშინ უტევდი წვალტუბოში მინდვრებს.

ვგრე, ფრთები მოჰკვეთე, მარტოობის ნიავს! მაგ გზას, შენ რომ აშენებ, სიცოცხლის გზა ჰქვია.

აქაც შენი ღამეა, ცისკარია შენი.

ვგრე, ვგრე გაჭფანტე დაეწყვების ბინდი, ეს გზა შენი მამულის სიკეთისკენ მიდის.

### შაგილო, გასსანე კარუბი!

როცა გვიჭირდა კრწანისთან აქ იყვნენ არაგველები, დღესაც იმათი დაკრულით გაოცებულან ველები.




მტკვარმა წაიღო ომის ხმა,  
სისხლის ღერა, სამტრო შეხვედრა,  
მაგრამ სახელი ხევსურთა  
დარჩა ზღაპრად და ლეგენდად.

დღეს საარაგო გვეძახის,  
მიწა გვეძახის ქართული,  
დრო დადგა შატილს სჭირდება  
ვაგაკცი მკლავშემართული.

არა მტრის ასაკაფაფად  
და არა სისხლის ხაღვრულად,  
სიცოცხლის გახალისებლად,  
მთებში შარავზის საჭრელად.

მშობელი მიწის ნათელი  
გულზე გვეხვეწოს ხატით,  
არაფის გვეპატიება  
შატილს არ ერქვას შატილი.

ლაშქარს მოჰყვება ლაშქარი  
ისე ვით ზვირთებს ზვირთები...  
შატილო, გახსენ კარები,  
მოვდივართ შრომის დიდებით!



# სირიაჩქონის ტყის სიზმარი

რეზანი

ლიზამ უხერხულობა ვერიკოსაც შეატყო და მისი წათამამება სცადა.

— რა კარგი იქნება, ჩემო ვერიკო!.. თბილისში იცხოვრებ და ჩვენ ყოველდღე ვნახავთ ერთმანეთს!..

თეთრწინსაფრიაანში ქალმა ხილი შემოამატა სუფრას. ვერიკო ფიქრით სულ სხვაგან იყო. ახლა, ამ წუთას, როცა სუფრის მოპირდაპირე მხარეს იჯდა მდიდრულად გამოწყობილი, სუფთად პირგაპარსული მამაკაცი, რომელსაც სუნამოს სურნელება ასდიოდა, ვერიკო მთელი თავისი არსებით ეთასჯერ უფრო დაუახლოვდა წვერებგაბურძგენილ და სისხლშემხმარ ნატყვიარ პერანგში გამოწყობილ ფედიას, მის მეზობელ და უდრეკ სულს.

ამ მდიდარ მამაკაცთან შეუღლება ვერიკოს პპირდებოდა ფუფუნებას, ლიზასაიორად გაფარფამებულ უდარდელ ცხოვრებას...

ლიზას ბედი კი უკვე საშინლად სძაგდა ვერიკოს, ეზიზდებოდა.

ეს სარკის წინ გაუთავებელი პრანკვა-გრება... უსაქმურობა... მოახლეები... მსახურები... ფუქსავატობა... მხოლოდ ქამაზე და დროსტარებაზე ფიქრი... გულისამრევი იყო ყოველივე.

სწორედ ასეთი ყოფის დასამხობად

იბრძოდნენ ქვეყნის ღარიბ-ღატაკნი, ქვეყნის ნამდვილი ქირისუფლები.

ახლა ცეცხლის ზაზი ამ ოჯახზე არ გადიოდა, ამიტომ ვერიკომ სტუმარს შეხება და გაუღიმა.

ეს გაღიმება კარგის მომასწავებლად მიიჩნეის ლიზამ და ევგენიმ.

ვერიკოს სიტყვიერი პასუხითაც მთიხიბლნენ.

— ბატონო ევგენი, მე რა უნდა გითხრათ.. მამა ახლაბან გარდამეცვალა, ვერ წლისთავი არ ყოფილა...

ეს პასუხი თანხმობას არ ჰგავდა, მაგრამ არც უარი იყო.

სანეფოდ შედგრებული მამაყავი ახლა მიხვდა, რატომ სცმია ამ ვთვთნას შავი.

ვერიკოს სიტყვებმა გული გაუნთა, — მგლოვიარტელ ყოფნის მომიზნება თითქმის თანხმობას უტოლდებოდა.

ბედის გაღიმებაში დარწმუნებულს, სითამამე მოემატა და თანამესუფრეთა წინაშე ორივე ხელი გაშალა:

— ბატონო ევგენი, ქალბატონო ლიზა, დამდეთ პატივი და ხეაღინდელი დღე მე მაჩუქეთ. გთხოვთ თქვენს სტუმართან ერთად შინ მეწვიოთ და აამაღლოთ ჩემი სახლის ქერი.

გულზე ხელი დაიდო და ვერიკოს წინაშე თავი დახარა:

დასასრული იხ. „მნათობი“ № 7.

2. „მნათობი“ № 8.

ქ. მარქსის სახ. ნ. ქ. სსრ  
სახელმწიფო ბ. ს. ბოლო

— იმედი მიჭეს, გვიკადრებთ...

ვერიკომ ენა ვერ დასძრა, მაგრამ მის ნაკვლად ლიზამ თქვა:

— ბატონებო, ვერიკო ხეალ პირადი საქმეებით იქნება დაკავებული. სჯობს ზევისთვის გადაიღოს ჩვენი თავშეყრა.

შემდეგ ლიზამ თვითონვე დააწყო მომავალი გეგმები, რომ ისინი მოაწყობდნენ გასეირნებას, ნახავდნენ ბეთანისს.

თვითონ ლიზან არ ჰქონდა ნანახი ბეთანია და ამიტომაც აინტერესებდა. იქაური თამარ მეფის ფრესკის ქება მოესმინა სხვებისგან.

ვერიკოს არც ასლა გამოუთქვამს თანამობა.

სტუმარმა კი მიხი ღუმილი თავის ხასარგებლოდ მიითვალა და ოცნებაში ბრძოლის ციხეც წინასწარ აავჯო: ხეალ... ხეალ კი არა, ზეგ. დედაჩემის თანდასწრებით ყოველივეს შე თვითონ ვეტყვი და დავნიშნავ კიდევცო.

ვერიკოს მამის წლისთავი გადახდილი რომ არ იყო, ეს ნიშნობას ვერ შეუბრკოლებდა. მერე წლისთავსაც გადაიხდიდნენ და რამდენიმე დღეში ჯვარსაც დაიწერდნენ.

მამაკაცმა ისიც კი გადაწყვიტა, ჯვართი აუცილებლად მცხეთის სვეტიცხოველში დაეწერათ.

ლიზა გააოცა ვერიკოს ხაზრიანმა თვლაქერილობამ. მამაკაცის მოსახბილოდ და „დასაწვავად“ თურმე სრულბითაც არ ყოფილა საქირთ თვალთმაქციური სცენების გათამაშება...

ხილს შეექნენ. იბაასეს.

ვერიკომ მამაკაცების საუბრიდან ის დასკვნა გამოიტანა, რომ შათ ორთავეს სწამდათ რუხეთის რევოლუცია, მაგრამ თვალი კაპიტალისტური ქვეყნებისაკენ გაუბრუნდა. საბოლოოდ ჯერ ვერ ამოერჩიათ საქართველოს ხსნის გზა. ვერიკოს კი ამორჩეული ჰქონდა ეს გზა... და ისინი რომ სადღაც ღობე-ყორეს ეღებოდნენ, ვერიკო ბორის ძნელაძესთან შეხვედრაზე ფიქრობდა...

სალამოხანს ეგვინი და ლიზამ ეტლით წაიყვანეს ვერიკო ბორის ძნელაძესთან შესახვედრად.

ვორონოვის ხიდი გაიარეს და ძველებურ, ლამაზ შენობასთან შეჩერდნენ. აქ იყო კომპაგშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტის ბინა, მხოლოდ ერთი ფანჯრიდან გამოკრთოდა შუქი.

ვერიკოს მზერა სახლის ფასადმა მიიპყრო, წვერმოშეებულ, წელს ზევით გაშვივლებულ და კუნთებდაძაბულ მამაკაცთა მონუმენტები გოლიათური მხრებით შესდგომოდნენ ქვის კედლებს, თითქოს ისინი იმაგრებენო ზედა ხართულის სიძიმეს...

ეტლიდან გადმოვიდნენ.

მე იქნებ შემავიანდეს, გთხოვთ შინ დაბრუნდეთ. გზას მარტოც გამოვავნებ, — სთხოვა ვერიკომ ცოლქმარს.

შათ მიინც ცოტა ხნით დალოდება დაუთქვეს: კარგი საღამოა და აქვე ვისეირნებთო. მართლაც კარგი საღამო იყო, თუ კი ვინმეს სეირნობის დრო და გული ჰქონდა.

შთელი დღის ყაყანითა და ხმაურით ყურებგამოჭედილ ქალაქს მისაძინებლად თავი მთაწმინდაზე მიედო და საცა ფშვინვას ამოუშვებდა.

სახლის ხადარბაზო შესასვლელთან თოფიანი, მკლავზე წითელბათაშემოხვეული გუშაგი იდგა. ვერიკომ წითელი მანდატი წარუდგინა. გუშაგმა ხიშტიანი თოფი მკერდზე მიიკრა და სიტყვის უთქმელად დაუთმო გასასვლელი დეღეჯატს.

ამხელა შენობაში თურმე მხოლოდ ერთი ოთახი ჰქონია დათმობილი კომიტეტს. იმ ოთახამდე ორიოდ ნაბიჯი იყო გასავლელი.

აქ რომ ვერავინ ნახა ვერიკომ, მეორე კარი შეაღო.

ბორის ძნელაძეს მაგიდის ნათურა ენთო და რაღაცას წერდა. კარის ჰრიალზე გამოიხედა და ნათურის მხრიდან

ხელი აიწრდილა.

— შემიღი!

ჭერ არ იცოდა, ვის ელაპარაკებოდა.

— ყრილობის დელეგატი აბაშიდან, ამხანაგო ბორის! — ჭარისკაცული რიხით წარმოსთქვა ვერიკომ და მაგიდისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, — მგონი ვერ მიცანიით...

ბორისი წამოდგა.

— ო, ვერიკო! როგორ თუ ვერ გიცანი!

სათვალე მოიხსნა, ხელი მაგრად ჩამოართვა სტუმარს და კითხვები ზედიზედ დააყარა:

— როგორ იმგზავრე?... რა ამბებია თქვენთან?... ამხანაგები როგორ არიან?..

სკამი შეხთავაზა ვერიკოს და წინასწარ გააფრთხილა: — ოღონდ ფრთხილად! ეს ჩვენი სკამი ცოტა მორყეულია...

გაიცინეს.

„ჩვენი სკამი ცოტა მორყეულია“ — რატომღაც ქარაგმულად თქმული ეჩვენა ვერიკოს. გული შეეკუმშა: მართლაც მორყეული იყო მათი „სკამი“, აბა რა ძალა ჰქონდა ფორმალურად ბოძებულ ლეგალიზაციის? ყოველ ნაბიჯზე შიში და მუქარა იყო მათი მღვდარი.

მაგიდაზე დახვავებული წიგნებითა და ნაწერებით იგრძნობოდა, რომ ბორისი ხელოსანთების სიტყვის სათქმელად ემზადებოდა.

— ვისაუბროთ... წიგნები გადავთვალეო. დრო გვაქვს, ჩემს საქმეს უკვე მოვრჩი, — თქვა ბორისმა და მაგიდას მიუჯდა.

ქუჩაში ევგენიმ და ლიზამ უკვე ოთხჯერ თუ ხუთჯერ აურ-ჩაუარეს სადარბაზო შესასვლელის ვუშავს. ვერიკო არ ჩანდა.

კიდევ მთელი საათი დაჰყვას ლოდინში და ბოლოს შინ წავიდნენ იმ იმედით, რომ ბორისი ვერიკოს მარტო არ გამოუშვებდა.

თვითონ ბორისიც ბევრჯერ ყოფილა ევგენისთან სტუმრად. შორეული ნა-

თესაობა იკავშირებდა მათ (და არა პოლიტიკური მოღვაწეობა).

ვერიკო და ბორისი ნაშუალამევს გამოვიდნენ შენობიდან. ბორისს წიგნები და ნაწერები ამოეღოთაგვებინა.

ვერიკომ ბევრი რამ ხაგულისხმო გავიგო ამ სამიოდე საათში ბორისთან ყოფნით.

ავვისტოს გრილმა ნივთმა სული ამოიღგა.

თენდებოდა 25 ავვისტო. ყრილობის დღე კარზე იყო მომდგარი.

ახლა, ამ ღამეულ ქალაქში ჩუმად მოთვალთვალე არავინ იყო ვერიკოსა და ბორისის სიახლოვეს. თავისუფლად საუბრობდნენ გზადგზა.

ყრილობის რეზოლუციაში უამრავი პრინციპული საკითხი იყო შესატანი:

— მენშევიკურ მთავრობას უნდა მიეცა მათთვის ლეგალიზაციის ნამდვილი უფლება, სიტყვის თავისუფლება...

— საბოლოოდ და მკაცრად უნდა ყოფილიყო აკრძალული პოლიტიკურ პატიმართა ფიზიკური ხელყოფა...

— აღდგინათ კომკავშირული გაზეთი „მოლოდოი პროლეტარი“, რომელმაც მხოლოდ 20 დღეს იარსება და ექვსი ნომრის გამოშვების შემდეგ დახურეს...

ვერიკომ და ბორისმა ვორონცოვის ხიდი გადაიარეს და აღმა აუყვანენ მტკვრის ნაპირს.

გულს დარდი და ყანას ღორღი არ გამოეღვება: ვერის ხილთან ელბაქიდის მოკვლის საშინელი სურათი წარმოუდგა ბორისს. და ახლა ვერიკოს უამბო ყველაფერი: შუა დაღმართზე, ბაღთან მტრის ეტლს ბოძში ესროლა ელბაქიძემ, მერე ქარდაკრული, მუშტისხელა ღრუბელივით გამოფრინდა მტკვრისაკენ და ხილიდან წყალში გადაეშვა. რა სახე ჰქონდა, რა აბრიალებული თვალები!.. წვერმოუბარსავი იყო, დაღლილი, ოფლით დასველებული შავი ბლუზა თითქოს შესწებებოდა სხეულზე. კარგა მანძილზე მტკვარს ყვინთვით გაჰყვა მეტეხისკენ, მღვრიე ტალღებზე შორს გამოჩნდა მისი თმა-

გრუზა თავი, ერთი მხარული დაპკრა  
კაბუქმა და ისევ ჩაინთქა წყალში მე-  
რე ისევ დაიღანდა ახლა უფრო  
შორს. ესროლე! — უბრძანა თეთრ-  
გვარდიელმა ოფიცერმა თოფიან ჯა-  
რისკაცს. ჯარისკაცმა ესროლა და გან-  
ზრახ დააცილა. მაშინ თვითონ ოფი-  
ცერმა გამოგლიჯა იარაღი „ცულ“  
მსროლელს და ერთი გასროლით ჩას-  
ძირა წყალს მინდობილი ლტოლვილი.

ელბაქიდის გახსენებამ ვერაქოს თა-  
ვისი ძმებიც მოაგონა...

საუბარს საუბარი მოება და ვერი-  
კოს მოეჩვენა, რომ დღეს თუ ხვალ  
ფედისაც ასევე ჩასაძირადნენ უსამარ-  
თლობის მრუმე ტალღებში.

— ხომ შეიძლება, ყრილობის რე-  
ზოლუციებში კონკრეტული ფაქტებიც  
იღინიშნოს?.. ჩაეწეროთ, რომ აწამა და  
ცემა-ტყეპით სიცოცხლე გაუნახევრა  
ფედია ფრანგიშვილს აბაშის მილიცი-  
ამ...

— ნეტამც ჩვენმა ყრილობამ და რე-  
ზოლუციებში რაიმე სასიკეთო შედეგი  
გამოიღოს!.. მთავარი მიანიც ბრძოლა,  
ჩემო ვერაქო.

ცოტა ხანს დუმილი დაემგზავრათ  
გზად მიმავალთ.

მერე ისევ ბორისი ილაპარაკდა, ჩუ-  
მაღ, თითქოს თავისთვის:

— შეიარაღება და გადამწყვეტი  
ბრძოლისათვის არმიის შექმნა ახლი  
მთავარი... თქვენ, ასორმოცდაათამდე  
ჯარისკაცის გამოყვანა შეგძლებათ...  
არ არის ცოტა... ყველა აბაშისხელა  
რაიონმა რომ იმდენი ახალგაზრდა შე-  
მატოს წითელ გვარდიას, იცოცხლე,  
ზღვდვირი ვადინოთ მენშევიკებს...

ვერიკოს, შარშანდელთან შედარე-  
ბით, სულ სხვანაირად წარმოედგინა  
მიმავალი იჯანყება. უფრო სრულყო-  
ფილი, ყოველმხრივ გააზრებულნი...

— არ იყო კარგად მომზადებული  
ჩვენი იჯანყება შარშან, — მოსწყდა  
მის ბაგეს, — მეთაურები დაპატიმ-  
რეს და მაშინვე დაეიბენით. გადავდეთ  
იჯანყება სწორედ მაშინ, როცა თითქ-  
მის უკვე დიწყებული იყო... და რაღა

გამოგვივიდა?.. ტყუილ-უბრალო სის-  
ხლისღერა...

ბორისი სიმართლეს ისმენდა ვერი-  
კოსაგან, მაგრამ თავის მხრივ მაინც  
რაღაც მნიშვნელობასაც უნარჩუნებ-  
და იმ „ტყუილ-უბრალო სისხლისღე-  
რას“.

დავმარტბდით მაშინ, ვერიკო, მაგრამ  
მენშევიკებს ხომ ვაგარძობინეთ, რომ  
რაღაც შეგვძლებოდა, რომ ხვალ უფრო  
ძლიერნი ვიქნებოთ... ხალხი რომ ჩვენ-  
სკენაა, ესეც აკი თვალნათლივ იხი-  
ლეს.

ვერიკოს კარგახანს არ ამოუღიო ხმა.  
მერე დინჯად და დაფიქრებულად ალა-  
პარაკდა:

— ბორის (ჭერ „ბატონო ბორისო“,  
უნდოდა ეთქვა, მაგრამ მაშინვე გადა-  
იფიქრა), შე ამქვეყნიად არავინა მყავს.  
ძმები მომიკლეს... მაშინვე სკაქანში  
ამოხადეს სული... დედაჩემი სამადლო  
ლუკმაზეა ნათესავებთან, მახაც ორი პე-  
რასკევილა დარჩენია. — ვერიკოს კინა-  
ღამ წამოსცდა არც ფედის უწე-  
რია დიდი სიცოცხლეო, მაგრამ ისევ  
თავისსავე ხმადალა ნათქვამს გაპ-  
ყვა: — რაღა ჩემი ყოფა?... ნეტავ მო-  
გვკვდე ამ ბრძოლაში!.. ოღონდ უკანა-  
კნელად, ერთი წუთით შევხედო ჩემს  
ნაქარგ დროშას, ცაში ლაღად გაშ-  
ლილს, ჩემს დაბეჩავებულ ხალხს —  
გამარჯვებულს... მე თავისუფლებას  
ვუანდერძებ მომავალ თაობებს, მაგრამ  
იქ, იმ თავისუფლებაში, ჩემთვის  
უკვე იღარაფერი იქნება. მე ყველა-  
ფერი, რაც გამაჩნდა, აქვე დამიხარ-  
ჯავს... თითქოს უკვე დავებრდი, ჩე-  
მი საუკუნის დასასრულს მიგუხანოვ-  
დი... — ცრემლი და ბოღმა ერთად მო-  
აწვა ყელში და დახრჩობა დაუბირა...

ბორის ძნელაძემ არ იცოდა რა ეთ-  
ქვა, ენა იუბორძიკდა:

— რას ამბობ, ვერიკო... ამხანაგებ-  
მა ასეთი გულგატეხილობა რომ შეგა-  
ტყონ, ვინ გამოგყვება, ვინ მოუ-  
მენს შენს მოწოდებას!..

— განა ყველას გასგონად ვამბობ!..

შენ გეუბნები... მეთაური ხარ და მინდა იცოდე...

ბორისი გრძობდა, რომ ვერიკოს მეტი ლაპარაკის ძალა აღარ შესწევდა, ხელი ჩაჰკიდა.

— დამშვიდდი, ვერიკო, ჩვენ სასტიკ განაჩენს გამოვუტანთ ყველას, ვინც ესოდენ ვაგვაწამა და სისხლი გამოგვეწოვა..

მიხაილოვის ქუჩაზე, ბორისმა ვერიკოს გამოსამშვიდობებლად ხელი რომ ჩამოართვა, იგრძნო, როგორ კანკალებდა გოგონა.

— ძმები დაჰკარგე. მაგრამ ჩვენა ვართ შენი ძმები. შენი ლევეანისა და მოსეს მაგიერნი... მე მივუღე ერთერთ ძმად...

კარი მოსამსახურე ქალმა გაუღო ვერიკოს, ეტყობოდა, ტანგაუნდელად იწვა სტუმრის მოლოდინში.

— ბოდიში, დეიდა. ძილი გაგიტყხეთ, არა?! — მიმართა ვერიკომ და ცრემლი შეიმშრალა.

ქალი ვერ მიხვდარიყო ვერიკოს ტირილის მიზეზს. ათასი აგარა და ჭიბჭირი დაეხეტება ამ უპატრონო ქვეყანაზე, ვინმემ ხომ არ შეურაცხყო — იფიქრა.

ვერიკო ლოგინში ჩაწვა. ვათენებამდე დიდი დრო არ იყო დარჩენილი და ეს დროც ვერ დაუთმო ძილს, ცრემლებს ვერა და ვერ გადაუყეტა გზა.

.. თითქოს ყრილობაზე იყო უკვე და მენშევიკებს ედავებოდა...

— ილაპარაკეთ თქვენც და ჩვენც გვალაპარაკეთ. ვნახოთ, ვისაც გაჰყვება ხალხი.. აჰა!.. ჩვენი ლაპარაკი ხელს არ გაძლევთ? მაშინ ჩვენ იძულებული ვართ სიტყვა მივცეთ იარაღს! თოფი თქვენცა გაქვთ და — ჩვენც.. თქვენ — აშკარად, ჩვენ მაღულად. ამ შემთხვევაშიც ხალხი გადასწყვეტს ორთაბრძოლის ბედს“...

ვერც ფიქრით დაიდალა, ვერც ტირილით... ახლა ძმების და მამის არდილებმა მოაკითხეს.. არ დააძინა

დედის მოლანდებამ, თედოს განხეხებამ...

ტიროდა ვერიკო და უკვრდა, რომ ცრემლი არ შორდებოდა.

დილა მზიანი თენდებოდა.

იმ კეთილმა მოსამსახურე ქალმა ვერიკო უხეშოდ არამედარაძე არ გაუშვა. ვერიკო რომ ყრილობაზე წავიდა, ლიზას ჯერ კიდევ ეძინა მშვიდი და უმფოთველი ძილით.

ყრილობა მოწვეული იყო პროფკავშირების სახლის შენობაში. ამისათვის წინასწარ მომზადდა კლუბის ვრცელი დარბაზი.

მეორე სართულის დერეფანში გრძელ მაგიდას სამი ქალი უკვდა. დელეგატები აქ წარმოადგენდნენ თავიანთ მანდატს, ჩაეწერებოდნენ და მერე დარბაზში შედიოდნენ. მაგრამ მოდიოდნენ ისეთებიც, რომელთაც მანდატი არ ჰქონდათ, ამ მაგიდას გვერდს აუვლიდნენ და პირდაპირ უბოდიშოდ შედიოდნენ ყრილობის დარბაზში.

სცენის ფარდა აღრევე იყო ვახსნილი. პრეზიდიუმის მაგიდის უკან, მთელი სცენის სიგანეზე გაეკრათ აღმზიანებელი ასოებით დაწერილი პლაკატი:

„სალამი დელეგატებს!“  
ასოები ჭარისკაცებივით ამოსდგომოდნენ ერთმანეთს. ვერიკომ დარბაზში რამდენიმე ნაცნობს მოჰკრა თვალი. ქუთაისელი შუშანიკა კუპრაშვილი თვითონ მოვიდა მასთან, აკოცა, მოიკითხა, მამის გარდაცვალება მთესამძიმბრა; აღრევე გაეგო, მაგრამ ჩამოსვლა ვერ მოეხერხებინა და ახლა მოუბოდიშა.

ქალიშვილებს ორმა უცნობმა მამაკაცმა ჩაუარა. მათ მანდატის წარმოდგენლად ჩაუარეს სარეგისტრაციო მაგიდასაც.

— ვინ არიან ესენი? — ჰკითხა შუშანიკას ვერიკომ უხმოდ. მხოლოდ ტუჩების მოძრაობით გააგებინა მეგობარს შუშანიკამ.

— აგენტები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის წარმომადგენლები დარბაზში თავიუწველად შევიდნენ და უკანა რიგში, კედელთან დასხდნენ.

— გაწყვეტა მაგათი, — ჩაილაპარაკა ვერიკომ.

ყრილობა ბორის ძნელაძემ ვახსნა.

სულ ორმოცდასამი დღეგატი იყო მოწვეული ამ ყრილობაზე, დარბაზში კი ხალხი ბევრად მეტი ჩანდა. თბილისელ კომკავშირლებს სულ აქ მოეყარა თავი, აქ იყვნენ არაკომკავშირლებიც, ქვეყნის პირვარააში გულდამწვარი ადამიანები — სტამბის მუშები, სტუდენტები, სემინარიელები, ფაბრიკა-ქარხნების ახალგაზრდობა, უმუშევრებიც, მწიგნობარნიც და უწიგნურნიც, რომელთაც წიგნი, მართალია არ იცოდნენ, მაგრამ საკუთარი შეხედულებებიც და თვალთახედვაც გააჩნდათ, ცხადისა და სიზმრის გარჩევა ქონდათ.

ყრილობას ესწრებოდნენ უფროსი, ხელმძღვანელი პარტიული ამხანაგები.

პრეზიდენტში მსხდომთა შორის ქალთაგან მხოლოდ ვერიკო იყო. ბორის ძნელაძემ მოიწვია წინასწარ. ბორას მარჯვნივ — კომკავშირელების განუყრელი მეგობარი და ჰქუთის დამრიგებელი მიხა ცხაკაია ეჯდა.

ყრილობა რომ მუშაობას შეუდგა, მიხამ პრეზიდენტის უკანა რიგში შემთხვევით თვალი მოჰკრა ვერიკოს, მოიხმო და გვერდით მოისვა წინა რიგში.

ხელი ჩამოართვა და რაღაც გადაუჩურჩულა. დარბაზამდე მის ხმას არ გაუღწევია ვერიკოზე კი იქ მსხდომ ახალგაზრდებს დიდი წარმოდგენა გაუჩნდათ: ალბათ ვიღაც ნაცადი მებრძოლია და ჩვენ არ გვეცნობია...

ბორის ძნელაძეს დარბაზში მსხდომი მოწინააღმდეგეებისა სრულებითაც არ მორიდებია და თავის სიტყვაში პირდაპირ თქვა:

— ამხანაგებო! ჩვენ გვიხდება დღეს ყრილობის ვახსნა იმ საქართველოში,

სადაც შრომელი ხალხი და მშრომელი ახალგაზრდობა თბორტუნისტულ-მენ-შევიკურ ეანდარმების ბრწყალეებში იმყოფება. დღეს ჩვენ აქ თავს დაგვტრიალებს კედლია-ფაქულიას საიდუმლო პოლიცია...

ბორისმა სწორედ იმ მხარეს გაიშვირა ხელი, სადაც ყრილობის მოთვალთვალენი ისხდნენ. ვერიკომ დაინახა, როგორ შეწრიალდა ერთი აგენტი, ცალი ხელით სკამის საზურგეს დაეყრდნო, მეორეთი პირზე მუჭი აიფარა და ჩაახველა... სწორედ ის მამაკაცი იყო, უმანდატოდ და ცხვირაწეულად რომ ჩაუარა რეგისტრატორებს. ყრილობის დაწყების წინ მას მეორეც მიჰყვებოდა გვერდით. ვერიკომ ახლა თვალთ იმ მეორეს დაუწყო ძებნა ხალხში...

ბორისის სიტყვა არ გაუწყვეტია, მეტი ცეცხლი წაიკიდა ხმაში:

— მაგრამ (მუქარასავით იყო წარმოთქმული, გამოკვეთილად, თანაც ხელი ასწია თავსზევით და თითი დაიქნია), სულ მალე (აუმაღლა ხმას), სულ მალე მოვა ის დრო, როდესაც ჩვენს შემდეგ ყრილობას სწორედ იქ ვახსნით, სადაც სხდომებს აწარმოებს დამფუძნებელი კრება...

ვერიკო საოცარ სიამაყეს გრძობდა, თითქოს სიმაღლე მოემატა, ამაღლდა სულიერადაც და ფიზიკურადაც.

მიხა ცხაკაია აღფრთოვანებისაგან ვერ ისვენებდა, მაგიდაზე ვერიკოს ხელს ხელი რამდენჯერმე მსუბუქად შეახო და მისკენ მიუხედავად გადაუჩურჩულა.

— აბა, აბა, ჩემო ვოგონი, ავრე უნდა!

ვერიკომ მიხას ხელის შეხება რომ იგრძნო, მაშინლა მიხედა, მუშტი შეკრული ჰქონდა და წარბები მოღუშული. მოსარიდებელი რა იყო, მაგრამ რატომღაც მოერიდა, მიხასკენ გამოიხედა და ტურგაუხსნელად გაიღიმა მთელი სახით, თვალებით...

## დოკუმენტური ფურცლებიდან

ბორის ძნელადის შესავალი სიტყვის შემდეგ ყრილობამ პირველად განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდა შვიდი წევრი და სამი კანდიდატი.

ვერიკო კანდიდატებში ერთად

შემდეგ განხილულ იქნა „აზერბაიჯანში საბჭოთა მთავრობის აღმშენებლობითი მუშაობისა და ახალგაზრდათა მოძრაობის გასაცნობად“ დელეგაციის გაგზავნის საკითხი.

ყრილობამ დაადგინა ოცი კაცისაგან შემდგარი დელეგაციის გაგზავნა აზერბაიჯანში.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე უმნიშვნელოფანესი გადაწყვეტილება ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალში საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის შესვლის თაობაზე. ინტერნაციონალში თავის წარგზავნილად ყრილობამ აირჩია ბორის ძნელაძე.

• • •

ყველაფერი კარგად და საქმიანად მიმდინარეობდა. ხალხში აქა-იქ გარეული მენშევიკების საგანგებო რაზმის წარმომადგენლები ჯერ გასუსულები იხსდნენ, ხმას არ იღებდნენ.

ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალში ბორის ძნელაძის არჩევას ტაშის ქუხილი რომ მოჰყვა, დარბაზიდან ვილაცამ ომახიანად სტეჟია:

— ძირს მენშევიკური მთავრობა!

ერთი მაღალ-მაღალი, სქელი მამაკაცი უცებ წამოიშრათა ხალხში, უშველებელი მკლავი გვერდით მსხდომებს თავზე მოქნევით გადააგლო და დაიძახა:

— გააძვევთ!

ძნელი მისახვედრი იყო, ვინ უნდა გაეძვევებინათ...

ხუთი თუ ექვსი მამაკაცი ერთბაშად წამოდგა და აქეთ-იქიდან ხალხი მისწი-

მოსწიეს, გზა გაითავისუფლეს და წამოვიდნენ.

ალბათ ის იყო ლოზუნგის წამომძახებელი...

— რას ემართლებით ამ კაცს!.. ვინა ხართ!.. — წინ აღუდგა აგენტებს რამდენიმე ახალგაზრდა დარბაზი წამოიშალა.

— დაწყნარდით, ამხანაგებო, დამშვიდდით! — ვილაცის ხმა გამოიკვეთა გნიასში.

ფართო კარები ჭახანით გაიხსნა და დარბაზში საიდუმლო პოლიციის მსახურნი შემოვიდნენ...

მენშევიკების საიდუმლო პოლიციას ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მომზადებული: რა ედროვებინა ყრილობისათვის და რა არა; რომელ სიმილებზე გამოეკრათ მათი კიბისთვის ფეხი...

— დაიშალეთ! გადიეთ აქედან!.. დაიჭირეთ!.. წაიყვანეთ!.. დაამწყვდით!.. — ყველაფერს ერთმანეთში ურევდა და ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა ის ბირველი, არეულობის წამომწყვები კაცი.

ატყდა სკამების ხრიგინი. წამოიშალნენ პრეზიდიუმში მსხდომნიც.

მოძალადენი სათითაოდ ეჯაჯგურებოდნენ გაურჩებულ ახალგაზრდებს, კარებისკენ ექაჩებოდნენ და გარეთ აგდებდნენ, ან აქვე აპატიმრებდნენ და მკლავმოგრებილინი გაჰყავდათ.

ბორის ძნელაძე მაგიდაზე ავიდა, მუშტად შეკრული ორივე ხელი ზე აღმართა და ირგვლივ ატეხილ ყოველგვარ ხმაურს გადაამეტა მისმა ხმამ:

— ამხანაგებო!

იმევე წამს შეწყდა მოძრაობა. ყველამ სცენისკენ იბრუნა პირი და ყველამ გარკვევით გაიგონა მაგიდაზე შემდგარი კაცის ნათქვამი:

— სულ ერთია, რაც უნდა სდევნონ, რამდენიც უნდა ამწყვდიონ ციხეებში ჩვენი ამხანაგები, კედია-ფაჩულის საგანგებო რაზმის პოლიციელებმა, ისინი მაინც ვერ იხსნიან თავის ბატონო-



ბას და ერთ შშვენიერ დღეს, საქართველოს შშრომელი ახალგაზრდობა, შშრომელ ხალხთან ერთად, ბოლოს მოუღებს მათ თარეშს!

ეს რომ თქვა ბორისმა, დარბაზი უცებ კვლავ ამოძრავდა, კვლავ გაჩაღდა გაწევ-გამოწევა, ჭაჭჭურბო... ყრილობა დაშალეს...

ახლად არჩეულ ცენტრალური კომიტეტის წევრებს ბორისი მიუძღოდა წინ. ჭუნაში გამოვიდნენ და ხმის ამოუღებლად წავიდნენ ბინისკენ. დღე-გატეხი კვალდაკვალ მიჰყვნენ მეთაურებს. ნელინელ დამშვიდნენ, დაწყნარდნენ, ამოისუნთქეს.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბინაზე მათ სამგზავრო ფული დაურიგეს და გამოშვებულბებისას ბორისმა ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი, ყველას სათითაოდ უთხრა ერთი და იგივე სიტყვები: „კეთილად იმგზავრეთ. აბა თქვენ იცით!“

ვერიკო, როგორც ცენტრალური კომიტეტის კანდიდატი, მეორე დღემდე უნდა დარჩენილიყო, თანაც მისი უჭრედის ბეჭედიც მეორე დღისთვის იქნებოდა მზად და იმასაც წაიღებდა.

მეორე დღეს, 26 აგვისტოს, დილიდანვე შეიკრიბნენ ცენტრალური კომიტეტის წევრები და კანდიდატები, სულ ათნი.

არ დამსხდარან, რადგან ათი სკამი არც იყო მათ ოთახში, ბორისი ნერვიულობდა, ჩქარობდა. საქმე და სალაპარაკო უამრავი ჰქონდათ, მაგრამ ბორისს რაღაც ცუდი წინათგრძნობა აჩქარებდა. ალბათ იცოდა, რომ დაპატიმრებდნენ, მაგრამ მიმალვას არ ცდილობდა.

— მეგობრებო, შეიძლება მე დამპატიმრონ, — გული გაუხსნა თანამებრძოლებს, — ყოველმა თქვენთაგანმა იცის, რაც უნდა გააკეთოს. მე ჩემს ყურადღებას საპრობოლიდანაც არ მოგაკლებთ. იყავით ულმოზებლნი მტრის მიმართ...

ამის თქმა მოასწრო ბორისმა და

კარი ფეხის კვრით შემოაღო. მისი ბორისმა იცნო შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორი, ადრეც დაუპატიმრებია მას ბორისი.

მას ახლდა განსაკუთრებული რაზმის ორი აგენტი.

ამ ორიდან ერთი იცნო ვერიკომ. სწორედ ის მამაკაცი იყო, გუშინ ყრილობის დარბაზში უმანდატოდ რომ შემოვიდა და შემდეგ ისე შფოთავდა თითქოს ეკლებზე ზისო.

იცნო ვერიკომ და ახლა უფრო კარგად დაიმახსოვრა მისი სახე.

გუშინ ძლიერ ღელავდა ეს კაცი, ახლა კი დამშვიდებულიყო, გამარჯვებული კაცის იერი გადაჰყენოდა...

— ბორის ძნელაქე! — განაცხადა ვიცე-დირექტორმა, — თქვენ დაპატიმრებული ხართ!

ბორისს ორი აგენტი მაშინვე აქეთ-იქიდან ამოუდგა.

ვიცე-დირექტორი არ ჩქარობდა, ოთახში მყოფთ სათითაოდ და დაეინებით დააკვირდა, თითქოს იმახსოვრებდა მათ სახეებს. მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ იქ მყოფნიც იმახსოვრებდნენ მის სახეს.

— მაშ ასე, ამხანაგებო! — სრულიად დამშვიდებულად თქვა ბორისმა და აგენტებს გაჰყვა.

განრისხებულნი, შუბლშეკრულნი დარჩნენ ოთახში უსარდლო ჯარისკაცები.

• • •

ვერიკომ აბაშაში სასიხარულო ბევრი ვერაფერი ჩამოიტანა. ყრილობის დარბევამ და კომკავშირელთა მეთაურის დაპატიმრების ამბავმა გული შეუქუშა აბაშელ ახალგაზრდებს. ფედის შეძახებამ უშველათ:

— რას დაღონებულხართ. მაშ ფიანდაზებს დაგიფენდნენ მენშევიკები!... გავარტყეს ერთ ყბაში და მივუშვირთ მერეც?.. ეჰ, აგრე არ იქნება!.. ბრძოლა? ბრძოლა... უნდა იყოს!..

ჩემი თოვლისა ხმადაბლა მეკითხება:  
— ვერაქომ ფედისა თბილისიდან  
რამე სამკურნალო წამალი არ ჩამოუ-  
ტანა?

ვითომ სხვათაშორის მკითხა ეს და  
მეც სხვათაშორის ვეუბნები ვულის ვა-  
სახარს:

— აბა..

— რა უთხრა ფედია?

— აბები რად მინდა, შენ რომ ვი-  
ყურებ, ჩემი წამალი ეგააო...

— ასე არ ეტყობა...

— კიდევ ის უთხრა: შენ რომ წახ-  
ვედი, თითქოს მზე ჩაესვენა ჩამო-  
ხველ და ისევე ამოვიდაო.

(ლამაზი ტყუილი გამოდის).

თოვლისა იცინის, გაბარებული..  
ხო, რა კულრაჭა გოგო მგზრდება,  
ჩემს მეტმა არავინ იცის...

ჩემგან ვაიგებს, რისი ვაგებაც უნ-  
და, მერე მიდის და გულს დედამისს  
უხსნის.

მე ყველაფერს ვხედავ.

ვიცო: თოვლისა, თავისი წარმოდგე-  
ნით, თვითონ ვითომ — ვერაქოა, ფუ-  
თულა კი — ფედია ისინი — თოვლი-  
სა და ფუთულა — ახლა დროებით იმ-  
ყოფებიან ერთმანეთისაგან შორი-  
შორს.

ამათ საბრძოლო საქმეებთან იმდრო-  
ინდელი რას მივა.

ამათ მთელი ქვეყნიერება უნდა ვა-  
წმინდონ ცოდვებისაგან...

იმნაირი ბრძოლები რომ იყოს ახლა,  
ლუკმადაც არ ეყოფოდათ. მერე მოვა  
ფუთულა, ხელში აიყვანს თოვლისას,  
ისე შალა აიტაცებს, რომ ცის ვარსკე-  
ლავები თმაში გაეხლართება

ისე უღიმამოდ და უბრალოდ კი არ  
ეტყვის: წახვედი — მზე ჩაივდა, დაბ-  
რუნდი — ამოვიდაო. ფუთულას ნათ-  
ქვამი ხატის წინ ნათქვამ ლოცვასავით  
იქნება...

ახლა ზუსტად არ იცის თოვლისამ,  
რა ძვირფას სიტყვებს წარმოსთქვამს  
მაშინ ფუთულა, მაგრამ ის კი იცის, —

ლოცვასავით იქნება მისი ნათქვამი,  
ლოცვაზე უფრო მაღალი და ლაყვარ-  
დოვანი...

ის თუ ესმის ნეტავ თოვლისას: ვე-  
რიკოსნაირებს თავი რომ არ გაეწირათ  
მაშინ საქართველოს ბედნიერებისათ-  
ვის და გულზე ხელდაყრდენებს მო-  
ექვამთ წუთისოფელი, როგორ ოცნე-  
ბით იცხოვრებდა დღეს თოვლისა?

ესმის, სწორედ ეს ესმის თოვლისას.  
და მე ბედნიერი ვარ, ჩემი საუბარი  
ამდელზე ფეტვის შეყრა რომ არაა...

### დოკუმენტური ფურცელი

ყრილობის დარბევის შემდეგ და  
პატიმრებულ ბორის ძნელაძეს დამკი-  
ნავე თავაზიანობით უთხრეს: — საბჭო-  
თა მთავრობა გსურთ? მაშ, კეთილი  
ინებეთ და გადასახლდით ბაქოში.

ბორისმა ექვსი თვე დაჰყო ამ გადა-  
სახლებაში და მხოლოდ რუსეთის მე-  
თერთმეტე არმიასთან ერთად დაუბრუნ-  
და გამარჯვებულ საქართველოს 1921  
წლის 25 თებერვალს.

ბაქოში იგი ეწევა არაჩვეულებრი-  
ვად დაძაბულ, შრავალმხრივ საქმი-  
ნობას; 1920 წლის ოქტომბრის პირ-  
ველ რაცხვებში მოსკოვში ესწრება  
რუსეთის კომუნისტური ახალგაზრ-  
დობის მესამე ყრილობას, როგორც  
საქართველოს კომკავშირის დელეგატი.  
ყრილობიდან კვლავ ბაქოში ბრუნდება.

.. მუშაობდა რა უშუალოდ ბაქოში,  
ბორისს საემაოდ ვრცელი მიწერ-მოწე-  
რა პქონდა საქართველოს კომკავში-  
რის ცენტრალურ კომიტეტთან, თბი-  
ლისში მყოფ ხელმძღვანელ კომკავში-  
რულ მუშაკებთან და აძლევდა მათ მი-  
თითებებს.

...1920 წლის 20 ნოემბერს მენშევი-  
კური მთავრობისა და მისი სავანგებო  
რახმელებს მხრივ დევნის პარობებში  
შეიკრიბა საქართველოს კომკავშირის  
მეორე ყრილობა, რომლის სასწრაფოდ  
მოწვევის იდეა თვით ბორის ძნელაძემ  
მოაწვდინა მეგობრებს ბაქოდან.

ყრილობის შესახებ პრესაში წინასწარ არავითარი ცნობა არ გამოქვეყნებულა. მიმდინარეობდა იგი უაღრესად კონსპირაციულ პირობებში, მუშაობა დაამთავრა ერთ დღე-ღამეში.

ყრილობას ბორისი არ დაწრებია, რადგან ბაქოში იმყოფებოდა. მაგრამ იგი ბაქოდანაც განაგრძობდა ხელმძღვანელობას.

მიუხედავად კონსპირაციის მძიმე პირობებისა, ყრილობამ შეუფერხებლად ჩაატარა მუშაობა. დღის წესრიგის ყველა საკითხი ამოწურა და მიიღო შესაფერისი გადაწყვეტილებანი.

ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა. ბორის ძნელაძე ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულ იქნა დაუსწრებლად.

ყრილობამ მოწოდებით მიმართა საქართველოს მუშა და გლეხ ახალგაზრდებს მოემზადებინათ თავიანთი ძალები მენშევიკურ მთავრობასთან გამაწყვეტი შეტაკებისათვის.

მენშევიკური მთავრობა გრძნობდა ქარიშხლის მოახლოებას, გრძნობდა, რომ მისი არსებობის დღეები უკვე დავალია იყო და ყოველგვარ ზომებს იღებდა ბოლშევიკებისა და ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკების გასანადგურებლად — აპატიმრებდა მათ და მოხერხებისდაგვირად ხერხებდა თითქმის განუკითხავად.

• • •

„სპარტაკის“ აბაშის უჯრედის მდივანი ბიქტორ კაჭარავა ჯერ კიდევ ხუთ სექტემბერს დააპატიმრა ადილარ გვახავამ. მაშინ ბიქტორმა თავის სასწავლებელში, დიდ შესვენებაზე, ლექცია წიკითხა და საუბარში წამოსცა, მენშევიკთა დასამხობად ჩვენ იარაღიც ვაჭქვს და ტყვია-წამალიცო. და ის იყო, ხელიც რომ ჩასტაცეს საყულოში ადილარის აგენტებმა. ბიქტორის შემდეგ მალე დააპატიმრეს ფედიას

მა ქუჩუ ფრანგიშვილი და მკვლელები კაჭარავა.

ბიქტორი, ქუჩუ და გრიგოლი, უკვე მეოთხე თვე გადიოდა, რაც აბაშის სატუსალოში იხდნენ.

ეს იყო 1921 წლის იანვარში (ახლოვდებოდა 25 თებერვალი, თბილისში წითელი დროშის აფრიალების დღე).

ცალ-ცალკე საცნებში ჰყავდა ადილარს ეს სამი კომკავშირელი, რომ ერთმანეთს არ დალაპარაკებოდნენ და ერთ პირზე არ დამდგარიყვნენ, მაგრამ ახალგაზრდებს ერთმანეთისათვის ხმის მისაწვდენად სხვა საშუალება ჰქონდათ გამონახული: გასასერიწებლად ან საპირფარეშოში რომ გაიყვანდა გუშავი ერთ-ერთს, ორნი თავთავიანთ საცნების სარკმელიდან ლაპარაკობდნენ მუნჯურად — თითების მოძრაობით.

ეს თითებით ლაპარაკი ბიქტორმა ისწავლა მეფის რუსეთის კატორღაგამოვიღილ თედო შავიშვილისაგან და მეგობრებსაც ასწავლა ჯერ კიდევ დაჯერამდე.

თედო შავიშვილს ერთი მოყვარე ჰყავდა აბაშაში და ხშირად უხდებოდა აქეთ ჩამოსვლა. ბიქტორმა თედოსაგან ბევრი სხვა რამეც ისწავლა, რევოლუციისათვის საჭირო და აუცილებელი: გასაჭირისა და შიმშილის ატანა... გულგუტუნლობა... უადგილო ადგილას ვაცლა და საჭირო ადგილას მკერდით მისვლა...

თედოს ათი წელი გაეტარებინა მეფის კატორღაში, სულ ბორკილდადებულს. ბორკილების შეხსნის ვადა რომ მოუწევდა, რაღაც ახალ ბრალდებას წაუყენებდნენ, გაქცევის მცდელობაში წაასწრებდნენ, ან მეფის საწინააღმდეგო საუბარში... და უგრძობლებდნენ რკინასთან მეგობრობის ვადას.

ახლა ბიქტორი აბაშის მილიციის პატიმარი იყო და თავისი თავი კატორღელად წარმოიდგინა

ადილარ გვაზავას ბიქტორისა, ქუჩუსა და გრიგოლისაგან „ცოტა“ რამის გაგება სურდა: ახალგაზრდებს უნდა ეთქვათ, სად ჰქონდათ დამალული ბოლშევიკებს და კომკავშირლებს იარაღი და ტყვიაწამალი... სად იმყოფებოდა ვერა კიზირია და როგორ შეიძლებაოდა მისი ხელში ჩაგდება... სად ინახებოდა სპარტაკელთა დროშა და ბეჭედი. აი, მხოლოდ ამის გაგება ეწადა მილიციის უფროსს.

ორი ბოლშევიკი იჭდა მაშინ აბაშის სატუსაღოში — სევე გვაზავა და ანდრო გაბელია. ისინი, როგორც კი მოახერხებდნენ, უმალ ხმას მიაწყდნენ უმცროს თანამებრძოლებს, აფრთხილებდნენ, ქუჩუს არიგებდნენ არ გაცეათ საიდუმლო, თუნდაც სიცოცხლის ფასად...

და ერთ დამეს მოხდა ის. რაც მოსალოდნელი იყო, მაგრამ ბიჭები ასე ცხადლივ მაინც არ მოელოდნენ.

ქუჩუ ფრანგიშვილი ვაიყვანეს, ალბათ ისევე დასაკითხავად, ეზო გაიარეს და ღერეფანში შევიდნენ. ქუჩუმ უღელში შებმას შეჩვეული ხარივით დაადო თავი და პირდაპირ ადილარისკაბინეტისაკენ წავიდა, მაგრამ მილიციელმა შეაჩერა: ჯერ აქ დაიცადე, უფროსი თვითონ დაგვიძახებსო. მოსაცდელ ოთახში ღუმელი ენთო, ოთხი მილიციელი თავდაღმა დამზობილ ყუთზე დომინოს თამაშობდა. ჯოჯოვებად ზოგს აგური გამოეყენებინა და ზოგს საღუმელე შეშა. ქუჩუსათვის არც მიუქცევიათ ყურადღება.

კაბინეტში ადილარი თბილისიდან მიღებულ რაღაც ქალაღს დაჟინებით დასცქეროდა. დასცქეროდა და არ კითხულობდა, რადგანაც უკვე თითქმის ზეპირად იცოდა. ეს იყო ბიქტორის, ქუჩუს და გრიგოლის საქმის გამო ბოლშევიკების მიერ თბილისში გაგზავნილ პროტესტის პასუხი. მასში აღნიშნული იყო: დაბატიმრებულნი — ბიქტორ კაჭარავა, ქუჩუ ფრანგიშვილი და გრიგოლ კაჭარავა — დანაშაუ-

ლის დაუდგენლობის შემთხვევაში, ათავისუფლეთო.

ხელს აწერდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ვეღია.

ორიოდე დღის წინ მიიღო ეს ქალაღი ადილარმა და ბოღმას ყელში ვერ იტყვდა: ეს თითისსიგარძე ბლარტები როგორ ვერ გამოგტხებო. ხვალამდე თუ ვერ გამოგტხდა, მეტი გზა არ ჰქონდა, უნდა გავეთავისუფლებინა, რადგანაც თბილისიდან პასუხის მიღების ამბავი ბოლშევიკებსაც უდაოდ ეცოდინებოდათ და კარზე მოაწყდებოდნენ: ესაო და, ბრძანებას რად არ ასრულებთო, უდანაშაულო ბიჭებს რად არ უშვებთო. მარტო თედო შავიშვილი კმაროდა ამისთვის.

ამ ქალაღის მიღების დღეს შინ მისულმა ადილარმა თავის შვილს ქამრით სცემა სულ უბრალო რაღაცისათვის... თვითონაც არ იცოდა, რატომ. პატარა ადილარი გაღაბული ძალივით დაიძალა. და იმ დამეს სახლში არ შემოსულა, სამზადში ეძინა.

ადილარი ახლა კაბინეტში იჭდა და იცოდა, პატიმარი ფრანგიშვილი კარს იქით რომ იცდიდა, ელოდებოდა მის დაძახებას.

ხვალ უნდა გავეთავისუფლებინა ის და მისი ორი ამხანაგიც, თუკი ვერაფერს ათქმევინებდა, ხვალ უნდა გაველო, მისი წარმოდგენით, მგლებისთვის ვალიის კარი და ცხერის ფარაში გაერთა გავგდო ვალიიდან მელია საქათმეში. ეს შედარება თვითონვე არ მოეწონა. მაგრამ მათთვის კისრის მოგრების იმედი, ჯერ კიდევ ჰქონდა დარჩენილი. ხვალამდე, წინ მთელი დამე ჰქონდა სამოქმედოდ... ქუჩუჩის სითბო გაუტყბა, ამ „ბედნიერებაში“, თავი განთავისუფლებულად წარმოუდგა და დომინოს თამაშით გართულ მილიციელებს, ცოტა დააკლდა, ირ შეუერთდა. მან ხომ კარგად იცოდა ეს თამაში. მილიციელები ბიჭს ყურადღებას არ აქცევდნენ, ქუჩუჩია თითქოს

არც არსებობდა მათთვის. ერთი თქმით ისიც კი გაიფიქრა პარტიზმში: ამდგარიყო და ჩუმჩუმად გასცლოდა აქაურობას.

გარეთა კარი ფეხის კვრით შემოაღო მილიციის უფროსის მოადგილემ, ხელში ტყავის საქადალდე ეჭირა. აქ თუ არისო, იკითხა უფროსზე და დასტური რომ მიიღო, პირდაპირ კაბინეტში შევიდა. აქ კი უკვე ხელით შეაღო უფროსის კარი...

ქუჩაში იგრძნო, რომ იგი არც შეუძინებია. კაბინეტის კარი ოდნავ გამოღებული დარჩა და იქ მყოფთა საუბარი ქუჩისაკენ ესმოდა.

ადილარის და მისი მოადგილის ხმებს კარგად ანსხვავებდა. თითქოს თვითონაც გვერდით იყო და ხედავდა კიდევ:

— განაჩენი მივიღეთ, — მიმართა მოადგილემ უფროსს, — აი, პაკეტი.

— კარგია... კარგია... ვნახოთ, რა გადავწყვიტეთ — გამოკვეთილად თქვა ადილარმა.

„რა გადავწყვიტეთო“ — ადილარი ხერხთაღი ზემდგომ ორგანოებზე არასოდეს ამბობდა, რა გადავწყვიტეს, რას გუბრძანებნენო. ყოველთვის თავის მონაწილეობასაც ვაპურებდა მათ საქმიანობაში: რა გადავწყვიტეთ, რა ბრძანება ვივცითო.

ლაპარაკობდა ხმადაბლა, მაგრამ ისევ ვარკვევით, რომ ეს კარსუკან მამულად ქუჩისთვის გასაგონად სავსებით სავმარობი იყო.

მერე ადილარმა ქადალდი ხელში ვაშალი და კითხვა დაიწყო. კითხულობდა ვარკვევით, გამოკვეთილად, და ქუჩისაკენ ყველაფერი ნათლად ესმოდა.

1921 წელი, იანვარი.

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი.

ქართლიდან საქართველოს თავისუფალი რესპუბლიკის, შინაგან საქმეთა უშიშროების სამსახურსა და შეარაღებული ძალების შტაბის სხედლით, ხამ-

ხედრო სავსე სასამართლოს სამსახურში შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — პოლკოვნიკი მ. ი. მორგუნოვი, სახელმწიფო სამხედრო მსახურლები: კაპიტანი ა. გ. ესაძე, შტაბის კაპიტანი ე. ნ. შონია, თავის დახურულ სხდომაზე ქალაქ თბილისში 1921 წლის იანვრის 7-ს განიხილა სრულიად საქართველოს შინაგან საქმეთა უშიშროების საბჭოს სენატის მარხის ქვეგანყოფილების წერილობითი, საიდუმლო წარდგინება მთავრობის საწინააღმდეგო შეიარაღებული მოქმედებისათვის სამართალში მიცემულთა, ამაში არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრთა ბიქტორ კაჭარავას, გრიგოლ კაჭარავას, ვიორგი ფრანგიშვილის საქმე.

სასამართლო ადგენს:

მთავრობის საწინააღმდეგო აშკარა თუ ფარული შეიარაღებული მოქმედებისათვის მიესაჯათ დახვრეტა შემდეგ პირებს:

1. კაჭარავას ბიქტორ ყარამანის ძეს,
2. კაჭარავას გრიგოლ ექვთიმეს ძეს“.

...სამენადაძებულ ქუჩის ქვედა ტუჩი ატყავალდა. ახლა უკვე მთელი სხედლით უსმენდა: იქ შეწყდებოდა დახვრეტის განაჩენის კითხვა თუ კიდევ ვაგრძელებდებოდა. ვისი გვარი იქნებოდა შემდეგი...

„გ. ფრანგიშვილს ვიორგი (ქუჩუ)... ის .....ძეს“. ქუჩის მოჩვენა, რომ ეს სიტყვები ადილარმა განსაკუთრებული მონღომებით წაიკითხა.

„უსამართლობა!“ — კინლამ წამოიყვირა ქუჩაში... კარს იქით კი ადილარმა კითხვა ჩაათავა: „განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება განაჩენის დაუყოვნებლოდ სისრულეში მოყვანა დაევილოს...“

ადილარს ხმა უცებ გაუწყდა.

ქარის ზუზუნი ჩაუდგა ქუჩის ყურებში, ბინდი აფარა ავღლებზე... დომინოს თამაშით გართული მილიციელები ამ ბინდში შთაინთქნენ, არც აფუფუნებული ღუმელი ხანდა...

ზარმა სადღაც მჭახედ დაიწკარუნა. მაცხოვრისკარის წმინდა საყდარი თუ რეკდა სიკვდილისწინა ზარს!

ქუჩუ მილიციელის შეძახებამ გამო-  
არკვია: — დაგეძინა, ბიჭო, თუ რა!  
აღმათ თვალეზი დახუჭული ჰქონდა.

მილიციელი კაბინეტში ფაცი-ფუციით შევიდა. თურმე ადილარს დაერეკა ხელის ზარი მის მისახიზობად, შევიდა მილიციელი და უშვალ უკანვე გამოჰყო თავი.

— შემოდით, — გასჩახა კოლეგებს. ოთხივენი რიგრიგობით გაუჩინარდნენ კარს იქით. ქუჩუ სულ მარტო დარჩა. ახლა კი ნამდვილად შეეძლო გაქცეულიყო, ავტო, ფანჯრიდან გადაეშვებოდა თუნდაც და ეძებნათ მერე ქარი მინდორში. მაგრამ რატომღაც აღარ უნდოდა გაქცევა. იქნებ იმიტომ, რომ საკანში ამხანაგები ჰყავდა დატოვებული. თუმცა, თურმე ვერც მოასწრებდა გაქცევას, რადგანაც მისი აქ მომყვანი მილიციელი მაშინვე გამობრუნდა კაბინეტიდან და ავდებულად აუქნია ხელი ცხვირწინ:

— ჰაიდა! — უფროსს შენთვის არ სცალია, თათბირი აქვს.

ქუჩუს გაუხარდა, საკანში რომ აბრუნებდნენ. სანამ ამ მოსაცდელ ოთახს ვაივლიდა, უკანიდან კიდევ წამოვიწია ადილარის მოადგილისა და თვითონ ადილარის ხმა:

— როდის გავიყვანოთ? — ეს მოადგილემ იკითხა და მას მოჰყვა ადილარის სევდანარევი პასუხი:

— რალა ჩვენ დაგვაკისრეს დახვრეტა! ა? რა ჩადგება ამ ბავშვების ცოდვაში...

ქუჩუს გაკვირვების უნარიც დაუბრუნდა: ნუთუ მართლა წუხდა მილიციის უფროსი?

ეზო ვაიარეს. არც წვიმდა და არც თოვდა, მაგრამ კაცს რომ მაგრად გაექნია ხელი, დაუსევლდებოდა.

ქუჩუს საკანში ცემენტის იატაკი მუდამ წყლით იყო დაფარული. იმიტომ, კარიდან ნარამდუ ფეხმშრალად რომ

გაველო პატიმარს, გადებულ იყო ფიცარი. ამ ფიცარს ქუჩუ სხვა საქმისთვისაც იყენებდა: მორივე მილიციელს საკანის კარიდან მოშორებულს რომ დაიგულებდა, გადმოიხრებოდა ნარიდან, აიღებდა ფიცარს და სარკმელთან, კედელზე ააყუდებდა. ზედ აცოცდებოდა და ვახედავდა ქვეყნიერებას. ამ ეიწრო სარკმლიდან ჩანდა: ჯერ მილიციის ეზო, საპირფარეშოსკენ მიმავალი ქვეშეშოწყობილი ბილიცი, მერე — ეზოს შემოვლებული აგურის კედელი, ხოლო იქით — ბანკის შენობა და გამელელთა მხოლოდ თავები ვინმე ტანდაბალი თუ ვაივლიდა, ამას ვერც ხედავდა ქუჩუ. ცა და ხეები კი კარგად მოჩანდა, თვითონ საკანს კედლების ბათქაში სინესტისაგან ნახევრად ჩამოშავებული ჰქონდა. ერთ კედელზე გარკობილი იყო დიდი ლურსმანი, ზედ ეკიდა ჰილოფურად დაწნული სახელურებიანი ჩანთა, რომელშიც ქუჩუს გამოზომილი ჰქონდა წინა დღით დედის შემოგზავნილი მცირე ხორავი, მჭადი, ყველი და ნიორი. ფიცრისნაირად, ამ ლურსმანსაც ზოგჯერ თავისებურად იყენებდა ქუჩუ: გამოაძრობდა კედლიდან და სარკმელში ჯვარივით დატანებული თითისსიმსხო რკინის გისოსს ძირებს უჩინქნიდა. ერთს ქვედა მხარეს უკვე გამოუჩინა წვერი, მაგრამ კიდევ სამი წვერი იყო გამოსაჩინქნი, რომ რკინის გამოძრობა შესაძლებელი ყოფილიყო. ქუჩუმ არ იცოდა, ვაეტეოდან თუ არა გისოსებმოცილებულ სარკმელში თავისი მსხვილი თავით. მაგრამ მაინც განაგრძობდა ჯადოს. ეს გართობასავით იყო მისთვის. ხოლო როგორც კი იგრძნობდა მილიციელის მოახლოებას, ძირს ჩამოცოცდებოდა და ლურსმანს თავისსავე ადგილას შეასობდა.

კარის მხარეს, საკანის მარჯვენა კუთხეში, ხის მომცრო კასრი იდგა, მოუთმენელი საჭირთებისათვის. ისე კი, პატიმრები საპირფარეშოში გაჰყავდათ

ორჯერ — დილას და საღამოს. მაშინ იყო, თითქმის რომ საუბრობდნენ ბიჭები.

ჭურუს ნარზე ეგო თივით ვატენილი ნალი; გარდა ამისა, მას ათბობდა დედის შემოგზავნილი ჭრელი, სხვადასხვა ნაჭრისაგან შეკერილი ძველი, შიშველი, პირგადაუკრავი საბანი, ერთი კიტრივით მუთაქა, თავისი დაკონკილი პალტო და აგრეთვე მამამისის ძველი ქულაჯა. დღეცა და ღამეც ჭურუს ყოველივე ეს ტანზე ჰქონდა მოხვეული. იჭდა და შესცქეროდა ოთხ კედელს, უხილავი ჯადო-მხატვრის — სინესტისაგან ათასწაირად მოხატულს, ესაუბრებოდა თავის მარტოობას, და ფიქრობდა ქუჩუ ყველაფერზე, ყველაზე.. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ისე გადაიღალა ამ ფიქრით, რომ აღარ იცოდა რაზე ფიქრობდა.

ჭურუმ თვეების მანძილზე არ იცოდა, რა მოელოდა. დამლამობით დაკითხვაზე გაუყანას ისე იყო შეჩვეული, ერთხელ რატომღაც არ გაუყვანიათ და ის ღამე თეთრად შემოათენდა მოლოდინში.

დღეს კი ჭურუსთვის ყველაფერი ნათელი იყო, რადგანაც საკუთარი ყურით მოისმინა მისთვის და მეგობრებისთვის გამოტანილი ვანაჩენი.

გზით გამოიარეს, მორიგე მილიციელმა საკნის კარები ვაულო, შიგ შეუშვა და ჩაეკეტა.

რა კარგი ყოფილა ეს საკანი და აქამდე მისი ფასი არ სცოდნია ჭურუს! რკინის რაზმა რომ ჰქონდეს, შიგნიდან მგრილად ჩაიკეტებოდა, კარს არავის გაუღებდა.

ფიცარი კი არის აგერ, მაგრამ ფიცრით ვერაფერს გახდნება, — ყველა საკნის კარი შიგნიდან გარეთ იღება საერთოდ და შეუშავრე, რამდენიც გნებავს, ფიცარი. ვერ ჩაიკეტები!

როგორც კი მარტო დარჩა ჭურუ, საბანი მოიხვია მაგრად, თვალებილა გამოაჩინა ოდნავ, თითქოს ამ საბანში უნდოდა დამალვოდა მოახლოებულ აღ-

სასრულს, აქ გამავრებულყო და არ მოეშვა სულთამხუთავი.

საკრემელში შემოტეხილი ცა თანდათან გამუქდა, საღამოვდებოდა.

კარის რკინა გარანხუნდა და მილიციელმა ბიჭტორი შემოიშვა ჭურუს საკანში თავისი ბარგი-ბარხანით. ბიჭტორი იღიმებოდა. ეტყობოდა, გახარებული იყო მეგობრის ნახვით.

— სტუმარი მოვსულვარ, ქუჩუნია, დამენახე და გამომეგებე.

ჭურუ ხმას არ იღებდა.

— როგორა ხარ, რას შვრები, ახალი ხომ არაფერი გავიგია, — ზედზედ დააყარა ბიჭტორმა კითხვები ჭურუს და გვერდით მიუჭდა.

ჭურუმ იქით გაიწია, სულ მთლად შეეწება კედელს, ბოლოს, როგორც იყო, დასძრა ენა, შიგ საბანში დაილაპარაკა ხმადაფუღულად:

— დახვრება გამოგვიტანეს!..

ბიჭტორმა ჯერ გაიცინა, მერე უცებ მოიღულა, კარგად დააკვირდა მეგობარს და, მის სახეზე დაყრილი წითელ-წითელი ლაქები გააჩნია...

სახე სახეს არ უგავდა ქუჩუნისა, თვალები — თვალებს.

ბიჭტორი მუხლებით დაეშვა ნარზე, ჭურუსკენ გადახარა, ზედ პირთან მუტანა პირი:

— რა თქვი, ქუჩუნია!

— დაგვხვრეტენ, — ოდნავადაც არ განძრეულა ჭურუნია, ისე უპასუხა.

— ტყუილია.. ვინ ვითხრა?

— ჩემი ყურით მოვისმინე.. დაკითხვაზე წამოყვანეს. თავიდან ბოლომდე წაიკითხა ადილარმა განაჩენი. მე აქეთა ოთახში მესმოდა. დაუსწრებლად გამოუტანიათ თბილისში, გასაჩივრებაც არ შეიძლებაო.

— ოღბათ, გვატყუებენ, ქუჩუნია, გვაშინებენ..

— ადილარმა არც იცის, მე რომ ეუსმენდი..

ისევე ვარანხუნდა კარის საკეტი. ახ-

ლა უკვე სულ სხვანაირ, სიკვდილის მომასწავებელ ელერას გამოსცემდა იგი.

გრიგოლიც შემოუშვა მორიგემ საკანში. ახლა უკვე სამივენი ერთად იყვნენ.

მორიგე მილიციელმა წასვლის წინ თანაგრძნობით უთხრა ბიჭებს:

— ერთად რომ მოგავროვეს, ალბათ ერთად გაგიშვებენ...

ამ კაცს, ეტყობოდა, გული კი კეთილი ჰქონდა. რამდენჯერ ჩუმად მოუტანია საქმელი პარტიზებთანთვის.

— ბიძია, — სიტყვა დააწია ბიჭტორმა კართან მისულს, — ჩვენ დახვრეტა მოგვისაჯეს...

გრიგოლი ხომ ამ წუთის მოყვანილი იყო მეგობრებთან და განაჩენისა არაფერი იცოდა. ბიჭტორის ნათქვამი — დახვრეტა მოგვისაჯესო, სიცრუედ მიიჩნია.

ბიჭტორმა განაგრძო მილიციელთან ლაპარაკი:

— შენ კეთილი კაცი ხარ.. ერთი სათხოვარი შეგვისრულე... ლაღი მებონიასთან მიდი. ასე და ასე — თქო საქმე, იქნებ გარედან გვიშველონ...

მილიციელმა პასუხად არაფერი თქვა, ბიჭტორს კი მოეჩვენა, რომ თავი დააქნია თანხმობის ნიშნად.

ისევ დაიკეტა საკნის კარი გარედან. მებონიას თუ გააგებინა... თორემ იდილარს ჰქუა არ დაუშლის, ვაი თუ ამაღამვე დაგვხვრიტოს...

დრო სწრაფად გადიოდა, გარეთ უკვე ჩამობნელდა.

ქუჩუ თავისი ფიცრით სარკმელთან მიფოფხდა. ეზოს ვალაენის იქით გაშვლულთა თავი კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა და უკვე მათი ვინაობის გარჩევაც არ შეიძლებოდა.

დანელიას გოგოს რომ გაეელო, იმას კი უდავოდ იცნობდა ქუჩუ, მაგრამ ან ჩანდა იგი.

საკნის კარი ისე მოულოდნელად და უხმაუროდ გაიღო, რომ ქუჩუმ ძირს ჩამოცურება ვერ მოასწრო და ასევე რკინის ვისოსებზე დაკიდებული დარჩა. ახლა რაკი დანაშაულზე წაასწრეს, არ აჩქარებულა, ნელა ჩამოვიდა ძირს.

ერთმა მილიციელმა ფარნის შუქი მიუმარჯვა მეორეს, იმან კი ქუჩუს მიერ სარკმელთან მიყუდებული ფიცარი ისევ ძველ ადგილზე გადახიდა. მას კიდევ გარედან შემოტანილი ორი თუ სამი ფიცარიც ამოუწყო.

ამ სახელდახელო ბოგაზე ორივე ფეხით დადგა თბილისიდან ჩამოსული გამომძიებელი, ვილაც გაურკვეველი ეროვნების კაცი — ანგი დადგულაშვილი. როგორც გვარი ჰქონდა, თითონაც ისეთი დაკვარჩნებოდა იყო. მას მხარში ამოუდგნენ ფარნიანი მილიციელი მალა აწეული ფარნით და მილიციის უფროსის მოადგილე. დანარჩენი ორი მილიციელი გარეთ გავიდა, კარი მოხურეს.

ქუჩუნი, ბიჭტორი და გრიგოლი ბუნაგში გამომწყვდეული მგლის ლეკვებივით მიეკრნენ ერთმანეთს, უკან უკან დაიხიეს და საკმარისი იყო ვინმეს თითი გაეწია მათკენ, წააგლეჯდნენ.

დადგულაშვილმა (ჯალათადაც ყოფილა ნამყოფი ადრე მეფის კატორღაში) რაღაც ქალაღი ვაშლა, ფარნის შუქს შეუყენა და პარტიზებს დახვრეტის განაჩენი თავიდან ბოლომდე, სიტყვის გამოუკლებლად და დაუმატებლად წაუკითხა.

როგორც კი დაამთავრა კითხვა, წაბებებს ქვემოდან გახედა პარტიზებს და წაკითხულს თავისი სიტყვები დაატანა:

— გასაგებია, ღორისშვილებო!

პასუხი არავის გაუცია.

გავიდნენ და კარი ისევ გარედან დაკეტეს.

პარტიზებიც არაფერს ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, თითქოს სამუდამოდ დამდურებულნი იყვნენ. და სამივეს



დღე-ღამე უყვარდა, რატომ ხლებოდა ასე? როდის გაირბინა მათ შორის შევმა კატამ?

მხოლოდ ხელები ჩაეკიდათ ერთმანეთს მავრად, ძალიან მავრად, თითქოს ვმინოდათ, რომელიმე არ გაქცესო.

რა დრო გავიდა ასეთ მდგომარეობაში, არც ერთმა არ იცოდა. ბოლოს ისევ არახუნდა ის უქანავი რკინა კარზე. ახლა სულ სხვა მილიციელი აღმოჩნდა მათ წინაშე. ეტყობოდა, ახალი ცვლა მოსულიყო.

ბიჭტორს ეს მოეწონა — „გამოცვლილან“. ესე იგი, ის „კეთილი მილიციელი“ მიიტანდა ლაღი მებონისთან პარტიზმების დანაბარებს.

ახალმა გულშემა სხილუმლოდ ახალი მზავი მოიტანა:

— არაფერია, ბიჭებო, გაშინებენი... ახლა კი წამოდით, უფროსი ვეძახით.

„ალბათ ასე იციან დისახვერეტი კაცის ვატყუება საკნიდან“.

— არსადაც არ მივდივართ, — სამივეს მაგიერ თქვა ბიჭტორმა.

მილიციელმა: აგერ მე და აგერ თქვენ!

განწირულებს სხვა რა ვზა ჰქონდათ. ხატოვით მორი არ მოჰქონდა მათ მდინარეს და ისევ ხავსს ჩაუჭიდნენ: ხელი არ შეუშვიათ ერთმანეთსათვის. ისე ვაჭუნენ მილიციელს უფროსის კბინებობიდან. ეზოში ვავლისას ერთად ვაჭუნენ ღამეულ სივრცეს. რა ახლოს ვფთ თავისუფლები! დაყვირება მოუნდათ სოფლის გასადვილებლად: ძმებო, ვვიშველეთ, ვვხოცავენო... მაგრამ იცოდნენ, ამით არაფერი ვაკეთდებოდა და სიზმრადღეშია შეიძლება ჩათვლილით ეს დაყვირება.

ბოლოშევიების საკნის კართან, რომ ჩაიარეს, ერთ-ერთის ჩურჩული შემოესმათ: ყოჩაღად იყავით, ბიჭებო, არ მოგატყუონო!

მოტყუება ამაზე მეტი რაღა იქნებოდა: აგერ, აგერ უნდა დაეხვრიტათ

და ახლა კიდევ დაკითხვას უწყობდნენ.

ილიარი მაშინვე წამოდგა და შემოგვებათ. პარტიზმებიც დასხა და თვითონ წინ დაუდგა. მე თვითონ შევაცვლევიანებ განაჩენს, თუ მეტყვით, სადა აქვთ შენახული თოფ-იარაღი ბოლოშევიებებსო...

ბიჭტორმა, ქუჩუჩიმ და ვრივოლმა იცოდნენ და კარგადაც იცოდნენ იარაღის სამალავი ადგილები: ჯონდოლაშხიას სახლის იატაკის ქვეშ მიწაში ჩაწყობილი იყო ასორმოცდაათი თოფი — ასორმოცდაათივე კარგად გაბრიალებული, საგულდაგულოდ დაზედალი და ბრუნენტი შეხვეული.

ერმილე დანელიას წაბლის ოღის სხვენზე სამი ყუთი ტყვიაწამალი იყო. ლაღი მებონისა ღუქნის საწყობში თერთმეტი მაუზერი ინახებოდა. ილიარი ამ საწყობს რატომ სამოთხვერ მიინც არ ჩაუვლიდა დღეში!

რაც მართალია, მართალია, მხოლოდ ეს სამი საიდუმლო ადგილი იცოდნენ სპარტაკელებმა, დანარჩენებს ბოლოშევიები პარტიზმობდნენ. ისე, თითო-ათათ თოფს ბევრი მალავდა შინ თავისთვის.

ადილარს იარაღის სამალავი ადგილების ვარდა, სხვა რამეც უნდა შეეტყუო ამ ბიჭებისაგან და ვანავრძობდა პარტიზმების ჩამოთვლას:

— როდისთვის აქვთ ბოლოშევიებს ვამიზნული აწინუების დაწყება?

აწინუება ამ ახლი მომივალში რომ უნდა დაწყებულიყო, ამას წყალი არ ვაუღიოდა, მაგრამ დღის დასახელება უუსტად სპარტაკელებს არ შეეძლოთ...

— სად ინახება თქვენი დროშა და ბეჭედი?

დროშის საქმეს მხოლოდ ვერიყო განაგებდა და სხვებმა მართლა არ იცოდნენ, სად მალავდა იგი თავის „ხეთოს“. ბეჭედი, და სპარტაკის უჭრედის სხვა საბუთები კი თვითონ ბიჭტორს ჰქონდა თავის სასიმინდეში. მათ მამაზეტიერცი ვერ მიაკვლევდა, ისე

იყო ჩატანებული ნაღის ერთ-ერთ გულგამოჭრილ ძელში.

— და... (ადილარის ბოლო სურვილი) სად იმალება ვერა კიზირია? როგორ შეიძლება მისი დაჭერა?

პატიმრებს თითქოს წყალი ჰქონდათ პირში დაგუბებული, ხმას არც ერთი არ იღებდა.

ადილარი სკამიდან უფრო ვადმოიხარა მათვენ. მისი საუბარი შინაარსით გულისმომალბობელი იყო, მაგრამ გამოთქმით ღრენასავეით ისმოდა. ყველას რიგრიგობით ჩახედა თვალებში, სახელით არცერთისთვის არ მიუმართავს, ისე ამბობდა — ბიქტორს უთხრა:

— დედაშენი მეცოდება..

ქუჩის:

— მამაშენზე შესაბრალისი ტურა არ კივის ახლა ტყეში... არც ერთი შვილი არ გამოადგა, არც უფროსი ბიჭი, არც გოგო... შენ მაინც შეიცოდე, უმცროსმა...

გრიგოლს გადაულაპარაკა:

— მეზობელი მაინც არ იყო ჩემი (გრიგოლისკენ ხელი წელა წამოიღო, ალბათ უნდოდა თავზე გადაესვა, გრიგოლმა სკამიანად დაიხია უკან), ჩემი ბიჭის ამხანაგიც ხარ, იყავით, ბიძია, ამ წუთისოფელში, ირბინეთ, ინავარდეთ, ვაიხარეთ.. ეჰ, რა კაცი იყო ცხოვრებული რაჟდენა. სადა აქვს ღმერთის სამართალი, ის რომ წაიყვანა! ახლახან დამარბე ასეთი მამა, ახლა დედაშენიც გინდა მოკლა წამებით?... ა, მე მოგცემ აგერ იარაღს, წადი, ესროლე და უცებ მოკალი ბარემ... ცოდვია.. შენს დახვრეტასაც ნუ მოასწრებ.. გული რომ არ შემტკიოდეს, არ დაგიძახებდით...

პატიმრებს ნირი არ შეცვლიათ.

ხედავდა ადილარი, რომ არ ჰრიდა მოფერება. მგლის ფერი დაედო სახეზე. წამოდგა, ჯიბის საათი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

— ხუთი წუთი მომიცია, იფიქრეთ. ადილარი აფელ-ჩაფელიდა საათს,

დანდავდა, მერე პატიმრებს შეათვალიერებდა-

ჩამიჩუმი არ ისმოდა მათგან...

ღრო რომ ძალიან გაგრძელდა, გრიგოლმა ვერ მოითმინა და მილიციის უფროსს შეახსენა:

— ადილარ ბიძია, არ ვათავდა ხუთი წუთი? — გრიგოლმა თვითონ არ იცოდა, რატომ შეახსენა ამ მკლავდაკაბიწებულ ქალათს ღრო, ან რატომ მიმართა ასე თავაზიანად — „ადილარ ბიძიაო?“ იქნებ, რაკი მისი მეზობელი იყო, პატარაობიდანვე ასეთ დამახებებს შეჩვეულს, უნებლიედ წამოსცდა? ან იქნებ მისი გულის მოღობა სცადა? ან თავი შეაცოდა?... ან... სიკვდილისა შეეშინდა თვითონ?... ღმერთმა იცის ამის თავი და ბოლო. მე თუ მკითხავენ, ეს უფრო დაცინვა იყო ადილარისადმი.. ადილარმა იგრძნო, არც ღროის გამოზომვეთ გამოდიოდა არაფერი.

— ძაღლებო! — ყელის ძარღვები ლამის დაუსკდა ადილარს, — მაშ არ მეუბნებით!.. ამოგბუვავთ და ამოგწვავთ დედაბუდიანად.

სამი მილიციელი მოიხმო და უბრძანა წაეღოთ ნავთი და ახლავე, ამ დამით, ჩუმად და უხმაუროდ ცეცხლი წაეციდებიანთ სამივე დაპატიმრებულის სახლებისათვის. თან ვაფრთხილა, — პირველ რიგში კარ-ფანჯრებისთვის შეესხათ ნავთი, რომ სახლში მყოფთ ვარეთ ვერ გამოელწიათ.

საკანში რომ დაბრუნდნენ ბიჭები, სამივეს ტირილი აუვარდა, თავი ვეღარ შეიმაგრეს. სამივეს ეჩვენებოდა ქარში აბრიალებული და გაწეწალი ცეცხლის ალი. ვიღაც ყვიროდა, ვიღაც იძახდა: „ეჰეი, მეზობლებო! გაიღვიძეთ! სახლს ცეცხლი უკაიდა! მოდი, ჩააქრეთ, შიგ დარჩენილებს უშველეთ! ჩქარა!.. მოუსწარით!.. წყალი დაასხით ცეცხლს.“

ვინ ყვიროდა ამ სიტყვებს?! ვინ იძახდა?... შეუღამეს კარგად გადაცილებული იყო, სიკვდილიმისჯილები რომ წამოყარეს.

სწორედ მაშინ იყილა სატუსაღოს ახლოს მამალმა ყოველთვის ეს მამალი ეხმებოდა პატიმრებს ეამთა მათუყვებლად. ვისი ეზოდან ყიოდა, არ იცოდნენ, ისე, ახლოს კი იყო. უყვარდათ მისი ხმის მოსმენა დამის სიზმრებში გაწამებულებს. ადრე — გათენების მოახლოებას ნიშნავდა მისი დაყვილება. ახლა — სიკვდილისას. ბუნება განაგებდა ეამსა სიცოცხლისა და ეამსა სიკვდილისა.

სხვებზე ადრე ბიქტორს ჩაელო ხელი ორმა მილიციელმა. წელში მოდრიკეს და ხელეები ზურგსუკან მუტობიეს. ადილარმა თვითონ შემოაჭლო პატიმარს მაკვებზე ეკლიანი მავთული, ორჯერ თუ სამჯერ შემოავლო და ბოლოები ერთიმეორეზე გადაუგრიხა.

ბიქტორი მიხვდა, საიდან მოიტანდა ადილარი ამ მავთულს:

მილიციის ეზოს გაღავენს გადაავლეს ორი დღის წინათ და იქიდან მორჩენილი ნაწყვეტები თავლასთან აქამდე უმიზნოდ ეყარა-

ბიქტორის ვაკოჰვა რომ მომთავრდა, გრიგოლის ჯერი დადგა... მერე ქუჩუსი.

ოდნავდაც რომ გაანძრევდნენ ხელს, მავთულის ეკლები პირდაპირ ჩადიოდა ხორცშა. თივადამენილი ოთხთვალა დროგი ზედ საენის კართან იყო მომდგარი.

ბიქტორმა მოღუშულმა გაიხედა. მედროგეს შავი ყაბალაბი შემოეხვია სახეზე და ვერ იცნო კარგ საქმეზე რომ ყოფილიყო მოსული, სახეს რატომ დაიფარავდა, ცხენი კი იგაჩიასას ჰგავდა. რალე ბინძური ჩერებით პირი გამოუტენეს სიკვდილმისჯილებს. რალაც მავარი ჯვალოსნაირი ნაჭრებით თვალეები მავრად აუკრეს და დროგზედაც თვითონვე დაყარეს ხელდახელ აუვანილნი, დამთხვეულებივით.

სამივეს ყრუ გმინვა აღმოხდა, ეკლიანი მავთულები აიძულებდათ, თავდაღმა დამხობილიყვნენ თავზე. მხრები გასწი-გამოსწიეს, თავი გააქანეს და

ასე მოსძებნეს ერთმანეთე დროგზე მიეკრნენ და მიეწებნენ ერთმანეთს, რამდენადაც კი შეიძლებოდა მავრად.

ქუჩუნია გრძობდა, რომ ერთ მხარეს ერთვის ფშვინა ესმოდა, მეორე მხარეს — მეორისა. მავრამ ის კი არ იცოდა, რომელი იყო იმათგან ბიქტორი და რომელი — გრიგოლი.

დროგი შეძავავდა და დაიძრა.

სიკვდილმისჯილებს ახლა მხოლოდ იმისთვის უნდოდათ სიცოცხლე, რომ გავგოთ ვადურჩნენ თუ არა თავისი ანები ხანძარს? ახლავე სულმოუთქმელად გაიქცეოდნენ აქედან შინისაკენ. სახლი ჯანდაბას, დახვედროდათ დამწვარი მშობლებს, დაძმებს მოძებნიდნენ, თუ სული ედგათ და მიშველება ესაჭიროებოდათ; მიეშველებოდნენ, გადაარჩენდნენ და მერე... მერე, დამწვიებული წავიდოდნენ უქანასენელ ჯაზე...

მიდოდა დ მიდიოდა დროგი.

არ ილეოდა ჯა.

გაივლიდნენ ოღრო-ჩოდროს, ვაკე იწყებოდა, გაივლიდნენ ვაკეს, ისევ ოღრო-ჩოდროზე გადავიდოდნენ, თითქოს მეორდებოდა ერთი და იგივე.

ქუჩუ იგრიბებოდა, იკლავებოდა და წვალბდა. ბიქტორს სხვა მოლოდინისკენ ჰქონდა სმენა დაძაბული. მისი ვარაუდი ასეთი იყო: ის კეთილი მილიციელი დახვრეტის ამბავს მაშინვე მიუტანდა ლადი მებონიას. ლადი დაკეტავდა ღუქამს და ბოლშევიკებს ფეხზე დააყენებდა: ბიქებს ხვრეტენ, არიქა, ვუშველოთო! სახელდახელოდ შეიქმნებოდა ექვსი-შვიდი კაცისაგან შემდგარი რაზმი. და ავერ, ავერ სადაც იყო, მოაწყდებოდნენ ეს ცხენოსანი რაზმელები ადილარის რაზმს და სროლას აუტეხდნენ, ამოუღებდნენ ერთთავად და ბიქებს გაათავისუფლებდნენ.

ასე ვარაუდობდა ბიქტორი და სმენას სულ უფრო და უფრო ძაბავდა. მავრამ ჯერჯერობით მხოლოდ მილიციელთა ცხენების ფეხთა ნელი ბაკუნი ესმოდა და დროგის ხრიგინი. განუწყ-

ვეტლად რახრახებდა დროგზე დაყრილი ბარგიც. იანერის ქარი ძვალსა და რბილში ატანდა, წიოდა ქარი უსაშველოდ. დროგი რბილ ნიადაგზე გადავიდა, ეტყობოდა, გზიდან გადაუხვია. კიდევ კარგა ხანს ისმოდა მედროგის მათრახის ტყლაშუნი. ბოლოს ადილარის ხმა შემოესმა.

— აქ გაჩერე!..

დროგი გაჩერდა. ბიქტორმა ვიდაციის ხელების შეხება იგრძნო. თვალბეზე ახვეული ნაჭერი შეუხსნეს სამივე სპარტაკელს. სიბნელიდან გამონათებულიმა თვალებმა უმაღლე დაღანდეს ცა. ტრიალი ველი და ცოტა მოშორებით მდინარეც.

დროგიდან მუცლით გადმოჩოჩდნენ და მიწაზე დადგნენ. ახლა ხელბეზე შეუხსნა მედროგემ ბიჭებს. კუნთები დაბეჭეობოდათ, მკლავები გამართეს, სული მოითქვეს. დანახვლეთილი ადგილების ტკვილიმაც გაიარა უცებ:

მოისვენეს და თავისუფლად ამოიხსნთქვეს.

— ბარები — მაგიდაზე ვაზნების დაყრის ხმას ჰგავდა ადილარის ხმა.

მედროგემ თითო ბარი ჩამოურიგა ბიჭებს; პირს ახლაც არ აჩენდა ტანჩია კაცო.

— რომელი ხარ? — ჰკითხა ბიქტორმა. მედროგემ პასუხი არ გასცა. თვალბეზე არ უყურებდა არცერთს, თავდახრილი, პირმოშუშული ასრულებდა, რასაც ეტყოდნენ.

ადრე, შინ, ეზოში მუშაობის დროს ბარი არასდროს ეხარებოდათ. არასდროს ეუცხოებოდა მათს ზელებს ბარი. ახლა კი იუცხოვეს.

იცოდნენ, რადაც უნდა მოეხმართათ იგი, — სადა ვართ, ა? — ხმა ამოიღო ქუჩიჩიამ. ვერ იცნეს ადგილმდებარეობა, ვერც მინდორი და ვერც მდინარე.

აბაშისწყალს არ ჰგავდა, არც ტეხურს.

უფრო ცუდლარი უნდა ყოფილიყო. ეს სხვებზე ადრე ბიქტორმა დაასვენა,

რადგანაც ცუდლარს სხვებზე უფრო იცნობდა. ადრე დღეს ისე არ გამოტოვებდა, კიბოების საჭერად არ წასულიყო ცუდლარზე.

— ცუდლარი! — გააგებინა მეგობრებსაც (ვინ მოსთვლის, რამდენი რამის მომსწრეა ცუდლარი), ქარი ცივად და გამჭოლავად უბერავდა.

ადილარი არ ჩამოქვეითებულა, ცხენიდანვე დაუყვირა ბარებით შეიარაღებულ პატიმრებს: — აბა, გათხარეთ თქვენივე საფლავი, ძაღლის ლეკვებო! — თავისივე უღონობით იყო გაცოფებული ადილარი. თუ ბოლშევიკების იარაღს ვერ აღმოაჩენდა, თუ თავის სამწყსოში წესრიგს ვერ დაამკვიდრებდა, ზეალ ან ზეგ ამ იარაღით ბოლშევიკები — ეს თავზეხელაღებული ხალხი — მასვე მისდგებოდა და ალბათ ტყვიასაც კი არ დახარჯავდა მისთვის, ფეხით დაჰკიდებდა აბაშის ყველაზე მაღალ ჭადარზე.

ადილარს იმედი ჰქონდა, სიკვდილის პირისპირ მაინც შედრკებოდნენ პატიმრები და გამოტყდებოდნენ. ამიტომ წამოიყვანა დროგით თორემ ამ „ლაწირაკებს“ ფეხითაც ცხენზე უფრო სწრაფად არბენინებდა საფლავამდე. ახლა როგორც კი მიუთითებდნენ იარაღის სამალავს, უმაღლე, აქედანვე წავიდოდა და თავის დროგზე გადმოატვირთვინებდა იმ იარაღს.

მერე ამ იარაღით დატვირთულ დროგს პირდაპირ მაზრის უფროსის კარზე მიაყენებდა სენაკში: აი, დანახეთ, ადილარ გვაზავას რა შესძლებიაო. და, ეჭვი არ იყო ჩინს მოუმატებდნენ. უნდოდა კი ჩინის მომატება? გული კი ჰქონდა გატეხილი თავის პარტიანზე, მაგრამ ჩინის მომატება მაინც არ აწყენდა.

— აბა, გათხარეთ! — შეუტია ადილარმა პატიმრებს და მათრახი ისე ოსტატურად მოიქნია, რომ სამივეს შეეხო მისი სამფატყავიანი ენა.

პირველმა ბიქტორმა მიმოიხედა საფლავის ადგილის შესარჩევად. ცალა

ხელით იქვე დაჰკრა ბარი მიწას, მაგარი ეჩვენა ნიადაგი და იქით-იქით წავიდა ბარის დაბლა ცემით, რბილი ადგილის მოსაძებნად.

ერთგან იოლად ჩავიდა ბარი მიწაში. აქ შეიძლებოდა მუშაობის დაწყება — ქუჩუჩია და გრიგოლიც ამოძრავდნენ. ჯერ ცალ-ცალკე, სხვადასხვა ადგილას დაიწყეს თხრა. მერე ინსტიტუტურად ერთმანეთს მიუახლოვდნენ. შეერთდნენ.

ორშაბათი დღე უნდა ვათენებულყო, 1921 წლის 3 იანვარი. და ბიქტორს ძლიერ უკვირდა, ორშაბათობით მკვდრებს არ მარხავენ და მათ კი დამარხვას რომ უპირებდნენ.

გრიგოლმა ბარის პირით ოთხი კუთხე შემოხაზა და ნიკაბი აუკანკალდა, ატირდა... ატირდა და დამაბუნდა, მაგრამ ის კი მოახერხა, სხვებს არ შეენიშნათ.

სამივენი გამწკრივდნენ და თხრას შეუდგნენ.

მიწა სველი და მძიმე იყო. მუხლებამდე რომ ჩაღრმავდნენ, ადილარი მივიდა მათთან. არც შეუნიშნავეთ, როდის ჩამოქვეითდა.

დღიურ-შემოყრილი კარგახანს იდგა იგი საფლავის მთხრელთა წინ. მერე კბილები აახრქიალა (ბრეშიან გზაზე რომ მიდიოდა დროგი, მაშინ გამოსცენდა ასეთ ხრილს ბორბლები). კბილების ღრქიალს ადილარის გამყინავი სიტყვებიც მოჰყვა:

— სადაა დამალული იარაღი, ლაწირაკებო!..

არცერთს თავი არ აუწევია, პასუხი კი მხოლოდ ბიქტორმა ვასცა;

— ის იარაღი თვითონვე გამოჩნდება მალე..

ბიქტორის ნათქვამი ქუჩუმი დაასრულა. ქუჩუ ფედიას ძმა იყო და ამაზე უფრო შერბილებულად ვერ იტყოდა თავის აზრს:

— და შენ ძაღლივით დაგაკლავენ ამ საფლავზე.

გრიგოლს არათერგი უთქვამს. ადილარმა მას ბარი დაატოვებინა და

გვერდზე გაიყვანა. კარგა შიშინ-გამყვანა ადილარმა გრიგოლი. საოცრად შეიცვალა ამ გამოცალკევებული პატიმარის წინაშე. მის სიტყვებში ახლა რაღაც გულსიტკივილი ისმოდა, მხარზე ხელიც კი შეახო შელისტოლა ბიქს: — ხომ ხედავ, ბიძია, იმ მიწაში უნდა ჩაწვე. ჯერ ახალგაზრდები ხართ. რატომ იკლავთ თავს? რისი გულისათვის?...

გრიგოლი დუმდა, ადილარი კი უფრო თვალთამაქტურად დატკვა:

— შენ ოღონდ მითხარი და სამივეს აქედანვე გაგიშვებთ... ა, ახლავე გაგიშვებთ.

გრიგოლმა თვლებში შეხედა მილიციის უფროსს: — არ ვიცი, ადილარ ბიძია, და როგორ ვითხრა? არც ბიქტორმა იცის, არც ქუჩუმი... იარაღს უფროსები მალავენ. ჩვენ არ გვენდობიან.

...ბიქტორი და ქუჩუ მიწის თხრას ნელა განაგრძობდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ადილარი მარტო მობრუნდა მათთან.

— ლაჩრებო, ის ბიქი თქვენზე ჰკვიანი გამოდგა, უკვე მითხრა, სადაც გქონიათ იარაღი. ახლა თქვენც უნდა დამიდასტუროთ... ის ხომ არ ტყუის... შენ ამოდი ზევით, — მათარაბის ტარი ბიქტორს შეახო. ბიქტორი მორჩილად გაჰყვა ადილარს.

ქუჩუ საფლავში მარტო დარჩა და ქვედა ტუჩი აუკანკალდა.

ადილარმა ბიქტორი დაიმარტოხელა და გაესაუბრა:

— ამა ახლა შენ მითხარე.. ასე არ სჯობია, თქვე კაი ხალხო! ამ სიცივეში რა ჩაწვება სამარეში.. იმ ბიქის ნათქვამს თუ შენიც მიუდგა, ახლავე წაგაყვანთ უკანვე...

ბიქტორს მოეჩვენა, თითქოს ეს „უკანვე“, რაც მილიციის საკანს ნიშნავდა, სამოთხე ყოფილიყო. ო, რა კარგი ყოფილა ის საკანი! ტყუილად ჰგონებია ცივი და აუტანელი. მიწვებოდა ბიქტორი კუთხესთან, თავის

მონებში და იქნებოდა ტყბილად, ბედნიერად. არც უპყველობით შეწყუბდებოდა და არც სიცივით.

— ა!... თქვე ბარემ, — გამოარკვია ადილარის შემახებამ.

— მე არაფერი არ ვიცი — ეს იყო ბიქტორის პასუხი.

იგი საფლავისკენ მიბრუნდა, გამოვლილი მანძილი უკანვე სწრაფად გაიარა და საფლავში ჩარჩენილ ქუჩუს ამოუღდა გვერდში.

ქუჩუ გაიმართა და გული მოეცა.

საშინლად წიოდა ქარი. ციოდა და ბნელოდა, მთვარე არ ჩანდა. ბნელოდა, მაგრამ ყველიფერს დაინახავდა კაცი. თვალი უკვე შეეჩვია ასეთ სინათლეს.

ადილარის რაზმელებს ჩექმებიანი და ბეწვიანი ტყავის ქურთუკები ეცვათ, მაგრამ ალბათ ისინიც გაიყინენ, — ხტუნვა დაიწყეს. ადგილზე ბიქტორმა და ქუჩუმ ადილარის გაფრთხილების გარეშე განაგრძეს თბრა. გრივოლის ბარი უპატრონოდ იყო ჩასობილი მიწაში.

ბიქტორმა ქვევიდან ვახედა და შენიშნა, რომ ისიც ამოძრავდა. გრივოლიც მოსულიყო ამხანაგებთან.

— იჩქარეთ! — წინანდებური მრისხანება დაუბრუნდა ადილარის ხმას.

ადილარს გულზე ხეთქავდა მათი დუმილი და თვინიერი მუშაობა. თითქოს საფლავი კი არა, სადმე ღობე-ყორეში ღობის გასწვრივ თბრილი ამოქონდათ, რომ ნიაღვარს ყანა არ გადაეტქრა.

— კვარა?... — წამოძახა ადილარმა.

საფლავის პირას დააყენა სამივე. იქით, ათიოდე ნაბიჯზე, რაზმელები გამწყრივდნენ და თოფები მოიმარჯვეს. ადილარი ჯერ მსროლელებსა და დასახერხებებს შუა იდგა. თანდათან უკან დაიხია, თოფის ლულებს გზა უტია და, ვიდრე სროლის განკარგულებას გასცემდა, ერთხელ კიდევ სცადა ურჩთა გამოტყუვა; უკანასკნელი მოფიქრების მცირე დროც შესთავაზა:

— ათამდე დავითვლი... თუ ხტუნავს კეთილი და პატიოსანი... არა და... ქუმეთ მიწა, — ეს სიტყვები სავსებით ჩვეულბრივად წარმოსთქვა, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლეს სრულებითაც არ ეხებოდა. თვლაც ჩვეულბრივად დაიწყა, აუჩქარებლად. ცალი ხელი მაღლა აქონდა აწეული.

„ათს“ ხელის ჩაქნევა მოპყვებოდა, ხელის ჩამოქნევას კი — თოფების გასროლა.

თოფმომარჯვებულებს ალბათ მკლავები დაეღალათ, ერთმა ცალი ხელი ჩამოსწია და მოშვებულად აბარტყუნა. — ათი! — ჩამთავრა ამასობაში ადილარმა და ცოტა ხანსაც დაიცადა. მერე ერთბაშად ორივე ფეხით შეხტა და რალაცნაირი არადადამიანური, გაურკვეველი ბგერები გამოსცა: ახალგაზრდებთან მიიბრინა და სამივეს მათრაბი დაუშინა სახეში. ბიჭებმა ხელები აიფარეს.

— რას თამაშობ, შე კაცი! თუ კლავ, ესროლე ბარემ და მოკალი, — საიქიოდან მოგზავნილი მოციქულის ნათქვამით მოისმა მდღროვის დაჩეჩქელი ხმა.

ადილარმა — შენც ამით ვაგაყოლებო — კამათლებივით მიუყარა პასუხი სიბნელიდან ვადმოსროლილ სიტყვებს. ახალგაზრდებს კი ურტყა და ურტყა მათრაბი, ვიდრე ქანცი არ გაუწყდა. მერე, როდის — როდის, ჰაერი არ ეყო, მკლავი ჩამოუვარდა; თან ბიქტორი და გრივოლი ფეხის კვრით განზე გაყარა, საფლავს გვარიანად გააშორა, საფლავთან ჩამსობილ ქუჩუჩიას კი ქეჩოში ხელი ჩაავლო, ააკონწიალა და შიგ საფლავში ჩასვა.

— მარტო შენ დაგბერეტ, გველის წიწილო, და გიცქირონ შენმა ამხანაგებმა!

ქუჩუჩიამ გაიფიქრა: ალბათ მართლაც მხოლოდ ჩემი დახერხება უნდა და მათრაბსაც მარტო მე მახვედრებდაო (გახსენდა; თვითონ კი კვნესოდა წყლან ყოველ მოხვედრაზე, მაგრამ გრივოლისა და ბიქტორის ხმა არ გაუწყდა).

— მარტო შენ დაგზერე! — გაუშე-  
ორა ადილარმა პატიმარს და დაიხია,  
თოფიანებსა და ქუჩუჩიას შორის მდებ-  
არე მანძილს გაეცალა. ქუჩუჩიამ თო-  
ფიანებს შეხედა. მერე უცებ ჩაიხარა  
და ახალჩამოჭრილ მიწის ერთ კედელს  
აეკრა. საფლავში დაეძალა სიკვდილს.

ამ დროს მოლაპარაკებულებივით  
ერთდროულად იყვირეს ბიქტორმა და  
გრიგოლმა, ადგილს მოწყდნენ, საფ-  
ლავთან მიიბრინეს, ქუჩუჩია მალლა  
ამოიყვანეს და სამივენი ხელიხელჩაკი-  
დებულნი დადგნენ. ისე მაგრად მიეკრ-  
ნენ ერთმანეთს და შეიკუმშნენ, რომ  
ახლა აღბათ ტყვიაც ვერ გათიშავდა  
მათ.

— ეპევე! — მთელი ქვეყნიერების  
გასაგონად გაჰყვიროდნენ სასიკვდი-  
ლოდ განწირულნი. მაგრამ არავის ეს-  
მოდა მათი ხმა (...მე და თოვლისამ გა-  
ვფიგონეთ დღეს, იმ სიშორიდან...).

ადილარი თოფიანებთან მივიდა და  
გასროლის წინ საბოლოოდ დაარიგა.  
ადილარი სროლის ნიშანს რომ მისცემ-  
და, მართლაც უნდა გაესროლათ პატიმ-  
რებისკენ გამოზნული თოფები, მაგრამ  
უნდა გაესროლათ ისე, რომ ტყვია არც-  
ერთს არ მოხვედროდა.

...თოვლისას ცრემლები ნიკაბთან  
ენასკვება და გაკვირვებული შემომკ-  
ქერის. მე მესმის, რას მეკითხება მი-  
სი შურა: თუ კი ხვრეტენ ამ პატიმ-  
რებს, ტყვიის აცდენა რაღას ნიშნავსო?  
უკვე იძულებული ვარ გავამხილო  
ადილარის მიერ ამ დახვრეტის სცე-  
ნის გათამაშების მთელი საიდუმლო.  
სინამდვილეში ამ ბიჭებისათვის არავის  
არ გამოუტანია დახვრეტის განაჩენი.  
იქ, მილიციაში ადილარმა ქუჩუჩია გან-  
ზრახ მოაყვანინა კაბინეტის კართან და  
უყურადღებოდ მიატოვებინა, თვითონ  
კი მოადგილეს მათ მიერვე ყსიდად  
დაწერილი განაჩენი წააკითხა, რომ  
ვითომ შემთხვევით მოესმინა პატიმარს.  
ყველაფერი ასე ეშმაკურად იყო მო-  
წყობილი.

ადილარს აღრევეც ჰყავდა ვაფრთხი-

ლებული და დარიგებული თოფის  
მსროლელები: ახლაც მოქულდ შეხ-  
სენა: „აბა ტყვია არ მოგიხვდეთო“,  
მერე სწრაფად გაქანდა უკან და თოფის  
ხმაზე უფრო მკაზედ დასქეჭა:

— ცეცხლი სამშობლოს მტრებს!

სამმა თოფმა დაიგრიანა. საფლავ-  
თან მდგარი სამი აჩრდილიდან ორი  
არც განძრეულა, მესამე კი მოწყვე-  
ტით ვაფრთხო მიწაზე, თითქოს ბაწ-  
რით ყოფილიყოს დაკიდებული ჰაერ-  
ში და ის ბაწარი გაქვრათ უცებ. ადი-  
ლარი გაშეშდა. ცეცხლჩამდგარი თვა-  
ლები ჯერ მსროლელებს მიაპყრო,  
მერე საფლავთან მყოფთ. ვერ ვარკვე-  
ულიყო, რა მოხდა.

მსროლელებიც ერთმანეთს გაკვირვე-  
ბული შეჰყურებდნენ. სათითაოდ ყვე-  
ლამ იცოდა, რომ მისი ტყვია არავის  
მოხვედრია. ახლა თითოეული გულში  
დანარჩენ ორს აღნაშაულებდა.

— ჰაიტ! — მიეარდა ადილარი თო-  
ფიანებს, გაგიჟებამდე არაფერი აკლ-  
და. ვარშემო მდგარი სხვა მილაციელებ-  
იც მოგროვდნენ საფლავთან. მედრო-  
გეც წამოვიდა მძიმედ. მოდიოდა. და თან  
არ უნდოდა წამოსვლა. მიწაზე გაკ-  
რულ გრიგოლს თავი გვერდზე ჰქონდა  
გადავარდნილი. ნატყვიარი არსად აჩნ-  
და არ მოხვედრია მას ტყვია. სახე  
და ხელები სულ მიწისფერი გახდომო-  
და.

ადილარი მიხვდა — გული გასკდო-  
მოდა სიკვდილის მოლოდინში, თო-  
ფის გასროლიდან წამის რალაც შეათე-  
ლით ადრე, ან გასროლისთანავე. ასე,  
მიწაზე დანარცხებამდე, ჰაერში კვდებ-  
და დიდი სიმაღლიდან გადმოვარდნი-  
ლი აღამიანი. მიხვდა ამას ადილარი  
და მის სულში ვიღაცა სხვა ადილა-  
რი აღაპარაკდა: შენ კიდევ იტყვი, ადი-  
ლარ, აღამიანი ჩემი ხელით არ მომ-  
კვდარაო!.. სჯობდა, სამივე ნამდვილად  
დაგეხვრიტა, — ეს ორი უკვე მკვდარი  
იყო სულიერად, არაფერს ვარძობდ-  
ნენ ამქვეყნიურს. მხოლოდ დახვრეტი-  
ლები კი არა, დახოცილები იყვნენ.

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საბჭო

გრიგოლის გაშვებული ცხდარი მედროვემ გაასწორა, ხელები გულზე დაუყრიდა. დროგი დაიმრა.

ახლა სიამოვნებით გაათავისუფლებდა ადილარს ამ ორს. წადით, იცოცხლეთ, და რაც გასურდეთ, ის გააკეთეთ. ოღონდ სცოდნოდა, რომ გრიგოლის სიკვდილის ამბავს არავის ეტყოდნენ. მაგრამ ეს არ შეეძლო ადილარს. დაბერდა, მოტყდა, დაიღწა და დაძაბუნდა კაცი. დასრულდა მისი რიზიანობა და მრისხანება. მას უკვე წაგებული ჰქონდა ბრძოლაც, ცხოვრებაც. ახლა მის სხეულში მხოლოდ სული ფაჩუნობდა და მოძრაობდა. ახლა ცხენს მიჰყავდა ის სადღაც. ისიც ბრმა ცხენს.

„ბარემ ეს ორიც დამეხვრიტა! თორემ ესენი გრიგოლის სიკვდილის ამბავს ქვეყანას მოსდებენ და მე მომკლავენ“... ხეს შუბლით შეასკდა ცხენი და მაშინდა დაბრუნდა სადღაციდან, მაშინდა შენიშნა დროგიც და დროგზე დაყრილი პატიმრები. თვალეები ახვეული ჰქონდათ გადარჩენილებს, მაგრამ მაინც უკან იხედებოდნენ. იქ ამხანაგი დარჩაო!.. ახლა კი ნამდვილად ტიროდნენ, თვალსახვევი ვერ აკავებდა ცრემლს. თავისთავად მოდიოდა ცრემლი.

იქ ტიროდა ორი სპარტაკელი, აქ კი თოვლისას ცრემლები ნიკაბთან ენასკვებოდა. იქნებ იმ ცრემლების გავრძელებათ თოვლისას ცრემლები!

• • •

ცხრაას ოცდაერთი წელი... თებერვალი... მეთერთმეტე არმიას წინ ქართველი ბოლშევიკები მოუძღოდნენ გზადაგზა არმიას აჩანებული ქართულები უერთდებოდნენ, ვისაც ცხენი ჰყავდა — ცხენით, უმეტესობა ფეხდაფეხ

მოჰამული ამინდი იდგა. ძნელი გასარჩევი იყო თოვდა თუ წვიმდა.

იმ დღეს სერგო ორჯონიკიძემ ღეპეშა გაგზავნა მოსკოვში:

„მოსკოვი. კრემლი. ამხანაგ ლეხენს, ამხანაგ სტალინს.

თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს“.

წყაროს თავი გაჩნდა თბილისში და დაიწყო წყალმა დინება. იმავე დღეს აფრიალდა წითელი დროშა გორში, ხაშურში...

მენშევიკურ მთავრობას ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ წითელ არმიას მალე ვატებდა და დაკარგულს დაიბრუნებდა..

მძიმე-მძიმედ იხედნენ დასავლეთი საყენ მენშევიკები. ის „წყაროს წყალი“ კი თანდათან ძლიერდებოდა და კვალში მოსდევდა მათ.

ახაშაში ქარიშხლისა და მეხთატების წინამორბედი ამინდი იგრძნობოდა, თუმცა ჯერ ვერ მოუღწია აქამდე წითელი დროშის გამარჯვების ამბავს და ვერცოც თავის წითელ დროშას უბეში მალავდა. რაღაცნაირი წინათგრძნობა აფორიაქებდა ხალხს: ყველა სადღაც მიიჩქაროდა, ყველა სადღაც ვარბოდა, მენშევიკი საველ ბოქუჩავა თავის კაბინეტში წინ და უკან დადიოდა, ფანჯარასთან ჩერდებოდა მხოლოდ და გაპყურებდა გარემოს.

ადილარმა თავისი ფართო ქამარი მაგრად შემოიჭირა, ქუდი წარბებზე ღრმად ჩამოიწია, მეორე მათუხერიც დატენა და მაზარის უბეში ჩაიღო.

ახლა მისი მთავარი მიზანი იყო დეპატიმრებინა და ჯურღმულში ჩაეყარა ყველა ბოლშევიკი-მეთაური. მაგრამ ადილარმა ის კი არ იცოდა, რომ ბოლშევიკებს უკვე ისე ძლიერად ჰყავდათ დამუხტული ხალხი, რომ პირველი გასროლის გაგონებისთანავე თავთვე აფეთქდებოდა და დაიქუხებდა უღლიდან თავის გამოსაშვებად.

სულ პირველად ადილარი ორი საიდუმლო აგენტის თანხლებით რევოლუციამოღებულ თავზე დაადგა აფდმყოფ ფედია ფრანგიშვილს, დააპატიმრა და ისეთ საკანში დამწყვდიო,



რომელშიაც გარედან შეუქი არ შედიოდა და შიგნიდან ხმა არ გამოდიოდა.

მალე ფედისას საკანში სხვა საკნიდან ორი პატიმარი გადმოაყვანეს. ფედია მათ სახეს ვერ ხედავდა, მხოლოდ გამოკითხვის შემდეგ გაიგეს ერთმანეთის ვინაობა. ახალმოყვანილებმა ახალი ამბავიც მოიტანეს: აბაშის მთავრობა და მილიცია თურმე დიდპატარიანად აპატიმრებდა ყველას, ვინც კი ოდნავ ეჭვს შეიტანდნენ. ახლა ნახევარი ხალხი გარეთაა, ნახევარი ციხეშია, ამბობდნენ ახალმოსულნი.

მათი ნათქვამის ჰეშმარტება თანდათან ფედისას საკანშიც დაღვინდა: აქ მალე იმდენი პატიმარი მოგროვდა, რომ უკვე დასაწოლი კი არა, დასაჯდომი ადგილი არ ჰყოფნიდათ. ეს ცემენტის იატაკი ბუმბულის ლეიბივით საყვარელი და მტკაველ-მტკაველ საფერები გახდა.

„ნეტავ რა ხდება გარეთ?“ — ეს იყო პატიმრების ყოველწუთიერი ფიქრი. გარეთ კი რა უნდა ყოფილიყო!

იყო 1921 წლის თებერვალი, დრო ხეში წყლის ჩადგომისა. იყო თოვლი და თებერვლის ამ თოვლში ადილარ გვაზავა კარგი მონადირე ძაღლივით ეძებდა ვერიკოს ნაყვალეებს.

წინა ღამე ვერიკომ ნაესაკოვოში გაატარა სპარტაკელ მეგობარ გოგონას სახლში. დილით ის იყო ტანთ ჩაიცვა და მალულად ეზოს უკანა მხარეს წავიდა, რომ ადილარის რაზმი მოაწყდა ამ გოგონას სახლ-კარს და ერთიანად ააწიოკა. ვერიკო ბუნებრივად ჩამალული ხედავდა ამ აწიოკებას. ამწიოკებლები რომ წავიდნენ, ვერიკომ მეგობარ გოგონას დედის ნათქვამიც გაიგონა. მიწასთან ასწორებდა გამწარებული ქალი ვერიკოსაც და მთელ მის ოჯახსაც, ჰკუას არიგებდა თავის ქალიშვილს: არ ვნახო ის გოგო აქ მოგყავდესო. რა კარგი ოჯახის შვილი ის არისო, ძმები მას დაუხვრიტეს და მამაც ციხეში მოუყვდა, ხომ ხედავ, ქვეყანა ააფორიაქათ.

ვერიკოს ერჩია: <sup>წუხელები</sup> წუხელები თარებინა იმ ქალს, ოღონდ ეს სიტყვები არ ეთქვა. ცრემლით აევსო თვალები: ქვითინი აუტყდა და თავი ვერ შეიმაგრა. თავშლის ბოლო აიფარა სახეზე და ვაცეალა იქაურობას.

ვერიკოს მოუნდა სადმე მარტო, სულ მარტო შემძვრალიყო. ჩალის ზვინში უკაცრიელ, ტრიალ ნაყენებზე და ეტირა მთელი დღე, ეტირა ხმამაღლა, მოთქმით და გოდებით.

მაგრამ საქმე არ ასვენებდა — დღუნე ტორჩინაეა უნდა ენახა აუცილებლად და გაეგო, მათ კომკავშირულ რაზმში რამდენი კაცი მოგროვდა. მერე ეს უნდა ეცნობებინა მამულისათვის. მამულის სამყოფელი მხოლოდ ვერიკომ იყო და სხვა ვერავინ გააკეთებდა ვერიკოს გასაკეთებელს. აჯანყება კი კარზე იყო მომდგარი.

მთელი დღე არ მოუსვენია ვერიკოს. შესაღამოვებულზე, სირიაჩქონში რომ შევიდა, მაშინდა გაახსენდა, რომ მთელი დღე პირში ლუკმა არ ჩაედო. გონსაც ახლა მოეგო და უცებ ვერ მიხვდა, რატომ მოვიდა სირიაჩქონში.

აქ, ამ მივარდნილ სოფელში, საბლობდა ვერიკოს შორეული ნათესავი დედის მხრიდან — ჯაბა დანელია. ჯაბა უკვე ას წელს მიღწეული კაცო იყო. ვერიკოს ის იმიტომაც უყვარდა, რომ მამამისის სახელი ერქვა. ჯაბას ერთი შვილიშვილი სპარტაკელებთან ახლოს იყო და სწორედ მან ურჩია ვერიკოს სირიაჩქონში დამალვა.

სოფლის გზაზე ისეთი ტალახი იყო, რომ ვერიკო ძლივსძლივობით მიდიოდა, ხიცვიისაგან აბურძგნილი ძაღლები ალაგ-ალაგ ღობეს აწყდებოდნენ. სოფელი უკაცრიელს ჰგავდა. დახე, მხოლოდ ძაღლებს დარჩენიათ იგი საპატრონოდ, თუმცა არც ძაღლები იწუხებდნენ მაინცდამაინც თავს უცხო სტუმრის მოყვრობა-მტრობის გასარკვევად. მოვალეობისათვის, ერთი-ორჯერ შეპ-

ყვდნენ და ისევ უკან გაიძვრებოდნენ თავშესაბამალავისაკენ.

ასეთი ცივი და ნესტიანი თებერვალი ვერიკოს ჯერ არ ენახა, თუმცა რა დიდი ხნისა ის იყო. ჩვიდმეტისა შესრულდა სამი დღის წინ — ოცდაორ თებერვალს.

თვითონ ვერიკოს კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ჩვიდმეტი კი არა, ორჯერ ჩვიდმეტი წელი ჰქონდა გამოვლილი, ათასი ვაებითა და ტანჯვით აღვსილი ორჯერ ჩვიდმეტი.

კიდევ ცოტას გაუძელ ვერიკო! ახლოსაა დათქმული ნაპირი!.. თბილსში უკვე აფრიალდა წითელი დროშა. მალე შენი დროშის აფრიალების ჯერიც დადგება და და მერე მას ცხრა ადილარიც ვერაფერს დააკლებს.

ჯაბა დანელიამ გაიგო, ვერიკო მთავრობას რომ ემალებოდა, და მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. ჩემს სახლში თითს ვერაუინ დაგაკარებს, მაგრამ არეული დროა და მაინც ფრთხილად ვიყოთო.

ამ მივარდნილ, მიყრუებულ სოფელშიც დადიოდნენ მილიციის და უშიშროების აგენტები. ზოგი — ფორმით, უმეტესობა — უფორმოდ. თვით გლეხებშიც ერია დამბეზღებელი. ასეთი აკაცად სოფელს დურუ ქობალია მიანდა — დურუმ თავის სოფელში რამდენიმე ბოლშევიკი უკვე ხელში ჩაუგდო მთავრობას. დურუს წყალობით ორი კაცი დახვრეტილი იყო ამ ერთი მუჭა კუთხიდან. დურუ ჰირის დღესავით ეზარებოდა დიდ-პატარას. მისი აკაცობის ამბავი მხოლოდ ეჭვად იცოდნენ, პირში თქმას კი ვერ უბედავდნენ. ყველა უდიმოდა, რადგანაც ეშინოდათ, ხვალ ჩვენი თავი არ დაეკრიონოსო.

კარგა შეღამდა და ჩამობნელდა, ახლა ჯაბა დანელიას სახლამდე გამოუცდელი მგზავრი ვერც გამოაგნებდა გზას. ჯაბამ მაინც სიფრთხილე ამჯობინა. იგი მბრძანებელი იყო ოჯახში, რძალი და შვილები თვალის

მოძრაობაზედაც ატყობდნენ რა ეწადა. ჯაბას ბრძანებით მის შვილს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ნაბად-მოხვეული იჭდა ჯარგვალის წინ, და სიბნელეს გასცქეროდა.

ვერიკო კი თბილად დააწინებს. თუმცა არც ვერიკოს გაკარებია ძილი-მხოლოდ გამთენიისის გაიტყუა ბურანმა.

კარგად რომ გათენდა, ადგა, ტანთ ჩაიცვა... ჯურხას ვაესაუბრა, ხალისიან გუნებაზე იყო იმ დილით და თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა უხაროდა. სოფელმაც გაიღვიძა და გზაზედაც აქაიქ გამოჩნდა სულიერი...

ქიშკართან ორმა ცხენოსანმა მილიციელმა დაიძახა. ჯაბა გავიდა შესაგებებლად.

— მობრძანდით, ბატონოო, — თავი მდაბლად დაუქრა მთავრობის კაცებს. მილიციელები წავიდნენ, ჯერ შინ შემობრუნდა. დილიდან აყოლილი სახარულის ნათელი უკვე გამჭრალიყო ვერიკოს სახიდან. ხედავდა აქაც არ დაედგომებოდა მოსვენებით.

მოხუცმა დაამშვიდა ვერიკო: ნუ წუხხარ ბაბუ. მთავრობის ხელში შენ როგორ ჩაგაგდებ! ტყე აჯერ არაა? დასამალავს ვერ გიმოვნით!

ვერიკო ვერ მიხვდა, სად უპირებდა ბერიკაცი დამალვას. მილიციელების გამოგზავნას დურუ ქობალისას აბრალებდა ჯაბა.

ივანშემს... ვერიკო ბერიკაცს მუხლებთან დაუქდა, ხელები შემოხვია, თავი გულზე მიადო. საოცრად თბილი იყო ბერიკაცის გული. თუთუნისა და კვამლის სუნი ასდიოდა მის ტანსაცმელს. მამამისის ტანსაცმელიც ასე იყო სუნით გაქდენთილი. ტყეში დავიმალები ბაბუ, რა უჭირს!

• • •

აბაშიდან ერთმა მილიციელმა ცხენი მოავდო ადილართან, სულს ვერ ითქვამდა ცხენოსანი, ძლივს გააგებინა ადილარს: საელე ბოკუჩაგა გეძებს, თბილისი ბოლშევიკებს აუღიათო...

ადილარს მეზივით დაატყდა თავს ეს ამბავი. აბაშაში თბილისში წითლების გამარჯვების ამბავი მენშევიკებმა ბოლშევიკებზე ადრე გაიგეს. მაგრამ მალე საკნებიდანაც მოისმა პატიმრების ყვირილი.

ჯაბა დანელიას ოჯახში ჯერ არაფერი იცოდნენ. მოხუცი ვერიკოს გასახიზნად მზადებას შეუდგა... უჩვეულოდ აფუსფუსდნენ ყველანი. ჯაბამ თვითონ აარჩია ღომის ჩალა ღერიღერად. ეს თურმე ბუმბულზე, მატყლზე და ნაბადზე უფრო თბილი ყოფილა. მშრალი აბედი, კაეი და კვესი ცალკე შეახვია ტყავში, ქისა თუთუნით გატენა — იქნებ ხელი გაიკაწრო, თუთუნის დაიყარეო. საქმიანობა ბერიკაცი და თან არიგებდა ტყეში გასახიზნ ვოკონას: თუთუნის თუ არა, ჭინჭი დაწევი და მისი ფერფლი დაიყარე ჭრილობაზეო. თითქოს ბრძოლის ველზე აგზავნიდა ჯაბა ვერიკოს.

თხის ბალანგაუცლულ გულაში თვითონვე ჩაულაგა ბარგი. ქარქაშიან დანას პირი მოუხინჯა, ჩოხის კალთაზე გაუსვ-გამოუსვია და ისიც გულაში ჩასდო.

— დანა, ბაბუა, ახლოს იქონიე სულ. მარტომყოფი ადამიანის იმედი იარაღია. ეგება არც დაგჭირდეს, მაგრამ ხელთ რომ გაქვს, მაინც ძალას გრძნობო.

ვერიკომ, უთხრა, მე სხვა იარაღიც მაქვსო და თავისი პატარა რევოლვერი გამოაჩინა. ბერიკაცს ეტყობოდა გაეხარდა.

ჯაბას რძალმა ღერგიდან ორი-სამი წველა ყველი ამოიღო და ახალგამომცხვარ მჭადთან ერთად შეახვია. თვითონ ჯაბა სხვათა საქმიანობას ყურადღებას არ აქცევდა. მან თხის გულაში ჩადო ალუმინის პატარა ქვაბი (წყალს იღებდნენ), თხის ქონი (ხველებს რომ დაგეწყოს, გული დაიზილეთ). ნიორი, ბოთლი არაყი, მარილი... გუდას თავი მაგრად მოუკრა და ღომის ჩალის კონებს ამოუღო.

— სამუდამოდ ხომ არ მაგზავნიო! — ილიმებოდა ვერიკო. მერე ყველანი მიწვნენ და თვალი მოატყუეს. დიასახლისი არ დაწოლილა მხოლოდ, მთელი ღამე ცეცხლს გუშავობდა და შემას უყეტებდა.

ღრომ შუალამეს გადაუარა თუ არა, წასასვლელად მოემზადნენ, გარეთ ცოტა თოვლი დაედო და წვრილადაც თოვდა.

სირიაჩქონის ტყეში მალე გაუჩინარდნენ ვერიკო და მისი გამცლებლე ბიცი — ჯაბა და ჯურბა.

ბილიკით არ შესულან ტყეში, ფეხდაუდგმელი გაკაფეს და გაკვალეს. ჯაბამ ფარანი აანთებინა შვილიშვილს და წინ წავიდა. ჯაბას შვილიშვილს რაც სიარული ესწავლა, სულ ამ ეკალ-ბარდებში უვლია და ამიტომ ეხლაც არ უჭირდა გზის გაკვლევა, წინამძღოლი მაინც ბერიკაცია იყო.

თავიდან გაუჭირდა ვერიკოს, მერე და მერე კი დანით ბარდის კაფვაც შეეძლო და თვალმაც უკვე გაუჭირა. სამ-ოთხჯერ შეისვენეს. კარგად ღრმად იყვნენ შესულნი, მაშლის პირველი ყვირილი რომ მოესმათ სოფლიდან. კიდევ გაჭრეს და გაკაფეს... და იქ შედგნენ, სადაც მაშლის ყვირილი უკვე აღარ აღწევდა.

გათენებას დაელოდნენ. ნელინელ მატულობდა სინათლე: ფოთლებაც-ვენილ სუროს ბარდებით დახლართულ ტოტებში ცა სრულებით არ ილანდებოდა, მაგრამ სინათლე ოდნავ მაინც ატანდა. ჯაბა დანელია წაქცეულ ხეზე ჩამომჯდარიყო და გატრუნული უსმენდა რალაცას, თურმე წყლის ხმას ეძებდა. მერე წამოდგა, უსიტყვოდ განმორდა თანმხლებთ და მალე მათაც მოუხმო.

ჩამორღვეულ, კაჭრიან მიწას წყალი ჩამოწანწყარებდა და ფოთოლთა შრიალის მინაგვარ ხმას გამოსცემდა. წყაროს ხმელი ფოთლები მოამორეს, გაასუფთავეს. ჯაბამ ღარი დაუყენა. იქვე გადაწოლილ უშველებელ წიფელს

კარგახანს უთვალთვალა, მერე ნაგახით ზედმეტი ტოტები წააცალა, წვერის მხარეს მაგარი ორკაპიანი ბიჭგი დაუყენა, ვინიცობაა, ნიაღვარი ხეს მიწაზე ჩაბლაუქებულ ფესვებს დაუსუსტებდა, ხის ტანს დაბლა არ დაეწია.

შუადღისათვის კარავი მზად იყო ახლა კარვის წინ ცეცხლის დასანთები კერა მოამზადა ბერიკაცმა, ცეცხლის თავსასთუმლად ერთ მხარეზე უფრო აამალა (ვარძის ციხე-ქალაქის დარბაზებსა და სენაკებშია ასეთი საშუა-ცეცხლო კერები).

— ცეცხლის დედა არასდროს არ დაკარგო, ბაბუა, ნაცარში გქონდეს მუდამ, — დაარიგა მოხუცმა ვერიკო. ჭურბას მოგროვილი ხმელი ჩინჩხვარი და ტოტები კერაზე დააწყო, კვესაბედით ცეცხლი დაანთო. ჭურხამ ჩაიჩოქა და სული შეუბერა ცეცხლს.

ბერიკაცმა კერასთან ჭირკი დადო ვერიკოსთვის. მერე მარჯვე, კომბალივით თავმარგვალი ჭოხი გამოსჭრა და კარავთან ააყუდა რისთვის იყო გამზადებული ეს ჭოხი, არ უთქვამს...

ბოლოს ბერიკაცი ჩამოჭდა, ყალიონი გაიწყო და ვერიკოს გაესაუბრა:

— ახლა მისმინე, ბაბუ, აქ მგელი და უწმინდური არაა. ტურამ თუ დაინახავლა, იჩხავლოს. დიდ ცეცხლს ნუ დაანთებ და ნედლსაც ნუ დააყრი, ნედლი კვამლს უშვებს. ღამე ცეცხლი ზევით არ დატოვო, ნაცარში ჩამალე. აბედი მშრალად გქონდეს. ღამით წკვარამი სიბნელე იცის და რამე ფაჩუნე რომ გაიგონო, ყურს ნუ ათხოვებ, ტყეს ათასნაირი ხმა აქვს, ბაბუ, აღამაინის ხმასაც მიიგავს იგი ზოგჯერ და ნადირისასაც. შეუჩველი ხარ და არ მოტყუვდე. გამთენიის ხანს სიბნელეს დიდხანს ნუ დააკვირდები, ღანღების ამოძრაება იცის, და ძალიან რომ მიჩერდები ან აღამაინად მოგვიკვნება, ან ურჩხულად. შენ შენთვის იყავი და იმდერე, ბაბუ, გულში... სულ იდილინე, თორემ მარტოობამ ფიქრი იცის და ბევრი

ფიქრი გულს ღრღნის. სტვენის დროს ფიქრობს აღამაინი, მხოლოდ სიბნელის ფიქრის დამორგუნველი. იარაღი იმედია, სულ ხელთან გქონდეს... (არც ერთხელ არ გაურეგია მოხუცს თავის დარიგებაში „არ შეგეშინდეს“) — ეს თქვა მოხუცმა და წამოდგა, — აბა, ჩვენ წავალთ.

ვერიკო ჭურხას ჯერ კიდევ ვარგვალში მოელაპარაკა: ბიჭს ყოველდღე უნდა წაეღო აბაშაში ვერიკოს დანაბარები და პასუხიც ყოველდღე მოეტანა. ვერიკომ ახლა, დაშორებისას, მაინც შეახსენა ყოველივე და თან დასძინა: იცოდე, ღლე არ გამოტოვო, მომაკითხე ხოლმეო.

ჭურხას და ბერიკაცს ხუთიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდათ გადადგმული, უკვე მიიმალნენ ვერიკოს თვალთახედვიდან. ვერიკოს ისინი არ გაუცილებია, ან სანამღე უნდა გაეცილებინა? ჭიშკარა არ ჰქონდა მის ახალ სამოსახლოს და თარჯი...

თვალი მიმოაეღო გარემოს, მზისკენ ტანგაწვართული თეთრი წიფლის ზეები ღამაში ქალწულებივით ამაყად იდგნენ და სურათი თითქოს შიშველ სხეულს იფარავდნენ.

ცეცხლთან დაჭდა და ხელები მიადიქცა, ძალიან ბევრი ეცვა ვერიკოს და სიცივეს სრულებით არ გრძნობდა, სული ეხეთქებოდა მხოლოდ, მკერდზე საკინძე შეიხსნა.

პირველი ფიქრი, რითაც დაიწყო მისი განდევნილობა, იყო ფედია ფრანგიშვილი, მხოლოდ და მხოლოდ ფედია...

სირიაჩონის უსიერ ტყეში გაბიზნულმა ვერა კიზირიამ პირველ დამეს უცნაური სიზმარი ნახა: ვითომ ქარიშხალს აეწყვიტნა და ქვეყნიერებას ანგრევდა. მდინარეებმა ჩანჩქერებად ქცეულიყვნენ, კლდეებიდან ვეება ლოდები გადმოჰქონდათ და უფსკრულუბში ინთქმებოდნენ. ხეები იზნიქებოდნენ და კენწეროებს მიწას სკემდნენ: არ ჩანდა ცა. ტყის ნადირ-

ნი უგზო-უკვლოდ დაძრწოდნენ. გამოქვაბულთან მგელი გლეჯდა შველს. ფრთოსნები წივილით სერავდნენ ამღვრულ სივრცეს და მიფრინავდნენ სადღაც შორს.

ხეებსაც უნდოდათ სადმე გაფრენა შორს, მზეთა ქვეყანაში, მაგრამ ისინი ფესვებით იყვნენ მიწაზე მიბმულნი.

ეს იყო მეორედ მოსვლა. მაგრამ უფალი ღმერთი ჯერ არსად ჩანდა.

წიფელმა ენა აიღვა: — ჩვენვე თუ ვუშველით ჩვენს თავს, თორემ მომხედავი არაიქნა! მოიწი ჩემსკენ, პატარა ნეკერჩხალო, შეგიფარებ.

წიფელმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ორი ყველაზე მაგარი ტოტი ნეკერჩხლისაკენ გამოიწვდინა და... უცებ ადამიანად იქცა.

ნეკერჩხალმაც შეიბერტყა ტოტები და მშვენიერ ასულად გარდაისახა. მესტკერის ვერიცო სიზმარში ხეებიდან მოვლენილ ორ ადამიანს და რას ზედავს: წიფლის ჭაბუკი — ფედიამ, ნეკერჩხლის გოგონა კი — თვითონ ვერიცო.

აქ მას შავი კაბა აცვია, ის ორუღი კი თეთრი კაბითაა შემოსილი და თავზედაც თეთრი მარამაში ჰხურავს.

ირგვლივ გამწკრივებული სხვა ხეებიც ჩოხა-ახალუხიან ჭაბუკებად და თეთრ გოგონებად აილანდნენ.

ფედიამ ცას ხელი გადაუსვა და ერთბაშად ჩადგა ქარაშხალი, განიდევნენ საავდრო ღრუბლები, სივრცე განათდა, თითქოს ასი მზე აბრღღვიულდა ერთად.

ჯვარს იწერდნენ ფედია და ვერიცო.

დაიწყო ქალთა და ჭაბუკთა ცეკვა-თამაში. ქვეშეგოთ ნისლის ფარდაგი. ნეფე-დედოფალი ცეკვავდა.

მერე შექორწინენი ცისარტყელების სუფრას შემოუსხდნენ და საიდანღაც ადილარ გვაზავა თამადად გამოჩნდა სუფრის თავში.

დედოფალმა მოიწყინა.

მაშინ თითი აიქნია ფედიამ და უმ-

ალვე გაქრა უწმინდური კეთილ ადამიანთა კრებულისა. და გამხიარულდა ქორწილი...

სულ ბოლოს: ვაზშემოხვეულ მაღალ აივანზე სხედან ვერიცო და ფედია.

ტაბლაზე უწყევიათ პური და ღოჭით ღვინო. ყურძნის ერთი მტევანიც გვერდზეა.

თანამეცხედრენი ვალიმებული თვალებით გაპყურებენ თავიანთ უსაზღვრო სამწყსოს: ყვავილებით აბიზინებულ მინდორში დედიშობილა დათამაშობენ ახალფეხადგმული ბავშვები, სწორედ ისეთივე კარგები, როგორც ღვთისმშობელს ჰყავდა გულთან ჩახუტებული ეკლესიაში, ვერიცოსა და ფედიას ჯვარისწერისას.

მათში ვერიცოსა და ფედიას შვილებიც არიან.

იქვე შგლის პატარა ლეკვი და თეთრი ბეკეკა ერთად წიწქნიან ცვრიან ბალახს. საოცარი სიზმარი იყო! მარტო ვერიცოს არ უნახბვს ეს სიზმარი, ის ნახა სირიაჩქონის ტყეშიც.

ვერიცოს რომ გამოეღვიძა, ისევ დახუტა თვალებზე იქნებ კიდევ გოგონეღდესო...

გათენდა სირიაჩქონის ტყეში 1921 წლის 25 თებერვალი, შაბათი ღღეღამით ჩამოთვია. ვერიცომ ნაცარში გაბვეული ნაკვერჩხლები გაიჩქნა და ცეცხლი დაანთო, წყალი აადულა, წიხემსა... ჯურხა შეპირებული იყო, რომ ადრე მოვიდოდა და ახალ ამბავსაც მოუტანდა ტყეში მარტოდმარტო გადაკარგულ გოგონას.

ვერ ისვენებდა ვერიცო. არ იცოდა, გუშინდელს აქეთ რა ხდებოდა ქვეყანაზე. თავისი ღროშა ამოიღო და კარავში გაშალა, მერე ტარის გამოთლა დაიწყო ამ ღროშისათვის. ტყეში ღღის სინათლე ისედაც კარგად ვერ ატანდა. ახლა თოვლიც მხოლოდ საკუთარ სითეთრეს მწყალთბობდა თავის ხიზანს.

ღღი სინათლე ტყის გარეთ იყო, მა-

გრამ ვერცო ვერ ხედვდა იმ დიდ სინათლეს.

• • •

აბაშის საკნები პატიმრებით გაიჭედა. მილიციის უფროსმა ადილარ გვაზავამ ყველაზე მეტად საშიში ბოლშევიკები გაძლიერებული მცველთა რაზმით ქუთაისის ციხეში გადავხავნა. ფედია ფრანგიშვილიც ერია ამ პატიმრებში.

მაგრამ მატარებელმა რიონამდე ვერ ჩააღწია, — ბროწეულაში უკვე წითლები იდგნენ, მატარებელი გააჩერეს და პატიმრებიც თავიანთ ნებაზე მიუშვეს.

ფედია აბაშელ ახალგაზრდებს თავი მოუყარა და აბაშისაკენ გამოაბრუნა ფეხით. გზადაგზა ცოტა თოფ-იარაღიც მოიხელოვან...

ამ დროს შიგ აბაშაში უკვე საიდუმლოდ იმღერებოდა ამინდი. სროლა ისე ჩვეულებრივად და შემოპარვით დიწყო, თითქმის ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ეს ჰგავდა გაზაფხულის პირველ გრგინვას. რომელიც იწყება თავისთავად და ნებათავეს არავისგან ითხოვს.

მენშევიკური მილიციის უფროსს — ადილარ გვაზავას შიშის კანკალი ჰქონდა გამჭდარი მუხლებში, რადგანაც ბოლშევიკების მეზობლობა რაზმმა დილით თეთრგვარდიელთა რამდენიმე ყაზარმა დაარბია, ადვილი შესაძლებელი იყო, მილიაციასაც დასხმოდნენ თავს. გაცოფებამდე ბევრი არაფერი აკლდა ადილარს. ბოლშევიკი პერტენავა გაუსამართლებლად თვითონ დაბერიტა ვაგზლის უკან, მადრებთან.

წითლების შტაბმა დაადგინა ჩამოეშორებინათ თავაშვებული და საშიში მოწინააღმდეგე დაუყოვნებლივ. დღესვე, რადგანაც ამ უღმომბელ ცალათს, თავისი აღსასრულის წინ ჰქუა არ დაუშლიდა, კიდევ ბევრი კარგი ადამიანი გამოესალმებინა ამ წუთისოფლისათვის. ადილარის მოკვლა დაეგედა აბელ ქვილითაისის ( ის ახლაც ცოცხალია), მაგრამ აბელი ვერ გამოდგა

კარგი მსროლელი. მან ვაგზლის შვიტ აედელთან მდგარს ესროლა ადილარს და ააციდინა. ადილარს კელლიდან აცენილი მტვერიდა შეეყარა სახეში, ელვის უმაღ ზურგზე მოეგლო ცხენს და სიკვდილს გაუსხლტა. აბელმა მეორე გასროლა ვერ მოასწრო...

ლულუნი ტორჩინავას კომკავშირულმა რაზმმა მამულიასგან დავალება მიიღო და სულ რაღაც ნახევარ საათში ხელთ იგდო ინგლისის ჯარის ნაწილის ყაზარმა. უცხოელები განაიარაღეს და კინწის კვრით გაყარეს ფოთისაკენ — იქნებ რომელიმე გემს მიუსწროთ და ჩვენი მიწა თქვენი საფლავებითაც არ დაამძიმოთო.

თოვდა თუ წვიმდა, ძნელი გასარჩევი იყო; სიკვდილის ბეწვზე გადარჩენილი ადილარი უკვე გრძნობდა აღსასრულის მოახლოებას. მილიციასთან მიავლო ცხენი და გადმოხტა. ერთ წამში ათასი განკარგულების გაცემა მოასწრო. მილიციელები გააფრთხილა, ტყვიები ბლომად ჩაეყარათ ჯიბეებში და, თუ ბოლშევიკები დაესხმოდნენ, არ დაენდოთ. ხოლო თუ ტუსაღები ბუნტს და ყვირილს ატეხდნენ, სარგმლიდან ესროლოთ და საკნშივე ამოეეღიტათ თვითონ ადილარი მეხანძრეთა სათვალთვალ კოშკზე ავიდა. ეს იყო ერთი პატარა ჯიბური, წვრილ ბოძებზე აკონწიალებული და ცაში გამოკიდებული, გადამხურული და ირგვლივ მოაჯირშემოვლებული. მორიგე შეხანძრეს ქურჭი დაატოვებინა და და ძირს ჩაუშვა. ქურჭი თვითონ მოიხურა, კარაბინი გვერდით დაიდო, ორივე ხელში მალხერი მოიმარჯვა და ძირს გადაიხედა. აქედან მთელი აბაშა ხელისგულივით მოჩანდა.

ქურჩებში ადამიანები დაპატარაებულნი მოჩანდნენ და აჭეთიჭით დარბოდნენ, ყველაზე მეტი ჩოჩქოლი და ხალხმრავლობა იყო რკინიგზასთან. ლადი მეზონიას ღუქნიდან ვიღაც მთვრალები გამოზარბაცდნენ, ერთმა-

ნეთს ხელი გადახვიეს და სიმღერით გაუდგნენ გზას.

\* \* \*

ღამით სროლა მინელდა, ბოლოს სულ შეწყდა და ჩვეულებრივი სიჩუჩე დაეუფლა აბაშას, თითქოს ჩაქინა, მაგრამ სინამდვილეში თავი ვრიგალის თავსასთუმალზე ჰქონდა მიღებული.

მენშევიცმა საგლე ბოკუჩავამ თავის სახლში ყველა ფანჯრის ფარდები ჩამოუშვა, კარები ჩაიკეტა და ბარგის შეკვრას შეუდგა. ცოლი ტაბტზე მოკუნტულიყო და გოდებდა: სად უნდა წავიდეთ, საგლე! თუ სიკვდილია, ჯობია აქვე მოგვედეთ და აქვე დაგვმარხოთ.

მათი ქალიშვილი ნინო, სისხლგამშრალი იდგა კედელთან, არ ტიროდა, სახის არცერთი ნაკვთი არ უკრთოდა, ადამიანის ფერი არ ედო; მერე ტუჩები ოდნავ აამოძრავა და ენის ზორბივით, ძლივს წარმოთქვა:

— მე არ წამოვალ, მამა!.

საგლეს უნდოდა რაღაც ეთქვა ცოლ-შვილისათვის, დაერწმუნებინა, რომ ახლა მათ გადახვეწა იხსნიდა მხოლოდ. დილით იქნებ რამე მატარებელს გამოეველო. ფოთამდე თუ ჩააღწევდნენ, მერე რამე გემი გამოჩნდებოდა და ეშველებოდათ, უნდოდა, კიდევ ბევრი რამ ეთქვა, მაგრამ ყელი ბოღმით ჰქონდა დახშული. ენას ვერ იბრუნებდა პირში.

ექვსი ჩემოდანი დაქეძვა, ღვედები ნაგრად შემოაკრა.

ივანია მედროვე ჰყავდა დაბარებული ნაშუაღამევს, ქისა ოქროს იყო შეპირებული. ბარგის ვეგზალში გატანა ღამითვე უნდა მოესწრო, ჭკეყანა არ შეხებავდა.

ივანიამ დათქმულ დროს დააკაუნა კარზე, მაგრამ მარტო არ მოსულა, საგლეს ძმაც შემოჰყვა. ხელში რეჟოლვერი ეჭირა საგლეს ძმას. შემოვიდა და რკინის ელრიალივით გაისმა მისი ხმა:

— სომეულ, ჯიმა!.

— იქ მივდივარ, სადაც არ მომკლავენ, — უცებ დაუბრუნდა საგლეს მეტყველება. მაგრამ თავის ხმა თვითონვე ეუცხოვა. თითქოს სხვა ვინმე გამოსცემდა ამ ხმას მისი ყელიდან.

— არ მოგვალავთ, დაგვაბატირებთ მხოლოდ!..

— ეგ საყენი შენს ბოლშევიკებს დაუყარე.

ძმამ რეველვერიანი ხელი დაბლა ჩამოუშვა, საგლესთან უფრო ახლოს მივიდა და მუდარასავით წარმოთქვა:

— ნუ წახვალ, ბიჭო!.. თავისუფლება მოგვაქვს... შენ სად გარბიხარ!..

— ეჰ, — ამოიოხრა საგლემ, — რა თავისუფლება მოგაქვს, მერე ნახავ და გაიმჩნევენ... მადროვე, ხელს ნუ მიშლი...

ივანია პირდადებული მისჩერებოდა ძმებს.

— ნუ წახვალ, საგლე, — ცრემლი ყელში მოაწვა ბოლშევიკ ძმას.

საგლემ დამნაშავესავით ამოხედა:

— რა ვქნა, მეც მიმძიმს... მაგრამ, ცოლდე, ჩვენ დაქებრუნდებით, — ეს რომ სთქვა, თავი ისევ დაჰკიდა: — საფლავებს მიხედე... შენ მოუარე ჩემს მაგიერადაც...

ძმები ერთმანეთს გადახვივნენ და ივანია-ცხვირას მოეჩვენა, რომ ორივენი ტიროდნენ, რადგანაც ორივეს უკანკალებდა მხრები...

27 თებერვალს უკვე საჭილაოში შემოვიდნენ წითელი არმიის ნაწილები. მათ ერთ ფეხზე გამოასწორო ფოთის მატარებელმა, აბაშაში გაჩერებას არ აპირებდა, რკინიგზაზე გადამდგარი რომ არ დახვედროდა გამქცევი ხალხი ალიაქოთი და წიოკობა ატყდა გარშემო. ტყვიების ტყაცუნო ხალხის ყვირილი და ღრიალი, ბევშეების წივილი ერთმანეთში ირეოდა. ივანიამ დიდი ვაჰირვებით შეჰუჰკა მატარებელში საგლე ბოკუჩავა თავის ცოლ-შვილიანად და ჩემოდნებიანად.

ადილარ გვაზავა თავის ქანდარაზე იჭდა, ცაში გამოკიდებული, მის ქვევით კი ქვეყანა ინგრეოდა.

მილიციის შენობის მცველი მილიციელები გარედან მოელოდნენ შემოტყევის, მაგრამ ციხე შიგნიდან გატყდა — თვითონ პატიმრებმა გამოამტკიცეს საკენები და ყვირილით გამოაცვივდნენ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა და ჭიდიობა პატიმრებსა და მილიციელებს შორის. ამბობებულებმა იმძლავრეს, თოფიარაღი წაართვეს მცველებს და თითონ შეიარაღდნენ.

ადილარის იქ ყოფნა ვის უნდა მოსელოდა ახრად!

ქურტი კარგად მოიხვია ადილარმა და თავის ბუდეში მოხერხებულად მოკალათდა; ფრთხილად სუნთქავდა, ახლა იმის შიში გაუწნდა, — ხველა არ ამიტყდეს ან არ დამაცემინოსო. კოშკური მოაჯირის ფიცრებს შორის უფრო მოხერხებული ჭეჭრუტანა მონახა და ღამისმთველებს გახედა: ქუჩუ ფრანგიშვილს (ფედას უმცროს ძმას) და ბიჭორ კაქარავას ბრძოლებში ნაცად მეთმრებზეთ თოფი მუხლებშია ჩაედოთ, ცალ ხელს ცეცხლისკენ იჩრდილებდნენ და ცალითაც თუთუნს აბოლებდნენ წარბშეჭმუნუნნი.

„ჰაი დედასა, რატომ მაშინ არ დავხვრიტე ეს ლაწირაკები!“ — ინანა ადილარმა. კოცონის გარშემო მსხდომთ რიგრიგობით დააკვირდა, მეფაიტონე ბიკაც იცნო და მეწისქვილე მარკოზაც. ამათი აშენებული ქვეყანა რა უნდა იყოსო!..

უცებ თავის ცხენი მოაგონდა ადილარს. თვალებით ძებნა დაუწყო ძირს. შორს არ წასულიყო ცხენი, კოშკურის ფეხებთან იდგა მორჩილად. ან სად წავიდოდა!..

ცხენის დანახვამ რალაც იმედი მისცა ადილარს. იგი სხვებისათვის იყო ბრმა, თორემ ადილარისათვის ცხრა თვალბილულს სჯობდა.

კოცონიდან ასული ბოლი ადილარის ქანდარას ქვევიდან ედებოდა და ცო-

ტათი სითბო ამოჰქონდა. ფეხები გაუთბა ადილარს და გაიართა.

საქილაოდან დაძრულ ცხენისან წითელიარმიელებს ცხენისწყალზე ზილი ჩატეხილი დახვდათ და წყალში მოუხვდათ გამოტოპვა ამ ნესტიან თებერვალში.

— წითლები მოდიან, — ჯერ ჩურჩულით შეიპარა ეს ხმა აბაშის სოფლებში, მერე ამალდა, დაბოხდა და მოძლიერდა.

მებორნე პეპუ თავისი ბორნის ჯიხურზე ამობლდა ხის ფეხით და იქიდან გასძახა ანჯელს, კოდორს, ეწერს, სირიაჩონს:

— ეპეპეი! ჯიმალეთი დო მოხანდე! ჩვენები მოდიან!..

პეპუს ეს ძახილი გაიგონა ნულ რამდენიმე კაცმა. ბორანთან ყველაზე ახლომოსახლე გლებმა თითქოს ბანი მისცა მებორნეს და ეს ახალი ამბავი სიმღერასავით გასტყორცნა უფრო შორს:

— აჰაჰა!... ეპეპეე!...

პეპუს ძახილი მამლის ყვილივით გადაედო სოფლებს. ახლა მის სიტყვებს სხვები იმეორებდნენ და სარბიელს უფართოვებდნენ...

ერთმა უბემა დამალული პროკლამაცია ამოიღო, შიგ ჩაწერილი სიტყვები გასახსენებლად ამოიკითხა და მთელი ხმით დაიძახა ის ამოკითხული:

— გუშარჯოს რევილუციას!..

აბაშის გარშემო, ყველგან უჩვეულო ხმაური და მიტყმა-მოტყმა გაისმოდა, მაგრამ ყველაზე დიდი ლეღვა მიანც შიგ აბაშაში იგრძნობოდა და გულიც აქეთკენ მოუწევდა ყველას.

არჩილ გუგუშვილმა დატენილი ფილთა აიღო, ჩოხის კალთაში ჩაბლატვებულ დედას არ დაუჯერა და იქით წავიდა, საითაც მისი ტოლები მიდიოდნენ.

ძმები — აქესენტი, ბარდლა და ნოე კუპრავები შუბლმოღუშულნი და მუშტებშეკრულნი გამოემართნენ შუალელისაკენ. „მოდიან, მოდიანო“, — ეს მოდათ ყოველი მხრიდან, მაგრამ ვინ მოდიოდა, ჯერ არ ენახათ.

მაცხოვრის კართან ცხენების ფეხთა



თქარა-თქური გაიგონეს და, ფოთლებ-  
გაცვივნილ ხეთა ტოტებში დროშა რომ  
დალანდეს, ჯერ ცეცხლის ალი ეგონათ.

ნაკატორღალმა დათა თოფურიამ წი-  
თელვარსკვლავიან ცხენოსნებში ერთი  
გამოარჩია, ჯერ კარგახანს უყურა,  
უყურა, მერე თოფიანი და უთოფო  
ხელი ორივე მალღა ასწია და იღრიალა:

— ვასია, ძმაო!

გზაზე უკვე გამოჩნდნენ მხედრები.  
წინა ცხენოსნის თავსზევით წითელი  
დროშა ფრიალებდა.

\* \* \*

შორიდან კანტიყენტი სროლა ისმო-  
და.

თეთრგვარდიელები ვაგზალში იყე-  
ნენ გამაგრებულნი.

მილიციის უფროსი ისევ ცაში გა-  
მოკიდული, მალულად უთვალთვალე-  
და არეულ დაბას. ღამით კოცონთან  
მსხდარი ამბოხებულები საღდაც გაკ-  
რეფილიყვენენ. იმ ადგილას ახლა თავ-  
წამწვარი ჯოხები დარჩენილიყო მხო-  
ლოდ და მისუსტებული ბოლა დაბლა-  
დაბლა, მიწაზე მიცოცავდა, მიიპარე-  
ბოდა თითქოს საღდაც. ქვევით გზა-  
ზე, ჭადრების გამოღმა, ტყავის ქურ-  
თუკიანი გოგო შენიშნა ადილარ გვა-  
ზავამ. დააკვირდა და ვერაიოდ მიიჩნია.  
ორი აზრი არ გასჩენია ადილარს.

კარგად დაუმიზნა კარაბინი, გამოაქრა  
სახსლეტს და მაშინვე მიხვდა, რომ  
ტყვია ეფეაში მოახვედრა.

გოგონას პირი არ მოუბრუნებია. ჩა-  
იყცა და თავით მიწას დაემხა ნელა,  
უდრტიენველად, უხმოდ.

იებიც ასე ჩუმად კვდებიან.  
ასე მოკვდებოდა ალბათ ვერაიოც.  
ადილარი ერთბაშად შეერთა და რა-  
ღაც უჩვეულო ხრიალი აღმოხდა, ამო-  
კენესას არ ჰგავდა.

„ეს რა ჰქენ, ადილარი! ბავშვი რო-  
გორ მოკალი, შენი შვილის თანატო-  
ლი, ისიც გოგო!“

კარაბინი ისევ გამართა და ერთი  
ტყვიაც დაახალა მიწაზე გართხმულს.

ტყავის ქურთუკი ეცვა და მისი გარე-  
ლუბა ვიდაც გოგონა ვერაიოს ნაც-  
ვალად.

დაამთავრა ვითომ ადილარმა თავის  
მოვალეობა?

არა!

ფედია ფრანგიშვილი დარჩა მოსაყ-  
ლავი.

\* \* \*

ფედია ფრანგიშვილის რაზმის დრო-  
შა ხანძარივით ავარდა შორს, ადილა-  
რის თვალსაწიერში. აბაშის ბაღში  
ადამიანები ამოძრავდნენ, ჯერ ერთმა  
გაიბრინა, მერე სხვებიც გამოჩნდნენ  
და მომრავლდნენ. ერთ ადგილას მო-  
იყარეს თავი. შეეტლევებიც გამოძვრნენ  
საიდანღაც თავიანთი გრძელ-გრძელი  
მათრახებით.

ადილარ გვაზავამ ახლა სამიზნეს და-  
უწყო ამორჩევა, ცალკე გაიმდგარს ეძ-  
ებდა ვინმეს, თორემ ჯგუფად თავმო-  
ჯრილებსათვის რომ ესროლა, იქნებ  
ვერც გაეგო, მოახვედრა თუ არა.

ერთი დაფეხვილი კაცი ცალ ფეხს  
მითრევდა და ძლიერძლივით მი-  
ფლატუნობდა თავმწყრილი ხალხისა-  
კენი; დაპრილს არ ჰგავდა, დაბადები-  
დანვე უნდა ყოფილიყო ასეთი; სამი-  
ზნედ ზედაგმოპრილ ბილიკს ადგა. ადი-  
ლარმაც, რას წვალობს ეს გლაბა-  
კიო, — დაადო მუხური და ძირს გაა-  
გორა: „ე, მოისვენე ახლა!“

„ადილარ გვაზავა, შენ რომ ყვე-  
ლა ვინდა მოასვენო, ყველას აბინავებ  
და თავთავის გზაზე ამწყსებ, თვითონ  
სად მიდიხარ? მიწაზე ჩამოსვლას არ  
აპირებ ამ ქანდარიდან?...“

ბალის განაპირას თავდაყირა გადა-  
ბრუნებულ დროგს თოფიანი მამაკა-  
ციები მოაწვნენ და აქეთ გამოათრიეს.  
ლულუნიმ ფედიას ხელი შეაშველა  
დროგზე ასვლაში. თვითონაც ავიდა  
და დროშაც იტაცა მალღა. ხალხი ამ  
ადგილს ერთბაშად მოეძალა. ქუდებს  
და თოფებს მალღა იქნევდნენ, ყვო-  
როდნენ, ხმაურობდნენ.

ფედიაშ ხელი აღმართა და გაიშეშე-  
მება ითხოვა.

ის ახლა ხალხის ზევით მოჩანდა. უკე-  
თეს სამიზნეს ვერ ინატრებდა ადილარ  
გვაზავა და არც გაუშვია ხელიდან  
ეს მისთვის ძვირფასი შესაძლებლო-  
ბა: ფედიაშ ის იყო შესძახა — გაუმარ-  
ჯოს რევოლუციის, ამხანაგებო! —  
რომ უცებ მკერდზე ხელი იტაცა და  
მოიკეცა.

ღულღულნი დროშის ხელი შეუშვა და  
ფედია დაიჭირა. ხელშეშვებული დრო-  
შა გადაიზინქა, ხალხში გადაწვია. ფე-  
დია ძირს გადმოიყვანეს და მიწაზე მა-  
ზარა დაუფინეს. გადაბრუნებული  
დროშის ბორბალზე მისდო ფედიაშ  
თავი. მკერდი გადაუხსნეს.

ნატყვიარი წერტილი შავად აქდა ზედ  
გულთან და სისხლი გადმოსდიოდა,  
თვალებს ამოძრავებდა აქეთ-იქით, თი-  
თქოს ვიღაცას ეძებდა.

სადგურის ჩალეწილ ფანჯრებიდან  
სროლა გახშირდა: თეთრგვარდიელები  
ისროდნენ. ამბობებულები გზის განაპი-  
რა თხრილებში ჩასაფრდნენ და მთ-  
თაც დათოფეს სადგური. მაგრამ დიდ-  
ხანს არ გავრძელებულა ეს ორბრძვი  
სროლა. სიჩუმემ ოდნავ რომ სული  
დაიბრუნა, სადგურის ერთი ფანჯრიდან  
ჭერ რაღაც თეთრი ნაჭერი ამოძვრა,  
ხიშტის წვერზე წამოცმული. მერე ამ  
თეთრ ნაჭერს გვარდიელი ამოჰყვა.  
მთელი ტანით აიზინქა, რაფაზე გად-  
მობობდა და პირდაპირ წითლების  
სანგრებისაკენ წამოვიდა. ბიქტორმა  
ფრთხილად თავი ამოჰყო და იცნო აე-  
თანდილის ბიძაშვილი. ამ თეთრდროშო-  
ან თეთრგვარდიელს ტყვია რომ არა-  
ვის ესროლა, მის თანამებრძოლებსაც  
გული მოეცათ და ისინიც გადმოძვრნენ  
ფანჯრებიდან.

აქეთ მხრიდან პირველი გრიგოლ მა-  
მულია ამოვიდა თხრილიდან და ხელი  
დაიქნია: მომეყევით, ბიჭებო! ბაქ-  
ტორს და ქუჩუჩიას არ დაუყოვნებია  
ამოსვლა, სხვებიც ამოვიდნენ და ერ-  
თად წაივინდნენ შესაგებებლად.

4. „მნათობი“ № 2.

ადილარ გვაზავა უცებ ვერ გაიშეშე-  
რა ხდებოდა მის ქვევით: თეთრები  
გადადიოდნენ წითლების მხარეზე თუ  
პირიქით — ისინი გადმოდიოდნენ აქ-  
ეთ? მთავარი საკვირველება მაინც ის  
იყო ადილარისათვის, რომ შეერთდ-  
ნენ დიდიხნის მონატრულ ბიძაშვილ-  
მამიდაშვილებივით, გადაეხვიდნენ ერთ-  
მანეთს, როზრთებდნენ, ხარზარებდ-  
ნენ. მერე დაირაზმნენ და რატომ-  
ღაც, ალბათ შემთხვევით, პირდაპირ  
ადილარის კოშკისაკენ წამოვიდნენ  
ერთად, ხიშტებგამოწვდილები.

„რას შვრები ახლა ადილარ გვა-  
ზავა.. მიწაზე არ დგახარ, შიგ რომ  
ჩაძვრე, და ფრთები შენ არა გაქვს“.

ქურქი მხრებიდან გადაივლო და ქვე-  
ვით ჩაუყვავა კიბეს. ერთი საფეხური  
ჩატეხილი ყოფილიყო და კინაღამ ჩა-  
ვარდა.

ადილარის ცხენი თავჩაქინდრული იდ  
გა. თითქოს დასევდიანებულიყო, პა-  
ტრონიშა ამღენხანს რად მიმატოვავო,  
დროდადრო კუდს თუ მოიქნევდა მხო-  
ლოდ. არსაით იხედებოდა, რადგანაც  
მაინც ვერაფერს ხედავდა და ვერც  
ადილარი დაინახა. ხელის შეტება რომ  
იგრძნო, უმაღლვე იცნო პატრონი, ყუ-  
რები დასჭიმა, კისერი მალლა აიღდა  
და გასაფრენად შეიმართა.

ადილარი კიბიდანვე პირდაპირ მო-  
ველო უნავირს და ჯერ ნელა დაძრა.  
მოხრილი იჭდა, კისერზე თავი მიადო  
ცხენს და რაღაც სიტყვებიც ჩაულაპი-  
რაკა, სააღერსო თუ წამქეზებელი.  
ცხენი თავის წართმევას ლამობდა, მა-  
გრამ ადილარს მაგრად ჩაებღუჟა აღვი-  
რი. სროლაც, ჩოჩქოლიც, ხიშტებიც  
და ჯანდაბაც ზურგსუკან მოიტოვა.  
მილიციას რომ ვაცდა, ერთიგზობა  
შინ წასვლა ვაიფიქრა, მაგრამ იმ გზა-  
ზე ხალხი შენიშნა და ცხენს სხვა მხა-  
რეს მიუბრუნა კისერი.

სირიანქონის ტყიდან მოდიოდა წაღ-  
ხი, წინ დროშა მოუძლიოდათ.

ადილარს ვერიკო არ უძებნია ამ  
დროშის სიხალოვეს, რადგანაც, თა-

ვისი ფიქრით, ვერიკო უკვე მოკლული ჰყავდა. ასე რომ არ ჰგონებოდა და ვერიკო არ ენახა, ხატუთარი თავის მოსაკლავად დარჩენილ ერთადერთ ტყვიასაც არ დაიშურებდა.

ისევ შეიცვალა მიმართულება.

ცხენს ფეხები ეფლებოდა ნაყანეზე თოვლქუაში დამბალ მიწაში, მაგრამ მაინც სწრაფად მიიწვედა, მშრალზე რომ გავიდა მაშინ კი მოსთხოვა პატრონს მიშველა, მაგრამ პატრონმა არ დაანება აღვირა.

ახლა თბილვე მხრიდან მოაწყდა ადილარის სმენას ხალხის გუგუნე. ცოტა ხანს თითებით დაიცო ყურები. ვერ გადაეწყვიტა, საითკენ აედო გეზი. ფოთის მატარებლის კულისთვის რომ მოეკრა თვალი, ცხენდაცხენ დაეწყოლა.

მიწა ამოძრავდა მის თვალწინ, ადამიანის მკერდივით ადი-ჩადიოდა თითქოს. ადილარი დააკვირდა და სწორედ იმ ადგილას მიამსგავსა, სადაც მაშანტი კაჭარავა დამარხეს ცოცხლადვე, დაჭრილი და სულშერჩენილი. მაშანტის გახსენებამ ერთთავად ააფორიაქა. ახლა იმ მიწის შიგნით თითქოს ცოცხლად დამარხული კაცი იბრძოდა და საფლავის ამონგრევას ლამობდა.

ქალის ხმით, შემზარავად იკვილა ადილარმა, რევოლვერი იძრო და უკანსკენელი ტყვია თავისსავე ხმას დაადევნა.

დაცლილი იარაღი გვერდზე მოისროლა. მერე ხმალიც ჩამოიგლიჯა და გადააგდო. ცხელოდა ადილარს, სული ეხუთებოდა.

ცხენი ალბათ გრძობდა რაღაც უბედურების მოახლოებას, მიწას ფლოქვეებს სცემდა და ჭიხინებდა მსუსხიე ქარში ფაფარგაწეწილი.

მიჰჭროდა ადილარი და მისდევდნენ მის ზეერ მოკლულთა სულელები. მარჯვიდან ატყროლებდნენ, მარცხნიდან ნამოატყროლებდნენ, გზას უჭრიდნენ

ჯვარდინად, მისდევდნენ, შიაცილებდნენ დიდი ზარზედით.

ქარმა ადილარსაც გაუწეწა თმები. ჩინმედლებიანი მაზარა გაიძრო, ბლუზაც მკერდზე შემოიხსნა. გადაგდებული მაზარა ხის ტოტს გამოედო და ზედ შერჩა ჩამომხრჩვალ ადამიანივით.

ძირს მიწა ისევ მოძრაობდა და მიწის გულიდან ადამიანის გაგულული ხმაც ამოდიოდა: ადილარ გვაზავა! უუუ!..

— უუუ!.. — უგუგუნებდა ადილარს ყურებში.

სროლის ხმაც ისმოდა და აბლოვდებოდა, მაგრამ ადილარმა ვერ გააჩინა, რომელი მხრიდან მოდიოდა იგი. დეზი ჰკრა ცხენს და აღვირიც დაანება. ბრმა ცხენი უცებ მოსწყდა ადგილს.

გზაჯვარდინზე შეჯგუფებულმა ხალხმა შორიდანვე შენიშნა გაგიჟებული ცხენი. გვერდზე გადაგომა ძლივს მოასწრეს, ცხენმა ტყვიის სისწრაფით ჩაიქროლა.

— აუუ! — გაჰვიოდა ადილარი. გეზი აბაშისწყლისკენ მისცა ცხენს. იქ ერთი ღრმა ხევი ეგულებოდა...

დაღამებამდე ჯერ კარგა დრო იყო, მაგრამ უკვე ჩამობნელდა. ცამ დაბლა ჩამოიწია.

წინ არ იხრებოდა მხედარი და არც აღვირი ეჭირა ხელში. თავის ნებაზე მიფრინავდა ბრმა ცხენი. მუქისხელად მოიკუნტა ადილარი და ზედიზედ დეზების კვრით ფერდები ჩაულეწა, ისედაც გაველურებულს.

ფრენაში სიკვდილი უფრო იოლიაო.

• • •

ნაშუადღევს, აბაშისწყლის ცალთვალა მენახირემ ძროხები რომ ჩამოდენა, ხრამში ჩაჩქვილ ცხენსა და კაცს წააწყდა უნებურად.

ადილარ გვაზავა იცნო და ესლა თქვა: ცხენს რას ერჩოდა ეს მამაცხონებულო...

მენახირის ნათქვამი არავის მოუსმე-

ნია და არც თვითონ გაუგონია, რადგანაც ყრუ იყო.

სირიაჰონის ტყეში ვერიკოს კარავს თავპირისმტვრევით მოაწყდა ჭურბა, ბარდები პირდაპირ შუბლით გამოარღვია, სულს ძლივს ითქვამდა.

ვერიკო უცებ წამოდგა და ორივე ხელი ლოყებზე მიიღო.

— რა ამბავია, ჭურბა?..

— ფედია მოკლეს...

ხის ტოტს შერჩენილი ერთადერთი ფოთოლი მოსწყდა და ფარფატით დაეშვა ვერიკოს წინ.

— მე თვითონ ვნახე... აი! სისხლიანი თითები დაანახა ბიჭმა ვერიკოს. „ფედია სისხლია!“ — ჭურბას ხელს კანკალით მისწვდა ვერიკო და სახეზე მოისევა, გულთან მიიკრა... სისხლი არ გადასცხებია, რადგანაც უკვე შემშრალი იყო და ფერიღა ჰქონდა შერჩენილი.

ვერიკომ ტუჩები ისევ აამოძრავა. მისი ხმა ახლა წიდან ჩამოვარდნილ ფოთლის შრიალს ჰგავდა..

— რა თქვა უკანასკნელად ფედიამ!..

— უნდოდა რაღაც ეთქვა. ხმა ვერ ამოიღო, მაგრამ მე ისედაც გავუგე...

— რაო!..

— ვერიკოს ნუ ეტყვიო.

— კიდევ რა დაგაბარა ფედიამ, ჭურბა?..

ბიჭი დუმდა. ხედავდა როგორ ვადმოგორდა ვერიკოს თვალებიდან წყვილი ცრემლი. ერთს მეორე მოჰყვავდა, მეორე მომრავლდა და ღრად ჩამოწანწკარდა ვაფითრებულ დაწვებზე.

კარგახანს იყვნენ ასე.

ვერიკოს სახეს ისევე შეყინვოდა ცრემლი, როგორც — ფედიას სისხლი ჭურბას თითებს.

კარავთან სპარტაკელების დროშა აიღო და ჭურბას გაუწოდა.

— წაიღე. გზაზე გადი და აბაშისკენ იარე. შენ ნურავის დაუძახებ. ამ

დროშას რომ ნახავენ, თვითონ გამოგყვებიან...

ჭურბამ დროშა ტარზე დაახვია, ვერიკოს თვალებითა დაემშვიდობა და ბარდები გაარღვია.

ვერიკომ თვალი გააყოლა ყმაწვილს.

— მე დავიღლე, ჭურბა. აწი შენ ატარე ეს დროშა. შენ უფრო მაგარი მკლავები გაქვს. ოღონდ კარგად გაშალე და რაც შეგიძლია, მაღლა ასწიე...

ნელი-ნელა ჩაიკეცა სველ მიწაზე ვერიკო.

სიკვდილო, რად არ მოხვალო! და — რაღა შორიდან მნატრობ, აგერ დანის წვერზე არ გიზივარო?

„თავის მოკვლა დალატი იქნება ვერიკო! იებს ვინ მიიტანს ფედიას საფლავზე და ცრემლებს ვინ ჩამოაწვიმებს შენზე უკეთ!“

პირველლამინდელი სიზმარი გაანსენდა, ვაშემოხვეულ მაღალ იფანზე რომ ისხდნენ ის და ფედია... მათი ბავშვები ხვევდნოდან მოღზე რომ დაგოგამანებდნენ... წინ ტაბლაზე, პური და ღოჭით ღვინო რომ ეწყნოთ... და კიდევ ერთი მტვეანი ყურძენი იდო იქვე...

სიზმარში ყურძენის ნახვა ცრემლს ნიშნავსო და, აბა, ახლა ფედია წარმოიდგინა, სიზმარში რომ იყო ისეთი — გაღიმებული, ბედნიერი... და ასევე ჩაბეჭდა მეხსიერების გულში.

შავი დარაია ჩამოიფარა სახეზე, თავისი ტანჯული სილაბაზე დაიღამა.

მამის სიკვდილის შემდეგ არ გაუხვლია შავები. დათქმული ჰქონდა, თუ გამარჯვებას შეესწრებოდა, მაშინ გამოეცვალა. აწ უკვე სამუდამოდ ჰქონდა დაბედებული შავებში ყოფნა.

„თავის მოკვლა დალატი იქნება, ვერიკო! უნდა იცოცხლო, რათა ეწამო!.. აბა, ლურჯ იებს ვინ მიიტანს ფედიას საფლავზე. ცრემლებს ვინ ჩამოაწვიმებს შენზე უკეთ!“

წამოდგა...  
 სირიაჩქონს მიაბარა თავისი ცხოვრების ერთადერთი ულამაზესი სიზმარი და ტყიდან გამოვიდა.  
 ასე გამოდიან სასაფლაოდან...

• • •

...მე და ჩემი ქალიშვილი თოვლისა თებერვლამდე დავრჩით აბაშაში. თებერვალში ცა აბიზინდა.

ვარშემო, სადაც კი მიწის გული მოჩანდა, ლურჯმა იეზმა გამოაბრწყინეს თვალები.

გავტყერით:

იმდენია ეს იეზი, მიწისქვეშეთის ბნელეთიდან ავმა სულებმა ცხრა-ცხრა თოკით რომ ქაჩონ, მაინც ვერ ჩაითრევენ უკანვე.

ზღაპარივითაა...



### ღარ-ავდარის გრადუსია

დაენარცხა ველს შხაბუნით —  
წვიმა მერეზ-დეღგმად იქცა,  
უზარმაზარ ვეშაპივით  
გაიზმორა დედაშიწა.  
დაუბერა ღრუბლებს ქარმა  
გააშველა მორკინალნი,  
შესძრა შუქმა უცვარმა  
სასაფლაო სორკლიანი.  
გადიჭროლა ქარიშხალმა,  
ზეაიჭრა ზარბდავილით,

ტა დაირღვა, დაიშალა  
დაბლანდული საბანივით.  
ამოენთო ცხრათვალა მზე,  
წარღვნიხებრი შეწყდა ღვარი  
და მგონია — ამ ტრამალზე  
არც ყოფილა ჯერ ავდარი.  
და მაღიმებს რა გულლიად  
ღარ-ავდარის გრადაცია,  
თითქოს არვინ დამღუპვია,  
თითქოს არვინ გარდამცვლია.

### იმ ღამის მერე

ვინ მახსენებს ტვერებს,  
ფშანებს, საგარგულებს?..  
ჰო, იმ ღამის მერე  
კარს ვინ აკაკუნებს?..  
მეზმანება, რომ შენ  
და ბალღობას ცერცვტს  
თოვლის გუნდებს გიმუნთ,  
ვერ გახვედრებთ ვერცვროს.  
ბევრჯერ გამოვადე  
ძიღგამტყდარმა კარი,  
შინ შემოჭრილ ღამეშ  
ხელი ბევრჯერ ვკარი.  
მძინავს, ძილშიც მივდევე  
დღეებს დაკარგულებს,

მაგრამ კარზე ისევ  
ვიღაც აკაკუნებს.  
თავი მღვრიე სიზმრებს  
მშვიდად ურიგდება,  
სულს ნათელი მივსებს,  
განა შურისგება.  
თუ სიცოცხლე ორჯერ  
დავაპირეთ ორმა,  
ამ წერილებს რომ გწერ —  
სამაგიეროა...  
მძინავს, ძილშიც მივდევე  
დღეებს დაკარგულებს,  
მაგრამ კარზე ისევ  
ვიღაც აკაკუნებს.

## სარკის ჩვენება

შუქი აანთე  
და გაუსწორე თბილმა, შიშველმა  
შენს თამამ სხეულს თვალი სარკეში,  
თითქოს აკამდე  
ჩემსა და შიშის მოლოდინშია  
ვე ჩამოქნილი ტანი ანგეში.  
ოგძენ, გეწყინა,  
შეიცან ცივად, ხმის დაუძერულად  
ჩემი ხილვანი — თავშიმეხებული,  
რომ მყავდი წინათ.  
როგორც ხარ ახლა, ასე უცვლელად,  
ყრმული ოცნებით გაშიშვლებული.

კედლის სარკვა,  
სადაც თვალნათლივ ჩნდები ღამეში  
და შუქს ოთახში ანთებს ჩვენება,  
შუშას აპკვრია  
შენი თამამი ტანი ანგეში,  
რომ გავუბედო თვალის შევლება.  
შუქი ჩაქრება  
და ათას ერთი შავი კამეჩი  
მომდევს, არ ვიცი, რა მემეველება,  
რა მემართება?...  
რად ენაცვლება ღამით სარკეში  
მშვენიერებას საშინელება?

## ფანჯალის მოზაიკა

ზოგჯერ, ხანდახან ანდა ხანდისხან  
კაფეში შევალ მარტო — იაქი;  
რამე სიმწარე უნდა დამისხან:  
არაყი, ვისკი ან კონიაკი.  
სულ მცირე მყოფნის — ერთი საითთე,  
ზედ ერთი ჭიქა ყავა მოშავო,  
რომ მღვრიე ქუჩას გავეყვ საითმე,  
დაღლილი ტკინი ავამუშავო.  
მაშინ არც სახე მაქვს მოღრუბლული,  
საკუთარ კანში ვარ ჩატეული  
ერთი არსება შენით სულდგმული —  
კოჯრის ნიავით ამჩატებული.  
გაღიმებული, სახეშეცვლილი

შენსკენ მოვდივრ. თვეა ვარდობის,  
გზადაგზა წაბლებს, ცაცხვებს შეეცინი,  
პეშვით ვსვამ პაერს, ნიშნად მადლობის.  
როცა ფიფქთაგან ხეთა ძარცვია,  
ქარს მოვდევ, მაგრამ არ მომესვლება.  
ისე ვმალდები, ალბათ საცაა  
ფილტვები ზეცით ამომეცვება.  
ერთი დღით თოვლის ძეგლის მნატრელი  
ბაღდური თრთოლვით და ქრუნატელით  
შენს სურათს ვხატავ ყვავილთ ფანტელით,  
მთელ ღუნიაზე რომ გამოვფინო,  
რომ განეცვიფრო მთელი მსოფლიო,  
მშვენიერება, პირველყოფილო!

## ბაღარჩნა

მოვრჩი და სულ სხვა მგონია თავი  
უცნობი სენით ნაგვემს, გალაბულს.  
გამოზამთრებულ ყვავივით შავი  
ოთახში როგორ დაგხვდე გაზაფხულს?  
ჭრელყვავილება კაბის შრიალი  
დაე შეხამდეს ჩემს სიშავეში,  
ნაბაღარჩი ტანის ერთილით  
მეგონოს — ყრმობის ტვერში ჩავეში.  
თავი ყმაწვილად წარმოვიდგინო  
ნაცემმა სიმწრის ციბე-ცხელებით  
და ერთხელ კიდევ წამოფიტირო

ადრე მომდგარი ცხელი ცრემლებით;  
მაგრამ, შენს ნაცვლად, მოდის ბარათი  
და კითხვით ვპოვებ გზას გამოსავალს...  
როგორ ვეთესდი და როგორ ვებარავდი,  
რომ ვიმიკი ასეთ მწარე მოსავალს!..  
რა ხდება ჩემს თავს, ვერ გამოვიკა...  
ღმერთებმა უღვთოდ ხომ არ დამხეგრეს?  
ერთი კედელიც ვერ ამიგია  
თავზე გრიალით რომ არ დამეხგრეს.  
თუ წარმავალი ვნებათღელვია,  
ძირს რომ დამაგდო წვეთის წკარუნით?

თუ უყისმათო ჩემებრ ყველაა  
და მათ ვერ ვამჩნევ სვემოწამულს?  
ამ ატსარებას რა მახედვინებს,  
რა ძალი მერჩის გზაზე სიბერის?  
სხვებთან მეც ვგავარ, ალბათ, ბედნიერს...

შენ უწვი, როგორც ვარ ბედნიერი!  
ჩემი ტკივილი გადამდებია,  
ვინც დაავადდა — დასწვეს ლადარში,  
და რადგან ცოდვა არა მდებია,  
სხვები დაეცნენ და მე გადავჩინი.

### სადგურის რასკორანი

ერთად ზეტიალს რაზე მპირდები?  
გაზაფხულს პირი როგორ ვუჩვენოთ?  
ისევ აფეთქდნენ, დასკდნენ კვირტები  
სადღაც ქალაქის გარეთ, უჩვენოდ.  
და ორნი ერთი სადარდებულდით  
წამიერ ვხდებით ყალბი მოწმენი:  
თითქოსდა ყველა მატარებელი  
უჩვენოდ გვიან გადის, მოწყენით.  
ვაცილებთ ქვეყნის მგზავრებს თვალებით,  
სივრცეში სავალს ვუზომავეთ მანძილებს.  
სადგურის მაღალ თალს ვეფარებით  
და ვუცდით — მალე დრო გაგაცაცილებს.

წაგვევება ზრინვა; შფოთი რესტორნის,  
გინაისი. მთვრალთა აყალმაყალი,  
ღაღადი ვიღაც ლოთი მენტორის,  
მუსიკა მჭახე და ხმამაღალი.  
მთელ ამ ღრიანცელს და ელმავლების  
ბღავილს და ქმინვას ორთქლმავლებსას.  
მალე, სულ მალე დავემალებით  
მცირედი ჩრდილის მოფარებისას.  
სადღაც აფეთქდნენ, დასკდნენ კვირტები  
ჩვენი ქალაქის გარეთ, უჩვენოდ.  
ერთად ზეტიალს რაზე მპირდები?  
გაზაფხულს პირი როგორ ვუჩვენოთ?

### რაგომ მგონია?

უშენოდ რისთვის მგონია ხოლმე  
შუა ქალაქში დარჩენილს, თითქოს  
მიწის სურნელი და სიახლოვე  
დაღლილ ძარღვებში შემმატებს სითბოს.  
რაგომ მგონია — შებოლილ ფილტვებს  
დედაქალაქის ჰაერი მიწვავს;

მთებს, სერებს, ფშანებს, სათიბებს,  
მინდვრებს  
რაგომ და რისთვის ვიხსენებ იმ წამს,  
როცა სულ ცოტა, სულ გოჯის სისქე  
ასფალტის ფენა მაშორებს მიწას,  
მაშორებს ასე აშკარად, ურჩად,  
როგორც შენს კედლებს პატარა ქუჩა.

### ჭალარა-იალქანი

ქამმა თვალბუდითი. ავი,  
მოკლე შემოდგომა მიგვიწურა,  
ძრავგამორთული ნაეი  
ზამთრის მებოძირში მიგვიცურა.  
აღარც სინანულის მოთქმა,  
და არც სიმძიმელი უსასოოდ!  
ჩვენი ჯიბრიანი მოდგმა  
ნაპირს მიადგება უსათუოდ.  
წაპყვეს უსამველო ვალახს


ფერი გარდუვალი დაობების.  
მზრებზე დაგვეწოლია ვალად  
ტვირთი გარდასული თაობების.  
ნავში იაქწნი დავრჩით —  
წყვილი იაქია იავანი.  
ჩვენი ჭალარაა ზღვაში  
თეთრად მოკიაფე იალქანი.



## სიყვარის იჯაი გუნდისხაჯთან

თუ გახსენდება გუნდისხე წყვილად? —  
 მხედებიან ახლა ხმაგალასული:  
 — აქ ვინც დამარხე დიდხნის წინათ,  
 მასთან ნახვერად ხარ დამარხული,  
 მონა-მორჩილი მიგვეები იმ ხმას,  
 თვალებით სიმწრის იები მიმყავს,  
 შორიასლოდან ჩანან ხელები  
 შევადმოსილი და გამოცვლილი,  
 დედამიწიდან თითქოს ხელები  
 მამის ზეცისკენ აჭვს ამოწვდილი,  
 რამე გამოსთხოვოს ლოცვა-მუდარით  
 შეილისთვის მყუდრო ნავსაყუდარი.  
 მივალ.. სულ სხვაა დამის საფლავი  
 ორი ხე მხედება გასამებული,  
 მუხამე — ტანად სუსტი, დაბალი,  
 მწირი, ნაგვემი, გაწამებული  
 ჩურჩულებს: ხიტყვა რამე მადირსე  
 და ცარიელი ღამე ამიგვს.

მაჩერებს მამის რიდი და შიში,  
 მაგრამ ხმა იგი აღარ მეშეება:  
 — წამოიჩიტე ჩემს გრილო-ჩრდილში  
 და მიმატოვე, — რა ნუკეშია?  
 რაც აქ ვარამმა დამცა ქადაგად,  
 თავზე ვადგავარ საფლავს ქანდაკად. —  
 წაიჩურჩულა, წაიფორხილა  
 ტანდაგვალულმა, ხმელმა, სნეულმა,  
 დეკემბრის ქარით მხრებში მობრილმა,  
 ღამისფერთავეშალ შემოსვეულმა.  
 ორ გუნდისხესთან — პატარა დებთან  
 სიმწრის იები დაღვარა დედამ,  
 და მთელი ჩემი დღეთა სისხავსე  
 იმლამინდელი გლოვის წამშია:  
 დედა რომ დადის დედამიწაზე,  
 მამის საფლავი რომ არ წამშლია  
 და ვცოცხლობ ერთი დიდი იმედით,  
 რომ ამაყვავებ სიმწრის იებით.



## არა ხელკყო

მოთხრობა

მალალოს ვაჟი შეეძინა. უცხოს და შინაურს, ყველას გული დასწყდა, „გოგო მაინც ყოფილიყო, უმამოდ ბიჭი უფრო ძნელი გასაზრდელია“.

შბოლოდ მალალოს გაუხარდა: „მამის სახელს დავარქმევო,“ — გულში გაიფიქრა.

მამა ორი სახლის გადაღმა ცხოვრობდა. გზა ისე ვადიოდა, სადაც არ უნდა წასულიყო, შვილის ფანჯრებს გვერდს ვერ აუვლიდა, წინ უნდა ჩაევლო. ელგუჯა ერქვა, მაგრამ დიდი და პატარა გუჯოს ეძახდა. მალალოს ძალიან უნდოდა შვილისათვისაც ასე დაეძახნა, მაგრამ შეეშინდა, ემანდ დიდ გუჯოს არ ეწყინოსო და ელგო გადაწყვიტა. რამდენჯერმე ჩურჩულით წარმოთქვა, ჩემად მიესიყვარულა და უცებ შეეჩვია სახელს, გაიშინაურა.

მალალოს დედა მშვიდი და უწყინარი ქალი იყო. სახეზე ერთთავად ნეტარების ღიმილი დასთამაშებდა, როგორც იმ ადამიანებს, რომლებიც ყველა მოვლენას განგებისაგან გამოგზავნილად სთვლიან და არც ბედს ეწინააღმდეგებიან, არც საკუთარი ზასიათის გარდაქმნასა ცდილობენ. ყველაფერს მშვიდად, უდრტვინელოდ ეგუებოდა და ჭირსა და ვარაშს ადვილად ვადასატანსა ხდიდა. ვაჭათქათებულ სახეებში მუთაქასავით გამოკრული ჩვი-

ლი სამშობიაროს სადარბაზოსთან ჩაბარეს ბებიას. ქალმა ძვირფას ნობათივით ჩაიკრა გულში და მაშინვე პირსაფარი გადახადა, თავისუფლად ისუნთქოსო.

ბიჭმა ქვევიდან არაფრისმხედველი თვალებით ამოხედა. „კიდევ კარგი, ეგ მაინც არ გამოჰყვა მამისაო“ — მშვიდად გაიფიქრა ბებია.

მამას ღრუბლიანი ცის ფერისა ჰქონდა თვალები. გარეცხილი, უმეტყველო: გამოხუნებული.

მალალოს ძმა ამტიციებდა, შეუძლებელია, მაგ თვალების პატრონი კარგი კაცი იყოსო.

— თვალის ფერი რა შუაშია? — წყნარად კითხულობდა მალალო.

— ფერი კი არა, არაფრისმიტყველო გამომეტყველებია შუაში.

მალალო უსიტყვოდ შესცქეროდა და მხოლოდ თვალებით ეკითხებოდა: ან მაგით როგორ შეიძლება კაცის სიავკარგის დადგენაო.

— აჰა, ვადაშალე ტოლსტოი ან დოსტოევსკი, ადამიანის სულის დახასიათებას მუდამ მაგ გამოიმეტყველების აღწერით იწყებენ. აბა ნახე, სვიდრიგაილოვზე თუ არის რამე ნათქვამი.

მალალო მორჩილად შლიდა „დანაშაულსა და სასჯელს“, აზიზად ფურცლავდა, გულმოადგინედ ეძებდა.

მაგრამ სეიდრიგაილოვის თვალების აღწერას ვერსადა პოულობდა.

— სეიდრიგაილოვის სული არ გააჩნდა, ცხოველივით უსულგულო იყო. რა უნდა გამოეხატა მის თვალებს, რით უნდა დაეხასიათებინა ავტორს? ამიტომ სულაც არაფერი თქვა, და ამ არაფრისთქმით უფრო მეტი ვითხრა, — ამბობდა მაღალის ძმა და ქალს შიში ერუანტელივით უვლიდა სხეულში. არაფრისთქმა ყველაზე დიდ სასჯელად მიიჩნდა.

ბიჭს დედისეული შავი თვალები ჰქონდა, მაგრამ ვინც კი დახედავდა, ყველა ამბობდა: — გამოცხადებული მამია, ეს გასაზრდელიო.

ის ნამცეცა სახე მართლაც საოცარი სიზუსტით იმეორებდა მამის სახის გამომეტყველებას. არა, თავხედურს ან უტიფარს კი არა, თითქოს ისევ არაფრისმთქმელს, თითქოს მთელი ქვეყანა, თავისი სიღამაზით, პარმონიით, უკანონობითა თუ მოვალეობებით ფეხებზე ჰკიდიაო, თითქოს მის თვალში ქვეყანაზე არაფერს, არავითარი ღირებულება ან მიზიდულება არ გააჩნიაო.

ბებია ფუნთოშა ფეხებს უკოცნიდა: რაც არის ეს არის, ღმერთმა ეს მოგვცა და ეს გაგვიზარდოსო, ფიქრობდა.

ბიძა კი ხან ხმამაღლა ახტუნებდა, ხან სათამაშოებს უჩხრიალებდა. ერთ-თავად მის გაღვიძებას ცდილობდა, რადგან დიმილი თვალებსაც და სახესაც ისე აცისკროვნებდა, მამისეულ გამომეტყველებას მთლიანად აჭრობდა.

„შენ შენი სატყეიარი ვალაპარაკებსო“ — მაღალის დედა ვაჟს თვალს არიდებდა, სიზრალულმა ჭერაც მოუშუშებელ კრილობას ისევ არ გაუხსნასო პირი.

ის სატყეიარი ერთ პირქუშ დილას დაეტყავი ელდასავით, როცა სახლიდან ცოლი გაექცა, ვიღაცა წითურა მემონტაჟეს დასაკარგავში დაედევნა და თოთო ბიჭსა და ახლადფეხადგმულ გოგოს ობლობა სამუდამოდ დაუბედა.

დედამ პირველად იმ დილას აარიდა თვალი შეილის სახეს, რომელიც შეი-

ლისას კი არა, მკვლელისას დაჰქვიშებდა ბოდა. აარიდა და სახემიბრუნებულმა სთხოვა, ცეცხლიდან ვედრო ჩამოღვი, ბავშვი ვაბანავოთო.

ძალიან მშვიდად თქვა, ჩვეულებრივად. აქაოდა ეს დილა სხვა დილებისაგან არაფრით განსხვავდებაო, აქაოდა დღე ღრუბლიანიაო, მაგრამ, მაინც მშვიდობისა და სიკეთის მაუწყებელია, რაკი ბავშვია გასაბანებელიო.

კაცმა ბოღმა გულში ჩაიბრუნა, თავს ძალა დაატანა და ზეწარში გახვეული პატარის გაბანება დაიწყო. იმ დღიდან მოყოლებული ბებია ისე ჩვეულებრივად შეუდგა იმ ობლების დაზრდას, თითქოს ობლობა ზამთარ-ზაფხულის ცვლებადობასავით აუცილებელი იყო. თვითონაც, უდღოდ გაზრდილი, ამ მშენებლობას ორი უმამო ბავშვით შეეკედლა. თვითონ არაფერი უთქვამს და არც სხვას უკითხავს იმათი მამის ასავალ-დასავალი. როცა იფიქრა ფონს გავედი, შვილები გზაზე დავაყენეო, ისევ ობლების გადობა დააკისრა ბედმა.

თან სამსახურში, თან ორი თოთო ბავშვი, თან ოჯახი... ძალიანაც უჭირდა, მაგრამ მის შვილებს არასოდეს მისი ნათქვამი საყვედური არ გაუგიათ, მისი ცრემლიანი თვალი, ან შეკრული კობი არ დაუნახავთ, მისი უქმყოფილება არ უგრძქვიათ.

ბიჭსაც იმან გადაატანინა ცალმხრივი, ძნელადჩასანაწილებელი სიყვარული, დაუქმყოფილებელი, ყალბზე შემდგარი ვენება და წარამარა აფეთქებული შურისძიების სურვილი.

კიდევაც... დედამისი თუ უძლებდა, ის რაღა წითელი კოჭი იყო, ვითომ?

— იცი, დედაჩემის ძალა მის უფებლობაშია, — უთხრა ერთხელ დას.

დამ დაკვირვებით შეხედა, რა რეზუსებით მელაპარაკებო.

— ნახე, საბას ლექსიკონში როგორ არის განმარტებული: უვენებელი — ვენებებისაგან თავისუფალი კაცი. გამოდის, რომ ადამიანისათვის ყველაზე საშიში საკუთარი ვენებები ყოფილა. თუ შენს

ენებებს დასჯაბნი, თუ მათგან თავს გამოიხსნის, საშიშროება თავისთავად გაქრება.

დამ სიყვარულით გადახედა ტახტზე ეურდღელივით ფრთხილად ჩაძინებულ დედას და მერე ძმას შეანათა მბზინავი თვალები.

მამ თავი დახარა. მოწიწებით დახარა თავი, რადგან დის უძირო თვალე-ბში განუზომელად დიდი სინაზე დაინახა. დაინახა და გაოცდა: ეს კიდევ სწორედ ვენებებთა ყოფილა ძლიერიო.

საკვირველი იყო, მაგრამ სწორედ დედა გახდა ყველაფრის მიზეზი, უფრო სწორედ, მისი უთქმელობა.

ხეებქვეშადგმულ სკამებზე საღამოხანს მუხლჩაბრილი ქალებიდან ვიღაცამ ანაზღად თქვა: ეს რა ბედი დაჰყვავთ ამ უთქმელ ქალს.

— ყველა კაცი თავის ბედის მკვდელოა, — შეედავა მეორე.

— ეე, ჩემო კარგო, სიკვდილი და ობლობა ნუ დაგეწერება შუბლზე, თორემ ვეღარც ქედვა გიშველის და ვეღარც ფართხალა.

ეს იყო და ეს.

სიტყვას ერთი დაბადება უძირს ხანდახან. მერე ზვავივით იცის აგორება.

დასასვენებლად ჩამომსხდრებმა იქვე გაიხსენეს, ლამის მეორე ათეული წელი რომ იწურებოდა, რაც ეს ქალი თავისი ორი შვილით მშენებლობას შეეკედლა; სადაც მშენებლები გადადიოდნენ, ისიც თან დაჰყვებოდა და ამ ხანში არც ერთ იმათგანისათვის დასამახსოვრებლად საწყენი არასოდეს ეთქვა.

ხელქვეშე მოციდენილივით ნათქვამი სამუშაოდან დაბრუნებულ ქმრებთან და შვილებთანაც გაიმეორავს ნაევამეცხს. თავიანთებურად ჩივილივით თქვეს — ქალურად, ვითომ სასხვათაშორისოდ. მაგრამ ნათქვამს ის ქალური ძალა შესძინეს, უძლურების ის ძალა, ყველაზე მტყიცე მამაკაციც რომ ვერ უძლიანდებოდა ხოლმე. აქაოდა, რაკი ჩვენ ბედთანაც და კაცთანაც უსუსურები ვართ, ჩვენი დაცვა და დახმარება თქვენი ვალი და უპრინციპა.

სამუშაოდან დაბრუნებულზე უფრო თავი გააქან-გამოაქანა, ზოგმა ამოიხარა და მუხლისთავებს დახედა. მაგრამ ყველას თვალწინ ცხადად წარმოუდგა პატარახელებიანი, უტყვი დედაკაცი.

ერთი ბეწო მარჯვენა ჰქონდა მაღალს დედას. თანაც უნაოკო, დროყამისაგან დაუღარავი. თითქოს ჯაფაგამოვლილი კი არა, მოხარდის ხელი იყო. მისი ხელების შეხედვისას ისეთი მყუდროება ეუფლებოდა სულს, თითქოს აღამიანი ბუხრის წინ იჯდა, გარეთ ქარი და თქოში ბობოქრობდა, ის კი თხილს აკნატუნებდა და საახალწლო ლექსებსა კითხულობდა.

ამწე მექანისზეების სამანქანო განყოფილებაში მუშაობდა მაღალს დედა — ვითომ სამოკლედროოდ აშენებულ ფარღალალა ჯიხურში, სადაც ვეებერთელა ჯალამბარი ნება-ნება ტრიალებდა და ზედ დახევეულ რკინის თოკს ხან აგრძელებდა, ხან ამოკლებდა. დაგრძელებული თოკი კაუჭით ჩამოკიდებულ ბადიას ასორმოცდა-ათმეტრიან შახტაში ქვევით მიაქანებდა, დამოკლებული — ისევ საჩვენოსაკენ, მზის ქვევინსაკენ ეწეოდა.

იმ ბადიას მასალებიც ჩაჰქონდ-ამოჰქონდა (ამბობენ, ერთხელ საბარგო მანქანაც ჩაიტანა) და აღამიანებიც ჩაჰყავ-ამოჰყავდა.

მაღალს დედას ხელი გამუდმებით ბერკეტზე ედო. ძნელად დაიჯერებდი იმ პატარა ხელს რამდენიმე კაცის სიცოცხლე რომ ებარა. ერთი მოუზომელი მოძრაობა და ქვესკენელში ჩაქანებული ბადია კლდოვან ფსკერს ისე დაენარცხებოდა, სული ადარ შერჩებოდა არც ერთს.

გარეთ ხან ქარი ბობოქრობდა, ხან თქეში ასხამდა, ხან მზე აჰერდა. ფარღალალა ჯიხურის კედლები ვერაფერს უმკლავდებოდა, მაგრამ ქალი ისე წყნარად იჯდა. ბერკეტის გვერდით, თითქოს აგუგუნებელი ბუხრის წინ მატყლსა სჩეჩავსო, ამიტომაც ასეთი ნეტარების ღიმილი დასთამამებდა სახეზე.

შატაში ჩამსვლელები ჯერ ჯიხურ-ში შეიჭყიტებოდნენ ხოლმე. თუ ჭალს იქ დაიგულებდნენ, გულიც საგულეში ჰქონდათ. დაბლა ჩასვლამდე ერთხელაც არ გაიხსენებდნენ სიკვდილს. ვინ იცის, რამდენჯერ ჩასულ-ამოსულან, რამდენჯერ ხელახლა დაბადებულან მზით გალღებულ მთა-ველის ხილვით და მიინც ყველა ჩასვლა სამარეში ჩასვლას აგონებდა თითოეულს.

შაგეთში მიმავალთათვის ბადიის აჩქარებაც შავ ფიქრს იწვევს, მოულოდნელი შენელებაც. ის პატარა ხელი კი რაღაცა ჭადოსა ფლობდა, ამოუხსნელი ზომიერების გრძნობა გააჩნდა. იმოდენა კაცები ისე ჩაჰყავ-ამოჰყავდა, თითქოს აცვანში ანანავებსო. იმ კაცებსაც ისეთივე ამოუხსნელი სინაზის გრძნობა უჩნდებოდათ პატარამტვენიანი ხელისადმი, მაგრამ სააქაოში დაბრუნებულები ჯიხურთან მისვლას ვედარ ბედავდნენ, შორიდან შესცქეროდნენ და იმ სინაზის დასახარჯავად თავთავიანთ ცოლშვილში მისვლას ეშურებოდნენ.

სიტყვას ერთი დაბადება უჭირს ხანდახან. მერე ზეგვივით იცის აგორება... — არ აპირებს იმ გოგოს შერთვას? ისე იკითხეს, პაწიამტვენიანი ხელი თვალში ედგათ ისევ.

— შერთვას კი არა, გვარის მიცემასაც არ აპირებს.

გვარისა ჯერ არაეინრა იცოდა, მაგრამ ზეგვი რის ზეგვი, თუ გზად არაფერს აიკრავს, არ გაბეგრდება, არ გაზევდება.

სამუშაოდან დაბრუნებულებმა, ზოგმა თავი გააქან-გამოაქანა, სხვამ ყრულ ამოიოხრა და მუხლისთავებს დახედა, მაგრამ თითოეულმა რაღაცით შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, თითქოს მალალოს თხოვაზე უარის თქმა პირად ეხებოდა თითოეულს.

გუჯო იმ უბნის უფროსი იყო, ხადაც დღე-ღამეში ოთხჯერ ჩადი-ამოდოდნენ გვირგვამყვანები, რადგან ოთხცვლიანი მუშაობა იყო. მეგალამბრეებიც ამდენჯერვე იცვლებოდნენ, მაგრამ ხში-

რად ერთმანეთს იმისდამიხედვით, ველიდნენ მორიგეობას, ვის თავს ვისი ოჯახი როდისა თხოულობდა აუცილებლად.

იმ დღეს გაიღმასებულმა ზაირამ მალალოს დედას მეოთხე ცვლა მეორეში შეუცვალა, იმ სიშორე გზაზე ღამე მარტო ვერ ვივლიო.

ხუთიოდე მეტრიღა აკლდა ბადიის სამქვეყნოში ამოსვლას, როცა დენი გამოირთო მოულოდნელად და ბადია სახრჩობელაზე ჩამოკიდებულივით ერთ ადგილზე გაშვდა.

— რა მოხდაო? — შიშნარევი ხმით იკითხა ბადიიდან გვირგვამყვანმა, მაგრამ თვითონვე მიხვდა, რაც მოხდა და კარგა ხნის ცდის შემდეგ შატის თავზე მჯდომ მეთვალთვალეს შეუყვარა, — როდემდე უნდა ვევიდო აქა, ჭვევით ჩასვლას ხომ დენი არ უნდა, უთხარი, ის ზაირაა და რაღაცა, ნელ-ნელა ჩამიყვანოს დაბლა.

ბადია დაიძრა, მაგრამ როგორღაც ფრთხილად, იჭვნეულად ეშვებოდა ჭვევით.

დაბლა, სასახლისტოლა გამოქვამულში კაცის ჭაჭანება არ იგრძნობოდა. თხუთმეტი და ოცი მეტრის სიმაღლიდან მოჩხრიალე ყამირის წყლებს ხმა სიბნელეში უფრო ძლიერად და ავისმომასწავებლად ჭქუნდა გვირგვამყვანს ჯიხურში ფარანი არ ჰქონდა და ვიღერე ჭვევით ეშვებოდა, მთელი გზა იმაზე ფიქრობდა, სიბნელეში სანიშნებელ თოქს ვერ მივგანებო.

სანიშნებელი თოქი ვის რად უნდოდა, ბადია უნიშნებლადაც ზუსტად თავის ადგილზე ჩერდებოდა. მაგრამ გვირგვამყვანი ახალბედა იყო და შიშნაჭამივით აწრიალდა, გადმოსახტომად აჩქარდა და მოულოდნელად ფეხი გადაიბრუნა.

კაცმა უნებურად დაიკვნესა. უცებ, დაბრუნებულივით განათდა და მამინვე თავზე გუჯო წამოადგა. რეზინის ჩექმა გახდა, თავიდან პლასტმასის მუშარადი მოაძრო, კლდის ნაყურით გაავსო, კოჭ-გასიებული ფეხი შიგ გვერდულად ჩაა-

ყოფინა და თვითონ სანიშნებელ თოკს სამრეკლოს ენაზე გამოხვეულივით დააწყებინა რეკვა.

დამხმარე გვირაბიდან „ბელაზის“ ფარებმა შემოანათა, გზაზე ჩახიდული ხუთტონიანი ჩამჩა დაინახა და გაჩერდა. გუჯომ ჭერის ენქულში განაბულ ამწეს ახედა. დაძახებით რას გაავიწყებდა, პირველ აგრეგატთან ელექტრობურლი კლდეს ჩამოსაკრელად ეკიდებოდა და ისე დაქანებული გრიადებდა, იქაურობას აყრუებდა უბნის უფროსმა მადლა აწეული მკლავები გადაავარდინა და ჩიტისბუდესავით მივრულ კაბინას ანიშნა, წამოდიო.

გრძივი კლდეების გასწვრივ, ჭერთან სავანგებოდ დატოვებული კლდის თაროებზე გამოსრიალდა ამწე. ქვეითურებს ზევიდან, როგორც მთის წვერიდან, შედიდურად ჩამოხედა, დაგრეხილი რკინის თოკები ორმოც მეტრამდე დინჯად ჩამოაგრძელა, ჩამჩის კაუჭს წამოსდო, ქორჩაგან გატაცებულ წიწილასავით აპროწილა და ბავშვის სათამაშოსავით მსუბუქად ვადაადგილა, ბეტონით ძარასავსე მანქანას გზა გაუნთავისუფლა.

გუჯო ისევ სანიშნებელ თოკს მიუბრუნდა, შახტის თავზე ჩამავრებულ ზარს გაბმული წკრიალი დააწყებინა.

ორი და სამი ზარი მასალის ატან-ჩატანის ნიშანი იყო ოთხი და ხუთი — ჩალხის აყვან-ჩაყვანისა, რეაქერ დარეკილი ზარი მიწისქვეშა დარბაზში მომხდარ ავარიას მოასწავებდა (მტრისას და ავისას). კლდიდან მომხრიალე წყაროებმა ათჯერ აუწყეს მთაში თოვლის დნობა, მაგრამ ამ ათ წელიწადში აქაურებს ერთხელაც არ დასჭირვებიათ ასორმოცდაათმეტრიანი თოკის რეაქერ ჩამორეკვა. და მაინც საჯალამბაროში წითელ დაფაზე თეთრად აქათათებული რკინის შიშის ზარად ურბენდა სხეულს.

თოკმა შახტის თავზე შემომჭდარ მეთვალყურეს სწორედ ის რვა დაათვლევიანა, მეთვალყურის ჩექმებმა კოშკის რკინის საფეხურები ბრავა-

ბრუვით ჩამოათავა და ამწეებზე მანქანო განყოფილების კარს მიადგა. ბაღია კი არ იძროდა და არა.

ღრუბლიან ცასავით უფერულ თვალეში რისხვამ იელვა. უბნის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელს გაავებული მიუბრუნდა: „ახლავე ქლაწერე სამმართველოში წერილი, დღევანდელ მორიგეს სასტიკი საყვედური გამოუცხადონო!“

— რაკი დენი გამოირთო, იფიქრა დაიგვიანებსო და იმის იმედით გაქიდოდა... — წაიბურტყუნა ნირწამბ, დარმა მწარმოებელმა.

— მაგის იმედით დარჩენილემს ჩვენ აქ სული ამოგვეკრება! — სილასავით გადაწნა უფროსმა უმცროსს, მერე ფეხგადაბრუნებულს ყინულოვით ცივ წყალში დასველებული წინდა კოჭზე დაადო, სხვა არავინ გაიკარა, ძველი ფეხბურთელი ვარ, ჩემსავით არავის გეცოდინებათო, საკუთარი ცხვირსახოცით შეუკოკა, „ბელაზის“ კაბინაში ჩაისვა და სამამეტრიანი გვირაბით საამქვეყნოში გამოიყვანა.

სამუშაოთა მწარმოებელმა ბეჯალამბარის ვინაობა მორიგეების განრიგის მიხედვით დაადგინა და სასტიკი საყვედური მაღალის დედას გამოუცხადა.

უბნის უფროსმა თვალებს არ დაუჭერა, როცა ბრძანებამის დაგვიანო ამოიკითხა.

ლამის ათი წელი თავდებოდა, რაც იმ ქალთან ერთად მუშაობდა და ერთ შემთხვევასაც ვერ გაიხსენებდა, მისი ხელი ათი წამით მომთრებოდა ბერკეტს.

სამუშაოთა მწარმოებელი საყვედურ-გამოცხადებულთან გაგზავნა: რა მოხდაო?

კაცი ამწე მექანიზმების სამმართვე განყოფილებაში გაწბილებული შევიდა, რადგან უკვე იცოდა, სად შეცდა. თავდახრილმა მოიბოდიშა, როგორმე გამოვასწორებო.

— თუ ღმერთი გწამთ, ნურაფერს შეცვლით, — მაღალის დედამ იმ თავისმა ნეტარების ღმირმა გაუნათა სა-

ხე, — იმას თავისი ცა ჰყოფნის: ზემომთიდან ჩამოსულმა შოფერმა, მთელი თვე ღამის ცვლაში მანქანით, ატარა. ატყუებდა, მარტოხელა ვარ და ცოლად შევიერთავო. ბოლოს ისევე თავის ცოლ-შვილში დაბრუნდა. საყვედურის თაობაზე ნურაფერს ეტყვი.

— მერე თქვენ?

— მე არაფერი დამიშავდება. ის კი სამუშაოზე ისედაც გულაყრილია. მორიგეობითაც ერთ ხანს ჩვენ ვიმორიგეებთ ჭერ-ჭერით.

\* სამუშაოთა მწარმოებელმა მადლობა გადაუხადა და ბაგეს კლიტე დააქდო... ხეებქვეშადადგულ სკამებზე ჩამოსხდრებმა ლოყაზე იტყვიეს ხელი.

— გაიგეთ, იმ გულქვეს ჭერ საყვედური მიუცია, ეტყობა თავიდან მოშორებას უპირებს.

სამუშაოდან დაბრუნებულებმა ნავახშმევს კოპები შეიკრეს.

— ის კოჭამოვარდნილი ჭანბუნქტში იმიტომ გააქანა, უბანზე შემთხვევად არავის ჩაეთვალა იცოდა ლოყას არ დაუკოცნიდნენ.

სიტყვამ სიტყვა მოიტანა. ერთის გულში ჩადებულმა ჭავრმა სხვისა გულში იბარტყა. ქალებმა სალაში გაიძვირეს, კაცებმა მზერა გაიმრუდეს.

მთელი დღის ნაჯახირებმა შხემ ბოლოს მაინც მოახერხა და საწვიმრად მოჭუფრული ციდან გამოსათხოვრად გამოაჟყიტა. ერთი სხივი მღვრიე გუბეში ჩაუფარდა. გუბე ვერცხლგადაცილებულ სარკესავით ბუნდად ირეკლავდა თავდაყირაჩაყუდებულ, უკარფანჯრო კედლებსა და ხარაჩოებს.

მაღალის მშა ტალახსა და გუბეებში უგუნებოდ მოაბოტებდა წვიმა არ უყვარდა, ღრუბლიანი ცა ცოლის გაქცევას, გუჯოს გამოხუნებულ თვალებსა და მაშინდელ ღამეს ახსენებდა.

...სადაც ჩამოვარდნილმა მეხის ხმამ გამოადგინა და მაშინვე დედის ჩურჩული გაიგონა:

— მაღალი!

დერეფანში მიმავალი ნაბიჯების ფა-

ჩუნნი ზედ კართან შეწყდა, თეფქაში მოხუცდა.

— მაღალი! — ხმის ამღვლევის ნაცვლად უფრო დადაბლდა ჩურჩული-სადარბაზო კარიდან ნაბიჯები დედის ოთახისაკენ წამოვიდა და ახლა იქ შეჩერდა.

— მაღალი!

ძმამ აშკარად გაიგონა, როგორ მოწყდა გოგო ადგილს, დედის საწოლთან მიიჭრა და კი არ დაიჩოქა, დაენარცხა მუხლებს.

— მაღალი, მაღალი...

როგორდაც საწყალობლად დაიჩურჩულა დედამ, თითქოს წელანდელი შემფრთება და ავისმოლოდინი უკვე ნამდვილ სიძვედ ექცა.

ძმამ კისერი დაიგრძელა, მაგრამ რაკი ჩქამი აღარავინ გაიღო, ფეხზე წამოდგა.

ირველივე გამეფებული უკუნი დილაზე დაკვირამ გააქრო.

დედის მეგრულში თავჩარგული მაღალი სინათლემ ელდანაკრავივით შეაქროთო. მხრებზე ჩამოშლილი თმა სპილენძისფრად აბზინდა. დედამ დაბნეული მზერა კაცს შეანათა და თმაჩამოშლილ თავზე გადასასხელად აწეული ხელი ჰაერში შეაჩერა.

— რა იყო, რა მოხდა? — ისე იკითხა ძმამ, პასუხს უსათუოდ დისგან მოითხოვდა.

ღას მხრები ციებიანივით უკანკალებდა. მხრებზე გადმოყრილ, იატაკზე ბოლოვებდაფენილ თმაზე სპილენძისფერი ანარეკლი ცოცხალივითა თრთობდა.

— აღარ იტყვი, რა მოხდა?

— არაფერი, მაღალი იმასთან აპირებს წასვლას.

უკვე გადაწყვეტილივით თქვა დედამ და ისე უცებ გაუქრა ის დაბნეული გამომეტყველება, თითქოს მისთვის ყველაფერი გასაგები გახდა, თითქოს მაღალის ამღამინდელი წასვლაც ზეცაში იყო გადაწყვეტილი, იქიდან იყო მოვლენილი და დედას დამორჩილების გარდა, აღარაფერი რჩებოდა.

„სულ მიდისო?“ — კინაღამ წა-

მოსცდა ძმას, მაგრამ დროზე გააბრუნა სიტყვა. „სულ“ ასე არ მიდიან — შუალაშე მოტანებულზე, სინბნელემომატებულზე. სამუდამოდ წამსვლელები გრძელ, თეთრ კაბებს იკერავენ, თავსაც თეთრით იბურავენ. მერე წითელ და ცისფერ ბაფთებით მორთულ მანქანებში სხდებიან და საყვიარიალბებული მანქანით მთელ დასახლებას ხან ირგვლოვ უვლიან, ხან გარდი-გარდმო სჭრიან. ხელიხელჩაკიდებული გოგო-ბიჭები მანქანას გზაზე მენჩერ ღობეებივით ეღობებიან. მერე მანქანიდან გადმოყრილ ხურდა ფულსა და კანფეტებს ჰილყვავებივით ესევიან, ჯიბე-უბეებს იფხებენ და სიცილ-კისკისით ახლა ზევით გარბიან, რათა სხვა მოსახვევში დახვდნენ და გადაუდგნენ. ასეთ მანქანებში ხელგამოღობები, ბედნიერებითა და სიხარულით შემთვრალეები სხედან — ხელიხელჩაკიდებულები, სიყეთის უხვად მომყვნი.

„სულ“ წამსვლელები ქურდულად კი არა, აშკარად მიდიან. ასეთი ლამაზი „სულ“ წასვლა სიცოცხლეში ერთხელა ხდება..

ძმას უცებ გული ეტკინა, რომ მის დას ასეთი „სულ წასვლა“ აღარასოდეს ეღირსებოდა; გული ეტკინა, რადგან იცოდა, ეს სუსტმხრებიანი გოგო ამ მოულოდნელად აფეთქებულ სიყვარულს რა ხანია თავგანწირულად, მაგრამ უშედეგოდ ეომებოდა..

ძმამ თავისზე ბევრად უმცროს დას ათრთოლებულ მხრებზე ხელი მოხვია, თავი ააწვინა და თვალებში ჩახედა. გოგომ ძმის მზერაში კითხვაც წაიკითხა: „რად მიდიხარო და მუდარაც: „ნუ წახვალო“.

— დამიძახა.

დედას საბანზე დაუვარდა ხელი. ძმამ უკან დაიხია.

იატაკზე ჩაჩოქილი გოგო თავზე წამომდგარ ძმას ქვევიდან შეჰყურებდა. რაღაცა არააქვეყნიური, თითქოს შინაგანი შუქით განათებული თვალებით შესტყვროდა. ის შუქი სახესაც უსხივოსნებდა, ისე, როგორც დიდ სურათს

ჩარჩოსშეფარებული ნეონის ნათურის ნათურის დაგიძახა, როგორ თუ დაგიძახა?

— ახლა, ამ წუთში.

დედამ და ძმამ ერთმანეთს გადახედეს.

— მოგჩვენებოდა მალალო, თორემ იმ ძახილს ჩვენც ხომ ვაგიგონებდით, — ისე ტკბილად დაუყვავა ძმამ, როგორც მაშინ, პატარაობისას, შუალამისას რომ ატირდებოდა ხოლმე: „დედა მინდაო“, როცა დედა მორიგებოდა.

— არა, დამიძახა, ავად არის და იმიტომ დამიძახა.

— ამ საღამოს საღსალამათი იყო; როდის მოასწრო ავად ვახდომი? — დაიწურჩულა დედამ, მაგრამ ვეღარ გაუძალიანდა, რადგან გოგომ ისე დაჯერებითა თქვა, როგორც ღრმდამორწმუნე მლოცველი ღმერთის ნათქვამს დაიჯერებდა. მალალოც მლოცველსა ჰგავდა. მუხლზედღაჩოქილი, თმაჩამოშლილი, არაამქვეყნიური შუქით გასხივოსნებული და დაჯერებული, ძალიან დაჯერებული, რომ იმ კაცს მისი მისვლა სწორედ ახლა სჭირდებოდა და სწორედ ახლა უნდა გამოსდგომოდა.

მხოლოდ მეთრე დღეს გაიგო მალალოს დედამ, რომ მისი შვილი არა ცდებოდა და იმ საღსალამათ კაცს შველა სწორედ შუალამემოტანებულზე ეჭირებოდა. მოულოდნელად სიცხეს ისე აეწია, ბოდვა დაეწყებინებინა და პირგამომშრალისათვის ერთი ჭიქა წყალი სანატრელი გაეხადა.

გაიგო და ირწმუნა, რომ მისი შვილის იმლამინდელი წასვლა (ნატზე გადაცემულივით და მთვარეულივით რომ წავიდა) კამი გადაწყვეტილი ბედისწერა იყო, თორემ სხვანაირად ის ერთი ციდა გოგო ისე როგორ იგულთმისნებდა და იმკითხავებდა.

ძმა კი მისმა დიდმა სიყვარულმა გააოცა, ერთხელ უთხრა კიდევ გულნაკლულად, გულშემატკივრულად!

— მალალო, უკვე რამდენი ხანია დამიძახარ კაცთან, რომელსაც მაგოდენა სიყვარულის გაზიარების უნარი არ აღმოაჩნდა.



— არ შეუძლია და იმიტომ.

— ბრმაო რასა სწივებარ და ორთავ თვალსაო, — ძმას წყენა სხებზე დაეტყო — მეც მაგას ვამბობ, რომ უგონობა და სიყვარული არ შეუძლია.

— სიყვარული შეუძლია, ოღონდ ჩემი არა.

— რატომ? — იმ წყენამ ხმაშია ც ვამოყენა.

— სხვი უყვარს და იმიტომ.

— ამდენი ხანი?

— ამდენი და კიდევ მეტი.

— წარმოუდგენელია!

— რათა? თუ ჩემი სიყვარული „ამოდენაა“? იმისი ჩემსაზე ორჯერ მეტი ხნისაა.

— ჩვენ საუკუნეში მასეთი სიყვარული შეუძლებელია.

— რატომ? საუკუნე რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ პროგრესი თუ გონების ამდიდრებს, გულისა და გონობების ხარჯზე ამდიდრებს. ადამიანის ფსიქოლოგიას ჩვენ ყველაზე მარტივად მხატვრული ლიტერატურა გვასწავლის. აბა დამისახელე ერთი თანამედროვე გმირი, რომელსაც გოლზუორთის პერსონაჟივით ოცი და მეტი წელი ჰყვარებოდეს ქალი. ცალი ხელის თითებიც გეყოფოდა იმ წლების ჩამოსათვლელად, რამდენ ხანსაც შეუძლია შეყვარებულობა ახლანდელ ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მეტისათვის აღარა ჰყოფნის ემოციები.

— შენ სწორედ ჩემს აზრს ადასტურებ, — მშვიდად თქვა ქალმა.

— როგორ თუ შენ აზრს?

— რომ გუჯო იშვიათი გამონაკლისია. შენი ლიტერატურა კი ტიპურს ეძებს. თათქარიძე ერთადერთი რომ უთვლიყო, „კაცია ადამიანი“ აღარ დაიწერებოდა.

• • •

ტიტე მიქეა იმ ადამიანებს ეკუთვნოდა, ვინც ამქვეყნიური სამოთხე შრომით კი არა, გაიძვერობით ვინმე და.

კარგა ხნის წინათ, როცა მშენებლობაზე ძალი პატრონს ვერა სცნობდა და ყველა თავის ქეიფზე ირჯებოდა, ერთი სამმართველოს უფროსის მოადგილეობა ჩაიგდო ხელში. ერთნი ამბობდნენ, იყიდაო, სხვანი — მაშინდელი უფროსი რაღაცა ავ საქმეზე გამოიჭიროა.

ერთმა ღმერთმა უწყის, რაგორ მოხდა, რომ კაცი, რომელიც ვერც ნახა-ზებში ვერკვოდა და ვერც მშენებლობის საკითხებში, უფროსის მოადგილის კაბინეტში გამოიჭიროა.

იმ მოვალეობისა კი, რაც სამეურნეო დარგის ამ უფროსს ეკისრებოდა, არც ღმერთმა უწყოდა რაზე და არც კაცმა.

ოფიციალურად ავტორტანსპორტითა და მისალეებით მშენებლობის მომარაგებისათვის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კიდევ სხვა უამრავი დარგებისათვის უნდა გაეწია ხელმძღვანელობა, მაგრამ ოფიციალურადაც და არაოფიციალურადაც ყველა ამ საკითხზე პასუხს უშუალოდ განყოფილებების უფროსები აგებდნენ და საქმეებსაც ისინი აგვარებდნენ.

ტიტეს არავინ არას ეკითხებოდა.

მაგრამ ტიტემ იმ წლოვანებას მიადგინა, როცა პატივმოყვარეობის ჭია განსაკუთრებით აქტიურდება, როცა კაცი თავხაც და ქვეყანასაც (უმთავრესად უსაფუძვლოდ) არწმუნებს — მეც რაღაცას წარმოვადგენ და უჩემთა უთუოდ დააწინდებოთ ამ სოფელს. კაცი სა მოქმედო ასარებს ეძებდა და რაკი საყოფაცხოვრებო საკითხები მის მოვალეობაში შედიოდა: მიღწეა გაიჭურდებოდა, ლოთები ასტეხდნენ შფოთსა, ცოლები მიუჯარდებოდნენ ქმრების საყვარლებს თუ მებობლები უჩივლებდნენ ქვრივსა და უქმაროს: კაცები დაუდით და შვილები გვერყვნებაო, ყველა საკითხს დიდი გულმოდგინებით იხილავდა.

ხედავს თავმჯდომარეობაში არამკითხე

მოამბენავით სწორედ ტიტესთან მიიტანეს თხოვნასავით დაწერილი საჩივარი. ეს ვაიგულშემმატოვრები ეგება კიდევაცა სცდებოდნენ, მაგრამ რასაც აკეთებდნენ, სიკეთის სახელით აკეთებდნენ. ტიტეს კი გუჯრასავით შრომით წინ წასული კაცი ისევე სძულდა, როგორც საჭურისის სრულყოფილი მამაკაცი.

სამშარაველოს უფროსთან ვაითმაგებული სია შეიტანა, ხალხი დღლავს და საქმე უნდა განვიხილოთო, უფროსს ქვესადგურის აბურდული ნაბახისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე დაუქნია თავი, განიბილეთო.

• • •

— ბიჭო, თენგო, ნიჩაბი რეიშინა ხო არ ღრის, თარახულად მუშაობდეს, დაყირავე ცოტა.

— ბიჭო გოგიავე, არც შენა ხარ საჩურჩხელე ნიგოზი, ბეტონში რომ ამოვლებულხარ.

— თათარაში შეგეშალა, ბიჭო? — ჩაეძია ნიკო.

— რა ჩემი ბრალია, ბეტონია თხელი

— თხელი იმიტომ არის, არმატურებს შორის დარჩენილ ყველა ხვრელში იოლად შეძერეს, შენ ჩაძვერიო შიგავინ დაგავალა?

— გრავიტაციული, მე ეგვიპტის პირამიდებზედ დიდქვიანი კედელი ვიცოდი ეს წყალივით ბეტონი რამ ვაავრავიტაციულა, — ივითხა მეოთხემ.

— მანდაც საკუთარ წონაშია საქმე. გეოლოგი, საკუთარი წონით შემქიდროვდება. შენ მაგას რას გუჯებ, აპა, წერაქვი, წადი, კლდეს მიუთაკუნე, — ურჩია ვიდაცამ.

— ქვრივის კარზე შუალამით მისული სტუმარივით, არა? — გაიციხა თენგომ.

— დააკაუნებს და მიიყურადებს, თითქოს ეშინია, მეზობელმა არ გამოიხედოსო.

— შენ თუ იცი მაგ ნიჩაბს ისე ვერ დაიქერდი, თეორიული მექანიკა და ნა-

შენთა სტატკა რომ არ გეზუთხა შეეკითხა გეოლოგი.

— გოგი, თუ ძმა ხარ, მაგ ბურღიანად გადაღებული სურათი გაუგზავნე მამაშენს: ჯერ ინსტიტუტი არ დაგემთავრებინა და უკვე მშენებლობის უფროსობას რომ ვიპირებდა.

— რას გვერჩი, ძმისავე, იწყინრებად თუ არა, მუშებად ხო ვივარკეთ. კარგი მუშა იწყინრზე სამჭერ ძვირად ფასობს ახლა.

— ჩუ, გუჯო მოდის.

— კი არ მოდის, მოლასლასებს, გაჯავრების თავი აღარა აქვს. მეორე დღე ლამდება, აქედან ფეხი არ მოუცვლია. მეორე დღეს ცხრა მაისი ვათენდებოდა.

საგენერატორო სადგურში შემწოვი მილის კონუსური ნაწილი ბეტონდებოდა. ათასკუბიანი კონუსი ისე უნდა დაბეტონებულიყო, ბეტონი ორი საათითაც არ შეწყვეტილიყო, თორემ თუ პირს შეიკრავდა, შრეებად დაბეტონებული გამოვიდოდა, ბზარებს გაიჩენდა და მონოლითურობა დაეკარგებოდა. რაკი რვაში კვირა დღე იყო და ცხრაში უქმე, აღრევე უნდა მოეყვანათ საქმე დამში, მაგრამ წინა დღეს ცვლის ოსტატი სადაწნო მილსადენის დაბეტონებას დაშურებოდა, თხელი ბეტონი იქ ჩაესხა და შემდეგი ცვლისათვის დაუმთავრებელი კონუსი დახვედრებინა.

ერთი ცვლისა კი არა, ერთი დღის საქმე იყო მოსათავებელი. მომთავებელი კი არსადა ჩანდა. იმ ცვლის ოსტატმა უბნის უფროსს საღამო ხანს მოახსენა, ხვალისათვის მუშებს ველარ მოვავროვებ, ბედნიერი დღის გასატარებლად თავ-თავიანთ სოფლებში დაიქსაქსნენო. ეს მუშები დღისით მეგვირაბეები იყვნენ, სახლში დაბრუნებისას გლეხები ხდებოდნენ და ეზო-ყურეში ბალ-ბოსტნებს ამუშავებდნენ.

უბნის უფროსმა, რაც უბანზე იწყინერ-ტექნიკოსები იყვნენ, ყველას მოუყარა თავი. ზოგს ნიჩაბი შეაჩეჩა, ზოგს ჩაქუჩი და წერაქვი, სხვა ბეტონ-

სარეგ ქვაბსა და ბეტონის ღარს მიუჩინა. ორ-ორი ცვლა ზედიზედ ამუშავდა, ის ახალბედა ინჟინრები მანაც ძვირადღაწირავებული მუშახელივით უმოწყალოდ გასარჯა, ლამის არაქათი გამოაცალა და მანაც ვერ გააჩუმა, ობუნჯობა და სიცილ-ხარხარი ვერ მოაშლივინა. უყვიროდა, მავაზე ნულარა. ხარჯავთ ენერჯიას, ისედაც მისაგათებული ხართო, მავრამ არაფერი გასდიოდა.

— გოგი, მანქანა ზედა სართულზე შემოვიდა. მიხედე, ნომერი ჩაიწერე და აღნიშნე მერამდენე გზობაა.

გოგიმ მებანძრის კიბესავით დაეყუდებული საფეხურები თვალისდახამხამებაში აირბინა.

— თქვენა გთხოვენ, გუჯო!

— ჰკითხე, რა უნდათ.

— პირადად უნდა გადავცეთო.

— ბაღია ჩამომამშვებინე, კიბეზე ამოსვლის თავი აღარა მავქეს.

მანქანიდან ადვილკომის თავმჯდომარე გადმოვიდა.

— გუჯო, ტიტე მიქავა გთხოვს.

— რა უნდა?

— ამხანაგური სასამართლო უნდა დაენიშნოთ და...

— რა მესასამართლოება, თუ ღმერთი გწამთ, თვალეზში ციციხათელები დაფრინავენ. ვისმა მუშამ დააშავა? მისი ცვლის ოსტატი გამოიძახეთ.

— არა, თქვენი საკითხია... — ნაყუნუყით წარმოთქვა თავმჯდომარემ. გუჯო ნამთვრალევივით გამოფხიზლდა.

— ჩემი?

— დიახ.

— რა დავაშავე?

— ბავშვზე გიბარებენ.

— ბავშვს რა სჭირს გასასამართლებელი?

— არა, ბავშვს კი არა...

თავმჯდომარეს ხმა ჩაუწყდა.

გუჯოს ჯანუნიტის დაბნეული თანამშრომლები წარმოუდგა თვალწინ. წინა კვირას ბავშვს სიციხემ აუწია. რამდენჯერ დარეკა, ადვილზე ვერაინ დაიჭირა. გააღმასებული მიუხტა, დიდიან-

პატარია, ყველას უთხრა: <sup>მედიკალიზაცია</sup> თვითონ უნდა გეძებდეთ?

— რა მოხდა, ვინა ჩხუბობს, ვინ არის ავადმყოფი? — მშვიდად იკითხა სასწრაფო დახმარების მანქანით დაბრუნებულმა ბავშვის ექიმმა.

— გუჯოა, — ბოლმით სავსე ხმით უბასუხა ექთანმა.

— რა მოუვიდა ამ კაცს?

— კაცს კი არა, პატარა გუჯოს. დიდმა გუჯომ ზედ აღარავის შეხედა და ექთანთან ერთად შენობიდან გავიდა.

(დიდმა გუჯომ არაფერი თქვაო, მეორე დღიდან პატარა გუჯოდ შინაათლა ბავშვი).

„ნუთუ ექთანებმა მიჩივლეს, დაგვლანძლო“, — გაიფიქრა უბნის უფროსმა, — მაინც რაზე მასამართლებთ? — ღრუბლიან ცასავით ღია ფერის თვალები რისხვამ ჩაამუქა.

ადვილკომის თავმჯდომარე აიწურა.

— იმ ქალის შერთვავზე უარს ამბობსო და...

— თვითონ იჩივლა? — რისხვა გოცებამ დაჯახა.

— არ-რა... — აბლუკუნდა თავმჯდომარე. — საზოგადოების აზრია.

— ქალს თუ ჰკითხეთ, მომყვება თუ არა?

— არა, ჯერ არ გვიკით-თხავსო...

— ჰოდა, აქედან გამეცალე, სანამ ამ დაალმასებულ ბიჭებს ადვირი არ წაურთმევიათ ხელიდან!

როცა მანქანა ქვადადვენებულივით გაიქცა, გუჯო წრედშემორტყმულ ბიჭებს მიუბრუნდა:

— მე დაგააღმასებთ თქვენა, დაიშალენით ახლავე!..

• • •

ბალიშზე თავის დადება ძლივს მოასწრო, უცებ მოერია რული, ტენის რომელიდაც უჯრედმა მაინც მოასწრო და წვრილმკლევა გოგოს სახეზე გამოსტაცა წარსულს.

— ლელა...

თრთოლვით ჩაიჭურჩულეს ტუჩებმა და ძილმა თავისი გაიტანა.

ძილშიაც ესტუმრა ლელა გუჯოს.

ცისფერი კაბით მოვიდა თვალუწვდენელ მინდორში. შორიდან მოდიოდა, ყაყაჩოების ყანა ზღვასავით აღელვებდა. მოდიოდა და იმ წითელი ზღვის ტალღებს მოაგორებდა. ცისფერი კაბა მუხლისთავეებს ძლივს უფარავდა წეროებივით გრძელფეხა ყაყაჩოები კისერს იგრძელებდნენ და მუხლისთავეებს სიფრაფანა ფურცლებით ეგლასუნებოდნენ. წარბშეყრილი მოდიოდა, გაჯავრებული. შორიდანვე თითის ქნევით ემუქრებოდა, რათა სცემეთ ჩემს ბიძაშვილს.

„ხელგაყრილი მოგყვებოდა და აბა რა უნდა მექნა?“ — ფიქრობს გუჯო, მაგრამ ხმაბაღლა ვერა ბედავს.

— გეფიცები, არ ვიცოდი ბიძაშვილი თუ იყო, — ბავშვივით იმართლებს თავს და წითლდება.

ნამდვილად არ იცოდა, მაგრამ კიდევაც რომ სცოდნოდა... მეერ რა, რომ ბიძაშვილი იყო. მკლავის მკლავში გამოდგება მაინც რა უბედურება იყო, იმ მკლავების შეხება...

— გეფიცები, გეფიცები, — აჯავრებს ლელა და კოპებს მაინც არა შლის.

გუჯო გულში ამბობს: „ჰო, შენს თავს ვფიცავო.“ — მაგრამ ხმაბაღლა არ იმეორებს. ეშინია გახმოვანებამ არ გააუხეშოს ეს ლოცვასავით წმინდა ფიცი თვალბეზე დაიწერს და თუ ლელას უნდა, იქ წაიკითხოს. მაგრამ თვალეები მუხლისთავეებისაკენ გარბიან, გათავსებულნი ყაყაჩოები რომ ჰკოცნიან თავდავიწყებით.

ხელნაკრავივით გამოედგობა, პირგამშრალს, ტუჩებგაფიცებულს.

„როდემდე? სადამდე?“

სასოწარკვეთით დაიჭურჩულა და მუშტი ბალიშს დაუბრაგუნა.

— არ უნდა გაუვიდეს ყავლი? არ უნდა დამადგეს საშველი? ცხრა წელი გავიდა, მიწისქვეშ გატარებული ცხრა გრძელი წელი... — თქვა ხმაბაღლა. ისე-

თი გაბრაზებული ხმითა თქვა, შეეზარდა ავტორდებით და მაშინვე მოიწმინდა დაწვზე დაგორებული ერთადერთი ცრემლი.

შიოდა. საშინლად შიოდა. მთელი დღე და ღამე ხემსჩაუდებელი იყო. წელან ძილმა თავი წაართვა... წამოდგომა დააბირა, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ სიზმარში ნახული მინდორი სინამდვილეში არსებობდა. ან სადაური სიზმარი იყო, ასე ცხადსდამსგავსებული სიზმარი კი არა, იმ დღეს სწორედ ცისფერი კაბით იჭდა ლელა იმ ყაყაჩოებში და სიცილით ამბობდა: — შეყვარებულის შინ გასაცილებლად ვატმანს შუალამისას თავისი ტრამპეი გამოუყვანია პარკიდან, რადგან ტაქსის ფული არ ჰქონიაო. ნანობდა, აფსუსს, დამაფიწყდა ლექსში ძალიან ლამაზად იყო ნათქვამი:

— ვთქვათ, ხულიგნობაა, მაგრამ, ქალებო, გულახდილად თქვით, რომელ თქვენათგანს არ გაუზარდებოდა, თქვენი სიყვარულისათვის გატაცებულ ტრამპეის ზარს ჩაძინებული ქუჩები შუალამისას აეხმაურებინა, სიზარულის ყიჟინა აეტეხა, სიყვარულის აღტაცებული სიმღერა კაცს იმ ზარისათვის ეთქმევინებინაო.

გუჯო თვალს ვერ აშორებდა ცისფერ კაბაზე დახატულივით მიკრულ, ზედ მკერდზე თავდაბრილ ყაყაჩოს.

— იცი, გატაცების ამბავი ავტორს გაზეთში წაუკითხავს. ვატმანისათვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯიათ... — როგორღაც ჩამქრალი ხმით დაასრულა ამბავი ლელამ.

გუჯოს გაეცინა.

— ნუ კი იცინი, აღარ გამოიყვანო იმ გარაჟიდან მანქანა. ერთხელაც იქნება ის ყარაული თავს აღარ მოამძინარებს და ჩაეარდები.

„არ ჩავეარდები, არასოდეს არ ჩავეარდები, შენი სიყვარული ავგაროზივით დამიხსნის მუდამ“ — გააფიქრა გულში.

— კარგი, ლელა, როგორც შენ გინდა, — თქვა ხმაშალა.

— ყოველ დღე მაინც ნუ გამოიყვან. რა ამბავია ყოველდღე სხვადასხვა მანქანით სახლამდე მიცილება.

— ლელა, მოდი შინ ნულარ დავბრუნდებით. წავიდეთ სადმე მთაში, ჩაძინებული სოფლის ჩაძინებული მდივანი ვავალიძოთ და ხელი მოვაწეროთ.

— ჩაძინებული სოფლის ჩაძინებული მდივანი, — იცინის ლელა. — ფხიზლებთან საქმეს ერიდები? მოდი, წავიდეთ, მაგრამ მაშინ... თეთრი, ვრძელი კაბა? წითელი მიხაკები და წითელი ვარდის კოკრები? გოგოების შურიანი თვალები, ჩვენ როდისღა გვეღირსებათ?

— ეგ მერე იქნება, როცა დავბრუნდებით.

— ერთ კაცთან ორჯერ მოვაწერო ხელი? თანაც მერე ის შურიანი თვალები რო აღარ იქნება? შური იტყვის: ძალით მოაწერინესო.

— კარგი, ლელა, როგორც შენ გინდა. მაგრამ დედაშენი?

— ოო, დედაჩემი ვალეძებისთანავე შენს ლანძღვას იწყებს: ხულიგანიაო, უპასუხისმგებლოო, უქნარაო, უმაქნისო, უქონელიო. მამაჩემი ღიღინებს და თვალს მიკრავს. ის კი მაინც აგრძელებს: ქვეყნის ამომგდებით, უგულოო, ავაზაკო.

გუჯო ფითრდება.

— სადაური ავაზაკი ხარ, ერთი კნაქა გოგოს შიშით, ვერხვის ფოთოლივითა თრთხარ, — იცინის ლელა.

მართლა თრთის გუჯო. დანახვისთანავე თრთის. შიშისაგან თრთის, გაურკვეველი შიშისაგან...

საბანი ცალი ხელით მოისროლა და სამზარეულოში გავიდა. ნაკლული ბოთლიდან თლილ ქიქაში ჩამოასხა ყაყაჩოსფერი ღვინო. „ეს შენი სადღეგრძელო იყოს, ლელაო“, — თქვა და გადააჭრა. მერე აზრმიუცემლად დაიწყო ჭამა.

უკანასკნელად მამის კუბოს უკან მიმავალი ნახა...

ამას წინათ დედამ უთხრა: „ქმართან

უსიამოვნება ჰქონია შეილს, შეილს გახდები მიზეზი, მაგრამ... ერთი კი არა, თოთხმეტი შეილი რომ ჰყავდეს, მაინც მოიყვანეო“.

დედამ უთხრა. დედამ, რომელიც ათას საპატარძლოში შეილის ღირსსა და შესაფერს ერთსაც ვერ აარჩევდა.

• • •

ბავშვი შეკრთა. ისე შეკრთა, ძუძუ გაუვარდა პირიდან. მაღალოს ჩრდილმა გადაურბინა სახეზე. ჩვილი მალევე წაეტანა ძუძუსთავს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ შეხტა და თავი ააღერა. მაღალო მოიღრუბლა.

გარეთ მანქანები დაჰქროდნენ. მოულოდნელად ერთმა სხვაზე მჭახედ და აყვირა საყვირი და ყურები გასჭვალა. იმ ხმამ დედაშვილი ერთდროულად შეაკრთო.

დედას თვალები გაუციცროვნდა და შეილს ძალით ჩასჩარა ძუძუ. სიხარულმა პირი გაუშრო. წყლით სავსე მოჭიქული დოქი გვერდზე ედგა, მაგრამ სანამ ბავშვი ჭამას არ გაათავებდა, წვრილად დათრთილული დოქისათვის მწყურვალს უნდა ეყურებინა, თორემ რძე გაუწყვალდებოდა. არც ტირილი შეიძლებოდა, მაგრამ, ცრემლები მძივებივით სწრაფად მოგორავდნენ დაწვებზე.

მეორე ოთახიდან მამა დანახა და თვალი ვეღარ მოაშორა. იმდენი სიხარული იყო იმ ცრემლიან თვალებში, იმდენი სიამაყე — გამარჯვებულ მხედართმთავარს შეშურდებოდა.

— რა იყო? — თვალებით ჰკითხა დას.

— უკვე ესმის, — ყელში მობჯენილი აღგზნება ლაპარაკს უშლიდა დედას.

— რა ესმის?

— გაიგო, მანქანის ხმა გაიგო...

— მერე რა, რო გაიგო?

— პირველად გაიგო ხმა...

მამა ხელი ჩაიქნია, გაიგებდა, აბა რას იზამდაო, მაგრამ დას მაინც ვერ მოსწყვიტა მშერა. უცებ გაიფიქრა,

რომ გენიოსებიც კი ვალში არიან, ჯერ ისევ ვალში არიან დედების წინაშე, რომ ვერც ლეონარდოს მადონა ლიტა, ვერც რაფაელის სიქსტეს მადონა და ვერც სხვები ვერ გამოხატავენ იმ ღვთიურ სიამაყეს, სიმშვიდეგარეულ სიამაყეს, ამ ჩვილის დედებს რომ აწერიათ სახეზე. შემოგვხედეთ ქვეყანაზე ყველაზე უმშვენიერესის, ყველაზე დიდებული ქმნილების — ადამიანის სულისჩამდგმელები ვართო.

— კარგი, რაღა გატირებს, — გაეცი-ნა ძმას.

ის შიშში გატარებული დამეები ატირებდა: ვაი თუ, ვერ ვაიგოს, ვაი თუ ვერ დაინახოს, ვაი, ვაი, თუ მენჯამოვარდნილი იყოს და სწორედ ვერ გაიაროსო. ყრუობა ხომ მუნჯობასაც ნიშნავდა. ძმას კი არა, დედასაც ვერ უტყდებოდა, ვაი თუ გონჯი და ინვალიდი ვეღარ შეიყვაროს და სხვა შეილიშვილებში გამოარჩიოსო.

— ხმა გაიგო, გვირახის ჩქაროსნული გაყვანის რეკორდი ხო არ დაამყარა, რა მოხდა, — არ ეშვებოდა ძმა.

იმ დროს დაიძახეს — მალალოს ტიტებიარებსო.

ცისფერბაბთებიან და მაქმანებიან სახევეებში გამოკრა ბიჭი და, გამოვიდა.

მთებზე გაწვირებული ტყე ჩახვეულ-ჩახუტუქებულიყო. ცალგვერდგანათებულ ხეებს ჩრდილები მეორე მხარეს დაეგრძელებინათ.

ქალი ისე ამაყად მოდიოდა, მთიან-ტყიანა თავისი ეგონა ქვეყანა. ისე ამაყად მოდიოდა, თითქოს ის მხედველობაცა და სმენაც ბავშვის პირადი დამსახურებისა და შრომის შედეგი იყო.

ტიტემ სკამი შესთავაზა. ბავშვი შეაქო. მამამისს ვაულაყდეს თავი ასეთ ბავშვზე უარის თქმისთვისო, დაუმატა და მერე საქმეზე გადავიდა: განცხადება უნდა დაგვიწეროთ, მამამისმა რომ შეგაცდინათ და მიგატოვათო.

მალალომ თავი გააქნია და მოულოდნელად თვალთ დაუბნელდა.

...მეზობლის აყვია მამალს ჯერ არ

ეყვილა. დამის ცვლაში მიმავლელი ჩემები ქუჩაში მიბრახუნებდნენ...

— მალალო, რაკი ასე მტკიცედ გადაგიწყვეტია, მაშინ მოვაწეროთ ხელი, ბავშვს ხო ვერ გავაუბედურებთ, — ჩუმიად თქვა გუჯომ.

— ეგ არ შეიძლება, — დაიჩურჩულა ქალმა.

— რატომ, მალალო?

— იმიტომ, რომ ეგ სიყალბე იქნება და ორივეს სიყვარულს, შენსასაც და ჩემსასაც ძალიან შეურაცხყოფს, — ქალმა რამდენჯერმე მოითქვა სული, სანამ ჩათავებდა სათქმელს.

კაცმა ამოიოხრა.

ქალმა გულში რაღაც გაიფიქრა, მაგრამ არა თქვა. განუძა, რადგან ხმამალა ხომ ვერ იტყოდა, ვერც ერთ წუთს თავდავიწყებისას, რომ ვერ გაიხსენებდა კაცს მალალოს ნაცვლად ლელა არ წამოსცდენოდა.

როცა თვალში სინათლე დაუბრუნდა, ტიტე თვალწინ ქალალს უბრალოდ და: ამა ნუ გააკანონიერებ შენ შეილს, მთელი დასახლება შენს გაძევებას მოითხოვს, როგორც ამორალური ქალისასო.

მალალო კედლის საათის ქანქარასავით აქნევდა თავს.

— რაკი აგრეა, ორივეს ამხანაგურ სასამართლოზე გამოგიძახებთ და იქ მოგაყოლინებთ თქვენი მრუშობის ამბავს, — თავის სიმართლეში დარწმუნებული კაცივით დაეჭაღნა მიქავა.

მალალოს რაც ძალი და ღონე ჰქონდა კარის სწრაფად გამოჭახუნებას შეალია, მაგრამ მაინც მიეწია გაკვირვებით ნათქვამი:

— ჰმ, ბუში ხელში უჭირავს და კიდევ ამბობს ბოზი არა ვარო...

დედას შვილი გაუეარდა ხელიდან.

• • •

მალალოს ბავშვი დაუვარდაო, დედა ლამის ვაეს ასწრებდა სირბილში. მოსახვევში დედამ მიქავას მოჭკრა თვალი, კლუბისაკენ მიდიოდა.

მაღალ კიბეზე ჩამომჯდარი დახვდათ.

— მაღლობა ღმერთს, რაკი დროზე ჩამომჯდარხარ და ბავშვისათვის მუხლები შეგიშველებია, — თქვა დედამ და ვაჟს მიუბრუნდა. — წადი, ჩქარა, ქუჩაზე კერძი დამრჩა და ემანდ არ დიწვის, ბავშვები უსადილოდ არ დამირჩინო.

მშვიდად თქვა. თავისებურად მორიდებით დაეძალა, როგორც იმ დამეს. მაღალის რომ გადაუდგა, მოგვლავ და არ გაგიშვებო. მაშინაც ისე სთხოვა: სინათლე ჩააქრე, ბავშვებს თვალეში უშვებავს, და გაუღიზიანებს, ნამეტნავად პატარას, სულ დაწითლებული აქვს თვალეშიო.

ისეთი დაჯერებული ტონითა თქვა, თითქოს ჭეცხნად თვალეების დაწითლებზე დიდი უბედურება აღარ დატრიალდებოდა.

ახლაც მშვიდად გაუყენა შვილი სახლის გზას და თვითონ კლუბისაკენ გაუხვია.

დარბაზიდან ისეთი გუგუნე გამოდიოდა, ეტყობოდა გაქედილი იყო. დედამ საფეხურები აათავა და დაცარიელებულ ფოიეში შეიხედა. განზე გამდგარი ტიტ პაპროსს ეწეოდა. ნამწვავი იატაკზე დაადგო და კარისაკენ წასვლა დააპირა.

„ოდინდ არ შემასწროსო“ — შემფოთებით გაიფიქრა დედამ და სარქაროდ დაუძახა, თქვენთან საქმე მაქვსო.

ძალიან ხმაბალა მოუვიდა. ხმა დარბაზში შეიჭრა და იქ მსხდომნი ყურადღებოდ აქცია. ყველამ ღია კარს გაუშტერა თვალი, საიდანაც სცენაზე გათამამებულივით მოსჩანდა, როგორ მიუახლოვდა დედა დიდდაშვიან წარმოსადევ კაცს, როგორ აიწია ფეხის წვერებზე, როგორ მოიჭნია პაწაპტევიანი ხელი, შიგ სახეში გაულაწუნა და თან მიაფურთხა.

კრინტგამქრალ დარბაზში ტყაცანის ხმა ტყვიის გასროლასავით გაისმა.

ტიტს მკვდრის ფერი დაედო. კარს

მისაჯახუნებლად ფეხი მიარტყა. ალბათ ხელში შემოაკვდებოდა პატარა დედაცაცი, მაგრამ დარბაზის სიღრმიდან მოულოდნელად ვიღაცამ დაიძახა:

— მიაფურთხე, თორემ ვერ მოიწმენდავსო.

გესლიანად დაიძახა, ნიშნისმოგებით, მუქარანარევი ზიზლით.

დარბაზმა გაუბედავად გაიცინა.

და მოხდა უცნაური რამ: ტიტემ სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაცა დაიწერა, და — უპ, რა მაგარი ხელი გქონიაო, — თქვა.

დარბაზი ხარხარმა გააყრუა. ტიტე იღიმებოდა. მარცხენა ლოყაზე პატარა მტევენის ხუთივე თითი აშკარად იხატებოდა.

\* \* \*

ორიოდე კვირის შემდეგ კლუბში მომხდარი ამბავი მშენებლობის მთავარ სამმართველოში განიხილეს. იმ დაუწერელი კანონის თანახმად, რომლის ძალითაც ხელშეხებები კაცი, ისიც საზოგადოების წინაშე ხელშეხებები, ხელმძღვანელ თანამდებობაზე ვეღარ იმუშავენდა, ტიტე სხვა სამსახურში გადაიყვანეს.

ამის თაობაზე მაღალის ოჯახმა ვერაფერი შეიტყო, რადგან წინა კვირას დედაწულიანად აყრილები სხვაგან გადასახლდნენ. მათი ასავალ-დასავალი გუჯოს მეტმა არავინ იცოდა. კიდევაც, აბა შვილის გზაკვალს ხომ ვერ აურევდნენ, ვერ დაუკარგავდნენ.

ბინის ჩასაპარებლად სახლთმმართველობიდან მოსულ კაცებს ოთახები დაგველ-დაკრიალეული დახვდათ. დერეფანში გადაშლილი რვეული ეგდო. ეტყობა, გასელის დროს დავარდნოდათ. წინ შემოსულმა გადაბიჯების ნაცვლად, ზედ ვეება ქუსლი დააბეჭდა მეორე დაიხარა და აიღო ბავშვის ხელით ნაწერი დღიური იყო. დღიურს კი არა, დიდ ადამიანთა აზრები თუ აფორიზმები. ბავშვს ასოები გულმოდგინედ გამოეყვანა:

„...უფრთხილდი მას, ვინც შენ დარ-

ტყმისას ხელი არ შემოგიბრუნა (ბერნარდ შოუ).“ ქუსლდადგმული ფურცელი კაცის გაჯრული ხელით მინაწერთა მთავრდებოდა:

„...ქეშმარიტი ადამიანის სული უღიღესი და უმშვენიერესი საიდუმლოა. ბევრი ეცადო, ვერ ამოიცნობ.

არც უნდა ეცადო!

რადგან ადამიანის თავისუფლება, სწორედ მაგ საიდუმლოებათა ხელშეუხებლობაა. თითოეული ადამიანის სულის სიმები ორდანოსავით თავისებურად, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თრთოლვითა თრთიან და ცახცახებენ. ქვეყანაზე არ არსებობს ინსტრუმენტი, სიყალბისათვის ორდანოზე უსწრაფესად იძიებდეს შურს ადამიანისათვის არ უნდა არსებობდეს სასჯელი, სულის შებღალვაზე უარესი: სულში ჩახედვა და ხელის ფათური სიკვდილის

ტოლფარდია. არა კაც ჰკლა არა ხელჱყოსაცა ნიშნავს.

არა ხელჱყო... სული არ ხელჱყო..  
ქეშმარიტი ადამიანის სული!

არა ხელჱყო...“

ბეჭედივით დარტყმული ქუსლი თანაც ზედ შემოტრიალებულიყო და ქვეშ მიწერილი გვარი სულ წაეშალა. კაცი მაინც შეეცადა ავტორის ვინაობის დადგენას, მაგრამ სწორედ ამ დროს აბაზანიდან გაჯავრებული ბუზღუნი შემოესმა:

— წყლის მიღები სულ დაუფაცხავებიათ. ერთიანად გამოსაცვლელია, მოდი, გაზომე.

კაცმა რვეული აივანზე დააგდო და თვითონ გამოსაცვლელი მიღების გასაზომად წავიდა.

აივანზე ისე საწყალობლად ჰყიოდა ფრთამოტეხილი მერცხალი, შველას ითხოვდა თითქოს...





## ბანკით სავსე გულა

მოთხრობა

— პაპა, რა ღირს საპონი?  
პატარა ბიჭმა ხურდებიანი ხელის-  
გული გაუშვია.

კოლამ მსხვილი, ბებრულად მთრთო-  
ლვარე თითებით ძლივს ააჩნია ფული,  
იქვე, ხის დაბალი მაგიდის უკრაში ჩა-  
ყარა, სანის ნაჭერი ფაქიზად გაახვია  
ხეშეშ ქაღალდში, ბიჭს მიაწოდა, თან  
თეთრ ულვაშებში ჩაიღიმა:

— აჰა!

ბიჭი ადგილს მოსწყდა და გაიქცა.

— ნელა წადი! — დაადევნა კოლამ.

— გზაზე ფრთხილად გადადი!

ბიჭი უკვე შორს იყო, რა თქმა  
უნდა, აღარ ესმოდა მისი. ის მაინც  
ექახდა:

— მიიხედ-მოიხედე, ბიჭო, ფათე-  
რაკი არ შეიმთხვია!

მერე გვერდით მჯდომ პენსიონერს,  
ყოფილ მასწავლებელს — ნიკოს მიუ-  
ბრუნდა:

— ამ ავტომობილების ორომტრიალ-  
ში როგორ ბედავენ ყმაწვილების გა-  
მოგზავნას საყიდლებზე?!

ნიკო ჯოხზე დაბჯენილ ხელებს ნი-  
კაბით დაყრდნობოდა და უაზროდ ათ-  
ვალთვარებდა ქუჩას. კოლამ ეს რომ  
უთხრა, ყოფილი მასწავლებელი უცებ  
გამოცოცხლდა, თავი ასწია, წარბი მთ-

ზიდა და დარბაისლური კილოთი განა-  
ცხადა:

— პედაგოგიური თვალსაზრისით ეს  
საფეხებით გამართლებულია, ბავშვი და-  
მოუკიდებლობას უნდა შეეჩვიოს!

— მოიცა, კაცო, რა დამოუკიდებ-  
ლობა, რის დამოუკიდებლობა, ვერა  
ხედავ? გიყებოვით დაჭრიან ეს შოფრე-  
ბი..

...მენახშირე კოლა თავისი სარდაფის  
კიბის თავზე სარეცხ ფხვნილებს, სა-  
პონს, მათეთრებელ სითხესა და ცულო-  
ფანის პარკებს ყიდდა. მენახშირე მეთ-  
ქი, რომ ვამბობ, არ გეგონოთ, თითქო  
ვინმე დაღლა არა იყო, გუდურამოკიდე-  
ბულ, ტანმორჩილ ვირს დაყვებოდა  
წვრილ ქუჩაბანდებში და ჩახლენილი  
ხმით გასაძახოდა ბანიან თუ აივნისან სა-  
ხლებს — ნახშირიო.

დარბაისელი კაცი იყო კოლა. ამას არ  
იკადრებდა. დიდი ქალაქის ერთი დიდი  
ქუჩის კუთხეში ჰქონდა პატარა, ღრმა  
სარდაფი, გამკვარტლული, ვიწრო კიბე  
რომ ჩაუდიოდა დაქანველ რკინის კა-  
რამდე. ყოველ დილა-სადამოს ეს კარო  
ციხე-ქალაქის კარიბჭესავით საზეიმოდ  
იღებოდა და ისეთ ხმას გამოსცემდა,  
თითქო უზარმაზარი მუსიკალური სა-  
თამაშოაო.

სარდაფი შავი იყო. ღამე იყურებოდა იქიდან. შავი იყო კოლაც, შავი, მაგრამ ეშხიანი, მოხდენილი, ჩასხმული და თმაქოჩორა. ეს წინათ, ამ ორმოციოდე წლის წინათ, თორემ ახლა რაღაა! მისი თმის შავი ფერი ისე გაქრა, როგორც ამ სარდაფში — ნახშირის სახსენებელი. ჯერ სველ მიწაზე დაყრილი ნაცარივით გაერია ჭალარა, მერე თრთვილივით მიეძალა გრუზა თმასა და გრძელ უღვამებზე, ბოლოს კი ბაბეს გარეცხილი თეთრეულივით გაქათქათადა.

ბაბე, ბაბე, რა ქალი იყო თავის დროზე?! ორი კვირის მაჭარივით დღვდა და შუშუნებდა. ეხლა რაღაა?! ოთახში მოჩვენებასავით დაფარფატებს და ხმელი ხელები მოსაწყვეტი ფოთოლივით უთრთის და უკანკალებს. კოლას ბრალადანი სიყვარულით ევსება გული მის სუსტ, მოხრილ მხრებს რომ შეხედავს ხოლმე.

პი გიდი, რა ქალი იყო, რა სუფთა, რა ფაქიზი, რა სარეციხი იცოდა?! მეზობლის ქალებს თვალი რჩებოდათ მის თეთრეულზე. ნახშირის უთოს რომ შეუბერავდა (შე შენ გატყვი, არა ჰქონდა ნახშირი), ვლავივებული ნაღვერდალი ლოყებზე წითელ შუქს მიიყენებდა და ბროწეულის ყვავილივით აანთებდა.

მერე უთოს ღონივრად გაიქნ-გამოიქნევდა, მხუთს გააცლიდა. შინ შეიტანდა და ოთახს დუღლუდა ნახშირისა და დანაშული, თბილი თეთრეულის სუნით აავსებდა. კოლას ეს სუნე უყვარდა, — ისეთ საგნებს, ნივთებსა და კიდევ რაღაცას ახსენებდა, რაც ბაბეს მარტო მისთან აკავშირებდა, მარტო მის საკუთრებად ხდიდა, ამ რაღაცასთან შვილებსაც კი არაფერი ესაქმებოდათ. ის მარტო ცოლ-ქმრისა იყო, ტკბილი, ახლობელი და ცოტა მტანჯველიც, ოღონდ, სასიამოვნოდ მტანჯველი.

თვალმაზარა ქალი იყო ბაბე, მარილიან-მარილფათიანი. ამ ყარაჩივით გაშვებულ მენახშირე კაცს ყოველ სიღამოს თანავირა ქვაბით ცხელ წყალს დაახვედრებდა, სპილენძის ტაშტში გაუნელე-

ბდა, წყალი მალე რომ არ გაცხვებულ იყო; თვითონვე ჩამობანდა მკლავებს, კისერს, ხშორ, გრუზა თმას, ქოჩორს ხათიანი პირსახოცი თუ შეუშრალებდა, თან, ვითომ შემთხვევით, ქმრის თავს ფაფუქ მკერდზე მიიყრდნობდა. მენახშირე მაშინვე დათვრებოდა ცხელი ხორბლისა თუ მზეზე გახურებული ნაძვის სუნით, ბაბეს რომ უდიოდა...

ამის გახსენებამ შეაკრთო კოლა თუ ნიკომ გაჰქრა იდაყვი, თვალი გაახილა. ჩახჩახა მზე ისე ეუცნაურა, თითქო წყვდიადიდან უცებ დიდ სინათლეზე გამოვიდაო.

— რა დაგემართათ, ბატონო კოლა, ჩაგეძინათ? — თითქმის ყურში ჩასაძახა ნიკომ.

კოლამ შუბლი და თვალები მოისრისა, თითქო ხელით გადაიწმინდა სიკაბუკის მაცდური მოგონება.

— არა, ნიკოჯან, არ ჩამეძინა, ფიქრში წავედი!

— მაბატიეთ, მაგრამ შემეშინდა. ვიფიქრე, ცუდად ხომ არ გახდამეთქი. ზოგჯერ, ხომ იცით, სწორედ ღამით... ღამილით...

— კვლებიან, არა? — მიეშველა კოლა.

— პი, ღამილით გარდაიცვლებიან ხოლმე, ისე, რომ ვერც გაიგებენ...

— მერე მაგას რა სჯობია, ნიკოჯან! ნეტავი იმ კაცს, ვინც ღამილით მოკვდება და სიკვდილის წინ ნაშუსი ჭიასავით არ დაუღრღნის გულს, შე ასეთო და ისეთო, ესა და ეს დაგიშაგებია, ამისთვის ცუდი გაგიკეთებია, იმისათვის სარმა გამოგიდგია, ცოლისთვის თავი ვერ დაგიჭერია, შვილი წესიერად ვერ გაგიზნია და სხვა ამისთანება. ასეთი კაცისა სიცოცხლეც ბრალია და სიკვდილიც...

— პი, რა თქმა უნდა, სინდისის ქეჩნა ძნელი რამაა. ამავე დროს, ის რთული ფსიქოლოგიური მომენტია. ოღონდ, ბატონო კოლა, ამისი უნარი ყველა ადამიანს არ გააჩნია. ეს მარტო შინაგან მონაცემებზე კი არა, იღვრდაზედაცაა დამოკიდებული. აი, ამ

საქმეში უდიდესი როლი ეკისრება მას-  
წავლლებელს...

— პო, მარია! — თავის დაქნევით  
დაეთანხმა კოლა და რაკი ზეპირად იცო-  
და, რა უნდა ეთქვა ნიკოს ამის შემდეგ,  
ისევ თავისი ფიქრების გზაზე წასვლა  
არჩია, თვალწინ ატორტმანებულ წარ-  
სულის ჩვენებებს გაჰყვა...

• • •

ყოველ დღით გამოწყობილ-გაბეწი-  
ლი მოდიოდა კოლა სარდაფში. უხდე-  
ბოდა ქრომის ვიწრო ჩექმები და განი-  
ერი გალიფე, მკერდზე გადაკიმული,  
წელთან ნაოჭებად მოგროვილი ტილოს  
ხილათი, უკან შესხნილი ტყავის ქურ-  
თუკი, ტყავისავე ქუდი, კოკარდიანი და  
მალაღი. დღესაც ეს ტანსაცმელი უყვა-  
რდა. შეიღები ყოველდღე ეჭიჭინე-  
ბოდნენ, — მამა, ეგ ფორმა რა ხანია,  
გადაეარდაო, მაგრამ კოლა შეჩვეულს  
ვერ იშლიდა. დიდი ხნიდან შეთვისე-  
ბულს ვერ ეღეოდა — კაცი მუდამ თა-  
ვის ტყავში უნდა იყოს, სულერთია,  
ტანსაცმელი იქნება ეს, საქციელი თუ  
სიტყვა-პასუხი. მიტმასნილ-მიკოწიწე-  
ბული დარბაისლობას ართმევს მას.  
სასაცილოდ ხდის. ეს კი დიდი სირცხვი-  
ლიათ თავმოყვარე ადამიანისთვის, —  
იტყოდა ხოლმე ხშირად. ერთ დიდ წვა-  
ლებად ისიც ყოფნიდა, სტუმრად წა-  
სულს ძალისძლად რომ ჩააცმევდნენ  
ახალმოდურ კოსტუმსა და თეთრ პე-  
რანგს. იმ ეშმაკის საბელ ჰალსტუხსაც  
მოუჭერდნენ ყელზე.

ამ ჰალსტუხის დანახვაზე ერთი  
ამბავი აგონდებოდა მუდამ...

ბაბეს შერთვა რომ დააპირა, მთელ  
უბანსა და ავან-ჩავანში დიდად მიღებუ-  
ლი კაცი პროვიზორი პროკოფი მიუგზა-  
ვნი სასიამაოროს.

პროკოფიმ გააკითხ-გამოიკითხა და  
გაიგო, რომ ბაბეს მამა თურმე რომე-  
ლოდაც კომისარიატში (მაშინ ეგრე  
ერქვა მინისტრების სამყოფელს) მეკა-  
რედ მუშაობდა. მივიდა, მოელაპარაკა  
და დაითანხმა, ოჯახში გეახლებითო ამა  
და ამ საქმეზე. წასვლის წინ კი კო-

ლას ურჩია, — მეკარე მეკარე-მეკარე  
კომისარიატე კომისარიატია, ეს შენ  
ნახშირის სარდაფი არ გეგონოს, ამი-  
ტომ წესიერად ჩაიცი, თავი ნასწავ-  
ლი, გამოსული კაცივით დაიჭირე, თო-  
რემ ემანდ უარით არ გამოგისტუმრო-  
სო. იმდენი ეჩიჩინა, მაინც გააკეთებინა  
ჰალსტუხი, ცალ ხელში პირის სანახა-  
ვი დაჰჭერინა, მეორეში — ტარიანი,  
ძვირფასი პაპიროსის კოლოფი და ისე  
მიიყვანა სასიამაოროსთან. კოლას პაპი-  
როსი არასოდეს მოეწია, ამიტომ კოლო-  
ფი ისე ეჭირა, როგორც უცხო, სავესე-  
ბით გაუგებარ ენაზე დაწერილი წიგ-  
ნი.

ღარიბულად მოწყობილ ოთახში  
ყველაფერს აიპხმა გადასდიოდა. ფა-  
ჭიზი, მზრუნველი ქალის ხელი იგრძნო-  
ბოდა ყველაფერში. სული გაუნათლ-  
დათ მოსულებს...

ქართულად თავდახურული დედა-  
კაცი მოეგებათ, ფიანდაზად გაუშალათ.  
ზრდილობა, აქ, ბუხართან დაბრძან-  
დით, ოჯახის უფროსიც ახლავე გეახლე-  
ბათო, — უთხრა და გარეთ გავიდა.

— ფეხი ფეხზე შემოიღე, ეგრე გა-  
ჩაჩხული ნუ ზიხარ! — გააფრთხილა  
პროკოფიმ კოლა და მასპინძელი შე-  
მოვიდა, მოკლე, მოზომილი ნაბიჯით  
მიუახლოვდა სტუმრებს, ხელი ჩამოა-  
რთავა, ნელა დაჰდა ქრიალა სკამზე და  
ჯიბიდან კრიალოსანი ამოიღო.

დაიწყო სალამ-ქალამი, ერთმანეთის  
მოკითხვა, ბოლოს საუბარი სანოვანის  
მაზანდასა და ამინდზე შეჩერდა.

პროკოფი ძლივს შესაძინევი მოძრაო-  
ბით, მზრითა და თვალის ჩაკვრით ან-  
იშნებდა კოლას, თავს ნუ შკრი, ღირსე-  
ულად დაჰქეიო. თავად ფეხი ფეხზე შე-  
მოდებული იჭდა და ხამუშ-ხამუშ აბ-  
ოლებდა ძვირფას პაპიროსს, რომელიც  
მაინცდამაინც კოლას კოლოფიდან ამ-  
ოიღო, თან დარბაისლური კილოთი სა-  
უბრობდა. ეს კილო მასპინძელსაც აეთ-  
ვისებინა და იყო ერთი ბუჭი და კო-  
რიანტელი რუსულნარევი ქართულისა.

კოლა დაილაღა, მობეზრდა, სული  
შეეხუთა. მაინც გასწორდა სკამზე, დი-

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო  
საბჭოთაო  
საბჭოთაო

ნჯად აიღო მარცხენა ფეხი და მარჯვენაზე გადაიღო, მაგრამ ეს ისე უხერხული აღმოჩნდა, რომ მოეჩვენა, მარცხენა უთუოდ მარჯვენაზე მოკლე მაჭვს და აქამდე არ შემომჩნევიაო. ახლა მარჯვენა ფეხს გადაიღო მარცხენაზე, ორიოდ წუთს გაუძლო ასე ჯდომას, მერე ისეთი ბრავიანით ჩამოუვარდა ფეხი, ლამის თვითონაც გადმოყვა სკამიდან გაწითლდა, შერცხვა, მერე გაბრაზდა და ადგა და ისე დაჯდა, როგორც ეპრიანებოდა, — ფეხები გან-განზე დააწყო, მუხლისთავეებს გაშლილი ხელისგულებით დაეყრდნო და სულიც მოითქვა.

მასპინძელი ჩუმ-ჩუმად ათვლიერებდა, ხან ზევიდან ქვევით ჩააყოლებდა მზერას, ხან ქვევიდან ზევით აყოლებდა, თან კრიალოსანს მარცვლივდა კოლამ გაბრაზებით შეხედა და უცებ შეამჩნია, რომ კრიალოსანი ქარვისაკი არა თაღლითი მძივისა იყო, შეამჩნია და გულზე მოეშვა.

მასპინძელი ადგა, მოიბოდიშა, წუთით გავიდა გარეთ. კოლამ დრო იხელთა, მამინვე ჰალსტუხზე იტაცა ხელი, ჩამოიბღღენა, დაქმუქნა და ჯიბეში ჩაიჩურთა. ახლა მართლა თავისუფლად ამოისუნთქა. თითქო ის უკანასკნელი საბელიც გაწყვიტა, რომლითაც ხელფეხი ჰქონდა გაკრული. ისეთი ნეტარებით შეიშმუშნა, არტახებახსნილმა ყმაწვილმა რომ იცის.

— ეგ რა ჰქენი, კაცო? — გაგიჟდა პროკოფი.

— მოიცა ერთი, შენმა მზემ, ეგ მე ისედაც მომათხოვეს ქალს!

მასპინძელი შემობრუნდა თუ არა. მამინვე შენიშნა კოლას გადადებული საყელო. მისკენ ისე წამოვიდა, თითქო უნდა დაეჭიდოსო, მიუახლოვდა და მზარზე ძლიერად დაჭირა ხელი:

— ეგ რა, ბიჭო, მოდი ალა საქმეზე ვილაპარაკოთ!

მართლაც ილაპარაკეს და კიდეც მოილაპარაკეს...

— ბაბუა, ვარგა ეს ფხვნილი? — იკითხა წვრილ ქუსლებზე შემდგარმა,

თვალბშედლებილმა, გამბღარმა და გრძელი თითი ლამაზად გაფორმებული ყუთისაკენ გაიშვარა.

— ცუდი რად იქნება, შვილო?! — გაეპასუხა კოლა და ყუთი მოაწოდა.

— რა ვიცი, იმ დღეს წავიდე და სულ არ ჰქონდა ქუთი. ყვითელი სარეცხი ამოვიღე!

— რეცხვასაც თავისი მუღამი უნდა, მარტო ფხვნილი ვერ გარეცხავს! — თქვა თუ გაიფიქრა კოლამ და ქალი რომ წავიდა, ისევ წარსულის ლანღს გაადევნა გონების თვალი...

• • •

ნახშირზე უყვარდა ბაბეს სარეცხის ხარშვა, ჰქონდა ნახშირი და კარგადაც ხმარობდა... შემოდგამდა მაღალ ზედადგარზე დიდ ქვაბს, აიღებდა სარეცხის სატყეპელ ჯოხს, ქობანას რომ ეტყვიან, დაიკაპიწებდა ფომფლოდ დახვეული თითისტარივით სავსე თეთრ მაჭვებს და გაუხვეოდა ცისარტყელსავით აფერადებული ქაფისა და ორთქლის გამქვირვალე ბადეში. ჯიგრიანად ქეჭყავდა ღონიერ მუშტებში ჩაბღუჯულ თეთრულს და ადრეულა ბატკნის დუმასავით უთამთამებდა ძუძუები კობლებიანი დარაიის კოფთაში. სახეზე და ღრმად ამოკრილი გულისპირში წურწურით ჩასდიოდა ოფლის კრილა წვეთები.

დროდადრო მაჭვიდან ხელისგულებით ჩამოიბერტყავდა საბნის სქელ ქაფს, წინსაფრის ბოლოს აიწევდა, გამადრულ სახესა და მწყაზარ ყელ-კისერს შეიმშრალებდა და ისევ ქაფსა და ორთქლში ჩაიბრუნებოდა. აი, მამინ უყვარდა კოლას ჩუმად მიპარვა. მზრებზე ხელებს შემოხვევდა (მე შენ გეტყვი, ვერ აიყოლიებდას), ერთი კი გაკრავდა ბაბე მუჭლუგუნს, — კარგი, ქა, ამ დღისათ, მზისით რა ღმერთი გიწყრებაო, და მერე კი... აბა, ცოტა ხნის მერე უნდა გენახათ სარეცხის რეცხვა!

პაი გიდი, აბასთუმან, როგორ წავიდა წლები... ერთმანეთის ფოფინსა და ალერსში გაატარეს სიცოცხლე. სიყვარულის საზრდო არ მოაკლო ცოლმა, არ მოამშია, არ დაიკარგელა, გრძნობა

არ გაუცვითა მომბეზრებელი ჭიკლი-  
ნითა და წუწუნით, ზოგიერთ ქალს  
რომ სჩვევია. სულ მალამოდ ეცხებოდა,  
სულ წამლად ედებოდა ქმრის ნანინა-  
ნატრ სურვილს. ამიტომაც ღეთის ფიცს  
იტყვის კოლა, რომ ბაბეს შემდეგ სხვა  
ქალისაკენ მრუდელ არ გაუხედავს. სი-  
ბერეში უფრო სცოდნია ვატუბობა ცო-  
ლს! კოლას ერთი დღის საცოცხლაც  
არ უნდა ბაბეს გარეშე! შვილები და  
რძლები თავს ევლებიან, მაგრამ ბაბეს  
რომ გაუხედავს და ეტყვის, იმათთან  
რა ათქმევინებს?! მაინც რა ერთგულად  
გაუწია ცოლმა უღელი, რა ნათელი  
დააყენა მის კაცობასა და სახელს?!  
საძაპლო ომიდან რომ დაბრუნდა, ძმა-  
ბიჭები მოვიდნენ სანახავად, თავი დაბ-  
ლა დაუქრეს, გადაკოცნეს, კაცი შენა  
ყოფილხარო, იქიდანაც პირნათელი  
ჩამოხვედი, აქაც პირნათლად დაგხვდით  
ცოლი, ნაშუსის ქული შეგინახა, შვი-  
ლები პატროსნად არჩინა და ჩვენში არ  
გამოგარჩიაო. უცებ გაქარწყულდა ომში  
დაცდილი საშინელება. მეორედ დაიბა-  
და კაცი... სტუმრის დასახვედრს ვინ  
ჩისცემდა ფრონტელის ოჯახს?! ჩიჩქი  
ნახშირით ალარ დარჩენოდა ბაბეს, ინ-  
ტოვირ დარჩებოდა?! ამიტომ სამწვა-  
ლაც თვითონ მოიტანეს ბიჭებმა და ნახ-  
შირით — ძლივს იგრძნო კოლამ ოთხი  
წლის მონატრებული სურნელი ვალვი-  
ვებულ ნაღვერდალზე დაღვენილი  
ცვარისა...

\* \* \*

— ძია, ნახშირი არა გაქვს? — ჰკით-  
ხა მალაღმა, ხეშეშა ბიჭმა.

— ეპ, საღლა არის, შვილო, ნახშირი!

— აქ მომასწავლეს, თუ იქ არა,  
სხვაგან ვერსად იშვით.

— ეპ! — ხელი ჩაიჭნია კოლამ.

— იქნებ ცოტა მაინც ჭქონდეს გა-  
დანახული, პა?

— ნახშირი მოკვდაა! — თავი სინა-  
ნულით გადააქნია კოლამ და გაახსენ-  
და: ომიდან რომ ჩამოვიდა, იმისი სარ-  
დაფი სანავთედ იყო გადაკეთებული.  
ბიჭებმა იმდენი ირბინეს, იმდენი იჩა-  
ლიჩეს, ნავთი მეზობელ ქუჩაზე გა-

დატანინეს და აქურობა ისევე ნახ-  
რის მთებით აავსეს.

ტრიალებდა კოლა ამ გამურულ სა-  
რდაფში, თავიდაც შავი და გამურული.  
სიღამოს ქალადის ორ პარკს აიღებდა,  
ერთს ნახშირით აავსებდა, მეორეს და-  
კეცავდა და ჭიბეში ჩაიდებდა. ამღერ-  
ლებოდა რკინის მძივე კარი და ისე ჩაი-  
გმანებოდა, თითქო დევმა მზეთუნახა-  
ვი ჩაკეტაო. იქვე, ბაზარში გაივლიდა.  
იმ მეორე პარკს ხორციო, მწვანილითა  
და ხილით გატენიდა. ქურთუკის ჭი-  
ბეებს უთუოდ ტკბილეულით გაივსებ-  
და. დაიჭერდა პარკებს იღლიაში და  
მიუხაროდა შინისაკენ.

ჰეშარის ღირეს რომ გადააბიჯებდა,  
გზოს ბავშვები ყივილ-ხივილით შემო-  
ესეოდნენ, — რა მოგაქვსო, ძია კოლა!  
ქურთუკის ჭიბეებს მიუშვერდა, მე-  
ხელიხვლთ არა მაქვს, თქვენ თვითონ  
ნახეთო! თან თვალს აიგნისაკენ გააპარე-  
ბდა, ახლად დანიშნულივით შეუქანდ-  
ბოდა გული, მოაჯირზე გადმომდგარ  
ბაბეს რომ დაინახავდა.

მისი ბიჭბიცი ამ ბაღლებში ერივ-  
ნენ. ისინი მამას ჭიბეზე არ მიეტანე-  
ბოდნენ, გატენილ პარკებს ჩამოართმე-  
ვდნენ, მამისეული დინჯი ნაბიჯით გაე-  
ძღვებოდნენ წინ მორჩილნი, მოყვა-  
რულნი და პატივისცემულნი. ბაბე ხან  
ერთ მეზობელს გასძახებდა, ხან მე-  
ორეს, — ნახშირი ხომ არ გინდათო,  
ბერე შინ შეჰყვებოდა ქმარ-შვილს და  
დატრიალებოდა მათ პატარა ჰერ-  
ქვეშ ოჯახური სიბოზო და ბედნიერება!  
პაი გიდი, რა იყო საერთო ეზოები?!  
ვინ მოიგონა ეს ჩაკეტილი სახლები,  
ლოკოკინებზევით რომ შექმრება ხალხი  
თავიანთ ნიყარებში და მეზობლურა  
ურთიერთობის ყადრი აღარ იცის!

\* \* \*

— ორი მათეთრებელი და ერთი  
საპონი! — მოხუცმა ქალმა ზურდა ფუ-  
ლი მაგიდაზე დაყარა და ბოთლებს წა-  
ეტანა. კოლა მიეშველა, მიაწოდა, ბა-  
ღეში ჩაუწყდა.

— დათვალე! — ქალმა ფულზე ან-  
ომნა.

— გენდობი, ჩემო დაო! — გაუღიმა  
კოლა.

— რა ვიცი! — ქალმა მხრები აიჩეჩა  
და ჩუსტების ფრატუნით წალასლასდა.  
ბეჭები ისე ჰქონდა ამობურცული, თი-  
თქო ზურგზე, ნაოქებიათი კოფთის ქვეშ,  
პატარა ნესვი უდევსო.

— რატომ წვალობს ეს საცოდავი,  
დაჯდეს შინ და დაისვენოს! — თქვა  
ყოფილმა მისწავლებელმა და ისევ თვი-  
თონ უბასუხა თავის თავს.

— თუმცა, იქნებ შინ არაეინ ჰყავს...

— იქნებ ჰყავს კიდევ, მაგრამ თვი-  
თონ ვერ ისვენებს... მე ვინ მაძალბეს,  
ნაგრამ...

— ო, ეგ რთული საკითხია, ბატონო  
კოლა. სიბერე მარტო ფიზიკური უძ-  
ლურების თვალსაზრისით კი არ არის  
საზინელი, ფსიქოლოგიური პოზიციი-  
დანაც...

— ჰო, ნიკოჯან, ძნელია სიბერე, მა-  
გრამ კარგიც არის.

— რუსთაველმა თქვა...

— ვიცი, ჰირთა უფრო ძნელიაო,  
რა?

— ჰო, სიცოცხლეს თითქმის აზრი ეკა-  
რგება, მარტო მოგონებებითაა არსე-  
ბობ!

— მოგონება მეორე სიცოცხლეა, ნი-  
კოჯან, ოღონდ, გული არ უნდა გეთა-  
ნაღრებოდეს წარსულზე.

— ყველაზე ძნელი მაინც ისაა, რომ  
რაც ხანში შედიხარ, მით უფრო მე-  
ტად ფიქრობ სიკვდილზე.

— რაღა სიკვდილზე უნდა იფიქრო,  
შე კაი დედ-მამის შვილო, იმაზე იფიქ-  
რე, რაც თავს გადაგხედია. წარსული,

ჩემო ნიკო, მოგონებებით სასვე გულაა.  
შეგ ძვირფასი განძით არის შენახული  
დღეები, საათები, წუთები. ცხოვრე-  
ბის დაღმართს ამ გულით დაადგები და  
როგორც კი მოგეჩვენება, რომ სიცო-  
ცხლის გზა თავდება, მაშინვე მოხსნი  
გულას პირს, ჩაყოფ ხელს და შენთვის  
სასურველ მოგონებას ამოიღებ. ათას-  
ჯერ რომ ამოიღო ერთიდაგივე, ათას-  
ჯერვე თავდაპირველი სიტუბოთი ჩავა-  
ნება ხელში. ამიტომ მუდამ იმას უნდა  
ცდილობდე, სამარცხვინო და უკადრი-  
სი არაფერი ჩაგიყვეს ამ გულაში, თო-  
რეკ ისე გაგიმწარებს ტყბილად გასაბა-  
რებელ სიბერეს, როგორც დარიშხანის  
ერთი წვეთი — ათკოციან ქვევრსა.

— საინტერესოა! — ჩაილაპარაკა  
ნიკომ და მენახშირეს მიაჩერდა, —  
საინტერესოა! ეს აზრი ღრმად უნდა  
ჩაენერგოს ახალგაზრდობას, რომ მან  
ლაშაზ სიბერეზე იზრუნოს! პედაგოგი-  
ური თვალსაზრისით...

კოლა აღარ უსმენდა, რადგან გზაზე  
მომავალი ფაიტონი დაინახა და გული  
შეუქანდა. ფაიტონში ახალგაზრდები  
ისხდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. კრ-  
აღა, ნაირფერმა მანქანებმა ოთხით  
მომავალ ცხენებს ისე მოწყალებდ და-  
უთმეს გზა, როგორც ხალხმრავალ ქუ-  
ჩაზე გამოსულ შიშველ, გულუბრყვი-  
ლო ბეშვებს.

ცხენების ფლოქვების თქარა-თქური.  
თანდათან მინელდა და ქალაქის ჩვე-  
ულებრივ ხმაურში შთანთქა. მოხუცებ-  
მა ჯერ გაოცებული, შემდეგ აღტაცე-  
ბული მზერა გააყოლეს, წამით გაიჩინ-  
დნენ და შემდეგ თავთავიანთ გულებში  
ჩაყვეს ხელი კიდევ ერთი მარგალიტის  
იმოსარჩევადა.



დილარ ივარდავა

სტანსკაი

I

ვიზე ვიფიქრო, თუ არა შენზე,  
უნდა დაეიწვა, როგორც კანკელი,  
უნდა გიმღერო, რამდენსაც შევეძლებ  
და თუ სიმღერა კვლავ დაგაკელი, —  
არ მაპატიოს კაცმა და ღმერთმა,  
რამე გამაჩნდა და თუ ვმალავდი,  
აწ გულის ზროსგან რაც დაიდევნთა,  
წმიდაა, როგორც ცოტნეს ზარადი,  
წმიდაა, როგორც ცრემლები დედის,  
უბრალო, როგორც ყვავილი ვაშლის,  
როცა ზღაპრული გვირგვინის წრფდი  
ნათელს ჩვენს შორის  
ფრთებივით გაშლის,  
ამოჩინჩხვრდება მთვარის ტიარა,  
დაიხსრილება ღრუბლის სარგანი  
და ღვთაებრივი ჩემი ძარა  
სულს ააკვნესებს როგორც არგანი.

II

მზის დახალიერს წაეცხო ენდრო,  
ვინ ვარ,  
სამყაროს მცირე ჯურადი?  
ვინ იცის, იქნებ,  
იქ, წინათ, ერთ ღროს  
დაისის კიდეს კიდევ ვფერავდი.  
ვინ იცის, ხვალე რა მელოდება,  
რომელი ტალღის ჩქერებს მინდობა,  
იქნებ მომელის მსხვერვა-გოდება,

როცა სულ აღმა ფრენა მინდოდა.  
კვლავ კირწი-კორწით დგაფუნობს ჭორი, —  
საგაზაფხულო ჭორფლიც გიყვავის  
და რაც დრო გადის,  
მე და შენს შორის  
ღრუბლად ირვია გუნდი ჭილყვავის.

III

როგორც ზღაპარში ფეცხლის დრაკონი —  
გლვა ავარდა,  
გააპო ზეცა —  
სტეპს გადახუდღე, საარაკონი  
დარაიათა მარმაში ეცვა...  
ქარმა ჭალტამის თმები დაჯვგა  
და მოამსხვრია ტბა ნაპირს — რეხი —  
თუმც რა —  
წამებშიც იყო გაგვბა  
ღრუბლის,  
ელვის და მგრგვინავი მუხის.  
თუმც რა?  
ვიყავი უთანაური  
ამ სტიქიონის მსხვერვეის და ღელვის;  
მაგრამ შენ მაინც მოგწვდა ხმაური  
უკვე მდინარის, —  
ადრინდელ ღელის.  
ღრუბლებს თიბავდა ელვათა ცელი,  
მოქარულიყო ცაში სამკალი  
და ერთადერთი წამწამზე ცრემლი  
დასტური იყო ვნების კანკალის.



დავლა ხზივი,  
ცახცახა, ცივი  
შენს ღვთიურ სახეს,  
გადაღლილს ოდნავ, —  
დაირწა მწუხრში კოლხური ოდა,  
როგორც ღაწვებზე ცრემლების მძივი.  
მთვარემ წარბები ზევით ასწია  
და ვარსკვლავების კრიალა ბროლი,  
როგორც მზრწყინავი დეკორაცია  
გარდუვალობად ტრაგიკულ როლის  
მიმოამსხვრია, იწყება ნელა

დღის გასაყართან ღამის შესვდრა  
და, როგორც შეყრა დაჭრილ ვეფხვებთან,  
ვაი, ძნელია წარსულის შველა.  
და ვიცი შენი წკრიალა ბგერა  
ხსოვნაში არის გამოკვართული,  
ჩქამი ყოველი და ბედისწერა  
იყო, იქნება, არის ქართული.  
არა, სიცხადებს ბრალი ხად ჰქონდა,  
თორემ ღამე ვით დავიძინებდი, —  
მახსოვს, დაირწა კოლხური ოდა,  
როგორც ღაწვებზე ცრემლის მძივები.

### პროფაროვნება

ქალის ტურები —  
მოწყვეთავს სისხლი,  
ვარდები —  
გაჭრილი ქალის ტურები...  
თვით სასწაულიც აწ ველარ მიხსნის,  
მე შენზე დარდებს  
ვერ გადვურჩები...  
  
იყო საჭირო? თავბრუდამხვევი,  
ერთფეროვანი წვიმების ღვთის;

— ამ აედარშიაც არისო ეშნი;  
თქვი და... ის სიტყვა დღესაც მახელებს.  
  
ხომ ნახე ახლა  
ძველსა და ახალს,  
ქალის ტურებს თუ  
სისხლიან ვარდებს,  
ერთფეროვნების მოტივი დაკრავს —  
ასეთი დარდი ტაძრებსაც არბევს.



ალარაფერი დღეს აღარ ვიცი,  
ალარაფერი არ მესმის შენი,  
არც ჩუმი ლოცვის,  
არც მწველი ფიცის,  
არც შენი წამით დათაფლულ ენის.  
უამი გამოხდა სიკეთის თესვის,  
ახლა დუაზარ და...  
ნეტა ვის ელი,  
სულ ტყუილია?!  
ვუ შენი გესლი —  
დაზაფრულს უკვე ველარა შეცვლის!  
ჰო, მესმის კიდევ  
წამები, როცა  
ფერებოდნენ ყვავილთა კიდეს,  
შეიძლებოდა ღვთიური ლოცვა,  
ან დაკარგული გემოვნა კიდევ.

თორემ დღეს ვხედავ  
გათავდა, მორჩა!  
ვე ბოლო ცდაც კი  
სრულდება ავად  
და უკვე შემოიღო ფერებში მოსჩანს  
შენი სიანჩხლე,  
წარსულთან დავა.  
რა მაცდურია, როდესაც ბანგით  
თასიდან, თურმე საწამლავეს დაღვე,  
როდესაც ყველა ბგერა  
და ჰანგი  
ჩუმად გიმზადებს ალესილ დანებს.  
აწ აღარ ვიცი...  
აწ აღარ მესმის,  
სჭირდება ვისმე მაგ შენი ფიცი, —  
სულის მოჩითვა კვლების ფესვით?!



\*\*\*

დღე მიწვა და შიშიძინა,  
 გული ამ დროს სვედას მღერის,  
 მიმასწავლოს გზა და ბინა  
 ვინემ, ნეტავ, მწვანე ლელის.

ღამე კრთება და ქრიალებს  
 როგორც აბრეშუმის კალთა,  
 აფახულებს ფიქრის თვალებს  
 კარვის ერღო მთვარის კართან.

დამშრიალებს ვარსკვლავთ ქვიშა  
 და მეც ცაში ვეძებ ოქროს;  
 ეს სიჩუმე იმას ნიშნავს:  
 რომ ხვალ უნდა ვიბობოქრო.

ღამეა და ხედება ღამე,  
 რაზე ჰყვება ტოტი ჭადრის;  
 ეს მან იცის სითამამე  
 ტკივილის და მწველი დარდის,

ხედება როდის დაირწვევა,  
 დაიღვრება ცრემლის თქვეში,  
 რომ აღამთან ახლაც ევა  
 მართალია ყველაფერში.

მე კი მიზეზს ისევ ვეძებ,  
 ბრწყინავს მინდვრად შავი სვე და  
 ძველ მუხებზე ოქროს ვერძებს  
 დაკრავს მედეასი სვედა.

ჰანგი იგი, მარადისის —  
 წინაპართა ლიტანია,  
 ღამე ზოგჯერ სუნთქავს ნისლით,  
 დღე — ჯვარცმული მშის ტანია...

ჟამი ზანტად მიირწვევა,  
 ღამე მწუხრის ღვინოს მასმევს,  
 დედამიწის ფსკერზე ვწვეარ,  
 მისი ცოდვა-მადლით საფეხ.

\*\*\*

ღიაა კარი...

ხეების წაბლის

წვიმის წვეთების წვრილი ფეხებით  
 კი არ წკარუნობს, ბაღჩაში გაბზის  
 და ზევას სველი ხელით ეხება.

შრიალებს ნისლის თხელი ფარდები  
 და არყის ხეთა ფონფორის ხანძარს  
 მღვრიე აგვისტოს ჩუმი დარდებით —  
 სხივთა ჩქერალით უღმერთოდ ხანჯლავს.

ბუტბუტებს ბაღი და ჩუმი კენჭის...  
 დვარი ციხ ნაჭერს გუბეზე ხატავს,

და მესმის ამ დროს მე ცხდად შესმის,  
 თუ როგორ მღერის ცისფერი ხატა.

ვხუჭავ თვალებს და...  
 კვლავ მეჩვენება

ზღაპრის სამყარო — მოფერცხლილ ნისლით,  
 თეთრი ფერთა,  
 მშვიერი ვნება

და მაჭარივით მქუხარე ხისხლი.  
 გავეურებ სივრცეს — ამ გამძაფრებით  
 იმედის ჩიტი ხელში მიკვდება? —  
 წვიმა კი თითქოს სველი ძაფებით  
 მიწასთან ლამობს ზეცის მიკვრვას.

ჩემი კოლხური მთვარე,  
 მომსწრე მირიად წელთა,  
 ციდან ზღაპრებად წვეთავს —  
 ჩემი კოლხური მთვარე.


მიმღერე ჩემო გადიაე,  
 მაპკურე ცრემლის ცვარი,  
 ამ ქვეყნად რა მამადია,  
 გარდა ღრიალა ქნარის.

ნუ გააჩუმებთ სიმებს,  
 დაწვევტაზეა ნერვი,

ისევ შენ მაძლევ იმედს,  
 სხვა აბა, ქვეყნად ვერვინ.

წლები უღმერთოდ გარბიან,  
 ჩვენი რწმენის და განსჯის,  
 იმღერე ჩემო გადიაე,  
 სიყვარულის და ტანჯვის.

ჩემი კოლხური მთვარე,  
 ოჭრო-მირიად წელთა,  
 ციდან ლეგენდად წვეთავს —  
 ჩემი კოლხური მთვარე.



ჯემალ ინჯია

### საუბარი გმირთან

შევასწარ თვალი შემოდგომას და დამიანდა,  
აქაც ყვითელი სურნელი აქვს ცვენას ფოთოლთა.  
აქ მამარეში მტერს ებრძოდა... სვესტოპოლთან  
მე ვლაპარაკობ, როგორც გმირთან, ადამიანთან.  
დიას, სამშობლომ გამოჰკვეთა კაცნი გმირებად,  
იხე მძვინვარებს თვითეულში ეჭო ძლიერი,  
რომ ვერ გაუძლებს მოგონებებს ძესორციელი,  
ჯაერიან გულზე სართულიანს დაცლის გინებას, —  
აქ ცას უნახავს მტრის ბომბები, გარდა მერცხალთა,  
ერთს მამის ბეჭის სიმაგრეც კი გაუსინჯია.  
ადგილს, — მებრძოლი სად დაუტრეს მამულს ინჯია, —  
ვეძებ, ქართულ სისხლს შავი ზღვა არ გადარეცხავდა.

### სტუმრად ფიროსმანთან

ღამენათვეი  
დავიძვრები  
ბახტრიონიდან,  
უნდა ვეწვიო  
დღეს ნიკალა  
ფიროსმანაშვილს.  
ჩემი ამქრითა  
და დროშიონ-  
საყდრიონითა  
უნდა ჭაშნიკი  
გავუსინჯო  
ლეინოს მარანში,  
გზას მიმასწავლებს  
მთამოვლილი  
დინჯი სარქალი,

სოფლის საყდრიდან  
ხმა მომწვედება  
ზარების რევეის,  
აუვარდება  
შემოდგომის  
შაბათს კანკალი,  
აწკაფწკაფდება  
მთავარმწიფემისი  
ფეხებთან ლეკვი.  
მაგრამ სიგრილე  
ვერ შეაკრთობს  
მოსტუმრე ლაშქარს,  
ერთად შეგვხვდება  
სიალალე  
და ფიროსმანი,  
ყველას თვალეზღინ

გაყვითლდება  
 ისე აშკარად  
 შემოდგომის მსუ  
 უმწიფარი  
 სტაფილოსავით.  
 ფერებს ფიჭურები  
 მოაფრენენ  
 საფერავიდან,  
 თავებს დათენთავს  
 თბილი თრობა  
 თავთავებივით.  
 ატოტებული  
 ტყის პირუტყვულ  
 ტირილს ავიტანთ,  
 დიმილი დაგვდღის

უმაღლესი  
 და ღვთაებრივი.  
 ჩვენ დაუშორდებით —  
 ორი სიბრტყე,  
 ორი პოლუსი,  
 გამოგვეყვებიან  
 ფრთის ფართქუნით  
 კვირიონები,  
 დამესიზმრება  
 ფირსმანის  
 ბაღის ბოლოზე,  
 რა საცოდავად  
 დგას უშვილო  
 მილიონერი,

### ფარეხელი ქართველისადმი

ჩემთვის არ იყო საოცარი  
 უკულმართობა ამ სოფლისა,  
 როცა წაგართვეს სალოცავი —  
 მორწმუნის პური არსობისა.  
 არც ის ყოფილა საოცარი,  
 რომ სამახვი წლის ტყვეობასთან  
 კიდილში „ვეფხისტყაოსანი“  
 ვეფხვის ტყავივით შემოგაცვდათ,  
 არა, არ იყო საოცარი,  
 რომ იმედს ხმობდით საპკურებლად  
 ის კი, ვითარცა ამორძალი  
 ცალი ძუძუთი გაპურებდათ.

ან ის რად იყო საოცარი,  
 რომ მტერს გადურჩით ალაღებდით  
 არ დადიოდით სამოწყალოდ  
 და ქართულ მოდგმას ამრავლებდით.  
 არა, არ არის საოცარი —  
 რამეთუ მუხაც მერე ჭკნება,  
 რომ ცივგომბორის წყაროსავით  
 თქვენს დედაენას ვერ ეჩქეფა.  
 ის იქნებოდა საკვირველი  
 მომავლისთვისა თუ დღეისთვის  
 ერთი ანდაზა დაგკარგოდათ —  
 ჩიტმა თავისი ბუდე იცის,

### 603

ლეგენდების ნახევარი  
 ალბათ ნოეზეა,  
 დიდოსტატთა ნახელავი  
 მსმენელს მოესევა.  
 მაგრამ მსმენელს არა სჯერა,  
 რომ იქ სიბრძნე ვლავს,  
 რომ ლეგენდის გამარჯვება  
 მისი სიძველეა.  
 რის მაჰმადი, გილგამეში,  
 იმ წყალდიდობაში,  
 იმ წარღვანაში, იმ ღამეში  
 მიწვა კილობანში;

იწყობ ღმერთმა ურინარმა  
 მირჭმა საშინელი.  
 მისარქმელს ზღვის ლურჯი ნარმა  
 ნთქავდა დაეინებით,  
 მე არა მაჭებს შენსხელა ხმა,  
 ვითმუნ მუდამ, ნოე,  
 და შენს ამბავს ეწვერ ხელახლა  
 ვით მეუდაბნოე.  
 ნახევარი ლეგენდების  
 ალბათ ნოეზეა,  
 მე ზღაპარშიც ვეგებები  
 მხოლოდ პოეზიას,

### 31. თქვე ღოყლაკიებო!..

მითხრობა

ინსტიტუტის კლუბში კონცერტი იწყებოდა. გვიანი შემოდგომა იყო და ახალგაზრდები სანახაობებს უფრო გტანებოდნენ თბილ დარბაზებში. ვესტიბიულში, კიბესთან, გოგო-ბიჭები თავს აბეზრებდნენ კარისკაცს. ზოგს სტუდბილეთი თან არა ჰქონდა, ზოგი ამხანაგის გაშვებას ეხვეწებოდა. იყვნენ სულ უცხონიც, სხვა ინსტიტუტებიდან. ამ საღამოთი აქ კარგი კონცერტი იმართებოდა.

ვაჟამ ვესტიბიულში შეაბიჯა. მიათვალ-მოათვალიერა ხალხი. გაუკვირდა — ამხანაგ-ნაცნობები ვერ დალანდა. „იღბათ უკვე დარბაზში სხედან“, — გაიფიქრა.

„— ავიდე? არა, დავიცდი, იქნებ ვინმე მოვიდეს“, — არ უნდოდა მარტო შესვლა.

იქვე კედელს მიეყუდა, პალტო შეიხსნა და ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო.

ახალგაზრდები მოდიოდნენ და მოდიოდნენ. წუვილებად, კნტად, გოგოები, ბიჭები.

შორიახლო ჩათქვირებული გოგო იდგა და იცდიდა ბიჭები თვალს ვერ ამორებდნენ. გოგო თავს ხრიდა. ერთი შუაღანის, მოსული ბიჭი მიუახლოვდა. გოგო შეტრიალდა. ბიჭი იდგა და უტიფრად მიმტრებოდა.

„ნაღდად ნასვამია...“ — უსიამოვნოდ გაიფიქრა ვაჟამ.

ნასვამმა ცქერით გული იჭერა და მერე კარისკაცისაკენ გასწია. ხელით მისწი-მოსწია იქ შეჩვეული გოგობიჭები. ერთმა არ აპატია. ნასვამმა შეაგინა. ბიჭი წამოეჭოჩრა.

— ვის ექაჩებოი შენი... — იღრიალა ნასვამმა.

ატყდა ავალ-მაყალი. გოგოები განზე გადაგნენ. კარისკაცი შუაში ჩადგა. ცნობისმოყვარეთა სახეები დაგრძელდნენ.

„ბიჭო, ეს ხომ ისაა...“ — ვაჟამ სახელი ვედარ გაიხსენა.

მეექვსე კლასამდე სწავლობდნენ ერთად. ის პარალელურში იყო მერე გადავიდა სხვა სკოლაში.

„ჰო, ნამდვილად ისაა... ჰმ, ორი ქიქა დაუღევი და ახლა ვაქცაცობს“.

— ვიზე იწვევ! მაგის... — იბარღვებოდა ნასვამი.

არც მოწინააღმდეგე აკლებდა ავსიტყვაობას. ვაჟა მოქიშპევებს მიუახლოვდა.

კარისკაცი შუაში იდგა და შეშფოთებული გაიძახოდა:

— აქ არ იქნება!.. დაგიტერენ ორივეს!... პარორექტორის!.. მილიციის!..

„მართლა არ დაიჭირონ, იქნებ როგორმე დაფიშოშმინო“, — ვაჟამ ნასვამს იდაყვზე მოყიდა ხელი.

— დაწყნარდი ბიჭო, რა მოხდა, ისეთი? — მიმართა, — „კი ვიცი, რაც მოხდა, მაგრამ ცოდო ხარ, შე გლახაკო“, — თან გულში გაივლო.

ნასვამმა მოხედა, ვაჟას ხელი მოიშორა და:

— წადი შენი!..

ვაჟას სული შეუგუბდა. ასეთ მკვებე პასუხს მაინც არ ელოდა. ამდენი ხალხის შერცხვა, თავს ძალა დაატანა და ნაწყენმა ბრაზმორეულად პკითხა:

— მე ვერა მცნობ, ბიჭო რა მოგდის?!

— გცნობ თუ არა, დიდი ვინმე ხარ, წადი!..

— მთვრალია, შენი ჰირიმე, არ გეწყინოს, — ჩაესმა ვაჟას, სახამ რაიმეს მოიხზრებდა.

„ჰმ, მარტო არ ბრძანებულა. ამ ცირკის გამართვას უკვდიდნენ ეს ძმაკაცები?“ — და ვაჟამ ნასვამი იმ ორ ბიჭს მიაჩნდა.

განზე გადგა შეურაცხყოფილი. ბოლმა აღრზობდა — „რას ვეტყვნებოდი“ შეხლა-შემოხლა გრძელდებოდა.

„სამანი ყოფილან... ისინი ნეტა რომელი ფაქულტეტის ხალხია? დახოცავენ ამ შაიმუნებს. მერე მართლა მილიციაც რომ გამოიძახონ? გამოიძახონ და ახია.. ჰმ, ცოდოა ეს გამოთავყენებული“.

ვაჟამ თავმოყვარეობა დაძლია და ისევ მივიდა.

— ჩხუბი არ იქნება, ბიჭო, დაწყნარდი, — ამჯერად ნასვამმა ყურით არ ათხოვა.

მოქიშენი, როგორც იქნა, მოაცილეს ერთმანეთს. ნასვამი იქვე დარჩა. თავლებს ამრიალებდა, ბუზღუნებდა. თითქოს ვიღაცას ეძებდა. მერე უცებ ვაჟას მიუბრუნდა, გაშლილი ხელი სახესთან მიუტანა და თავის ორ ამხანაგს მიმართა:

— ეს, ეს!.. ვინ ეკითხება, ამის!.. — თანხლებმა ბიჭებმა ხელები დაუქორეს და განზე გაიყვანეს.

მერე ერთი მათგანი ვაჟასთან მივიდა.

— მთვრალია, შენი ჰირიმე, არ გეწყინოს... —

— არაფერია, არაფერი... — თავს ძლივს იკავებდა გაფითრებული ვაჟა — მთვრალია, თორემ ისე ჭიგარია, არ გეწყინოს!

— მე სასიკეთოდ მოვედი და... კაცო სკოლაში ერთად ვსწავლობდით. არაფერია... ოღონდ ახლა სახლში წაიყვანეთ, არც ისე მთვრალია...

— კი, გენაცვალე! არ გეწყინოს რა, ჭიგარო! ხომ იცი, ღვინოა მაინც...

მოკიდეს ხელი აყალ-მაყალის ამტებს და წაიყოლეს იმ ბიჭებმა.

ვაჟას ცოტა მოეშვა გულზე.

„იქნებ ახლა მაინც მიხვდნენ ეს თვალმეტყველებელი დოცენტები, რომ კი არ შემეშინდა!..“ — და ცნობისმოყვარეებს ბრაზით მოავლო თვალი.

უცებ ნასვამი აქეთ-იქით ამომდგარ ამხანაგებს გაუსხლტა, ჭიჭურ გაეშურა ვაჟასაკენ. მარჯვენათი პერანგის გულისპირს სწვდა, ჩაბლუჯა და შეიგინა. ვაჟამ მაჯა დაუჭირა ხელი გააშვებინა და:

— წადი, კაცო, რას ვაღამეკიდე!..

ამასობაში ნასვამის ორივე ამხანაგმაც მოატანა. ხელები დაუჭირეს აქინწყლებულს, უკან დასწიეს. იმან წიხლი აუქნია ვაჟას. ვერ მისწვდა. ვაჟას სული ეხუთებოდა. წამიც და თავს ვეღარ შეიკავებდა. ამხანაგებმა, როგორც იქნა, ნასვამი გაათრიეს შენობიდან. დამთავრდა გინების ფეიერვერკი. ვაჟა იქვე იდგა და ბრდღვინავდა.

დაქაჩული შინაქაში თვალუბის ხროვა კი ზეიმობდა — არც ახლა შეგეშინდა!

ვაჟა ბრაზმორეული არიდებდა თვალს დამსწრეთ — ახლა მე არავის აუშტყვდი!

უცებ თენგო შენიშნა.

— რა იყო — ბიჭო? — გაკვირვებით ჩაკითხა თენგომ — შენ და ასეთი აურ-ხაურები?!

ვაჟამ დაიწყო არეულად მოყოლა. თან გასასვლელი კარისაკენ გაეშურნენ.

— რაღას ელოლიავებოდი, სიკეთე ვერ გაიგო და!.. — გაბრაზდა თენგო.

— ბიჭო, ნასვამია-მეთქი, ვთომინე. სად წავა, ნახავ ფხიზელსაც, რა ჰქვიაზე იქნება... — ამ სიტყვებით ორივენი შენობიდან გავიდნენ. ორი ნაბიჯიც არ გადაედგათ, რომ ნასვამი დაინახეს, მათკენ ჩიქურ მომავალი. არც ზორბი-კობდა და არც ფეხი ეშლებოდა. თენგო უნებურად განზე გადავა. ნასვამმა მთელი ძალით მოუქნია მარცხენა ვაჟას. ვაჟამ მკვირცხლად აიციდინა და მაშინვე თვითონ ჩასცხო სახეში. გახეთქა ცხვირპირის კანი მუშტმა. ნასვამმა წაიბორძიკა, სახეზე ორივე ხელი აიფარა და თავი ჩაღუნა. ვაჟამ ერთი-ორი კიდე ჩააზილა და მერეღა ანება თავი. ნაცემს თვალს არ ამორებდა — აბა, თუ კიდე წამოიწევო. მაგრამ ნაცემი ფეხზე ვერც იდგა, კედელს მიყრდნობოდა. გახეთქილი ცხვირიდან და ტუჩებიდან ლია სდიოდა. ცალი თვალი ჩამავეებოდა. ვაჟა შეძრწუნდა — „ფუ, რა უღმერთოდ მირტყია! ეს უნდოდა?“

ნაცემის ამხანაგები ახალა გამოჩნდნენ. ორივე ვაჟას აუქიკყინდა.

— გადით თქვენი!... — შეუღრინა ვაჟამ.

ნაცემი თანდათან გამოერკვა ვაჟას სახელი არც იმას ხსოვებია.

ახლა, ნაბეგმა, ვერც გვარი გაიხსენა,

— მიმინოშვილო, მიმინოშვილო, ყოფას გიტირებ! შენი ბელი, რომ დღეს ჩიბეში არაფერი მაქვს! — თან ჩიბეებში ხელებს იფათურებდა. რომ ვერა იბოვა რა, მერე სეირის მაყურებელთ აუყვირდა.

— ვინც აქ ხალხი ხართ. ხო ყველა ამას ეხმარებოდით! მცემეთ, მომერეთ, არაა? კარგი! კარგი! მე ბიჭი არ ვიყო, თუ მიმინოშვილი არ გაგასვენებინოთ!...

ვაჟას ჩაეღიმა მიმინოშვილიან გავონებაზე (თვითონ ქორიძე იყო), მერე ამ უტიფარმა მუქარამ გააცოფა და ნაცემის ორივე ამხანაგს უღრიალა:

— წაათრიეთ ეს მახინჯი, თორემ გავხიე შუაში!

ნაცემი არ ცხრებოდა. იგინებოდა, ილანძლებოდა, იმუქრებოდა. ვაჟა უყურებდა წითლად გათხაბნილ სახეს და გულზე სკდებოდა.

„რამხელა უტიფარი უნდა იყო ადამიანი, ამ ამბის მერე კიდევ იმუქრებოდე... მხეცია ეს ოხერი!... არ გაჩუმდება და ძალით გავაჩუმებ!“ — მაგრამ ისევ შეიკავა თავი.

— წაიყვანეთ! — მიუბრუნდა მის ამხანაგებს.

— წამიყვანონ! ახლა მე წამიყვანონ და ბიჭი არ ვიყო, თუ შენ არ წავიდონ მერე! წავიდებენ!.. — კიდეც რალაკებს იღობრებოდა ნაცემი, მაგრამ უკვე ამხანაგები მოათრევდნენ და სიტყვები აღარ ესმოდა ვაჟას გარკვევით.

— შენ, ბიჭო, სკოლაში მიმინოშვილი ყოფილხარ, ინსტიტუტში ქორიძე ხარ და რომ დაამთავრებ ნაღდად არწივაძე გახდები! — იოხუნჯა თენგომ.

— შენც კარგი ვინმე ხარ! — შეუღრინა ვაჟამ.

— მე რაღა უნდა მექნა?! ხო არ მოკლავდი კაცს და მეტი ცემა მე არ გამიგია?! — გაუყვირდა თენგოს.

პასუხად ვაჟამ ერთხელ კიდეც მოაელო თვალი ცნობისმოყვარეებს და გაბრაზებულმა ყველას გასაგონად დაიყვირა:

— ჰა, თქვე დოყლაპიებო, გაძეხით? კიდეც იტყვიოთ ეშინიაო!

ვაჟა კონცერტზე აღარ შევიდა — თენგომ, სადღაც მეჩქარებოდა და გასწია.

ვაჟა ქუჩას გაუყვია, თვითონვე უკვირდა, რაღა აღლევებდა. აღლევებდა თუ... „მეშინია“ — დაიჭირა თავისი თავი. შერცხვა მაგრამ ირგვლივ არაფერი იყო და გაუტყდა თავის თავს — „მეშინია... უ, მაგათი!... ახლა წავა და შეყრის ქვეყნის ოხერს. მე შენ გეტყვი, ვაჟაკურად მოვლენ, ერთი ერთზე... არა, სახლისაკენ არ წავალ ჯერ...“

გაჩერებზე ტრამვაი ჩამოდგა. ვაჟა ავიდა. ტრამვაი ვაჟას სახლის საწინააღმდეგო მხარეს მიდიოდა. ვაგონში ხალ-

ბი ბევრი არ იყო. უცებ შეამჩნია, შუახნის ქალი გვერდით მჯდომ კაცს რაღაცას ეჩურჩულებოდა და თვალებით მისკენ ანიშნებდა. გაუკვირდა. მერე პალტოზე დაახედა — სისხლის ლაქები. ხელი მოისვა და ახლა თვალში წითლად გათხაპნილ თითები ეცა.

პირველსავე გაჩერებაზე ჩავიდა. იქვე, ეზოში ონკანი მოძებნა და დიდხანს იმორებდა სისხლის ლაქებს.

ეზოდან ფრთხილად გამოვიდა — „ხომ არავინ მითვალთვალებს“. უსიამოვნო, მღრღნელ გრძნობას მოეცვა. წინ, უკან, გვერდზე, ქურდულად მოპარული გარეწრები ელანდებოდა. მიდიოდა ქუჩაში და ეშინოდა. ეშინოდა ლაპაა დანის და შავი რევოლვერის, ეშინოდა სიბნელის, მიდიოდა ქუჩაში და ეგონა ყვეელი შემხვედრი იმას აკვირდებოდა. დამალვაც არსად შეიძლებოდა. ან სად უნდა დამალულიყო? ან რატომ?!

ვერაზე თანაკურსელი ბონდო შეხვდა. სწორედ მისი ყაიდის ხალხის ეშინოდა ვაჟას. სწორედ ასეთებზე გაიფიქრა გულმოსულმა: „ახლა წავა და შეყრის ქვეყნის ოხერს...“

ასეთები თუ გიცნობენ, ხომ კარგად თუ არა და...

ახლა კიდევ გაუხარდა ვაჟას ბონდოს შეხვედრა. ვაჟამ უამბო, რაც შეემთხვა და თუმცა სიტყვა არ დაცდენია შიშზე, ბონდო მიუხვდა.

— ნურაფრის გეშინია, ხელს ვერავინ გახლებს, მე აქ არა ვარ!

— რა გეშინია, თუ ის იტყვის მთვრალს მეცხო, საცემი კი არა მოსაკლავი იყო. ახლა თუ ეგეთი ვაჟაკია, ფხიზელი მოვიდეს. მხოლოდ რო. შეყრის ხოლმე ქვეყნის ოხერებს, ეგ რა ბიჭობა!

— ხმასაც ვერავინ გაგცემს, შენ რა გინდა! — აიმედებდა ბონდო.

მერე ბონდომ თხოვა, ნინოშვილის ქუჩაზე ჩამყვები, საქმე მაქვსო და გასწიეს. მარჯანიშვილის მოედანზე ორ ახალგაზრდას გამოელაპარაკა. ვაჟაზე

უთხრა, გაიცანით, ჩემი ძველი მეგობარი ორივემ შეწყვიტა ბღვერა და მოწიწებით ჩამოართვა ხელი. „პპ, ეს რახან ბონდოს ძმაცაი ვარ“, — მწარედ ჩაელიმა ვაჟას. ორივე მაღალი და მხარბეკიანი იყო. ერთ მათგანს მღვრიე თვლები ჰქონდა. ვაჟას არც მეორე მოეწონა.

— თამაზ კაცად რა კაცია? — გამოძიებელივით ჰკითხა იმ მღვრიეთვალბიანს ბონდომ.

— ჩვენი ბიჭია, წედან მოვარდა ბირეზე ატირებული, ვაკეში დამესიენ და გამლახესო. მაგრად ურტყიათ. თან ეგ მთვრალი ყოფილა... — თითქოს რიგითმა მეთაურს პატაკი ჩააბარაო, ისე მიაყარა იმ მღვრიეთვალბიანმა.

— ამან ვალახა! — გააწყვეტინა ბონდომ. მის ხმაში აშკარად გაისმა მუქარა.

— შენ ვალახე? — მოწიწებით ჩაჰკითხა ვაჟას იმ მღვრიეთვალბიანმა.

— ხო, აღარ მომეშვა და... — თავის მართლებასავით გამოუვიდა ნათქვამი ვაჟას.

— შეხვდებიან და გაარკვევენ... — წამოიწყო მეორემ.

— რაა?! — ეს რა გამოიბედესო, ხმას აუწია ბონდომ, — ვინც ამას ხმას გასცემს, ჩემთან ექნება საქმე!

მღვრიეთვალბიანს და მეორესაც ენა ჩაუვარდათ.

მერე ის ორი ბიჭი თავისი გზით წავიდა.

• • •

დიდხანს ვერ დაიძინა ვაჟამ. იწვა და ფიქრობდა. ფიქრობდა ბიჭებზე. ბიჭებსა და ჩხუბზე. გაიხსენა სკოლა. პატარაობისას რამდენს ვჩხუბობდით. სულ ფეხბურთის გულისათვის... გოგიაო რო ტყუბი ძმები სირაძეები ვალახა? მერე მეც მეჩხუბა. ვერც ერთი მოერიო, იძახდნენ ბიჭები. მაშინ დიდები ვიყავით უკვე... მეთაუმი თუ, ხო, მეცხრეში ვიყავით. მაგრამ დანა რა სახსენებელი იყო. გოგია ახლაც მხვდება რა კარგი ბიჭია — ჩაელიმა ვაჟას, თითქოს



ახლაც ამხანაგის გულდა ღიმილს უპასუხებო. სხვაც იყო, უფრო პატარები რო ვიყავით... მეთერთმეტეში... ჰო, მეთერთმეტეში სტადიონზე ვიზუზე, ვილაც იდიოტმა ბასას რო აგინა. მაშინ მურმანმა მიშველა. ისინი საშინი იყვნენ. რას ურტყამდა მურმანი! ავიდ რომ არ ვამხდარიყო, მაგარი მოკრივე დადგებოდა. მისი ბრალია, წონას ვიჭერო და პლევირტი კი დაიჭირა. როგორ ეშინოდა დანის... ახლაც ისეა. მე უფრო მისგან დამშემდა დანის შიში. თუმცა რა მისგან... ვინც იარაღით იჭაჩება ის რა ვაქცაიცი! ეს მხდალების და თავზე ხელაღებულების საქმეა. და ან საერთოდ ვინც მუშტებზე იყურება ის კი ვაქცაიცი? თუ ღონე გერჩის, ცოტაა სარბიელი?! რაღა დროს ღონით რაინდობა! მართალია, არც ისე ვარგა, ახალგაზრდას ქალიშვილივით ჰქონდეს მკლავები, მაგრამ სულ მუშტებზე და და იარაღზე ყურება?! ამას ვერიდებოდი მთელი სტუდენტობის განმავლობაში და აი, ესეც... მეხუთე კურსზე. არა, მაინც რა ყველას ახლა აგვიტყდა ეს შარი. თუმცა რა ყველას!.. ნოდარი და გელა რომ გალახეს, მაშინ ამათი ბრალი იყო. მერე ზაური მოხვდა მილიციაში და მისი გამოშვებაზე აწრიალდა მთელი ინსტიტუტი. კოტეს რო შეხსნეს საათი? თითქოს, აქაოდა ამთავრებთ, ასე სუფთად ვერ მოგართვეს დიპლომებიო. არა, სწორი თქვა იმ დღეს შალვამ, — კაცი რო ოცდაათს მიალწიე და ერთხელაც არ გაიქნეე მუშტს. დედალი ხარო. ჩვენ ოცდაათამდე ჯერ ბევრი გვიკლია, მაგრამ აი შენი მუშტიც... რამდენი ვითმინე... პირველ კურსზე მე და მიტო რო წაგვიკლავდით. მერე გურამმა რო წიგნი გამომიქანა. მერე მე და ლადო რო გავიბუტეთ ბავშვებივით. გამოვედი ახლა მეც არსენა!... ეს რომ ვინმეს მოეუყვებ, პატარაბანი ხარო, იტყვის. რა უნდა მოეუყვებ. არც იმ ვაჟბატონ თამაზის ამბავს ვეტყვი არავის... რაღა არა, ბონდოს კი ვუთხარი და. ისე,

რომ ვუთხრა ბიჭებს, სჯობია. რაღაზე? ის ვილაცეებს მომიყვანს, ბონდოს ყველა ეცოდინება. ფუ... ესაა საქმე, კაცი გალახო და კიდევ მისი გეშინოდეს! მისი კი არა!..

ვაქას ძალიან გვიან ჩაეძინა იმ ღამეს.

• • •

მეორე დღეს ინსტიტუტის ბიჭებმა ბარე ათჯერ მოაყოლეს გუშინდელი ამბავი ვაქას. თან იძახდნენ, რაღა მაშინ არ ვიყავით აქო.

გავიდა ერთი დღე. ორი, სამი. არავინ ჩანდა. ვაქამ ბონდოც ვეღარ ნახა. ბონდო ინსტიტუტში აგრე რიგად როდი დადიოდა. მის საგანგებოდ ნახვას ვაქა თაკილობდა. ერთ საღამოს ვაქა გვიან მივიდა სახლში. დამ უთხრა, ვილაც ბიჭმა გიკითხაო. დამ აუწერა ვაქა ვერ მიხვდა ვინ იყო, სახელი არ უთქვამსო, უთხრა დამ, მერე ვნახაეო. თავაზიანად შელაპარაკაო, დაუმატა დამ.

ვაქა ვერ მიხვდა, ვინ იყო და არც არაფერი უფიქრია ამაზე. თუმცა გვიანი შემოდგომა იყო, იმ დღეს თბილოდა და ბიჭები ინსტიტუტის ბაღში ისხდნენ, ვაქაც.

„ჩქნებ ალარც კი მოვიდეს. საცემი იყო და ვცემე. იქნებ მიხვდა, რომ დამნაშავე იყო“, — ხანდახან ამას თუ ვაივლებდა გულში და რაც მეტად მშვილდებოდა, მით უფრო რცხვენოდა იმდამინდელი შიშის.

— ვაქა, იქ ერთი ბიჭი გიკითხულობს, მგონი ჩხუბის ამბავზეა. თვალი აქვს ჩაშავებული.

ვაქა აღგა და ბიჭებიც გაჰყვნენ. „ჰმ, მაინც მოვიდა... ეგენი რაიმეს შეიგნებენ?!“ — გაიფიქრა.

ქუჩაში თამაზ კაცამე იდგა. თვალზე ჟული ჩამოეფხატა და ნერვიულად უცდიდა ვაქას მიახლოვებას. ვაქამ შორიდანვე თვალთ აწონა მოწინააღმდეგე. ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა. მივიდა ძალიან ახლოს და თვალეში ჩახვდა. თამაზს მარცხენა თვალი ბოლოკივით ჰქონდა გაწითა.

ლებული, უპე კი დამბალი ქლიავივით ჩაშავებოდა. თამაზმა თვალები ააფახულა და მისი გარეგნობისათვის შეუდერებელი, ჩახრინწული, წვრილი ხმით წამოიყვირა:

— შენა ხარ ის ვაჟკაცი!

— მერე რა გინდა, — დინჯად დაუბრუნა ვაჟამ, თან ჭიუტად თვალს არ ამორებდა თამაზის თვალებს. მისი თვალები კი მახეში გაბმულ ტურასავით აქეთ-იქით აწყდებოდნენ.

— ჩამოხვალ ჩვენთან... — ახლა ხმა ემდინად ჩახრინწა თამაზს, რომ ეს წამოყვირება კი არა, წამოჩხალებული ფრო იყო. ეს თქვა თუ არა, გაბითურებული, ქუჩის მეორე მხარეს გადაძუნძულდა.

ვაჟამ ამხანაგებს გაუღიმა. ხელები გაშალა და თქვა:

— გიყაა! სად ჩამოდიო, რა ჩამოდიო! თუ რაიმეს შნო ჰქონდა, აქ არ იდგა!

— იპ, მაგას რო შნო ჰქონდეს, ახლა შენთვის ბოდიში უნდა მოეხადა, — ევერი დაუკრეს ბიჭებმა.

ერთ-ორი დღე მაინც ვერ დაიმშვიდა გული, — ვაი თუ ინსტიტუტში ამოცვიდნენ ის და მისი დამქაშებო. მაგრამ ორი დღეც გავიდა, ოთხიც, და ათიც. ვაჟა უკვე სრულიად დამშვიდებული იყო. გულის სიღრმეში ტუქსავდა კიდეც თავის თავს — „შევიგნო კაცმა დანაშაული და მე კი ასეთ მხეცად დავახასიათე ყველასთან“. თან იმდამინდელი შიშის რცხვენოდა. თუმცა კი ამის შესახებ არავისთვის არაფერი უთქვამს. დარწმუნებული იყო, ბიჭები უსიტყვოდაც ხვდებიანო და მით უფრო რცხვენოდა.

მეხუთე კურსი მეორე ცვლაში მეცადინეობდა. ბიჭები ნაშუადღევრიდან მაინც ინსტიტუტში ტრიალებდნენ. ხან ვესტიბულში, ხან ბაღში. ახლაც ლექციების დაწყებამდე ორიოდე საათი დარჩენილიყო. და ბიჭები უკვე შეკრებილიყვნენ. ბაღში ისხდნენ და აგრძელებდნენ დაუსრულებელ კამათს.

ბიჭებზე სჯობდა თუ მესხი, ჯინჯიერი რომ ლამაზია, თუ ბრიჯიტა, მოუგებდა ნონა მენჩიკს, თუ ვერა.

ინსტიტუტის ბაღის შესასვლელთან ერთი შუტანის, თბელი, პირხმელი ბიჭი იდგა. ბიჭს ჰქონდა მოგრძო, სუფთად ვაპარსული სახე და ძალიან ნაღვლიანი თვალები, თითქოს ბრახნარევი. ვაჟამ შეხედა და არ მოეწონა — მართალ კაცს ასეთი თვალები არა აქვს. შევიდა თუ არა ბაღში, თამაზ კაცამ შეეფეთა. ისევ ისე ბოლოკივით გაწითლებული ცალი თვალითა და დამპალი ქლიავივით ჩაშავებული უპით.

— შენით არ ინებე ჩამობრახანება და ახლა წამოდი, რა ვაჟკაცი ხარ, იქ გამოჩნდება!

ვაჟამ გაკვირვებით მიმოიხედა.

— წიდი და იარე! ბოდიშის მაგიერად კიდე აქეთ მეშუქრება?! თუ ძალიან გინდა, ავე ბაღის ბოლოში ჩავიდეთ...

— წამოდი, რომ გეუბნებიან! — ვაჟა მიტრიალდა. ის პირხმელი იყო, დანახვისთანავე რომ არ მოეწონა. ახლა კი მიხვდა, რამ ვააბედვინა თამაზ კაცამეს ამდენი. აშკარად ჩანდა, პირხმელი თამაზივით სხვაზე დამოკიდებული, წვრილმანი ხულიგანი არ იყო.

— სად უნდა წამოვიდე! თუ ვგრე უნდა ჩხუბი, ჩავიდეთ ბაღის ბოლოში. კაცივითი ხელს არ გაანძრევს. ერთი ერთზე დავარტყათ!

— მე აქ ახლა სცენების გასამართავად არ მოვსულვარ. წამოდი, საანამ წყნარად გეუბნებიან! — გველივით ჩაისისინა პირხმელმა.

ცნობისმოყვარეებს სახეები ისევ დაუგრძელდათ. ვაჟამ იმათ თვალი მოავლო და გაიფიქრა: „აჰა, დაიწყეს ისევ“.. პირხმელს კი უყვირა:

— თავი დამანებე!

ლაპარაკში ვაჟას კურსელი სიკო ჩაერია. ამან განზე გაიხმო ის პირხმელი. რამდენიმე წუთი შეთქმულთა სახეებით ილაპარაკეს ხმადაბლა. მერე სიკო ვაჟას მიუბრუნდა, წვაიდეოთ. ვაჟა

ისევ თავისაზე იდგა. მაგრამ სიკო აღარ მოეშვა, წამოდი, მეც შენთან ვიქნები და ხელს ვერავინ გახლებსო.

— შენ მართლა ბონდოს ძმაკაცი ხარ? — დამცინავად ელიმებოდა პირბმელს, — ახლა დაგჭირდა და იტყვი ძმაკაცი ვარო.

მაგრამ პირბმელი მოტყუვდა. ვაჟამ არაფერა უპასუხა. სამაგიეროდ სიკომ უსაყვედურა:

— რაღას ეკითხები, ჩემი არა გჭერა? მოდი, „გემოში“ გავიაროთ...

მაგრამ ბონდო „გემოში“ არ დაუხვდათ.

„ვოლგაში“ ხუთნი ისხდნენ. საჭესთან შოფერი, ხნიერი, დიდულვაშა კაცი. ამ ასაკის შოფერებზე ამბობენ, ამათ რომ თავისი ხელობა დაიწყეს, მაშინ შოფერები მფრინავები ეგონა ხალხსო. შოფრის გვერდით თამაზ კაცაძე იჯდა. უკან, შოფრის მხარეს, ის პირბმელი. ამას პანტას ეძახდნენ. პანტა შერქმეული ჰქონდა თორემ ისე პანტელეი მონი ერჭვა. პანტასაც ყველა კი ვერ ეძახდა. უფრო მეტი პანტეს ეძახდა. ისე კი პანტას სახელით იყო ცნობილი. პანტას გვერდით სიკო იჯდა — მალალი, ვამბლარი და დიდგულა. სიკო რაიონიდან იყო ჩამოსული და უყვარდა „ძველებიჭობა“. სიკოს გვერდით კი ვაჟა იჯდა. როცა „გემოში“ ბონდო არ დაუხვდათ და მანქანა ქვევით დაეშვა, ვაჟამ თქვა, გააჩერეთ, მე არსადაც არ მოვდივარო. ყურბი არავინ ათხოვა. ვაჟამ გაიმეორა ნათქვამი.

— მიდი, კაცო, მიდი! — უთხრა პანტამ შოფერს.

— ვაჟა, მე აღარ მენდობი? არაფერი არ იქნება! — უთხრა სიკომ.

ვაჟა გაჩუმდა. ავტომობილი კი მიდიდა.

— ბიჭო, ესე უნამუსოდ ცემა იქნება?!... წამოიწყო პანტამ, — თუ გვრე გული შეგტკიოდა, ამაღარიყავი და ეს ნაცემი კაცი სახლში მაინც მიგეყვანა.

— მე რა უნდა მიმეყვანა, მართო

ხო არ იყო. ორი ძმაკაცი უნდა იყოს თან.

— ჰმ, ძმაკაცი! რა ჩემი. ძმაკაცები ისინი არიან, დღესვე შენც იმათთან დაგაწვევენ სასწრაფოში! — წამოიყვირა თამაზმა.

— გააჩერე მანქანა! — ხმამალა თქვა ვაჟამ.

— მიდი კაცო! — უთხრა შოფერს პანტამ.

მანქანა მიდიოდა.

— ნახე, პანტე, ძმაკაცებით. ინსტიტუტელი რქიანები იყვნენ. ერთად პურიც არ გაგვიტეხია!...

ვაჟას ყურში მოხვდა თამაზის ნათქვამი, — „პანტე“ და ჩაელიმა.

— მაგის ბედი, რო ბიჭები არ გავუშვი! დახვრეტდნენ და აქამდე გაასვენებდნენ კიდევ! პანტე, შენ რომ აქ იყავი, ძლივს ვაკავებდი ბიჭებს! — თამაზი უკან არ იხედებოდა, ისე ყვიროდა.

„პაპა! აი, რატომ არ ჩნდებოდა აქამდე ეს ვაჟბატონი“, — მიხვდა ვაჟა.

— იმ დღეს რა დაიმალა, იცი? თავის დას გააღებინა კარო.

— რა, შენ იყავი? — ბრაზიანად გააწყვეტინა ვაჟამ.

— მა რა! — აბა რა გვეგონაო, იქაჩებოდა თამაზი, თუმცა აშკარად ცრუობდა, ვაჟასთან თამაზმა ერთი თავისთანა ჭკუისკოლოფი მიაგზავნა სახლში.

„ჰმ, კიდევ კარგი, შინ რო არ იციან, ამ ცინგლიანებთან რა შარში გავები! არა, რო გავგოთ, ხო უნდა დამეჭვრონებინა ეს მათხოვრები. მე რა ამბავს ამიტეხავდნენ სახლში კიდევ კარგი, ახლა რომ წამოგყვევი. ისევ სახლში რო მოთრეულიყვნენ. რას იზამენ ახლა იარაღი ორივეს აქვს. არა, სიკო არ წამომიყვანდა, რო არ ჰქონოდა იმედი, რომ მითხრას, ერთი ერთზე იჩხუბეთო? მეც ეგ მინდა! ისე დავზილავ ამ იდიოტს რო ახლა მაინც არის ფბიხელი“.

„ვოლგამ“ ბევრჯერ მიუხვ-მოუხვია

თბილისის დაკლავნილ ქუჩებში და ბოლოს აღმართი აირჩია.

— ე სად მივდივართ! — შესფოთდა ვაჟა, — აჰ! ჰო, ნამდვილად კუციაზე მიდის ეს გზა. მიდის და მივადეს. ფეხებსაც ვერ მომჭამენ! ალბათ პანტას ძალიან ეშინია მილიციის, სადმე ეზოში რო გვეჩხუბა. სასაფლაოზე კი დაზღვეულია ამით. მაჩხუბონ და... ისე დაენაყავი უ, მავის!..“

ამასობაში ავტომობილი სასაფლაოზე ავიდა. ირგვლივ სულიერი არ ჰქანებდა. სულიერი, თორემ უსულონი ბევრნი იყვნენ.

ჯერ თამაზი ვადმოიბღინძა, მერე პანტა. მერე სიკო და ბოლოს ვაჟა გადმოვიდა. პირველი სამი მანქანიდან ათიოდე მეტრის მოშორებით გაჩერდა. პანტამ შოფერს უთხრა, დაგველოდეო. ვაჟა ფეხს ითრევედა.

„ფუ, ამის!... — უცებ აიტანა შიშმა, — მე რო ახლა ამას ვცემო, მერე ის ისე ვაჩერდება? რო ჩამცეს ზურგში?... თრთვე რო ვცემო? ვერ მოვასრუებ. ეს პანტა თუ შეალო, არიფი არა ჩანს... იმას რა დიდი რამე უნდა, დააქერს თითს და!.. გათავდა. გინდაც ორივე ვცემოთ, სიკოც ხო აქაა. მე რე სადღა მივდივართ, ხო შეყარეს მთელი ქალაქის გარეწრები! არა, არც ვცემ და არც თავს ვაცემინებ!“

პანტა ვაჟას მიუბრუნდა და ცივად უთხრა:

— გაართყი!

„ყველაფერი ცხადია!“ — გაიფიქრა ვაჟამ.

— მოიცა, ჯერ გაიგე რაშია საქმე! — აღელვებით უთხრა პანტას.

— შენ გაართყი! — ახლა თამაზს უბრძანა პანტამ.

თამაზმა ხელი მოუქნია ვაჟას. ვაჟამ აიღვინა და უკან დაიხია.

— მოიცა, ჯერ გაიგე რაში... —

— რა უნდა ვივიგო, შენი!.. — გააწყვეტინა პანტამ და შეაგინა.

— გაართყი, რაღას უყურებ! — ისევ უბრძანა პანტამ თამაზს.

ვაჟა პანტასკენ იყო სახით შემოქცეული, თამაზის მოქნეული ხელი გვიან დაინახა და ველარ აიცილა. მუშტი ტურში მოხვდა. ტურში შიგნიდან გასკდა, გარედან კი გასივდა. სანამ თამაზი მეორეს მოუქნევდა, ვაჟამ ხელები დაუჭირა.

— ხელი გამიშვი! ხელი გამიშვი, შენი!.. — აჩხაელდა თამაზი.

ვაჟა არ უშვებდა.

— მამ, შენ არა ხარ დამნაშავე? — ჰკითხა პანტამ.

ვაჟამ თამაზს ხელი გაუშვა და პანტას გულის ბაგაბუგით უპასუხა:

— რა დამნაშავე! მაგინა, მლანძღა, მერე ჩემი გალახვა მოინდომა და... —

ამ დროს ვაჟამ ცხვირში იგრძნო დარტყმა, უკან დაიწია და მეორე მუშტმა თვალწინ გაუელვა.

— მოინდომა და ვერ გაგლახა, ა! უ, შენი!... მთელი ინსტიტუტი რო დამახვიე, რა გეგონა! დაგზერეტაე! — და გაცოფებულმა მოძალადემ გულის ჯიბეში იტაცა ხელი. ვაჟამ დაუჭირა.

— დაიჩოქე, თუ არა მოგაკლი! — ღრიალებდა მუტრუკი.

ვაჟამ ისევ პანტას შეხედა. გაფითრებული სიკოც იქვე იდგა:

„თუ პანტამ ხელი განძრია, მაშინ მეც დავარტყამ...“ — „მველ-პიჭურია“ წესების მიხედვით ფიქრობდა.

— დაიჩოქე! — ჩხაოდა გარეწარი და მუშტებს კუმშავდა.

ვაჟას აღარაფერი ახსოვდა! არაფერი, გარდა გასაგიყვებელი სურვილისა — ეთხლიშა!

— დაიჩოქე!

...ეთხლიშა!!

— დაიჩოქე!

...ეთხლიშა!!

— დაიჩოქე, შენც, რაღა! — ამ დროს ისე გაისმა შოფრის გაბრაზებული ხმა როგორც: დაიჩოქე, თუ ემ მაგათა ვაჟაკობააო.

სწორედ ამ ხმამ განმუხტა ასე დაელექტროვებული სურვილი. ზუსტად დროზე, საოცრად ზუსტად!

ამ ხმაზე ოთხივემ შოფრისაგან გაიხედა. მერე ვაჟამ რატომღაც პანტას შეხედა. მაგრამ ახლა პანტამ გაართუა სახეში და შეაგინა.

— რა შეიკალით კაცი ხელში! — ახლად ამოიღო ხმა სიკომ, — თუ იარაღზეა საქმე, აჰა, იარაღი მეცა მაქვს! — და სიკომ ხელი გულის ჯიბეში ჩაიყო.

თამაზ კაცატეს მუხლები აუკანკალდა და ისედაც გაფითრებული სახე მკედრის ფრად ექცა.

— აბა მაჩვენე, — ცივად უთხრა პანტამ სიკოს და ჯიბეზე ხელი მოუთათუნა. — ჯიბე ცარიელი იყო. პანტამ გამჭირდავად გაუღიმა სიკოს.

— წადი ახლა და სისხლი მოიბანე! — მერე ვაჟას უთხრა.

იქვე, კახრში, საფლავის ყვავილეების მოსარწყავი წყალი იღვა. ვაჟამ ცხვირიდან გამონაჟონი სისხლი მოიბანა. მერე ცხვირსახოცი მიიჭირა ცხვირზე.

ბოლოს ოთხივენი ჩასხდნენ „ვოლგაში“ და პანტამ შოფერს უთხრა, ისევ იქ წაგვიყვანე, საიდანაც მოვედითო. შოფერმა მანქანა დაძრა.

„კი ვიცი, სადაც ხართ წასაყვანო“ — თან გაიფიქრა, — „ესეც რა ცხვარივით წამომყვია, რას ფიქრობდა?! ერთი მაინც გაერთუა! თუმცა რას ვამბობ, არ ვიცი?!... აფსუსს, ჩემ დროს...“ — და შოფერმა დიდ უღვაწეზე ხელი გადაისვა.

„გაძეხი? შენც ხომ გაძეხი!“ — ვაჟას უნდოდა ეყვირა შოფრისათვის, მაგრამ მხოლოდ გაიფიქრა.

ინსტიტუტამდე არც ერთს ხმა აღარ ამოუღია.

— ამათ მივიყვან თუ არა, ბონდო უნდა მოეძებნო, — ფიქრობდა პანტა, — „ვინც ამას ხმას გასცემს, ჩემთან ექნება საქმე!“ — თან ყურებში უწიოდა.

მართლა მისი ძმაკაცი რომ იყოს, ბონდო არ მიატოვებდა. ახლა ბოდიშს მოვუხდი, ესეც საკმარისი იქნება... რომ არ ეკმაროს?... — და პანტა შიშმა აიტანა, — „ეს თამაზაც შტერია, ამხელი მუტრუჟია და არაფრის თავი აქვს. ბონდომ რომ ამის გულისათვის მე...“

აეტომობილი გაჩერდა.

— ახლა მე წავალ და ბონდოს ბოდიშს მოვუხდი. მისი ხათრით, თორემ აქ კი არა, საავადმყოფოში მიგიყვანდი — ჩაისისინა პანტამ.

ვაჟა მიხვდა, რომ პანტამ მართალი თქვა.

— ახლა წადი და აღარსად შემხედვე, თორემ დაგხვრეტავ! — წამოიჭყვიპინა თამაზმა.

შოფერმა ჩაახველა, თუ ჩაიცინა.

ვაჟა და სიკო ვადმოვიდნენ მანქანიდან. დარჩენილებმა განავრძეს თავისი გზა.

პანტამ მართლა მიაკითხა ბონდოს. მაგრამ ვერ ნახა, ჯერ ვერ ნახა. ბონდო უკვე დაეპატიმრებინათ.



მირანგულ ავსაჯანიშვილი

შენს კახაუში...

შენს ძებნაში საოცრება ვიპოვე —  
ნატვრის თვალში ჩაგუბული სევდა,  
ელვის ხელით გიგზავნიდი ბარათებს,  
ქარი ფიქრებს წერილივით ხევდა.

შენს ძებნაში ნატვრის თვალი ვიპოვე,  
აღიმციმიდა შენი სახლის კვალი,

მოვედი და ფრთხილად მოგიკაკუნე,  
შენ კი მაინც მომიხურე კარი.

მოლოდინმა ზღვად გააღხო ყინული,  
გაჭრიალდა ჩარაზული კარი,  
მთვარე ვარსკვლავს სატრფიალოდ უხმობდა,  
ღამის სუნთქვას არიგებდა ქარი.

გამოღვივაა

ქარი ქვევბოდა ცხრა დევის ზღაპარს,  
სევდა ძენძავდა ჩახვეულ მთვარეს,  
ცხრაჯერ წაგჭრა პატრუქი ლამპარს  
და მხოლოდ ერთხელ იფეთქა ღამემ.  
თუ ეს ცხოვრება ქარიშხალია,  
მე რაღად ვგავდე უწყინარ ნიავს,  
ღმერთმანი, მართლაც ცოდვა-ბრალია  
კაცს, რომ სიცოცხლე უნდილად მიაქვს.  
რაა კალამი იმით თუ არ წერს,  
რაც ამ ძარღვშია ჩაგუბებული,  
სისხლს რა ვუწოდო, ძარღვებს რომ არხევეს,  
თუ არა ფიქრი აფეთქებული:  
მინდა ქარიშხლის მორევში მოგვეყვ,  
რწმუნის მახვილით, გაგკვალო გზები,

თუ არ გამწირა ბედმა და მომშემ,  
ფარად მომარგეთ სამშობლოს მთები.  
ჩემო კალამო, გზა გვიდევს შორი,  
წინ სხვა სივრცეთა გადარბენაა,  
სტარტთან მომდგარა ღვარძლი და შური...  
ვინ ვის გაასწრებს რა ბედენაა  
ღმერთშიც და კაცშიც სრულ სახეს ვეძებ.  
ვერსით ვერ ვგუბო გახლეჩილ მთვარეს,  
მარწმუნეთ, ძალა ძმობის, გატანის,  
და ყველა ღმერთებს გადავაგვარებ...  
ასგზის, ათასგზის ვიყავ მძებნელი  
ლექსო, გპოვე და ვერ დაგივიწყებ,  
რომ ვიყო ღმერთი, ქვეყნის შემქმნელი,  
სამყაროს შექმნას შენით დაგიწყებ.

## დღენი დამდგარა ჩვენი გაყრისა

დამთენებია მერამდენედ შენზე ფიქრებში,  
ნახსლეთი ცრემლი დამძიმებულ წამწამზე შრება,  
ცარგვალის მნათობს დაეღია სული ნისლებში,  
სანთელი იწვის, იფერფლება, უკვალოდ ქრება.

არ მიფიქრია, მუხაც ჩემო, მე წყენა შენი,  
ისე წამომცდა უნებურად, რაღაც ბალღურად,  
შენ თუ გგონია, ერთნიებს არ ესმით ჩემი,  
რად მიცინიან, კისკისებენ ვისთვის ქალურად?

შენ კი რატომღაც უფრო გჯერა ლამაზი ზღაპრის,  
ვიდრე სიმართლის, გულალალის, ჩემად რომ ჰქვია,  
ვხვდავ დამდგარა დღენი ეჭვის და ჩვენი გაყრის,  
იმედი რისდა, ო, არაფრის...

და

კიდევ ერთის... დღეს რომ შლევი პოეტი მქვია!

## ღამის ფიქრები

აღ. უაზნების ხსოვნას

მთვარემ მყინვარზე ცეცხლი დაანთო,  
პიტალო კლდენი დარაჯად დადგენენ  
და მიძინებულ მიწის ყივილზე  
მამა-პაპათა ჩრდილები ადგენენ.


ხამების ზართა გუგუნის ხმაზე  
მთის არწივები კვრავენ მარყუევებს,  
ცის კაბადონზე მღვრიე თვალებით  
ვხვდავ წარსულის უკვდავ მირაკებს.

ბერის ხანჯალმა სიერცე გააპო  
და მთის ჭიუხებს მოწყდა ძიძია,  
თოფის გრიალმა შესძრა ხეობა,  
კობამ ძმისათვის შური იძია.

მომძეთა სისხლი ღმერთს შესწუნუნებებს,  
ხინდისი ელის გამკითხავ პასუხს,  
გვრგვინვა გადუვლის მთებს და თემობას,  
მოგონებანი ბარდება წარსულს.

აქ დაესმევა წერტილი ღამეს, —  
აქვე დარჩება ფიქრი უთქმელი,  
ღამენათევი კლდენი ჩათვლემენ  
და მყინვარწვერზე ჩაქრება აღი.


თემს მოკვეთილი ყარბის მსგავსად,  
აღარ შექნება სიტყვა სათქმელი,  
გარდასულ დღეთა მოგონებიდან,  
კვლავ შეუცნობი დარჩება კვალი.



მაცხელი

ლეგენდის პირშო,  
ღმერთების ტყვე და ფუფუნება,  
დედამიწაზე  
მოვლენილი მითიურ ლერწმით...  
აღვირახსნილი  
და ველური მისი ბუნება,  
ცხოვრების კანონს,  
შემოქმედის სისხლ-ხორციით ერწყმის:  
საიდუმლოთა საიდუმლო —  
თვალთ ხილული,  
ულამაზესი ლამაზთ შორის —  
მზეთუნახავი!  
მეფე-სტიქია,  
უძლეველი და განწირული —  
გაიმარჯვებს და...  
თავად უნდა მოიკლას თავი!..  
საოცარია! —  
მაინც, მაინც რა შთააგონებს,  
რა კმატებს ძალას  
უმაღლესი გაიღოს მსხვერპლი?!

ნუთუ ცხოვრების სინამდვილე  
მას არ აგონებს,  
რომ რჩება ფერფლი,  
მხოლოდ ფერფლი  
და მარტო ფერფლი!  
რომ ყოვლის შემძლე  
სიმხურვალე და სიდიადე  
საუკუნეთა ამ მორვეში,  
წამიერია!.. —  
რა ეშველებათ —  
გაურღვეველ, მუღმივ წყვილიადება,  
რა ეშველებათ —  
იმიერ და ამიერიდან!..  
მაგრამ რადგანაც  
ლეგენდა და საოცრება,  
აღვირახსნილი,  
სამუდამოდ გაუხედნავი;  
მსხვერპლის ღირსია  
უანგარო მისი ოცნება,  
რომ უკვდავების  
გამარჯვებას შეაკლას თავი!..





ხაზგაზი შენაგა

# უკანასკნელი უბიხი

ბ. ბ. ბ.

## ჩვენი ქარაუზის აღსასრული

ოთხშაბათი დადგა. ამ დღეს გულის-  
კანკალით ველოდებოდით ხანდაზმუ-  
ლები. ცა ჩაქუფრულიყო შემოდგომის  
მძიმე ღრუბლებისაგან, უგზო-უველოდ  
რომ მიექანებოდნენ სადღაც. პაერში  
წვიმის სუნი ტრიალებდა, მაგრამ გზე-  
ზე ისევ იბოლქვებოდა მტვერი. ჯამხა-  
სარებს ცხერის ფარები მთიდან ჩამოე-  
რეკათ და ახლა ჩვენი მინდვრებისკენ  
მოიწევდნენ. შეიარაღებული უბიხი  
მზარები ღამლამობით მოხეტიალეთა  
მზარეს ისროდნენ. ჩვენებს არც ჯამხა-  
სარები ჩამორჩებოდნენ და გუშაგებს  
ტყვიას უშენდნენ.

როგორც ნაბრძანები მქონდა დილა-  
დრინად ავედი გორაკზე, თავზე გვირ-  
გვინად რომ აღვა გამოფიტული რცხი-  
ლა. ეს რცხილა კარინჯ-ოვასში ვადმო-  
სახლების პირველსავე წელს დარგეს  
უბიხებმა. ეტყობა ნიადაგი ძალზე გა-  
მოფიტული იყო და იმიტომ გაიზარდა  
ხე ასეთი სუსტი და უსუსური. ამ უმწო-  
ხის ქვეშ, ქვის ნიშაში ქორის ხატებიანი  
ბითბა იყო დასვენებული. მოპირდაპი-  
რე მზარეს ვიდექი და რატომღაც ვერ

ვბედავდი ბუკის ჩაბერვას. „შემწევს კი  
იმხელა ძალა, იმდენი პაერი რომ ჩავი-  
სუნთქო, ბუკს ჩავბერო და ისე ავაგუ-  
გუნო, რომ ასეულობით კაცმა გაიგო-  
ნოს?“ — ვფიქრობდი მე. მაგრამ სხვა  
გამოსავალი არ იყო. ბუკის სატურჩეს  
პირი მივადე და ჩემდა გასაოცრად მისი  
ცეცხლოვანი ყელიდან გაბმული გუგუ-  
ნი გავუშვი. ვირწმუნე რა ჩემი ძალა,  
უფრო გამეტებით ჩავბერე ბუკს. ჯერ  
აღმოსავლეთისაკენ მქონდა პირი, მერე  
საწინააღმდეგო მზარეს მივბრუნდი, ისე  
რომ ბუკისთვის პირი არ მომიშორე-  
ბია. მალე ჩრდილოეთი იდგა ჩემს  
ზურგს უკან, მერე კი სამხრეთი. მე ვუ-  
ბერავდი და ვუბერავდი ბუკს, სულს  
მოვითქვამდი და ისევ ვუბერავდი. სა-  
ფეთქლებში სისხლი მომაწვა. მთებში  
ამ ბუკს სხვანაირი ხმა ჰქონდა. იქ  
მთები ეხმინებოდნენ და ბანს აძლე-  
დნენ. აქ კი მის მომწოდებელ ხმას  
მძიმე ქეჩასავით აწევებოდა სქელი ღრუ-  
ბლები და ხელად გუდავდა. წვეიმა და-  
იწყო. ფილტვებგაბერილი ვუბერავდი  
და ვუბერავდი ბუკსა და სახიდან ჩამო-  
ნადენი ოფლის წვეთები წვიმას ერთ-  
ვოდა. ბუკი კი არ მღეროდა, გემის სა-  
ყვირით ითხოვდა შევლას.

დავიქანცე და ხის ქვეშ ჩამოვჯექი,

ბუცი ხელმძღვანელს დავიდეთ. წვიმა გადაიღო და გაწეწილი ღრუბლებიდან მუხმ გამოაჰყვია. ხალხი შეადრისას უნდა შეკრებილიყო და მე დრო მარჩეზობდა, შინ წაესულიყავ და დანიშნულ დროზე მოვბრუნებულიყავ. მაგრამ მე მარტოობა შეწადა, ფიქრებთან მარტო დარჩენა, ჰოდა, მეც აღარ წავედა.

ნეტა, მიადწია ბუცის ხმამ უბიხებამდე? თუ მიადწია და ნეტა რას ფიქრობენ? ან თუ შეგროვდებიან, მოუსმენენ საულას? აფორიაქებული სული თანდათან დამიწყნარდა და ნეტარი სიმშვიდე დამეფლდა. რაღაც საოცარი თვლენა მომერია. ნახევრად მოხუცებული ქუთუთოებიდან დილის ბურუსში გაბგეული მთები დავინახე. წვეტიანი ქედები პირველქმნილი სითეთრით ბრწყინავდა. გრანიტოვანი კლდეებიდან თეთრი, ქაფმოდებული მდინარე სოჭი ეშვებოდა. აი, დაბლობს მოაღწია და გამჭვივრვალე გახდა, დინებას უკლო. ფსკერზე მოფენილ კენჭებიდან მზე ირეკლებოდა. იმ ადგილას, სადაც კალაპოტი ვიწროვდებოდა, ნაპირები ამოდლებულიყო. მდინარეს უნაგირივით ედგა ვიწრო ხიდი. მე ხიდზე ვიდექი, წყალში ვიხედებოდი და ჩემს ახალგაზრდა უწვერო სახეს დავცქეროდი. უცბათ ლერწმების ფრთხილი შრიალი ვაისმა. მოვიხედე და სამი შველი დავინახე. დამფრთხალინი აცეკვდნენ თვალებს და წყლის დასალევად ჩამოდიოდნენ. ო, რა მშვენიერი თვალეები მქონდათ, გრძელი წამწამებით შემოჯარული, ასეთი თვალეები მთიელი ქალწულებისთვის მინახავს ხოლმე. ჩემი კეთილი თოფი თან მქონდა, მაგრამ ვასროლა საცოდაობა იყო და იარაღი გვერდზე გავწიე. ნეტა ასე ცივი რატომ არის? ო, ღმერთო ჩემო, ეს ხომ ბუცია... და გამოვფიხზლდი კიდევ. ჩემს წინ ყვითლად დაფორეჯებული მიწა იყო. ულაზათო რტვილამ, როგორც საღოსმა, რაღაც ჩაიშრილა სველი ფოთლებით და შიშმა ამიტანა. სად ვიყავი სულ რაღაც ერთი წუთის წინ? ნუთუ ჩამძინა? არა, არა, თვალზე არ მომიხუ-

კავსი არა და, ეს სიზმრის მსგავსი მოჩვენება საიდან გამომეცხადა? ნუთუ თვალდაუხუჭავიდაც შეუძლია კაცს სიზმრის ნახვა?

ფიქრები გორაკისკენ მომავალმა მგზავრმა გამიფანტა. ყოველი შემთხვევისთვის ცას აგხედე; მზე ჯერ ზენიტზე არ იყო. ეს კაცი თუ ჩემი ბუცის ხმაზე მოიჩქარის, რაღაც ამბავს უსწრებს წინ. უქუდოდაა, ხალათი და ჩექმები აცვია. აი, მის სახესაც ვარჩევ. უცნობია. შეჭალარავეებული თმა უკან გადაუვარცხნია. მომიახლოვდა და გაიღმია:

— დღე მშვიდობისა! წარმატებას ვისურვებ, ზაურყანი რომ იცოდეთ, რა მიხარია — უცნობი ვადამეხვია.

— შენც ყოველივე სიკეთეს ვისურვებ, უცნობო.

— უცნობი რაღა ვარ? ჩვენ შესანიშნავად ვიცნობთ ერთმანეთს! განა შენ არ მიყოფდი ლუქმას, შენს ოჯახში რომ ვცხოვრობდი?

გარკებისაგან სახტად დავრჩი:

— ტაპირ, წმინდა ბითხას გეფიცები, მართლა ძმად მიმანხიხარ! — და ქალაქისკენ მივბრუნდი. რაღაც ვიფიქრებოდა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი იყო გასული, ხელში აყვანილი რომ მიგვეყვავდა მე და მატას ობლად დარჩენილი ბიჭი ოსმან-ქოსი გზაზე. ტაპირი მართლა ჩვენთან ცხოვრობდა სანამ შარდინმა, ალოუს ძემ არ გააგზავნა თავის მემკვიდრესთან ერთად სტამბულს. ო, რა ცხარე ცრემლით ტიროდა დედაჩემი, პატარა ტაპირს რომ ემშვიდობებოდა. ერთმანეთს მივჩერებოდით და ერთმანეთის ცქერით ვერ ვძლებოდით. რაც უფრო მეტად ვაკვირდებოდი ახლანდელ ტაპირს, მით უფრო მკაფიოდ აღვიდგენდი პატარა ტაპირის სახეს. ჰო, ჰო, ეს მისი სწორი ცხვირია ეს კი მისი თვალეებია, ისევ ისეთი ლურჯი.

— შევხვდით და მერე სად შევხვდით ერთმანეთს, ბითხასთან. კუშმარტად წმიდა ადგრილია, — ვთქვი მე.

გაცისკროვნებული ლურჯი თვალები მოეღრუბლა ტაპირს.

— წმიდა ადგილი ზღვის იქით დარჩათ უბიხებს... წუხელ სტამბულიდან დაბრუნებულს ცოლმა მახარა შენი აღდგომა. გვიანი იყო და შეწუხება ვეღარ გავიბედე. დილით კი სითმა მიიხრა, აქეთ რომ იყავი წამოსული. მერე ბუკის ხმაც გავიგონე. ბიძაშენმა მართალი თქვა: „თუ ოდესმე ვინმე აღმდგარა მკვდრეთით, ეს ჩვენი ზაურყანია“. იმ დროს ვიცი რომ დაბრუნებულიყავი შენ და ამდენი რამე გქონდა გადატანილი, კავკასიაში სიმღერებს შეთხზავდნენ შენზე და აფხიარცაზე დაამღერებდნენ. შენი ბრალი როდია, ზაურყან, აფხიარცაზე დამკვრელები რომ გადაშენდნენ და აღარავენ თხზავს სიმღერებს გმირებზე. მაგრამ უბიხებისათვის, იმათთვის ვინც უბიხოვს, შენი დაბრუნება დიდი მოვლენაა. შენ ძველი თქმულება გაახსენე თანამემამულეებს: „ერთხელ მთებს უბედურება დააწვათ მხრებზე. მთებმა მის სიმძიმეს ვერ გაუძლეს და ეს უბედურება ადამიანის მხრებზე გადაიტანეს. ადამიანები კი წელშიც არ მოხრილან ამ სიმძიმისაგან“. შენი სახელი სულიერ ძალას მატებს ღონემიხდით, მამაცობასა და მოთმინებას ასწავლის.

ის ლაპარაკობდა, მე კი მოხიბლული მივჩერებოდი. ფართო მხრებზე სურის ყელივით აზიდვოდა მხემოკიდებული კისერი, მაღალსა და სუფთა შუბლზე ნაპრილობევივით ახნდა ერთადერთი ნაოჭი. კალარაშერთული უღვაშები მოკლედ ჰქონდა შეკრეკილი და ზედა ტუჩს ძლივს უფარავდა. წარბებს კი ჯერ ვერ მორეოდა სითვრე, ისევ შავი ჰქონდა.

— ძალიან გამიხარდა, ტაპირ, ხალხის ქომავი რომ ყოფილხარ, ყოჩაღ! სტამბულიდან რა ამბები ჩამოიტანე?

— ცუდი ამბები, ზაურყან. უბიხებისთვის არავის სცალია. უთანხმოება და უნებისყოფობაა გამეფებული ზედა ფენებში. მთელი დღე ვუტრიალებდი სახელმწიფო უწყებათა ეზოს. ყურიც

არავენ ათხოვა ჩემს თხოვნას ლაპარაკს წავედი, იმიტვე დავბრუნდი. განწირულები ვართ და ეგ არი...

შუადღე ახლოვდებოდა.

— როგორ ფიქრობ, შეგროვდება ხალხი? — ვკითხე მე.

— მოხუცები კარდაკარ დადიოდნენ და ხალხს ეძახოდნენ. ბუკის ხმაც გაიგონეს, ალბათ ნაწილი მაინც მოვა, — მიბასუბა ტაპირმა. იგი წინ და უკან მიდი-მოდიოდა.

— უბიხები მართლმორწმუნე მუსულმანები გახდნენ, — ტაპირმა ბითხასკენ მიმითითა, — ამის თაყვანისცემა წარსულს ჩაბარდა. ახლა სხვა სალოცავი უფრო ჭირდება ამათ...

— რა სალოცავი?!

— თავისუფლების რწმენა მაგრამ მის თაყვანისაგან მაგარი მუხლი და იარაღია საჭირო.

— ერთი მუჰა ხალხი მთელ სახელმწიფოს როგორ უნდა ეომოს?

— მართალი ხარ, ერთი მუჰა ხალხი ვერაფერს გახდება, მაგრამ თავისუფლების სურვილით ყველა ჩაგრული უნდა განიმსკვლოს. ხალხებს შორის განხეთქილება ადამიანის ბუნებიდან როდი მოდის, ეს ხელისუფალთა მოგონილია. ღარიბი ღარიბს ყოველთვის გაუგებს, სულერთია, რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ. მიწის ბატონ-ბატონი ის უნდა იყოს, ვინც მის დამუშავებაზე ოფლს ღვრის. უკეთესი მომავალი ბავშვივით უნდა იზადებოდეს ურთიერთშეთანხმებით

— ალბათ ეს შეთანხმება არ არის ადამიანებისათვის დამახასიათებელი. სადაც დღეა, იქ ღამეცაა. სადაც სიმდიდრეა, იქ სიღარიბეცაა. ერთი ბედნიერია და მეორე ცრემლებს ღვრის. ერთი ქვეყნიერებას მოევლინა და „გამარჯობაო“ მიესალმა. მეორე კი „მშვიდობითო“ ეთხოვება წუთისოფელს. არა, ადამიანებს არ ძალგვიძს ამ ყოფის შეცვლა, ტაპირ!

— სიკვდილ-სიცოცხლის, დღისა და ღამის საკითხს ვერ შევცვლით, მაგრამ ადამიანების ბედის შეცვლა კი შეგვიძ-

ლია. იქნებ არ გავიგია, რომ რუსეთში მეფე გადმოვადგეს?..

— ყრუ კი არა ვარ...

— ინჭილაბი ზღაპარი არ გეგონოს. ძმობის კანონი რუსეთში ძალაში შევიდა და ახლა იქ ძლიერთა უფლებები კი არ არის გაყვებული, ყველა ხალხს ერთნაირი უფლებები აქვს. შენ თვისტომებს დედაშენის მხრიდან — აფხაზებს ახლა თავიანთი. სახელმწიფო აქვთ. აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი შარშან თურქეთში იყო.

ხომ ხვდები, ძვირფასო შარახ, რა დღეში ჩავევარდებოდი. ბითხას მოსალოცად მოვედი და ასეთი სიტყვები მოვისმინე. როგორ არ ვცდილობდი სიყრმიდანვე ნაცნობი აფხაზეთი ისეთი წარმომედგინა, როგორსაც ტაპირი მეუბნებოდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ჩემი წარმოსახვა უძლური იყო.

— რუსეთში მომხდარმა ამბების ეჭომ ჩვენამდეც მოაღწია. სულთანის ძალაუფლება ბეწვზე ჰკიდა... აქაც ამომრავდება ხალხი და მაშინ...

— რა მაშინ?

— ყველაფერი შეიცვლება ზაურყან, მომისმინე, მინდა ერთი რჩევა გკითხო: ხალხი რომ შეიკრიბება, რა იქნება მე რომ ვიქადაგო ყოველივე იმაზე, რაზეც ახლა ვსაუბრობდით?

— აბა რა ვიცი, უხერხული ხომ არ იქნება? ვშიშობ, ხლაფორთი არ აიტეხო. უბიძებს შორის რა ხანია ერთი პირი აღარ არის.

გაგანია შუაღლე იყო. ბორცვისკენ ორ-ორად და სამ-სამად მოდიოდა ხალხი. ქალების ქაჭანება არ იყო. მაჰმადიანურ ადათს ფეხი მოეკიდა.

ორ ჰამბუს ვაკოჭილი თეთრი თიკინსათვის ფეხებშუა ლატანი გაეყარა და ისე მოჰყავდათ. უკან მოხუცები მოჰყვებოდნენ ქურუმის წინამძღოლობით. მე და ტაპირი გორაკიდან ჩამოვედით, რადგან პარაკლისის გადახდის დღეს, მწვერვალზე დგომის უფლება არავის ჰქონდა, ქურუმის გარდა. ჩემი ვარაუ-

დი გამართლდა: ცოტა ხალხი შეიკრიბა პარაკლისის შემდეგ ქურუმმა შეწირული თიკანი დაკლა. ახალგაზრდებმა არ იცოდნენ, როგორ გაეტყავებინათ დაკლული პირუტყვი და ისევე მოხუცმა თათლსტანმა იკისრა ეს საქმე. გაატყავა თიკანი, ხორცი დაჩეხა და ჰევამში ჩაყარა. წინათ, იმ ღვთით კურთხეულ დროში ყველა გვარის ხალხს ცალ-ცალკე მოჰყავდა შესაწირავად თხა. ახლა კი ბითხას თავიანთსმცემლებს ამ ერთი თიკნის საყიდელი ფულიც ძლივს შეეყოფიწებინათ.

წინათ, ასეთ დროს ჰადრის ფართო ფოთლებზე აწყობდნენ ხოლმე მოხარულ ხორცს და ისე გეახლებოდნენ. აქ კი ათ ვერსზეც ვერ ნახავდა კაცი ხის ნასახს. ჰოდა, რამდენიმე კაცი სიმიზის ფოთლების მოსატანად წავიდა. ეს თავყრილობა დიდი მოსაწყენი რამ იყო იმათთვის, ვისაც თავის დროზე ჰქონდა ნახაბი ბითხასთან შეკრება. სად დაიკარგნენ მაღალი და წარმოსადეგი, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი შავბოხობიანი ჩვიტები? სად გაჰქრა მოხუცების დარბაისლური საუბარი და ახალგაზრდების თავაზიანობა? სად არიან ის მარჯვე ცხენოსნები, ლოცვის შემდეგ დოღს რომ მართავდნენ ღვთაების პატისაკემად? სად არიან კოჭებამდე ნაწნავებ ჩაშვებულნი ქალწულები, ფრთებივით რომ გაშლიდნენ ხელებს და ფეხის წვერებზე დაგოგმანობდნენ? ან ის ფიცხი ბედაურები სად გადაიკარგნენ, მოუთმენლად რომ იცეცებდნენ თვალს, ფლოჭვებით რომ თხრიდნენ მიწას და ლავამს ღეჭავდნენ, ერთადერთი გაქუცული აქლემი ძოვდა ბალახს შორიახლო, ეგ იყო და ეგ. დაქანცული არაქათგამოცილი ხალხი რაზე აღარ ლაპარაკობდა, წმინდა ბითხას გარდა. ტაპირი რომ დიანახეს, შემოეხვივნენ და სტამბულის ამბების გამოკითხვა დაუწყეს.

მაგრამ აი, ქათქათა ტანსაცმელში გამოწყობილი საულაპი მოჩვენებასავით გადმოდგა გორაკის წვერზე. მარჯვენა ხელში ტირიფის ტოტი ეჭირა.

1 ჩვეოლუთა.

რომელზეც შემფურთხით წამოვგოთხის ოხშივარადენილი მოხარული გულ-ღვიძლი. მოხუცებმა ქულებმა მოიხადეს და მუხლი მოიყარეს. მეც მათ მივბაძე. ჩემდა ვასაოცრად ტაპირმაც დაიჩოქა. „საკუთარი ქადაგების წარმოთქმას კი აპირებდა“, — გავიფიქრე მე. დამსწრეთა უმრავლესობა ისევ ფეხზე იდგა. ის კი არა და, ზოგიერთები აბოლებდნენ კიდევ.

— ო, ყოვლის შემძლე ღმერთო, — დაიწყო საულამმა. სინამე გამეფდა და მოხატვა აქანკალებული, უღონო ხმით ვალობასავით განაგრძო: — ო, ქორის სახიანო წმინდა ბითხა, ჩვენო მფარველო და შემწევე, გვაუბრახე, შეგვინდე ცოდვები გზას აცდენილებს და უბიწო გზაზე დაგვაყენე. შესაწირავის სიმციროსათვის ნუ შეგვრისხავ. მუხლმოყრილი გვედრებით და მთელ იმედებს შენზე ვამყარებთ. გვისმინე, ყოვლად-მოწყალეო...

ძლივს მოვასწარი იმის გაფიქრება, რომ წინაპრები ტყუილად როდი თვლიდნენ-მეთქი ბითხას ყოვლისშემძლედ, ალბათ იცავდათ კიდევ და ეხმარებოდნენ-მეთქი, რომ უკანა რიგში ყურისწამლები სტვენა გაისმა. ყველამ მივიხედეთ. ასევერის გახუბნულ ტანსაცმლიან კაცს ოთხი თითი ჩაეყო პირში და გამწარებული სტვენდა. ხალხი აუყვირდა, მაგრამ, შენც არ მომიყვდე, ყურიც არ გაუპარტყუნებია.

— რაც თავი მახსოვს, სულ ელოცულობთ, მაგრამ აბა რა ზეირი გვაქვს? ბაბაჩემიც ელოცულობდა და მამაჩემიც, დამბლადაცემულივით მუხლებზე დაჩოქილი მაგის წინ, — ბითხასკენ გაიქნია თავი — მერე რა სიკეთე მოგვიტანა? სამი წელი სულთანის სადიდებლად ტილებს ვკვებავდი ბალკანეთში და სისხლით ვრწყავდი მიწას. დაებრუნდი და აღარც მამა დამხვდა ცოცხალი და აღარც დედა. აი, ასე ვარიელ-ტარიელი დავრჩი. მითხარი, პატივცემულო მოხუცო, რამ დააბრმავე და დააყრუა წმინდა ბითხა ისე, რომ ვერაფრით დამეხმარა უდანაშაულო კაცს? — გადააფურთხა

და ხელი ჩაიქნია. — ყოველგვარ სსკრუტა და მეტი არაფერი.

— შენ რა, გაგიედი? — დაუყვირა ღვთისგმობით გაბრაზებულმა სთმა. — მეჩეთში ხმას არ ვაღუბინებენ, აქაც ენას კბილი დაპირეო, მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია, — მკეახედ თქვა ჯარისკაცის ამხანაგმა.

— ხმა გაიკმინდეთ, მკრებნელებო! — იყვირა მოხუცმა დაუთმა, მაგრამ ჯარისკაცსა და მის ამხანაგს აინუნშიც არ ჩაუგდიათ მისი ყვირილი.

— ბითხა დიდი ხანია განისვენებს და შენც ამოდ გიჭირავს მის წინ ჯახზე წამოცმული გულ-ღვიძლი... — წამოიძახა ჯარისკაცმა.

მეორემ კი დაცინვით დაუჭირა მხარი: — თუ შენი ბითხას გარეშე მაგ გულ-ღვიძლის გემოს ვერ გაიგებ?

ატყდა ხმაური, შეხლა-შემოხლა უფროსებსა და ახალგაზრდებს შორის.

— რა მოგივიდათ, ლოცვის ჩაშლა ხომ არ ვანგიზრახავთ? — იძახდა ახალგაზრდებისკენ მიბრუნებული თათლასტანი და კვერთხს იქნევდა ჰაერში.

ტაპირი გორაკის მწვერვალისკენ წავიდა, ეტყობა, გადაწყვიტა, ხალხისთვის ეთქვა თავისი გულისხანდები. ამ დროს ქურუმმა ლოცვა შეწყვიტა და თხის გულ-ღვიძლასხმული ტოტი ხელიდან გაუვარდა. თითქოს ზეწარი მოგლიჯაო ქარმა თოკიდან, ხელები ჩამოუცვივდა და თავით ფეხამდე თეთრებში გამოწყობილი ბითხას წინ დაეცა.

მოხუცი ხელებზე გადაიწვინეს და შინ წაიყვანეს. გონზე არც მოსულა, ისე გარდაიცვალა ქურუმი საულაპი იმავე დამეს.

## მანსოუ, შარდინის კაშო

ო, ჩემო შარახ, თავი თუ არ მოგაბეზერე, ჩემი მესსიერების ხის რამდენიმე ნაყოფი კიდევ უნდა იგემო.

ყველაზე ძალიან ქვეყანაზე შარდინი მძულს, ალოუს ძე. ჩვენი ოჯახისა და უბინების ყველა უბედურებას მის სახელს ეუკავშირებ. ეს მკრებნელი იყო

ჩემი დების შერცხენისა და დალუპვის მიზეზი. მისმა მოწამებრივმა სიკვდილმაც ვერ დამიცხრო შურისძიების წყურვილი. შარდინის მოსისხარად ვრჩებოდი ისევ. ნეტავ საიქიოშიც ხიშტებზე წამოცმული ატარონ ეშმაკებმა.

კარინჯ-ოვასში რომ დაესახლდი და გავიგე მანსოუ — მამაჩემის ძუძუსმბის ნაშეირი არხენად ცხოვრობსო. გავოცდი. მამულს გლეხები უმუშავებდნენ ბეგართთ. სახელმწიფო ბოროტმოქმედის შვილს სულთანის თურქეთის უბრალო ქვეშევრდომად თუ დატოვებდნენ, ესეც დიდი სიკეთე მეგონა. თორემ ისევ სხვის ხარჯზე თუ იცხოვრებდა, ამას როგორ წარმოვიდგენდი. მაგრამ ნუ იტყვი, ჩემო შარახ, და დიდგვაროვანებისთვის სხვა კანონები არსებობს თურმე. ვინმე ჩემნაირი გაჭირვებული თუ ჩაიდენს დანაშაულს, მთელ ოჯახს ამოუტირკვავენ. ასეთსავე დანაშაულს, ჩაიდენს დიდგვაროვანი და მის მეშვედრეს არაფერს ავნებენ — შვილი მამაზე პასუხს არ აგებს. პოდა მანსოუზეც იხრუნეს. აბა რა სათქმელია ქარაფშუტა და უჭკუო ყმაწვილია, მაგრამ ახნაურთა შთამომავალია. პოდა, აბა ახნაური ხომ არ დახნავს მიწას? ასე რომ მოხდეს, ერთ მშვენიერ დღეს მდაბიონი აღგებიან და იტყვიან, რომ ამ ქვეყანაზე წესრიგი ალაპს კი არა, ეშმაკს დაუწყარებიო და დიდგვაროვნებისადმი ძველებურ პატივისცემას მთლად დაკარგავენ.

შარდინი, ალოუს ძე რომ გამოასალმეს სიცოცხლეს, მანსოუს დედას ცოტა წვალედა როდი დასჭირდა. მეშვედრე საფრანგეთში რომ გავემგზავრებინა. მის დაბრუნებას კი ველარ მოვსწრო. ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა... დარდიმანდი, თავნება და კარგი გარეგნობისა იყო მანსოუ. ვაჭრობას მოჰკიდა ხელი, შუღლერებს დაუახლოვდა და ღამეებს კახინოში ათენებდა. ერთხელ, დანაშაულზე რომ წაძსწრეს, მამინ გაიხსენა უბიხები და კარინჯ-ოვასში გამოცხადდა. „მე თქვენს თავადი ვარ, — მოავინა მან ხალხს, — ვთხოვთ შემოიყაროთ და

წყალობის თვალთ გადმომხედოთ.“ რასაკვირველია, მიიღეს, მონარული ვართ პატივი რომ დაგვდეთო და დაემორჩილენ კიდევ.

ეპ. უბიხები, უბიხები, რა არ აწენიათ ცხოვრებამ და ძველი დფრიტა მაინც მტკიცედ ჰქონდათ გამჭდარი ძვალსა და რბილში. კისრები მოიდრიკეს და მოგესხენებათ მოდრეკილ კისერზე უღლის დადგმას დიდი ჭაფა არ ჰქირდება. მთავრობაც გულუხვად მოექცა — ჰარბად მიუზომა მიწა: იცხოვრე, იბატონე და ინეტარეო. მანსოუ მაქინაციებში დახელოვნდა და უბიხების ახლადგამოცხვარმა წინამძღოლმა ბამბის ყიდვა-გაყიდვას მოჰკიდა ხელი. საქმე კარგად წაუვიდა და მალე ამ ლატაკმა ჰონებაც დაიგროვა. მისი სახლი ახლო-მახლო პირველი სახლი იყო თვით ალი ხაზრეთფაშას გულის ვასახეთქად. თავისი თინამემამულეების ბელი და კაჯირვება მანსოუს, უბრალოდ რომ გითხრა, ფეხებზე ეკიდა. ერთადერთი რაც აინტერესებდა ის იყო, რომ უბიხებს ვირებებით ემუშავათ მის მამულში და თავი არ დაეძვრინათ შთამომავლობითი მორჩილებიდან. დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოხანგო, ხომ გავიგონია? მამამისის ზნე და მიდრეკილებები პირწმინდად გადაიღო მანსოუმ. მე როგორც შემეძლო, თავს ვარიდებდი შარდინის ნაშეირს, მაგრამ ერთხელ სითი ავად გახდა და მის მაგივრად უნდა მემუშავა მანსოუს მამულში კვირაში ერთხელ. ხან უნდა მეთოხნა და ხან პირუტყვი მომეწყყმსა. მახსოვს, ჯამხასარებსა და უბიხებს შორის ახალი დევა ატყდა. მათ წინამძღოლს ჯავად-ბეის ათი ცხვარი დაეკარგა და ვალისთან იჩივლა: ცხვრები ალბათ უბიხებმა დაკლესო. სამი უბიხი ჰაბუკი დაიჭირეს, დაკითხეს, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთი რომ ვერაფერი ნახეს, უბრალოდ გაამათრახეს და გამოუშვეს. ჯავად-ბეი გაცოფდა, როგორ, ცხვრები დაიკარგა და გამტაცებელი არ ჩანსო? და ჩვენს მინდვრებსა და ყანებში აქლემების ჯოგი შერევა. უბიხებმა სროლა აუტეხეს აქ-

ლემებსაც და მათ მარკებსაც სამი დღე და ღამე უშენდა ორივე მხარე ერთმანეთს ტყვიებს. ერთ მშვენიერ დღეს დადინახეთ. ჭავაძეები მხედრების თანხლებით მანსოუს სახლისკენ მიჰქვენებდა ცხენს. სუფრას უსხდნენ, ქეიფობდნენ, ერთმანეთის სადღეგრძელოებს სვამდნენ და ტრაბახობდნენ. ვისმა ხალხმა რამდენი კაცი მოჰკლა ამ შეტაკებაში.

სითის სახლში შეგროვილმა მოხუცებმა სხვა რომ ვერაფერი მოიგონეს, მე დამავალეს, მანსოუსთან წავსულიყავი და შევხვეწნოდი, რომ ჭავაძეების მოლაპარაკებოდა და სისხლისღვრა შეეწყვიტა.

— მე რა გასაგზავნი ვარ, — ვეწინააღმდეგებოდი მოხუცებს.

— თქვენი მამები ძუძუსმტეები იყვნენ და აბა, სხვა ვინ უნდა გავაგზავნოთ? — მარწმუნებდნენ ისინი.

ისე გაუმართლახ, დაღ შარახ, შენს მტრებს, როგორც მე გამიმართლა მაშინ. შევალე თუ არა რაღაც უცნაური დელარქნილობით შემკული რკინის ჭიშკარი, თითქოს მივიდან ამოძვრაო, დარაჯი ამესვეტა წინ.

— შენ აქ რა გინდა?

— მე ზაურყან ზოლაკი ვარ, ბატონის ნათესავი და საქმეზე მოვედი.

— ნათესავი? ზაურყან ზოლაკი? ენას მოიტეხეს კაცი ამ სახელის სათქმელად. „ზაურყან ზოლაკი“, ასეთი ნათესავი რაღაც არ გამიგონია, — დაეჭვებულმა ჩამათვალე რა თავიდან ფეხებამდღი და მიბრძანა:

— აბა ზურგისაკენ, სულელო, ნაბიჯით იარ!

— იცოდე პატრონისაგან მაგრად მოგხვდება, ასე რომ ექცევი მის ახლობლებს.

— ბატონს არ სცალია, საინო სტუმრები ჰყავს, შენი ტოლი იქ არავინ არის. ალი ხაზრეთ ფაშა და ფრანგი გენერალი ეწვივნენ. აბა აქედან მოუსვი, ვის ვეუბნები მოუსვი-მეთქი.

რა უნდა მექნა? ცოტა ხანს კიდევ ვი-

წრიალე და წამოვედი. გამოფრდი მსუქ არა ეზოდან, მხიარული ლაპარაკი შექმნილი მომესმა, რკინის ლობეს გვეყარი და ოთხი კაცი დადინახე. წინ მომღიმა მანსოუ იდგა, ამის გამოცნობას დიდი ამბავი არ უნდოდა: პირწავარდნილი მამა იყო. მარცხნივ კასრივით ჩამრგვალებული, ბრჭყვიალაეპოლტებიანი თურქი ედგა, ჩიბუხს ეწყოდა. „ალი ხაზრეთ ფაშა,“ — გავიფიქრე მე. მარჯვნივ ხელჯობიანი ხმელ-ხმელი ბატონი ედგა, მკერდზე საპატო ნიშნები უბრწყინავდა და ისეთ ენაზე წამოიძახებდა ხანდახან რაღაცას, რომ არაფერი მესმოდა. „როგორც ჩანს, ეს არის ფრანგი გენერალი.“ მოშორებით კი ჭავაძეები იდგა, წარმოსადგვი, თეთრი მოსასხამით. სწორედ ასეთი ამიწერეს, ვისაც ნანახი ჰყავდა.

კაცები სუფრას შემოუსხდნენ, რომელზეც ხილი და თხილი იყო მორთმეული. „ტბილად ცხოვრობენ მეგახშეები, — გამიელვა თავში, — მამლების ჩხუბილა აკლიათ“ — გავიფიქრე მე და მაშინვე თითქოს ჭადოსნური ზღაპარი-აო, ორი მსახური გამოჩნდა მამლებით ხელში. გაუშვეს თუ არა ფრინველები, წითელი მამალი განფორებიან ეცა თეთრ მამალს. ეცნენ და სულ ბდღვირი აღინეს ერთმანეთს. მერე განცალკავდნენ, აფხორილებმა ფრთები ჩამოუშვეს, ნისკარტი მიწაზე აილესეს, თავები დაღუნეს, ერთი წუთით ბოროტად ახამხამებდნენ თვლებს და ისევ ეკვეთნენ ერთმანეთს. ბიბილოები დაუსისხლიანდათ, წითელ მამალს თეთრი ბუმბული ჰქონდა ნისკარტში და თეთრს — წითელი. სტუმრები და მასპინძელი სიცილით იჭაჭებოდნენ და მოჩხუბართ აქეზებდნენ: უსტყენდნენ და თხილებს ესროდნენ.

გული ამერია, ლობეს მოცილიდი, ხელები მოვმუშტე და ცოდვას ვავერიდე.

„ჩვენც ამ მამლებივით გვაჩხუბებენ ერთმანეთთან,“ — ვფიქრობდი უკან რომ ვბრუნდებოდი. ფრინველები დასა-

ხიჩრდნენ და ესენი კი იცინიან, ხალხი ეჩხუბება ერთმანეთს და ესეც გართობაა ამათთვის, ის კი არადა, მოგებაცაა. „არ დაზოგოთ ერთმანეთი, ბნელბო, თქვენს ერთმანეთთან აყალ-მაყალს ჩვენთვის სიკეთე მოაქვს.“

მეორე დღეს, გავიგე თუ არა, სტუმრები წავიდნენო, ისეც მივადექი რკინის ჰიშკარს, ღმერთმა დალაზეროს მისი ჰიშკრობა. შევალე თუ არა კარი, ახლა სხვა დარაჯი დამიდგა წინ:

— აქ რისთვის მოსულხარ?

ფუხსენი: მანსოუს, შარდინის ძის ნახვა მინდა, მამაჩემის ძუძუსმტის შვილია-მეთქი.

— ვერა ხელად შეკაზმულ ცხენს? ბატონი სანადიროდ მიდის და შენთვის არა სცხელა.

— დიდხანს არ გავაჩერებ, სულ რაღაც ორიოდე სიტყვა მინდა ვუთხრა.

— ვერ გაგატარებ, ნაბრძანები მაქვს, არავინ შემოვუშვა.

სანამ მე დარაჯს ვეჩიჩინებოდი, აივნიდან მანსოო ჩამოვიდა. ჩექმები მუხლის თავებს უფარავდა, ჰილის ქუდი ეხურა და მხარზე ორლულიანი თოფი ეკიდა

მე ჩოხა-ახალუხი მეცვა, წელზე ქა-მარ-ხანჯალი მერტყა. თურქებისთვის უჩვეულო ტანსაცმლიანი უცნობი რომ დაინახა, მანსოო მომიახლოვდა.

— დღე მშვიდობისა, — მივესალმე უბიხურად.

მანსოუმ კი მოსალმების ნაცვლად თურქულად მკითხა:

— ეინა ხარ?

— დამაკვირდი, იქნებ გამიხსენო!

— დასაკვირვებლად არა ვცალია.

— ზაოტყან ზოლაკი ვარ. ჩვენი მამები ძუძუსმტეები იყვნენ.

— ა, მუხტარმა მითხრა შენზე... — მათრახი ჩექმის ყელზე შემოიხვია და გაიღრიჭა, — სახელოვანი ფაშა რომ მოჰკალი ესა ხარ, არა?...

— ეს პირველი შემთხვევა არ არის ჩვენს მოდგმაში, — ვერ მოვითმინე და მამამისზე გადაუქარი, სერასკირი რომ

მოჰკლა, — მანიფესტმა შემოწყვლია — მანიფესტმაო? მანიფესტი რას ეიშველის, მკვლელი ხარ და სისხლიანი ბელები გაქვს. — მანსოუმ, შარდინის ძემ შუბლი შეიკმუხნა.

— მე ჩემი გასაკირისათვის არ მოგსულვარ...

— ნათესაეები ვართო, ამბობ?

— ჩემი ბებია მამაშენის ძიძა იყო.

— ო, ღმერთო ჩემო, როდინდელ ამბავს იხსენებ. იმ დრომ ჩვენი ჰირი წაილო. ახლა ეს მითხარი, ჩემთან რა საქმე გაქვს?

— მამატიე რომ გაცდენ, მე მხოლოდ შუაეკი ვარ.

— ვისი შუაეკი?

— შენი თანამემამულეების.

— რაო, რა გვინდაო შენმა თანამემამულეებმა?

— გთხოვენ ჩავად-ბეის მოელაპარაკო, გაათავოს ჩვენთან მტრობა, მდინარესავით მიედინება სისხლი...

— შენ რაში გენაღვლება დაღვრილი სისხლი... თავი დაანებონ უბიხებმა ქურდობას და ყველაფერი თავისთავად მოწყესრიგდება. ასე გადაეცი იმათ, ვინც აქ გამოგვზავნა.

შეკაზმული ცხენისაკენ წავიდა და ამით მაგრძნობინა, საუბარი დამთავრდაო. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, შემობრუნდა და მკითხა:

— შენ რომელ დღეებში მუშაობ ჩემთან?

— ორშაბათობით და სამშაბათობით.

— რაკი მამაჩემის სახელი მიხსენე, კვირაში ერთი დღე შენთვის მიჩუქებია, მხოლოდ ერთ დღეს იმუშავებ ჩემს მამულში. დღეს კი რაკი უკვე მოსული ხარ, მსახურს მოეხმარე. ეი, პასან, აჩვენე რა უნდა გააკეთოს.

მანსოო ცხენზე შეჯდა, გზაზე გავიდა და მტკრის კორიანტელში მიიმალა. „ნეტავ ფეხი მომტეხოდა და ამ დაწყევლილ ეზოში არ მოგსულიყავი“, — გადავაფურთხე გაბზარებულმა.

პასანი შავთვალა, ბრგე კაცი იყო. ერთიანად დაფარული იყო ხშირი ცა-



გართ. შეშის გროვასთან მიმიყვანა და მითხრა;

— აბა, ხელისგულზე დაიფურთხე და საქმეს მოგვიდე!

შეშა რომ დავჩნებე, კამეჩუა ჰასანმა ბალჩაში შემეყვანა და ფოცხი მომცა ხელში:

— თევა შეაგროვე!

მზე ზენიტზე იდგა. შიმშილისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი. როგორმე ჩქარა გავსულეყავი ამ ეზოდან, ესლა იყო ჩემი ოცნება. მაგრამ აი, ისევე გამოჩნდა თავყუბა გასიებული ჰასანი და საძაღლე-ბოში წამეყვანა.

— ძაღლები უნდა ვაბანაოთ. აბა ხელები დაიკაბიწე! მე წყალს დაგისხამ დოქიდან.

რა არ გამიკეთებია ცხოვრებაში, მაგრამ ძაღლების ბანაობისა რა მოვახსენო... ეს არასოდეს გამიკეთებია. ჩაცმული ისე ვიყავ, მთების შვილს რომ ეკადრებოდა, ხანჯალიც მიმშვენიებდა წელს. ეშმაკსაც წაუღია ყველა ძუკნაცა და ხვადიც! ჩემს სიცოცხლეში ახლოსაც არ გავკარებდებარ მათ და ახლა აბანავეო.

— შენ რა, დაყრუვდი თუ რა დაგემართა? სახელოები დაიკარწახე, მაწანწალავ! — დაიღრიალა მოდგვლეშილ-სახიანმა ჰასანმა.

— არ შემიძლია.

— ჭირსაც წაუღია შენი თავი, არ შემიძლია რას მიქვია! — და მუშტი მომიღერა.

მუშტის მოღერა როგორ უნდა, მე გიჩვენებ-მეთქი და ხანჯალი ვიშისვლე. უნდა გენახათ ეს შენი ექვსფუთიანი ჰასანი, მისი გასვენების დროს თიპარი რომ ჩამოუვიდოდათ ნათესაეებს, პეპელაზე უმსუბუქესად რომ მიფრინდა სამზადის კარებთან და შიგ გაუჩინარდა. მე საჩქაროდ დავტოვე ეზო, ღმერთმა ქურდები ნუ გამოუღიოს მას, და გზას დავადექი.

ყველაზე მეტად შორს, უბიხურ მიწაზე დამარხულ ბებიაჩემზე მომდიოდა ბრაზი. „ეკალ-ბარდმა დაფაროს შენი სამარე, — ვწყველიდი ბებიაჩემს გუ-

ნებაში. — რატომ ხელები მაშინ, რქის ვარცლში წყლის მაგივრად რქეს რომ ასხამდი და შიგ შენი შვილობილს აბანავებდი. მისმა ნაძირალა შეილმა კი ძაღლების ბანაობა დამავალა. ეშმაკმა დალახნეროს მისი თავი თავის ძაღლებიანად.

მწვეარივით შევარდნილი მუცელი არ ვიცი შიმშილისაგან და არ ვიცი ბებიაჩემზე გაბრაზებისაგან ამტკივდა.

რაც უფრო ვშორდებოდი მანსოუს მამულს, მით უფრო იმღერეოდა ჩვენს შორის წყალი. „ოღონდ არსად შემხედებოდეს და მეტი არაფერი მინდა“, — ვნატრობდი გუნებაში.

### ასტან ზოლაკი

— გადარჩა ვინმე ცოცხალი ზოლაკების გვარიდან? — ვითხებ მამაჩემს კარინჯ-ოვასში ჩასვლის მეორე დღესვე.

— ერთი კაცი გადარჩა, რომელიც იმ ჯორსა ჰგავს, რომ ჰკითხეს „შენი დედა ვინ არისო“ და „ცხენიო“ უპასუხა.

— რომელი ზოლაკია?

— შეიძლება გახსოვს კიდევ, თუ... მცა თურქეთში რომ გადმოვსახლდით, პაწია იყო. ასტანი ჰქვია, აფხიარცის ოსტატის საკუთის შვილიშვილია. მაგისი ბრმა ბაბუა ღმერთმა აცხონოს და, სამსუნში მოკვდა. შვილიშვილი კი ცოცხალია.

ის კი გითხარი, დად შარახ, საკუთი სამსუნში მოკვდა მეთქი, მაგრამ დამაეიწყდა მეთქვა, რომ საკუთიც ზოლაკი იყო. აღერ ნათესაეების მეტი რა მყავდა მაგრამ ახლა ორი ზოლაკი ვიყავით დარჩენილი კარინჯ-ოვასში ჩვენი მრავალრიცხოვანი გვარიდან: მე და საკუთის შვილიშვილი ასტანი. ახალი ამბავი ქვეყანას მოედება ხოლმე და არ შეიძლებოდა ასტანს ჩემი კარინჯ-ოვასში ჩამოსვლა არ გავგო. ჩემზე უმცროსი იყო, მაგრამ არ მოურბენია სითის სახლში და არ უთქვამს; „ჩემო ერთადერთო მეგვარევე, რა მიხარია შე-

ნი დაბრუნებაო". მაგრამ მთა თუ არ მიდის მაჰმადთან, მაშინ მაჰმადი მივა მოასთან. ზაფხული იდგა. შზეს ჯერ კიდევ არ დაეცხუნებია მთელი ძალით, ასტანის ეზოში რომ შევედი. ქარვისფერი ნაყოფით დახუნძლული ატმის ხის ტოტები ღობეს დაჩენოდა. თიხით შელესილი გადაფარლებული ქოხის თავზე კერისის კვამლი მოვლავნებოდა. მოშორებით ბოსელი მოჩანდა. პატარა სარკმლის წინ დიდი ხნის ვაუტანელი ნაკვლის გროვა იდგა. ხნიერი, მჩხვლეტავ წარბებიანი ხმელ-ხმელი ბერიკაცი ხის ქვეშ იჯდა და წალღს ლესავდა სალესავ ქვაზე.

—ღლე შვიდობისა, ჩემი მეგვარის ასტან ზოლაკის ნახვა მინდოდა, — ხმაძალა ვუთხარი უბიჭურად.

მოხუცმა ხელისგულით შუბლი მოიჩრდილა და წუთით შემათვალეირა. თავაზიანობა მოითხოვდა, ფეხზე წამომდგარიყო. მისი მტერი და ორგულიც რომ ვყოფილიყავი, მაგრამ რატომღაც ასე არ ინება.

— გამარჯობა, მე გახლავარ ასტან ზოლაკი, მაგრამ თვითონ შენ ვინ ხარ? — გამომელაპარაკა თურქულად.

— ვერა მცნობ? აბა, დაფიქრდი, იქნებ ვინმე ზაურყანი გაიხსენო. ზოლაკების გვარიდან?

ასტანმა წალღი გვერდზე გადადო და დამფრთხალმა მიიხედ-მოიხედა:

— ზაურყანი? კი, იყო ერთი აბრაგი. მან დანით დაკლა თავისი დების გამტაცებელი და შეურაცხყოფელი ფაშა-სიკვილით დასაჯეს ის სულელი.

— სიკვილით თუ დასაჯეს, მაშინ იმ ქვეყნიდან მოვსულვარ. აბა, შეხვდი შენს ძმას.

— ნუ სულელობ, დად, მე არც ძმა მყავს და არც დები. ყველანი დაიხოცნენ...

— ესე იგი, ვერ მიცანი არა? თვითმარქვია ხომ არ გგონივარ?

— მკვდრები არ ცოცხლებიან, ეს გაუარებმა მოიგონეს, რომ ვითომ მაშინ მაცხოვარი აღსდგა.

— თუ გინდა ქაღალღს გაჩვენებ, სადაც სწერია, რომ მე ვანთავისუფლებული ვარ სულთანის მანიფესტით. თვალეები მოისრისე, შენც შენი ბაბუა საკუტევიტ ხომ არ დაბრმავდი? გინდა ის სიმღერა გავახსენო, შენი ბაბუა რომ მღეროდა, როცა უბიხეთს ეტოვებდით? მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, უსინათლო ბაბუსა გამძლოლი:

შეგზრდეთ, ძებო, და მოეხს მიეხედოთ, მათ არ იციან საით მივდივართ. გამოვეთხოვოთ და დავეტოვოთ ჩვენი სიმღერა და ჩვენი სუნთქვა. როცა შეილები დედას ტოვებენ, განა შშობელს დამნაშავეა? გამოვეთხოვოთ და დავეტოვოთ დამნაშავეა, განა ეს ზეცა?

— ჩემო შეილებო, რატომ მიღიხართ, რა დავიშავეთ, ჩემო შეილებო?.. მოთქვამს, მოგვტაროს შშობელი მიწა და გვივარდება ფეხქვეშ ქვიითით. — ო, გვაპატიე მიწა, ტანჯულო, გზაბნეულებს და უბედურებს. ველარ დაგრჩებით ბედით დეენილი, სამაგიეროდ სულს დაგიტოვებთ. ჩვენ სამუდამოდ გტოვებთ, მივდივართ... სული კი რჩება მარადიული...

— დმერთმა აცხონოს ამ სტრიქონების შემთხვევლი. მსუბუქი იყოს მისთვის სამსუნის მიწა, იმ ერთადერთი რეცხილის ქვეშ.

ასტანს სახე მოუღება. ისიც კი მომეჩვენა საცაა წამოტება და გულში ჩამიკრავს-მეთქი.

შენც არ მომიყვდე, ვითომც არაფერი, ისევე ისე იჯდა ასტანი სალესავი ქვის წინ.

— გავონილა, სიკვილიმისჯილი კაცი ცოცხალი რომ გადაჩენილიყოს? მომილოცავს, ზაურყანი, მაგრამ ნუ გეწყინება და შენი მიღება არ შემიძლია. ვისთან ცხოვრობ?

—სითის სახლში ვარ, თუმცა ჩვენი აღათი შენ გავალბებს. ქერი რომ შემომთავაზო, თუნდაც კატორღიდან ვიყო გამოქცეული.

— ადამი ბარის კუდივითაა, ჩემო ზაურყან. ხარი მოკვდა და ტყავიც კუდიანად გააძვრეს.

— მე რომ სიკვდილით დავესაჯე, შენ ადამის მიხედვით შური უნდა გეძია.

— ეპ, შენ მართლა ციდან ჩამოფრენილბარ. მე მამაჩემის მკვლელობისთვისაც ვერ ავიღებდი სისხლს. თუ გინდა სამოთხის კარი დამიხშონ იმისთვის, რომ დღენიადაც მხოლოდ ერთს ვფიქრობ: თავი დამანებონ, სანამ ცოცხალი ვარ. არავისი არაფერი არ მმართებს.

— დამშვიდდი, მე შენგან არაფერი მინდა. უბრალოდ მინდოდა მენახე. უცხოები ხომ არა ვართ...

რომ გაიგო არაფრის თხოვნას არ ვაპირებდი, ასტანმა შვებით ამოისუნთქა...

— მაღლობა ღმერთს, ხელებიცა გაქვს და ფეხებიც... იქნებ მიწაც მოგეცენ, დასახლები და ამოისუნთქავ...

— მე და შენ ზოლაცების ჭაჭვის უკანასკნელი რგოლი ვართ და მისი გაწყვეტა არ ივარგებს.

— მე ჩემი გვარი, — ასტანმა დაუსტვინა, — ეშმაკს გავატანე და ჩემი ცოლის შარაულული ქალის გვარზე გადავედი.

— მაგარი საამაყო საქმე გიქნია. სად გინახავს, რომ ქმარი ცოლის გვარზე გადადიოდეს?

— სისულელეა. ადამიანი გოგრასა ჰგავს, გვარი კი მისი თესლია. როცა გოგრისგან ხაზიას აკეთებენ, თესლს ყრიან.

— ნუ მკრეხელობ, შე მართლა ხაზია!

გვარგამოცვლილმა უბიხმა ნაღვლიანად გაიცინა:

— ჰა, ჰა, ჰა ეს სიამაყის ბრალია. ყოყლოჩინობა, შინ რომ ვიყავით, მაშინ გვშენოდა. მახსოვს, გოგრუქას კინწი რომ მოტყდებოდა, უვარგისიყო და ძროხას აჭმევდნენ. საღამოს სუფრიდან აღებულ ხორცს საუზმეზე აღარ მიართმევდნენ სტუმარს — ნარჩენები იყო. უღირს! გვარის ქალს თუ მოიყვანდა მთელი ცოლად, ან უკან უნდა გაეშვა, ან

თვითონაც მასთან ერთად უნდა გაეშვა. კარგულიყო. სტუმრის სუფრას არაფერი უნდა მოჰკლებოდა, თუნდაც მერე მთელ წელიწადს გეშიმშილა.

უბიხები ხელისგულზე ვეტეოდით, მაგრამ ჩვენს ქედმაღლობას ნუ იკითხავთ. ახლა ხედავ, როგორ შეტრიალდა ყველაფერი?

— თავს ნუ იმართლებს! შენზე უფროსი ფეხზე ვდგევარ და შენ დაჯდომაც კი არ შემოგიტავაზებია.

— ვინ დაგიშალა, ჩამოგექი, ორივეს გვეყოფა ადგილი.

— იფ, რა ატემები ასხია ხეებს! შენ კი არც მოგიწოდებია, ძუნწო.

— მოწყვიტე, მიირთვი!

— ეზოში გავიჩერებოვარ და შინ არ მეპატივები.

— შინ დახუთულია... რაკი სიკვდილით არ დაუსჯიხარ, ალბათ დიდხანს იყავი არა, გამოიმწყვდეული ოთხ კედელშია.

— ცოლი მაინც გაგეცნო...

— ცოლი ორი მყავს. ორივე შარაულულია.

— სად არიან?

— სახლში, საქმიანობენ და ჩხუბობენ, როგორც ყოველთვის.

— განა რა ქონების პატრონი ხარ, ორი ცოლი რომ შეგიერთავს?

— ოდესღაც ქონებაც მქონდა, მაგრამ გამიღნა, ცოლები კი შემრჩა. გამაცანით რომ მეუბნები, საჩუქრები მოუტანე?

— რა საჩუქარი შეედრება ნათესავის გაცნობას?!..

— თუ ასეა, ოთახის დახუთული ჰაერი შეედრება ამ სუფთა ჰაერს? — გაიცინა ასტანმა და თითქოს სიმაართლე მის მხარეს ყოფილიყოს, შემრიგებლურად დაუმატა: — ცოტა ხან ჩამოგექი, დასახლისები ბურს გამოაცხოებენ, ყავას მოადუღებენ. მოხუც შეზობელ მახმედსაც დავეუძახებ, ყველაფერს თავისი რიგი აქვს.

— შეილება ბევრი გყავს?

— ოცი, თითოსგან თითო ბიჭი.

— და ორივენი დედების გვარს ატარებენ?

— დედების კი არა, ჩემს ახალ გვარს ატარებენ — კაზანჯი ოღლოს. აქაურების ყურთასმენასაც ატკობს და ექვის თვალითაც არავინ მიყურებს...

— სად არიან ეგ შენი კაზანჯი ოღლები?

— ერთისგან აგერ წელიწადია ბაიბური არ ისმის. ქურდების ბრბოს აჰყვასულელი, ვინ იცის, იქნებ ჩასვეს, ან სულაც მოჰკლეს კიდევ. ეშმაკსაც წაუღია მისი თავი. მეორე გზაზეა დამდგარი: ქალაქ კონიაში ერთ მედღქენესთან მუშაობს, თავს ირჩენს. დაოჯახებულია, მაგრამ მე არც მისი ცოლი ვიცი და არც შვილები.

— საწყენია შვილიშვილები რომ არ გახვევია გარს და სიბერეს არ გილამაზებენ. აქ რომ ბავშვები დაცქრიალებდნენ, ასე დაობლებული აღარ იქნებოდა შენი ეზო.

— ეჰ, ზაურყან, ბავშვებზე ხლაფორთი და იმის ფიქრი ხვალ რა ვაჰამო — მეთქი, სად შემიძლია, დარდის მეტი რა მომემატება... კარგად იყვნენ და სადაც უნდათ იქ იყვნენ. ღვთის ნება თუ იქნება, დაიზრდებიან და ადამიანები გამოვლენ.

— შენ თვითონ რითი ირჩენ თავს?

— ჰუსეინ-ფეენდის ბატებს ვმწყევვსავ. სამი მწყემსი ვართ და სამ დღეში ერთხელ გვიწევს მუშაობა.

— სად გინახავს, რომ მამაკაცს ბატები მოემწყემსოს? ცხერის ფარა და ცხენების რემა რომ იყოს, მესმის, მაგრამ ბატები?!

— ეგ ქედმაღლობაა და მეტი არაფერი. გიჰამია როდისმე ბატის ხორცი? თითებს ჩაიკვენეტ. მისი მწვადების გახსენებაზე ნერწყვი მომდის. ახლა ბუმბულს არ იკითხავთ? ჩალა არ გვეკონოს. ამ ბატებიდან სუფთა ოქრო მიჩხრიბლებს ჰუსეინ ფეენდის ჯიბეში. ბენტერა ბატების მწყემსვა ადვილი არ არის. მაგრამ მივეჩვიეთ უკვე.

და ასტანმა ისეთი ნეტარებით დამიწყუო ბატებზე საუბარი, თითქოს ბედაუ-

რებზე ლაპარაკობსო. ამ დროს სახლიდან ჩადრიანი ქალი გამოვიდა, ფიზი ამოიღლია და ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისე შებრუნდა შინ.

თვალი გავაყოლე და ასტანს მივუბრუნდი:

— არ გიკვირს, ასტან, რომ მე და შენ — ორი უხიზი სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ? მე უხიზურზე და შენ თურქულზე. თუ მშობლიური ენა აღარ გახსოვს?

— ასე ჩათვალე. ყველაფერი მესმის, რასაც ლაპარაკობ, ის კი არა და ფიქრითაც უხიზურად ვფიქრობ, მაგრამ ლაპარაკი თურქულად უფრო მეადვილებს. ცოლებიც ამ ენაზე ლაპარაკობენ და ჩხუბობენ და მე ხომ შეერკილივით ჩემ თავს არ დავუწყებ უხიზურად ლაპარაკს? ზოგჯერ ჰუსეინ-ფეენდის გართობა რომ მოუნდება უხიზურად მალაპარაკებს ხოლმე და სიცილით კვდება: „ფრინველების ენაა, აბა ცოტა ხანს კიდევ იყიპყიპ“. აი, შენ ხანჯალს ატარებ, აღზბათ ლიბრი ვადაიკრა და დაიფანგა უკვე, ზედმეტი ბარგი გახდა. ჩვენს ენასაც ასე დაემართა და მკაცრ მსჯავრს ნუ დამდებ...

ქარქაშიდან ხანჯალი ამოვზიდე და მზის შუქზე ავალაღალავე. ასტანის მთელი მიხლწილი კარმიღამო და თვით ასტანიც ადვილად მოთავსდა ხანჯლის ლაღალა პირზე. და ჩემს გარშემო ყველაფერი საოცრად პატარა მეჩვენა იმ წარსულთან შედარებით, რომელსაც თოვლიანი მწვერვალის ველებზე სატევარი მახსენებდა.

გულისცემა გამიხშირდა, ასე შემართებოდა აფრიკაში შუადღისას. ჰაერი რომ დაიხუთებოდა და სუნთქვა მიჭირდა.

„უნდა გამოემშვიდობო და წახვიდე, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა წახვიდე“ — მიცემდა საფეთქლები.

— ნუ დავავიწყდება, ასტან, რომ ჩვენ ერთი სისხლისანი ვართ. თუ დავჭირდე, სითის საზღში მიბოენი, შემოიარე, მამო. ახლა კი მშვიდობით.

— მშვიდობით! — დამიქნია თავი და

ისევ წაიღეს მოკიდა ხელი გასალესად. მაგრამ ამ წაღებით კი არა, სულ სხვა უხილავით ვადაჭრა ასტანმა ჩვენი ძროხის ხის ფესვები და მისი გამძმარი ტოტები მშვიდად შეეძლო დაეყარა აბრია. ლებულ კერიაზე ჩაღრიან ქალს, ვას გვირსაც ახლა ასტანი იტარებდა.

«ღიას, დაიღუპა ცხენოსნებისა და მეომრების გვარი, მთელ უბიხეთში განთქმული ზოლაკების გვარი, დაიღუპა — გავიფიქრე მე, — ასტანის სახით კი სამარცხვინოდ დაიღუპა. ამობენ, ყველაფერი მღვთმარეობაზეა დამოკიდებული თუ ასეა, მაშინ მარტო ასტანს რომ დაეფო ბრალი, სისულელეა. ასტანი მსხვერპლია, მღვთმარეობა კი მის კისერზე აღმართული ნაჯახი. ბედისწერას ვერსაით ვაქეცევი. მე კი რა სარგებლობის მოტანა შემიძლია, ვინა ვარ, რა ვარ? ოჯახი მე არა მაქვს და შვილები მე არა მყავს. მეზღაგებულ დახვასებულ მუხასავით ვხრჩოლავ. დავიფერფლები და ატარაფერი დარჩება ჩემგან. უკვალოდ გაქრება ზოლაკების სახელოვანი გვარი, ვითომც არც არასოდეს არსებულა. ამას რას ვამბობ, როგორ უნდა გაქრეს მთელი ტომი, როგორ უნდა გაქრეს მისი მრავალსაუკუნოვანი ენა? ენა, რომელზეც განადიდებდნენ თუ გმობდნენ ერთმანეთს, ლაპარაკობდნენ პურზე — ჩვენი არსობის წყაროზე, მღეროდნენ იავნანას, იწყველებოდნენ თუ ლოცულობდნენ.

ნეტავ ეს ბედმა განსაზღვრა თუ ვინმეს წინდაუხედაობის საბედისწერო შედეგია? და ვინა ჩვენ ხალხს ეს დამართებოდა თუ მისი ყველა შვილი ისეთი იქნებოდა, როგორიც ტაპირია? არა, რა თქმა უნდა, არა, მაშინ დაღუბვაც ავტოდებოდა».

ჩემი ფიქრები უღრან ტყეში გზაბანეულ მგზავრს მიგონებდა. გზაბანეული, აფორიაქებული და აწრიალებული ერთი პატარა სახლის წინ აღმოვჩნდი, მტერიანი შუკის ბოლოს რომ იდგა. ჩემ გამტანჯველ კითხვებზე პასუხის მიღება მხოლოდ ამ წყნარ, უბრალო, შეთვრებულ ალიზის ქონში შემიძლო,

თავისი ხელით რომ ამ შენებია ტაპირს.

ტაპირის სახლი, როგორც ყველა გლეხეციის სახლი, უშნო და პატარა იყო, მაგრამ ერთი დღე რა არის, ერთი დღეც არ გავიდოდა, შიგ ხალხი რომ არ ყოფილიყო. აქ ყველას გულიანად ხედებოდნენ, რადგან გულიდან წამოსული სიტყვა ისევ გულს ხედება ხოლმე. აბა მუხტართან ნახავს კაცი რამე ხეირს? არა, იქ მისვლას აზრი არ ჰქონდა. ტაპირის სახლის კარები კი დღე-ნიადაგ ღია იყო მობრძანდით. მასპინძელი რჩევას მოგცემდა, თხოვნასაც დაგიწერდა, რაც მთავარია, მოვისმენდა და თუ დავა იყო ატეხილი, მოსამართლესავით სამართლიანად განსჯდა. სამკურნალო ბალახებისთვისაც კი ტაპირთან მიდიოდა ხალხი. თუმცა აქიმობა არ უსწავლია სტამბულში, მაგრამ მღვთმარეობა ავალდებულებდა და ძველი ექიმბაშური წიგნებიდან წამლების აუკარგავანობას სწავლობდა. მუხტარს შურდა და ეზიზღებოდა ტაპირი, აცოფებდა, რომ ვიღაც ვოგინდარა უბიხს, რომელსაც არავითარი თანამდებობა არ ჰქონდა, ასე პატივისცემით ეპყრობოდა ყველა მპაჭირი. მოლა კი არ ყოფილა მათი მოძღვარი, არამედ მსწავლებლობაში გამძვრალი ვიღაც მღაბიო, ვისი დედ-მამაც კი არავის ახსოვს. ო, ასეთებზე თვალ-ყური უნდა მეჭიროს! ისიც ადგა და მეთვალყურეები მიუჩინა ტაპირს, საჩივრებს თითხნიდა ალი ხაზრეთ-ფაშასთან. ტაპირმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ უკან არ იხევდა. არ ეშინოდა და არაფერს უთმობდა.

ეზოში შესულია რომ დამინახა, ზღურბლთან შემომხვდა:

— ზაურყან, ცოტა ხანს ჩრდილში ჩამოჯექი, ძვირფასო, ახლავე გათავისუფლდები, ხალხია საქმეზე მოსული.

— რას ვიხამ, სტუმარი მასპინძლის ხელშია, — ვუბასუხე და ჩრდილს შევეფარე.

ტაპირის მკვირცხლმა ცოლმა გული-ზარმა ყავა მომართვა. სტამბულელი

თურქი ქალი წარმოსადგვი, შავგვრე-  
მანი, გულდია იყო, სახეს ჩადრით არ  
იფარავდა და არც მამაკაცებს ემაღე-  
ბოდა. რალაციით ფელდის მავონებდა.  
ყოველთვის გული ჩამწყდებოდა  
ხოლმე, იმას რომ დავინახავდი. გუ-  
ლიზარს ჩვენი ენა ესმოდა, ოღონდ  
ლაპარაკი არ შეეძლო. გვიან შეირთო  
იგი ტაპირმა, მაგრამ ორი შემეკვიდრე  
შეეძინა. ბიჭები იმათ როდი ჰგავდნენ,  
ერთხელ რომ ვიამბე, დანობიას თამა-  
შობდნენ-მეთქი. მთის ადათების მიხე-  
დვით იყვნენ გაზრდილები. მალე თა-  
ნასოფლელები გააცილა ტაპირმა და  
მიმიპატიოე:

— შინ შემოდი, ზურყან. მამატიე,  
ამდენხანს რომ გალოდინე, არზას  
ვეწერი გლეხებს.

მასპინძელმა პატარა ოთახში გამა-  
ტარა და მომიჩნავე მოზრდილ ოთახში  
შევდი. პირველად ვიყავი აქ და გა-  
ვვოცდი, წიგნებით ჰერამდი დაფარუ-  
ლი კედლები რომ დავინახე. უბიხის  
სახლში წიგნების ნახვა ოდითგან  
იშვიათობას წარმოადგენდა. აქ კი  
უამრავი წიგნი იყო. შენ, რა თქმა უნდა,  
დიდი მწიგნობარი ხარ შარახ, მაგრამ მე  
ხომ ბრმა ვიყავი, აზრი არ ჰქონდა, თუ-  
ნდაც ერთ წიგნში რომ ჩამეხედა და გა-  
დამეფურცლა. ცხვარით გამოშტერე-  
ბული მიეჩერებოდი წიგნებს. ერთმა  
აზრმა კი გამიღვია თავში: ეს წიგნები  
რომ წამეკითხა, ნებისმიერ ვეზირს ჩა-  
ვისვამდი ჯიბეში.

— ამ წიგნებში ზურყან, უძველესი  
და იშვიათი თხზულებანიც არის.  
ჩვენ — უბიხები სარეველა ბალახი  
როდით ვართ. დიდებული წარსული  
გვაქვს. ჩვენს წარსულს სწავლული  
ხალხი წერდა ძველბერძნულზე, არა-  
ბულზე, თურქულსა და სხვა ენებზე.  
ასე უკუღმა რომ დატრიალდა ჩვენი  
ბედის ბორბალი, ეს ჩვენი მოსყიდუ-  
ლი წინამძღოლების ბრალია. მამაკი-  
რობისკენ რომ არ ებიძგებიათ ხალხი-  
სთვის, ახლა აყვავებული ქვეყანა ვეჭ-  
ნებოდა.

— ეს წიგნები როგორ ჩავიკვდი  
ხელში?

— შარდინი, ალოუს ძე ფულს არ  
აკლებდა მისსოუს, არ ძუნწობდა. სწა-  
ვლის წლებში მე იმ უგნური ბიჭის მე-  
საიდუმლო ვიყავი. ის მაძლევდა ლი-  
რებს წიგნების შესაძენად, იმიტომ,  
რომ მე ჩემს მავიერადაც უნდა მესწა-  
ვლა და იმის მავიერადაც. მისსოუ მო-  
ქეიფე ბიჭი იყო და წიგნებში ჩასახე-  
დად არ ეცალა. პოდა, მე ვუყვებოდი  
ხოლმე შინაარსს და ისიც მიხდიდა. აი  
ასე შევიძინე ეს საუნჯე, ახლა რომ  
უცქერი. — ტაპირმა სკამი გამოსწია  
და მაგიდასთან დამსვა, რომელზეც  
სქელი ხელნაწერი იდო. — ეს კი, ზა-  
ურყან, უბიხების ისტორიაა შორატული  
წარსულიდან დღემდე. დიდიხანია  
ვწერ, თუ ვიცოცხლე, დავამთავრებ  
შრომას. ყოველგვარი ცოცხალი იცვ-  
ლება და ცვალებადი ცოცხლობს. ვინ  
იცის, იქნებ ისეთი დროც დადგეს,  
რომ ჩვენ როგორც ხალხი აღვივაოთ,  
გავქრეთ და მოგონებათლა ვიქცეთ.  
ჩემი წიგნი კი ქვეყანას ამცნობს ჩვენს  
ამბავს, ჩვენი აღზევებისა თუ დაცემის  
ამბავს.

— წმინდა საქმეა, დემრომა ხელი  
მოვიმართოს. მახსოვს, ჩვენი მამები,  
მამინაც კი, ბრძოლას რომ წააგებდ-  
ნენ სიმღერებს მღეროდნენ გპირებზე.  
ეს ალაფრთოვანებდათ და რისხვად  
აწყდებოდნენ მტერს. შენი წიგნი გმი-  
რების სიმღერებს ჰგავს. ეს თუ არ და-  
იწერა, ჩვენი ხსოვნაც დაიკარგება.  
სიტყვა კი მარადიულია, წაიკითხავენ  
და პატივისცემით განიშქვალებიან:  
„სადაც არ ყოფილან, სიმართლისთვის  
არ უღალატიათ“.

— მაღლობთ, ზურყან!  
ტაპირმა ისე გადაუსვა ხელი ხელ-  
ნაწერს, მკაცრი მამა რომ მოეფერება  
ხოლმე საყვარელ ვაჟიშვილს. მე კი  
გონებაში ერთმინეთს შევადარე, რაც  
აქ მოვისმინე და რაც ასტანის ეზოში  
გავიგონე. იქ სული სულთათნას მღე-  
როდა, აქ კი — მრავალყამიფს. იქ უფ-

სკრულში ჩაქანებულიყო სული, აქ კი მწვერვალს მოვლებოდა თავზე. ტაპირმა წამახული კალამი აიღო მავდიდან.

— იცი ეს რა არის?

— კალამი, რითაც წერენ.

— დამიჯერე, ზაურყან, ის ყველა ხმაზე უფრო მჭრელია. მაგალითად, ჩვენც ქართველებივით რომ გვცოდნოდა დამწერლობა, ისეთი იარაღი გვექნებოდა, ხელიდან რომ არასოდეს არ გაგვივარდებოდა. ღრმალა მწამს, არაფერი იმის მსგავსიც არ დაგვემართებოდა, რაცა გვიპრს. ვინც სწავლაში მარჯვეა, ის არ დაიკარგება. ჩვენს მამაპაპათ დაედოთ ცოდვად ჩვენი ახლანდელი უბედურება. თურქეთში მოხვედრილი ბევრი მთიელი, მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოგვო გონს. აფხაზებმა ანბანი შეადგინეს, სწავლებები უნდათ გახდნენ, ცდილობენ თავიანთა მექთეები გახსნან. ადიღელებიც ასე იქცევიან. ტაპირმა ნაწერი ქალღღების დასტა მიიწია, — მეც შევადგინე უბიხური ანბანი, — პირველი გვერდი გადაშალა და თქვა — აი, შეხედე, ეს ასობეია: ა, ბ, ვ...

— ეგპ, ღად ტაპირ, ასე პატარა კი არა, სპილოს ხელა რომ იყოს ეს ასობები, მე მაინც ვერას გახდები. ტყუილა ნუ წვალვობ, აწი სათვალეც ვეღარ მიშველის.

— მარტო შენ რომ იყო ამ დღეში, ვიტყვოდი „სამწუხაროა“-მეთქი, მაგრამ უბედურება ისიაა, რომ ყველანი ამ დღეში ვართ. ამას უბედურების გარდა ვერაფერს დავარქმევ. მთავრობა რომ დამრთავდეს ნებას, ჩემ სახლს უბიხი ბავშვების სკოლად ვაქცევდი, მშობლიურ ენას შევასწავლიდი ბავშვებს, უფასოდ ვიმასწავლებლდები და პირველი გაკვეთილი ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღე იქნებოდა.

ხელნაწერი ანბანი ხელისგულზე დავიდე და ახალშობილი ბავშვივით გავანაწავე.

— შენი წიგნი აღბათ ძვირფასი რა-

მაა, მე კი ჩემი უფიცობის ვანო ჩივილს სულად ვერ შევაფასებ შენს შრომას. მაპატიე, მაგრამ უბიხურ ლაპარაკს რომ მოასმენდნენ, თურქები მეუბნებოდნენ, ამ ენის ქალღღზე გადატანა არ შეიძლებაო, ფრინველების ყრანტალს ჰგავსო. ჰუსეინ ეფენდიმაც „მხეცების ენა“ უწოდა ჩვენს ენას.

— ჰუსეინ ეფენდის მხრებზე თავის მაგიერად გოგრა აბია. წერა-კითხვა ყველა ენაზე შეიძლება. ოპ, ანბანი რომ დამაბეჭდვინა და მექთეები გამახსნევინა... მე მაინც მაქვს იმედი, სულელებად არ ვეცემი.

— ასეც უნდა, სწორი ხარ. — ტაპირმა ორივე ხელნაწერი აიღო, ფურცლები გაასწორა და კუთხეში მიდგმულ ზანდუქში ჩაღო. გულიზარმა ცუცხლიდან იმ წუთას ჩამოდგმული ორთქლიანი შავი ყავა მოგვართვა ფინჯნებით.

ტაპირს ხელისგული თავზე შემოედო და ხანდახან აგრებილ უღვაშებზე ჩამოსევამდა ხოლმე. მე ყავას ვწრუპავდი. ისე მყუდროდ და მშვიდად ვგრძნობდი თავს, თითქოს მშობლიურ ფაცხაში ვმჯდარიყავი. ტაპირმა კი სათუთუნე გახსნა, ეწეოდა და კვამლის ფთილებიდან მოფრენილ სიტყვებს ვისმენდა:

— დღენიადაც უბიხეთზე ვფიქრობ, ჩემი ყრმობის ჯადოსნურ სიზმარივით რომ მახსოვს. უკვე ვითხარი, რომ რუსეთში და კავკასიაში სახალხო ხელისუფლებაა. წარმოგიდგენია, ეს რას ნიშნავს? იქ უკვე საბოლოოდ აქვს მოღებული ბოლოს ძმათა შორის ომსა და ხალხებს შორის შუღლს. ეპ, ფეხის ხმას რომ არ ავყოლოდი და აქ არ გადმოვხვეწილიყავით, იცი რა ცხოვრება გვექნებოდა? ჩვენზე მწარე სინანული ნაკლებად თუ განუცდია ვინმეს ქვეყანაზე, ახლა რალა დაგვრჩენია? თითზე კბენანი.

და კი არ ამოიოხრა, თითქოს ამოიქვითინა და სევდის ღრუბელმა დაუფარა სახე.

— მაგას ვერ დავიკვრებ, წარმოდგენაც კი არ შემიძლია, რომ ისეთმა კაცმა, ალი ხაზრეთ-ფაშა რომ არის, ჩემისთანას გაუყოს მიწა და მგელი ცხვრად გადაიქცეს.

— თავისი ნებით დიახაც რომ არ მოგცემდა, მაგრამ როცა ყველა მხენელი, ყველა მშველელი, ყველა მენახირე, მესაპურველი და მტვირთავი გაერთიანდება, მაშინ ალი ხაზრეთ-ფაშასნაირი ვეფხვები კატებად გადაიქცევიან ხოლმე.

— სულს ნუ მიწეწავ, თავისუფალ ცხოვრებაზე ნუ მესაუბრები ძველ კატორღელს.

— ბოლოს რომ ვიყავი სტამბოლში, პორტში ერთი ბერძენი გავიცანი. სოხუმიდან ათენში მიდიოდა გემით. წარმოშობით კავკასიელიაო რომ გაიგო, აფხაზურად დამიწყო საუბარი. მითხრა, აფხაზეთი ახლა თავისუფალი სახელმწიფოაო და გამოთხოვებისას ვაზეთი მარჩა.

— ვაზეთი თურქეთშიც გამოდის, — ვთქვი მე.

ტაპირმა ზანდუკს თავი ახადა, სადაც ცოტა ხნის წინ ხელნაწერი შეინახა და ვაზეთი ამოიღო.

— ეს უბრალო ვაზეთი არ გეგონოს, შენი დედის თანამემამულეების ვაზეთია. სახელად „წითელი აფხაზეთი“ ჰქვია. „წითელი“ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღვრილი სისხლის პატივსაცემად დაარქვეს. აი, სურათს ხედავ? ესენი გლეხები არიან, ვისაც თავადების მიწები გადაეცათ. შეხედე, იქნებ ვინმეს იცნობ მათში?

— ეს ვინ არის? — თითო დავადე ვიდაც კაცის სურათს.

— ეს აფხაზეთის მთავრობის ბელმძღვანელია. ხალხის წინაშე სიტყვას ამბობს.

— ღმერთო დიდებულო, — ამომხდა გულიდან, — მაღლობელი ვარ შენი, ამ დღეს რომ მომასწარი. უსამართლობა იქნებოდა, აქამდე რომ მოემკვდარიყავი, — და ვაზეთს ვემთხვავე.

ვინც ჩემ დღეში არ ყოფილა, ის ვერც გამოიგებს. — ო, ჩემო სულის ამფთრიაქებელო, თუ გულმონყაულ დედისაგანა ხარ ნაშობი, მაღლი ჰქენ და როცა მოგკვდები ეს ვაზეთი დამადე გულზე. მასთან ერთად დამმარბე, ვითომ ვაზეთი კი არა და დედულეთის მიწა დაგეყაროს ჩემთვის გულზე.

ცრმულბემა იწვიმა ჩემი თვალებიდან. საიდან გაჩნდნენ? რა ხნის ამომშრალი მეგონენ და... თუ მოთმინება არ მეყო? ზოგჯერ, დად შარახ, ძალზე დაჭიმული ლარი მოულოდნელად გაწყდება ხოლმე. გვიანობამდე დავყავი ტაპირთან, მაგრამ თბოვნაზე — ჩვენთან გაათეი ლამეო, უარი ვუთხარი.

— ხვალ დილას მანსოუსთან ვართ დაბარებულნი. — მითხრა ტაპირმა, ქუჩაში რომ გამოვედით.

— მისი დანახვაც არ მინდა.

— მეც სიკვდილივით მეზარება მასთან წასვლა, მაგრამ ეტყობა, საქმე ყველა უბიხს ეხება და, გინდა თუ არა, უნდა წავიდეთ.

ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ და შეხვედრის ადგილი და დრო დავთქვით. მთელი ღამე ჩაბნელებულ და ჩანუშვებულ ქუჩაში დავეხეტებოდი ღობის მიღმა. ტაპირის ნაჩუქარი ვაზეთი უბეში მედო. ვინმე რომ შემფეთებოდა, იფიქრებდა, გოჯია და თავის თავს ელაპარაკებო. ზოგჯერ არ გძინავს სიზმარს ხედავ. და აი ახლა მესიზმრებოდა, ვითომ იმ მიწაზე დავაბიჯებდი, სადაც დედაჩემის ძმები ცხოვრობდნენ. წებელდის ქედები, პიანჯის მთა, მისი მწვერვალებიდან კი ხელისგულივით მოჩანს მთელი აფხაზეთი. ზევით კვანახხირის კლდე ელავს მზეზე. ქვევით კი, ქვის ვიწროებში მოქცეული კოდორი ბობოქრობს. ჩუ, ყურებს ვცქვეტ და დალის მხრიდან მხედრული სიმღერა, ცხენების თქარუნი და სროლის ხმა მესმის.

მაგრამ აი, ვიღვიძებ და ჩემს წინ სითის სახლს ვხედავ. ვერანდაზე ავდივარ, ხის ტახტზე ვწვიები და ვისმენ



როგორ ეხმარებოდა ერთმანეთს ყოველით გათენების მათუყებელი მამლები.

### მოპირდაპირე ნაპირებზე

რკინის ალყაფის ჭიშკარი შევალეთ და მე და ტაპირი თავად მანსოუს, შარდინის ძის ეზოში შევედით. ჩვენდა გასაოცრად მცველის შეძახილი არ გავიგონია: „აქ რა გინდათ“. სიჩუმე გამეფებულიყო ირგვლივ. არც მცველები იდგნენ და არც მსახურები ფუსფუსებდნენ სახლის წინ.

— ამოწყდნენ თუ რა მოუვიდათ? — ჩაეხურჩულე ტაპირს.

— შენს პირს შაქარი.

მოედანზე რომ გადავდიოდი, რომელიც ცოტა ხნის წინათ მამლების ბრძოლის ველს წარმოადგენდა, გასისხლიანებული ფრინველები წარმომიდგა თვალწინ და გაქსლებული ბატონების ხითხითიც შემომესმა. „აქ არაფერა კარგი არ გველოდება“ — ასეთი წინათგარძნობა შემეპარა გულში. სახლის ახლოს, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მსახური აისვეტა. როგორც კი ვუთხარი, მანსოუს დაბარებულები ვართ მეთქი, მოკრძალებით მოგვახსენა:

— მობრძანდით, გელოდებიან.

დახვეულ კიბეზე მიგვითითა. ავედით თუ არა მეორე სართულზე, ფართო დარბაზში აღმოვჩნდით. იატაკზე რბილი ხალიჩა ეგო. მანსოუს ხალვათი თურქული ხალაოი ეცვა, ფეხი ფეხზე გადაედო და დივნის ბალიშზე გადაწოლილი ქარვის ჩიბუხით სივარეტს აბოლებდა.

— ოო, შემოდით, შემოდით და დასხედით, — მეგობრულად მიგვიპატივა მან.

ჩვენ მოპირდაპირე მხარეს დავსხედით სივარტეებში. მე სახლის პატრონს დავუწყე თვალთვლება. პირველად რომ ვნახე, მონადირული ტანსაცმელი ეცვა და წარბებამდე ჩამოფხატული ჩაღის ქუდი ეხურა. ის

ჩერ მხნედ გამოიყურებოდა. მჩაქვწყლამ ვიდ იმისა, რომ უკვე სამოცი წლისა გახლდათ. მოკლედ შევკრეპილ თმაში ქალაიკ კი ვერ შევნიშნე. ქუთუთოები მაგრად შესიებული ჰქონდა, თვალები კი პატარა და ღრმად ჩამჯდარი. პატარაობისას მყავდა ნანახი, მის მერს ათას წყალს ჩაევლო და ბევრშობის ნიშანწყალიც აღარ შერჩენოდა პირსახეზე. ხალაოის განიერი სახელოებიდან გამოყოფილი ხელები თითქმის უსისხლო ჰქონდა და ყვეთელ ფერს დაიკრავდა, ჩრდილში ამოსული სიშინლის ღეროსავით. გამხდარ თითზე ბეჭედი უბრწყინავდა.

— როგორ მიდის ცხოვრება, ახალი რა იცით? — იკითხა ყოფილი სულთანის სიძის ვაჟიშვილმა, უკანასკნელად მოქაჩა და ყალიონიდან ნაშწყვივი გადმოავლო.

— მე ერთი უბრალო გლეხი ვარ და მიწურში ვცხოვრობ, მეორე სართულიდან უკეთესად არ დაინახავ ყველაფერს? — უპასუხა ტაპირმა.

— თავს ნუ ისუღელებ, რომელი გლეხი შენა ხარ, ყველანი აღიშს გეძახიან. სახლი წიგნებითა ვაქვს გატენილი და კალმს არ უშვებ ხელიდან...

— რაც მართალია მართალია, ანბანი შევადგინე და უბიხების ისტორიას ვწერ, მაგრამ იმით ვსაზრდოობ, რაც დამითესია და მომიყვია.

ერთიც და მეორეც თურქულად ლაპარაკობდნენ.

— შენ ძალიან ნიჭიერი კაცი ხარ, ეს სტამბოლიდანაც მახსოვს, მაგრამ ვირმა რა აცის ხურმა რა ხილია. წიგნებმა ავირია გზა-კვალი, სატირალიც არის და სასაცილოც დროის დინების საწინააღმდეგოდ ცურვა.

— ყველა თავისი ქუითა და სინდისით ცხოვრობს...

— ჭიუტი სწავლული ვირზე უარესია. ერთი მითხარი რისი შეცვლა შეგიძლია? გარემოება შენზე ძლიერია. ქვის კედელს შუბლით ვერ გაარღვევ.

უკეთესი იყო, საკუთარ თავზე და შვილებზე გეფიქრა...

— დიდი საიმოვნებით მივიღებდი ამ რჩევას, შენ რომ იფიქრებდე შენსავე ქვეშევრდომებზე.

მანსოუმ ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო და ერთიანად გაოფლიანებულ სახე მოიწმინდა. მერე ვერცხლის სათუთუნე ვახსნა და მოგვაწოდა:

— მოწიეთ!

— არ გვინდა, — ორივეს მაგივრად იუარა ტაპირმა.

მანსოუმ ისევ ვააბოლა და განაგრძო:

— რა საჭიროა, მდიდრებსა და ღარიბებს შორის შუღლის დათესვა? ეს ხალხს ვერაფერს უშველის. განა ისეთ აღამიანებს როგორიც შენა ზარ, ტაპირ, შეუძლიათ აღამიანის ბუნების შეცვლა? პატემოყვარული თავდაჯერება და მეტი არაფერი. მართო შენ რომ იღუპავდე თავს შენი წინდაუხედაობით, კიდევ ვო, მაგრამ შენ ხომ მოელ ხალხს აბუნტებ და არ უფიქრდები, რომ ამით შეიძლება ბევრი დაღუპო. — და თითქოს ჩემგან შარდაპერას ელოდა, გადმოშხედა და თქვა: — ხომ სწორი ვარ, ზურყან?

— ტაპირს ხალხის დახმარება სწავლია და რასაც აკეთებს წმინდა გულით აკეთებს. არც ანგარება ამოძრავებს. და არც რაიმე წინასწარგანზრახვა. მაპატიე გულახდილობა, მანსოუ, და შენთან ხომ ვერ მოვა ხალხი რჩევის საკითხავად, ან უსამართლობაზე საჩივრით. ისე კი შენ უნდა გევალებოდეს კარინჯ-ოვასში მცხოვრებ ყველა უბიზზე ზრუნვა.

მასპინძელმა ჩაიცინა:

— შენც ჩაგწვეთებია ამ შინ გამოჩევილი მქადაგებლის შხამი, — მანსოუმ ტაპირისკენ გაიქინა თავი, — თუ ციხეში დააგროვე ტილებთან ერთად ეგ ქაუა-გონება?

— ციხე და ვაჭირგება რას არ გასწავლის კაცს.

მანსოუს, შარდინის ძეს თავი ჩაექინდრა და რაღაცას წონიდა გონებაში.

დიენის თავზე დაკიდებულ სურბანსზე ხელე და მოულოდნელობისაგან შეცბტი კიდევ. უსარცხვილოდ გაშიშვლებული უღამაზესი მძინარე ქალი დაეინახე. გადახდილი საბანი დაუდევრად ეგლო ხალიჩაზე, საწოლის ახლოს, სადაც შიშველი ხარკა განისვენებდა. ბელები ისე ამოეწყო თავქვეშ, რომ ოჭროსფერი ბუსუსიანი იღლიები მოუჩანდა. ფეხი ფეხზე ჰქონდა მიდებულ. შეეცბუნდი და თვალი მოვაშორე სურათს. იმ ქვეყანაში, სადაც ალაში აღამიანების გამოსახვას კრძალავდა საერთოდ, სადაც ქალები სახეს იფარავდნენ, ასეთი სურათის ქონება მკრეხელობა და დიდი ცოდვა იყო. „მანსოუ, შარდინის ძე ნაღდად ბიწიერი კაცია“, გადაეწვივით მე.

— ღობე-ყორის მოღება რაში გვჭირდება, მანსოუ — გაისმა ტაპირის ხმა — პირდაპირ მითხარი, რატომ დავვიბარე?

მსახურმა, ქვევით რომ შემოგვეფეთა, ლანგარით სამი ფინჯანი ყავა მოგვართვა და გაგვერიდა.

— უბიზები გადმოსახლების დღიდანვე ღობრებით გადაეკრნენ თურქეთს თვალზე, — შეუცბუნებლად და დინჯად დაიწყო მანსოუმ, შარდინის ძემ.

ტაპირს მეტი მოთმინება უნდა გამოეჩინა და საშუალება მიეცა მასპინძლისათვის ბოლომდე ამოედერდა სათქმელი, მაგრამ ზოგჯერ გამოცდილ მსროლელსაც ავიწყდება ხოლმე ნახმახის ჩაკეტვა:

— ღობრი მიზეზი კი არა, შედეგია! მანსოუს თითქოს არც გაუგონია თანამოსაუბრის ენაშწარობა.

— ამ სახელმწიფოს მმართველი აღაპის წარმოგზავნილ კაცად ითვლება, მისი ნაცვლია დედამიწაზე. ამიტომ ყველა ქვეშევრდომი ვალდებულია, სხსლით ხორცამდე მუსულმანი იყოს. ხელისუფლებისათვის ერთი რამ ცხადია: რწმენა თუ დაიკარგა, არეულობა დაიწყება. უბიზები კი მხოლოდ თვლის ასახვევად დადიან მეჩეთში.

— სულთანს ისიც უნდა მოეხსენე-

ბოდეს, რომ უნაკლო ქვეშევრდომები არ არსებობენ, ასეთებს მხოლოდ სამოთხეში თუ ნახავს, სადაც მას შეავალა ჰურიები ელოდებიან. გარდა ამისა, მინდა მოგახსენო, რომ შაჰმადი, ძალადობის ნებას არ რთავდა მათ მიმართ, ვინც რწმენის მიღებაზე ჯიუტობდა, თუკი ისინი უსიტყვოდ ემორჩილებიან მის საერო ძალაუფლებას და ხარკს იხდიან. და განა ჩვენ კი არ ვიხდით ვადასახადს?

— წინასწარმეტყველის მოძღვრებაზე მსჯელობა მხოლოდ სულთანს შეუძლია, შენ კი ჭერ ვეზირიც არა ხარ. დროა, უბიძებოც მუსულმანებს შეუერთდნენ ნახევარმოთვარიანი მწვანე დროშის ქვეშ. თავიანთი სახელები და გვარები თურქულად შეიცვალონ და ოსმალებად ჩაეწერონ.

— უმრავლესობამ ისედაც დაივიწყა თავიანთი ბიძხა. თურქულად ლაპარაკობენ, მეჩეთში დადიან და ახლა სახელებიც გამოიცვალონ? ეს უკვე მეტისმეტია...

— ასე მოითხოვს კანონი. ვინც ოსმალების იმპერიაში ცხოვრობს, ოსმალო უნდა იყოს და მინდა გავაფრთხოლო, ტაპირ, შეფათს ნუ ტეხავ, ფრთხილად იყავი, თორემ თავსაც დიღუპავ და სხვებსაც დაღუპავ. ასანთი, რომლითაც მეჩეთის დაწვა უნდათ, მეჩეთზე უფრო ადრე იწვი. მიეცი უბიძებს მავალითი და გვარი გამოიცვალე.

გვერდითმა კარმა გაიჭრილა და ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. გრძელი მოკლესახელოებიანი თეთრი კაბა ეცვა, მკერდი ღრმად ჰქონდა ამოჭრილი. შემოვიდა და ამბრისა და ვარდის სურნელებით გააბრუა იქაურობა. რატომღაც ასე გავიფიქრე: „ნეტა ეს ხომ არ არის სურათზე გამოხატული?“ მე და ტაპირი მაშინვე წამოვდგებით და მივესალმეთ. ლამაზმანმა გავვიღიმა, მანსოუსთან მივიდა და ჩემთვის უცნობ ენაზე რაღაც უთხრა. მასპინძლის სახლი რომ დავეტოვეთ, ტაპირმა მითხრა, დამახლისი ფრანგულად ლაპა-

რაკობდაო. სასიეროდ მიდიოდი, მაგალი ხაზრეთ-ფაშას ნახვას აპირებდა.

— სალამოს ჩემი მოკითხვა არ დაგვიწყდეს, — გაიხუმრა ახალგაზრდა დიასახლისმა. წასვლისას ხელი გაუწოდა ტაპირს, მერე მე მომიახლოვდა, გაცივებით შემომხედა და თქვა: — ოი, ლა-ლა-ლა, კავკასია!

ფრთხილად შეახო ხელი ჩემ ქამარ-ხანჯალს, ჩოხის ქილებს და სახეზე შიში და აღტაცება გამოეხატა ერთდროულად!

— ოჰ!

ქალმა ისევე მოულოდნელად დაგეტოვა, როგორც გამოჩნდა. ტაპირმა მანსოუს, შარდინის ძეს შენიშნა:

— შენ დიდ ცოდვად არ მიგანჩია, შენი ცოლი მუსულმანივით რომ არ იფარავს სახეს?

— ის ხომ ფრანგია, კათოლიკე...

— ალაჰი მართლმორწმუნეებს ადამიანის გამოსახვას უკრძალავს, შენ კი შიშველი ქალის სურათი ვიკიდი... აბა რომელიმე უბიძს დაეკიდა ასეთი სურათი...

— ერთად რომ ვსწავლობდით, შენ ერთხელ ლათინური ნათქვამი მომიყვინე მაგალითად: „ის რაც ოპტიკრისათვის დისაშეგებია, ხარისთვის იკრძალება.“ მე არც უბიძი ვარ და არც თურქი, მე ევროპელი ვარ.

— ბატონი ევროპელი რატომ იწუხებს თავს ჩვენი ჭკუის დარიგებით, ან რატომ ცდილობს საფრთხე რომ აგვაცილოს თავიდან?

— სიკეთე მინდა თქვენთვის და იმიტომ.

— სიკეთე თუ გინდა, მაშინ არ შეგეძლო შენი სიმდიდრის პატრონს ჩვენთვის მექთები აგეშენებინა, ან თუნდაც ჩემი ანბანის გამოცემისთვის გავგელო თანხა?

— კი შეგეძლო, მაგრამ ვას რაში ვიბრძება? გააგე, ეს სისულელეა. დიდი ერბ თუნდაც ძალდატანებით რომ იშველიებს ხოლმე პატარა ერს, დროის გაწინაბით ხდება ხოლმე. უბიძური ენა

კი შენმა შეილებმაც არ იციან. თურქული ენა გაცილებით მეტს მისცემთ მათ, ვინემ ოთხ კლდეთა შუა გამოშფყვდეული უბიზური. ახლა ლათინურზეც აღარ ლაპარაკობენ, ჩერედა რა წიგნები იწერებოდა ამ ენაზე!

— ასე თუ წავიდა საქმე, მაშინ ყველაზე ადვილი ის იქნება, მთელი მსოფლიო ერთ ენაზე რომ დაიწყებდეს ლაპარაკს, თუნდაც ფრანგულზე. ახლა ლათინურზეც მოგახსენებ, — დაუმატა კამათით გაცხარებულმა ტაპირმა, — ის საუკუნეების მანძილზე ცოცხლობდა, მიუხედავად იმ იმპერიის დაცემისა, რომლის სახელმწიფო ენასაც თვითონ წარმოადგენდა.

— აბა ერთი გონების თვალი გადაავლე, ჭოუტო ტაპირ, უბიზების ისტორიას და თუნდაც ერთი გამოჩენილი პიროვნება დამისახელე. ვერ დამისახელებ და იცი რატომ? იმიტომ, რომ ასეთი პიროვნება არ არსებობს, არ არსებობს, პოდა, რითი შეგიძლია იამაყო? არაფრით. ვისზე უნდა უამბო შეილებს? თარეშების წინამძღოლებზე? გაბურძენილ მოსისხარებზე, თავზე ხელაღებულ ყაჩაღებზე? ბავშვები მაინც შეიბრალებ. შეიგნე, რომ უბიზების ბედი თვით ისტორიამ გადაჭრა და მისი ბორბლის შეფერხება სასაცილო და უშედეგოა. რაც უფრო ადრე მიეკედლებიან უბიზი ახალგაზრდები ოსმალოებს, უფრო მოიგებენ, რადგანაც სწავლა-განათლებით, კულტურით თუ ხელოსნობის განვითარებით თურქები მრავალი საფეხურით მაღლა დგანან, ვიდრე ბევრი პატარა ერა, უბიზებზე რომ აღარაფერი ვთქვა.

მე ველარ მოვითმინე.

— უფრო მარტივად თქვი, მგლებთან თუ ვცხოვრობთ, მგლებივით უნდა ვიკმუვლოთ, არა?

საოცარი იყო: მანსოუ, შარდინის ძე გაციოვებული არ წამოშტარა, აუღელვებლად განაგრძობდა ჩვენს დამოძღვრას:

— უბრალოდ გადარჩენა თუ უნდათ

უბიზებს, სხვა გამოსავალი არაა. გარდა იმისა, რომ სულთნის ძალაუფლებას მიანდონ თავიანთი ბედი. ალი ხაზრეთ-ფაშა, ვისაც ეს სამფლობელოები ემორჩილება, რაზემეს კრებს აჯანყებულების წინააღმდეგ. პოდა, უბიზი ქაბულებიც დიარაზმონ სულთანის დროშის ქვეშ.

— კი მაგრამ საიდან შეაგროვებ უბიზ ქაბულებს, განა ბევრა მათგანი დაბრუნდა ბალკანეთიდან? ვინც დაბრუნდა, ისინიც ხეიბრები და ავადმყოფები არიან.

— შენ და ზაურყანი თუ მოუწოდებთ, უბიზები იარაღს აისხამენ.

— ღმერთმა აცხონოს დედაშენი, და ტაპირი მართალს ამბობს, ჩვენ რაღა დახმარება შეგვიძლია. — ვთქვი მე.

— რაც არ უნდა იყოს, სულთანს თუ არ მოეხმარებით ქემალ-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში, ლალატად ჩავითვლით და არაფრით არ გაპატიებთ. ჩემი დახმარების იმედი კი ნუ გექნებათ, თუ ალი ხაზრეთ ფაშა მტრის თანამშრომლებად ჩავთვლით და ჭარით გამოილაშქრებს თქვენზე. აქედან აცურით უბიზებს და თქვენს სახლებს ბაშბის შესანახ ბელლებად გადააქცევს.

— მაშინ ველარც შენ იცხოვრებ აქ, თავი ველარ შევიკავე მე.

— ვიცი, ასე იქნება. — მშვიდად დამეთანხმა მანსოუ. ფეხზე წამოდგა და სარკესთან მივიდა, — მაგრამ მანსოუზე ნუ დარდობთ, — წარბებზე თითი გადაისვა, — ჰუსეინ ეფენდის უნდა ჩემი სასახლისა და მიწის ყიდვა. მე სიმამრთან მივემგზავრები საფრანგეთს. შამპანის პროვინციაში ულამაზესი კოთხე მელოდება ვენახებითა და მარნებით. იქ შევსვამ სულთანის მომხრე თურქების სადღეგრძელოს და თქვენი სულუბის გასანათლებელსაც, თუ არ დამიჭრებთ.

— ჰო, შენ იქ ყურძენს დაწურავ, ჩვენ კი აქ გავვსრესენ, — ზიზლით აღმოხდა ტაპირს.

— მე თამაშიდან გავდივარ, შემეძ-

ლო არც კი გამეფრთხილებინეთ და ისე წავსულიყავ, პასუხს მომთხოვდით თუ რა...

— სადაც არ უნდა წახვიდე, უბიხების ნაღველი მაინც მოგძებნის და ყელში წაიჭიკერს.

— გვეყოფა კინკლაობა! უბიხების ბედს გულგრილად რომ არ ვუყურებ, იმიტომ გაგაფრთხილებთ. — მერე ტაპირს მიუბრუნდა და მკვახედ უთხრა, — გახსრფდეს, გუშინდელი დღის მოქადაგავ, ჩემ რჩევას ფეხებზე თუ დაიკიდებ, ნულარ ინანებ! ახლა კი მშვიდობით!

მანსოუმ თავი დაგვიქნია და დარბაზიდან გავიდა.

• • •

იმ საღამოს ზაურყანმა ჩვეულებრივზე აღრე შეწყვიტა თხრობა. დიდხანს დუმდა დაქანცული, მერე საყოფაცხოვრებო საკითხებზე დაიწყოთ ლაპარაკი. ცუდ ხასიათზე იყო: რომელიღაც სიტყვა ვერც უბიხურად გავიხსენებდა ვერც აფხაზურად. ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, რომ ეს სიტყვა ტაფა იყო.

— რა უბრალო სიტყვაა, — ბრაზობდა ზაურყანი, — და რამდენი წელია არავის უხსენებია უბიხურად, არც აქ და არც მეზობლებში. თითქოს სამარეში ვცხოვრობ. მავიწყდება და მავიწყდება სიტყვები.

ის კიდევ დიდხანს იჭდა ფრთებჩამოყრილი და დუმდა. ხელები თავზე შემოკვდო. მე კი მინდოდა თუ არა, ვიჩქეკი და მივიჩერებოდი და იმ ტრაგედიაზე ვფიქრობდი, რომელთანაც ამ სახლში შემახვედრა ბედმა.

ჩვენი შეხვედრის პირველ დღეებში ზაურყანს თითქოს არ სჯეროდა, რომ შეიძლება უბიხურო ენა დაიღუპოს. მარწმუნებდა, რომ უბიხური მის სამშობლოში, უბიხეთშია შენახული, რომ მისი გაქრობა ისევე არ შეიძლება, როგორც მთების, ტყეებისა და მდინარე-

ების. მე არ ვედავებოდი, ეს ზუსტია, რომ მისი სიკვრპე მიაოცებდა.

და უცბად იმ დამეს მივხედი, რომ მოხუცი მარტოდ მარტო ცხოვრობდა იმ ენასთან ერთად, რომელიც არავის არ სჭირდებოდა მის გარშემო, ცხოვრობდა, როგორც ერთადერთი ცოცხალი მკვდრებში და საყუთარ თავს ინუგეშებდა. და ეს რაღაცით მკვდრების იმ სუფრას მოჰკავდა, ჩვენი შეხვედრის პირველ დღეს რომ გაშალა.

ზაურყან ზოლაკმა არ იცოდა სიტყვა „პრობლემა“, მაგრამ ცხოვრებამ მრავალგზის დააყენა მის წინაშე ენის პრობლემა, რომელსაც ვერსად გაეძეცოდა.

წლების მანძილზე მხოლოდ თავის თავს ელაპარაკებოდა უბიხურად, ენა, როგორც უბიხურად მშობლიური ენა, როგორც იმ ქვეყნად გამგზავრებული ახლობლები. რამდენჯერ მიწვედომია მის სმენას შორიდან ხალხის გაურკვეველი ლაპარაკი და იმედოვნებდა, იქნებ მშობლიური ენაც გავიგონოო. მერე კი, როცა ამდენი ხნის შესვენების შემდეგ როგორც იქნა, ისევ დაუბრუნდა თავის ხალხს, აუტანელი იყო ის მწარე სინამდვილე, დღითიღე რომ მცირდებოდა მოხუცების რიცხვა, ვისაც ბავშვობიდან უბიხურ ენაზე ელაპარაკებოდა, ისმენდა მათ საუბარს მშობლიურ ენაზე. სამაგიეროდ მრავლდებოდნენ ახალგაზრდები, რომლებმაც ცუდად ან სრულებით არ იცოდნენ ეს ენა.

ჰოდა, თვითონ ცხოვრებამ შეაჯახა ზაურყანი ამ პრობლემასთან. სამშობლოში რომ ყოფილიყო, წარმოდგენაც კი არ ექნებოდა, არასოდეს არ იფიქრებდა, მისთვის უბრალოდ არც კი იარსებებდა ეს პრობლემა.

ჩემთვის? ჩემთვის როგორც მშობლიური ხალხის შვილისათვის ეს პრობლემა გადაჭრილია, რადგან თვით ხალხის ცხოვრებაშია იგი გადაჭრილი.

სამაგიეროდ ეს პრობლემა — უბიხური ენის შესწავლა, როგორც მეცნიერ-ფილოლოგისათვის პირდაპირ არის დაკავშირებული ჩემს სპეციალობასთან,

ჩემთვის ეს ალტერნატივა იმ გზაზე, რომელსაც ჩვენ დავადექით მშობლიურ ქვეყანაში. მწარე ალტერნატივაა, რომელთან შერიგებაც ძალზე ძნელია, რომელ ხალხსაც არ უნდა ეხებოდეს იგი. მაგრამ ეს რომ არ მალეღებდეს, არც ზღვას გამოვცურავდი და ამ შიშველი დაბლობის განაპირას ველარ შევხვდებოდი ერთმანეთს ასი წლის ზაურყანი და მე — ოცდაათი წლის ახალგაზრდა, ორივენი თავისებურად რომ განვიცდით ამ პრობლემას.

**ბითხას დაპარგვა და ტაპირის სიკვდილი**

იცი, ძვირფასო შარახ, რითი განსხვავდება მეხსიერება ქალისაგან? როგორც ვხედავ, არ იცი. ნუ იტვხ თავს ამის გამოხატვობად, სულ უბრალო რამ არის: ქალი მხოლოდ მაშინ თუ უღალატებს კაცს, ახალგაზრდა რომ არის, მეხსიერება კი მაშინ დაიწყებს ღალატს, როცა დაბერდება. პოდა, ნუ გაგიკვირდება, შვილო, უფრო და უფრო თუ დამიწყებს ღალატს ჩემი მეხსიერება.

მუსტაფა ქემალს ფაშის წოდება რამ ჩამოართვეს, იმ წელიწადს ბაშის უხვი მოსავალი მოვიწიეთ. ვახარებული უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ისეთი დრო იდგა, რა ვაგვახარებდა. ომი იყო და ბაზრისკენ მიმავალი გზები მტრულად განწყობილ ჯარებს ჰქონდათ გადაკეტილი. ერთ მხარეს საფრანგეთის, ინგლისისა და საბერძნეთის ძალაუფლებაში ნებით თუ უნებლიეთ მოხვედრილი სულთანის ჯარი იყო და მეორე მხარეს ქემალის მომხრეებისა, რომელთაც ფიცი ჰქონდათ დადებული გაენთავისუფლებინათ საშობლო. გადამჭიდველები ტურებივით დაწინააღმდეგებდნენ ვილაიეთებში, ჩალის ფასად იძინდნენ ბაშას, ფრონტის ხაზს იქით გზავნიდნენ და სამაგად ჰყიდდნენ. მერედა, ვის შესჩივლებდი რამეს? თვითონ ჰუსეინ ეფენდი ცოტა ფულს როდი მოუღობდა ამ საქმიანობით. მასთან

კანონსა და სამართალს ვერ ვხედავდი. კაცი, სტამბოლში კი, ხმებს თუ დაუჩერებდი, სულთანი უცხოელების ტყვე გამხდარიყო და თითქმის არავითარი ძალაუფლება აღარ გააჩნდა. მან გაუსამართლებლად გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი ქემალსა და მის მომხრეებს. დედაქალაქში ყოველდღე ხანძრები ჩნდებოდა, ფეთქდებოდა თოფის წამლის საწყობები, იწვოდა სამხედრო საჭურველით დატვირთული ვეშები გალატის ხედათ. სულანის სასახლის ილდიზ-კიოსკის ახლოს კი განუწყვეტილი ისმოდა სროლის ხმა. სულთანის მიერ აჯანყებულების წინააღმდეგ გაგზავნილი ასეურები ხშირად გადადიოდნენ სტამბოლში სიკვდილმისცილი ქემალის მხარეს, რომელიც ანკარაში უპირველეს კაცად იყო მიღებული. ქვეყანა ორ კაცზე მოხურულ ტყაბუქს ჰგავდა, ჩვენი სოფელი კარინჯ-ოვასი კი ქარავან-ფარდულს დაემსგავსა: ვინ აღარ ირეოდა იქ. ფრანგებსაც ვხვდებოდით, ბერძნებსაც და სულთანის ბაშობუტუცებსაც. არც სირცხვილი გააჩნდათ და არც ნამუსი არცერთს. ყველა პოსტზე მდგომისთვის საკმელი უნდა გეკმია. შენ თუნდა გარეთ გაგეთია ღამე, მისთვის ბინა უნდა დაგეთმო. ამას თავი დაანებე და ჩვენი უბინო ბიჭები ნარდს თამაშობდნენ და წარა-მარა კინკლაობდნენ. ერთხელაც აყენე ერთმანეთს და საქმე სისხლამდე მივიდა. ერთ-ერთ მთვანს კრილობა დაეტყო სახეზე. დაზარალებული ნაგველეების დიდგულა გვარისა იყო და ისეთი ამბავი ატეხეს, თითქოს საიქიოს გაესტუმრებინოს ვინმეს მათი თანამემაბული.

— თვალი თვალისა წილ! ასეთი ნაპრილობევით მშვიდად ვერ ვიცხოვრებთ. შეურაცხყოფა შურისგებას მოითხოვს.

ბიქს, რომელმაც სახეზე ნაწიბური გაუჩინა თავის ყოფილ ამხანაგს, ფარბათი ეტყვა, ჩიზბაას გვარიდან იყო. ნათესავეებმა იყნოსეს, რომ ეს სიძნელი

უბრალოდ არ ჩაივლიდა, მაგრამ არ შეშინდნენ, პირიქით, ნაგველებთან შერიგებაზე უარი თქვეს.

— შერიგებაზე თუ დაიწყებთ მოლაპარაკებას, ეს მშინაა ნაგველები იფიქრებენ, რომ ჩვენ დავესტრდით, — ამტკიცებდა ერთი, მომავლის მკვრეტელად რომ მოჰქონდა თავა, დემერტო იცის საიდან და რატომ.

— ფარხათი ჩუმად უნდა გავამგზავროთ შარაულელებთან და ვთხოვოთ, ფითონ ჰუსეინ ეფენდიმ შეიფაროს. — რჩევას იძლეოდა მეორე, რომლის ჰკუთვანებაც, როგორც მაშინ ბოროტი ენები ამბობდნენ, თვით მაშინდელ დიდ ვეზირს თევფიკ-ფაშასაც კი შეშურდებოდა.

ჰოდა, ადგნენ და ფარხათი შარაულელებთან გაგზავნეს, მან შეილივით მიიღო ფარხათი, მოეფერა, შეაიარაღა და ჩაფრებამს ჩარიცხა. ალი ხაზრეთ-ფაშას ჟონებას რომ იცავდნენ. იარაღ-ასხმული და ფიცხ ცხენზე ამხედრებული ფარხათი არაფრით არ განსხვავდებოდა ქურდი და მყვირალა დელი-ბაშებისაგან, რომლებსთვისაც, როგორც თვით ჰუსეინ ეფენდისთვის, რუმ-წო კაცისა და წიწილას მოყვლა ერთი და იგივე იყო. მართლაც და, ემირის ძაღლი თვით ემირზე უარესია. ზოგჯერ ამ თავზეხელაღებულების რაზმი, რომელშიც ფარხათიც იყო, კარინჯ-ოვასშიც გამოჩნდებოდა და ყოველი მათი გამოჩენა თარეშს ჰკავდა.

ალი ხაზრეთ-ფაშა შორიდან მყავდა ნანახი მანსოუს მამულში და ახლა ჩვენთან რომ გამოჩნდა, ხელად ეცანი. შავ არაბულ აჯილდაზე იჭდა და ცალი ხელით წინა კეზს ჩაფრენოდა, თითქოს ეშინოდა, უნაგირიდან არ გადმოვარდებოდა. გვერდით თეთრ მერანზე ამხედრებული მალა-მალაი და ლატანივით თხელი ფრანგი გენერალი მოჰყვებოდა. თავზე კაჰკაჰის კუდივით ელო კაკარდიანი ქუდი. მათ უკან კი ნალივით მორკალულიყო ცხენოსანი ამაღა. მუხტარი ხალხს გამოეყო და მხედრებს მიუ-

ახლოვდა, ქუდი მოიხადა და შეიხარა მათ, მაგრამ ფაშამ, ადგილზე რომ აცეკვებდა ცხენს, ყურადღება არ მოაქცია. ის ხალხს მიუბრუნდა:

— კარინჯ-ოვასის პატივცემული მცხოვრებნო, მე არა მჭერა, რომ თქვენ ფიცი გავტეხნოთ და დიდი სულთანის, დედამიწაზე ალაპის ნაცვალის მხარდაპერაზე უარი გეთქვათ. მე არა მჭერა, რომ თქვენ თქვენივე დიდებული თანამემამულის ანზაფურ-ფაშის გულისმოკვლა გინდოდეთ. თურქეთმა თავისი მიზეზით როდი განიცადა დიდი დანაკლისი მსოფლიო ომში. ამით სარგებლობენ თვითმარქვია მხედართმთავრები და შფოთსა და უთანხმოებას თესავენ, მაგრამ სულთანი კვლავ მოუგრეს მათ კისერს, თანაც თქვენ სულთანი მარტოდ-მარტო არ გეგონოთ. აბა შეხედეთ! ჩემს გვერდით ფრანგი გენერალი დგას. ეს მამაცი მხედართმთავარი თავისი ჯარით მოვიდა, დიდი სულთანის — ქვეყნის კანონიერი მმართველის დასახმარებლად. მარტო ბრწყინვალე ფრანგმა მეომრებმა როდი გაუწოდეს სულთანს მეგობრული ხელი, ინგლისელები და ბერძნებიც სულთანის მოკავშირეები არიან. ჰოდა, ვინ აღუდგება წინ ასეთ ძალას? მამაცო უბიძებო, გაიხსენეთ, უძძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილებს თურქეთის ხელისუფლების მესვეურებმა რომ მოგკეს თავშესაფარი და ათასნაირი წყალობა გიბოძეს. საზიზლარი თვითმარქვიები კი ჩირქს გცხებენ, ხმებს აგრცელებენ, თითქოს თქვენ უარს ამბობთ დიდი სულთანის ჯარში სამსახურზე.

ხალხს სითი გამოეყო, მხედრებს მიუახლოვდა, ქუდი ამოიღლია, თაყვანი სცათ და დაიწყო:

— მოწყალეო ფაშა, შენ მართალი ხარ, სულთანთან მტრულად არა ვართ განწყობილი, მაგრამ მეომრები საიდან შევაგროვოთ მისი ჯარის შესავსებად? ერთი ბეწონილა დავრჩით. ახალგაზრდები თითქმის ყველანი ბრძოლებში დაიხოცნენ...

ალი ხაზრეთ-ფაშამ მოულოდნებად შეაწყვეტინა:

— არ გეკადრება მოხუცო ჩემი მოტყუება. ეი, მუხტარ, წვევამლელების სია მომაწოდე!

მუხტარში მოკაყულმა მუხტარმა ფაშასთან მიიბზინა, უბიდან ამოღებულ ჭაღაღდები ჭარმა აუფრიალა.

— აი, ხედავ, მოხუცო, რამდენი წერია? ამ სიაში შეტანილები ვალდებულნი არიან, საჭიროების დროს მაიდანზე გამოცხადდნენ. ვინც გაწვევებზე უარს იტყვის, სამხედრო სასამართლოს გადაეცემა. როგორც ვხედავ, თქვენში შფოთისთავეები გაჩენილან, რომლებიც შუღლს თესავენ და გაბუნტებენ. ეი, მუხტარ, შენ რა, სამშობლოს მტრებს მფარველობ? რატომ არ შეგვატყობინე სოფელში მტრის მსტოვრები რომ გაჩენილან?

შისისაგან იცახცახებული მუხტარი ფაშას წინაშე მოიდრიკა და ჩაიბუტბუტა!

— მე ჰუსეინ ეფენდის მოვასხენე!  
— ჰოო, გამასხენდა, გამასხენდა... რომელიდაც სწავლული ამღვრევს აქ წყალს...

— სწორია, ჩემო ბატონო, სახელად ტაპირი ჰქვია.

— სად არის ის მოღალატე?  
— ის მოღალატე არ არის, ფაშა, მას მთელი ხალხი პატივს ეცემთ, — წამოიძახა სითმა და ქუდი დაიხურა.

— გეკითხებით, სად არის-მეთქი!  
— სტამბოლს გაემგზავრა.  
— რატომ?

— ჰუსეინ ეფენდის უჩივის.  
— იი თურმე რაში ყოფილა საქმე!  
— უკანონოდ არაფერს აკეთებს, თანაც სტამბოლს გაემგზავრა, სხვაგან ხომ არა.

— ვიმედოვნებ, რომ — ისევე მოუბრუნდა ფაშა ხალხს, — შამაკი უბიბები კვლავაც ისახელებენ თავს სულთანისა და ხალხისათვის ბრძოლებში.

მეკითხები რითი დამთავრდაო თქვენი შეხვედრა ფაშასთან, ძვირფასო შა-

რახ? არაფრით. სხვაც ბევრმა ხალხმა სახლაფრთო ფაშას და წაიღია. სანამ ხალხს სულთანის არმიისათვის აგროვებდნენ, ჩვენი ბიჭების უმრავლესობა უკვალოდ გაქრა. ზოგიერთი მოუხერხებელი კი მიინც წაიყვანეს, გაქცევა ვერ მოასწრეს და იმიტომ. მაგრამ ვისაც ღმერთი არ წყალობს, ასე ემართებათ ხოლმე უდროო დროს აჩქარდებიან და უდროო დროს შეფერხდებიან...

ერთ დილას, შზე კარგა ხნის ამოსული რომ იყო, სოფლის გზაზე მტრის კორიანტელი დადგა და მხედარი მოვარდა. იგი შეუკაზმავ ცხენზე იჭდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გააყვიროდა:

— ხალხო, თქვენი სალოცავი დაიკარგა! ბითხა გაქრა!

— როგორ თუ დაიკარგა, როგორ თუ გაქრა?! — საყუთარ ყურებს არ უჯერებდა ხალხი.

— გორაკის ძირას მიდით! ყველანი წადით, ყველანი თქვენი თვალით ნახეთ!

ჭარისაგან წაღებულ ნაპერწკალივით მოედო მთელ სოფელს საშინელი ამბავი. ხალხი გორაკისაკენ გაიქცა. სითი შეუძლოდ იყო, მაგრამ ბითხას დაკარგვა რომ გაიგო, ავადმყოფობა დაავიწყდა, ჩაიცვა და კვერთხზე დაურდნობილმა გორაკისაკენ გასწია. ძლივს ვეწვოდი. გორაკის ძირას იმდენი ხალხი შეგროვილიყო, წინათ რომ გროვდებოდნენ ხოლმე მორწმუნენი. მოხუცები გორაკის მწვერვალზე ავიდნენ და თავისდა გასაოცრად დარწმუნდნენ, რომ ბიჭი, მთელი სოფელი რომ ააფთორაქა, მართალს ამბობდა. ქვის ნიშა, სადაც ჭორის ნატებიანი ბითხა იყო დასვენებული, დაენგრიათ. ერთადერთი რეზილა კი მოკლული გუშავივით ეგდო ძირზე გადაქრილი. ხალხი ხმას არ იღებდა. მოხუცი სითი დიდხანს ათვალიერებდა ქვის ნატებებს, ნაჯახის ნაკვალევს ხის დაკორძილ ძირზე. თითებით სრესდა დამქვანარ ფოთლებს. მერე წიღში გას-



წორდა, ხალხს თვალი მოავლო და თქვა: — ბოროტებაა ჩადენილი! ვილაცამ მოიტაცა ჩვენი სალოცავი, მაგრამ ეს არც დღეს მომხდარა და არც გუშინ. ფოთლები ჩამპალა და ნაჯახის ნაკვალევით ჩამუჭებულა.

ხალხი აყაყანდა. ბევრ მათგანს ძველებური რწმენა აღარ ჰქონდა, მაგრამ მკრეხელობამ შეურაცხყო. იმ წუთებში სისხლმა გაახსენათ, ვინც იყვნენ და მრისხანებამ ყველანი ისევ ერთად შეაკავშირა. ზოგჯერ დიდიხნის დამღუბებული ნათესავებიც ასე ურიგდებიან ხოლმე ერთმანეთს ვინმეს სატირალში.

დამიჯერე, შარახ, ისე ვიყავი, თითქოს სასიკვდილო ჭრილობა მოეყენებინოს ნიშეს. დამნაშავე რომ დამენახა, მაშინ საკუთარი ხელებით დავაბრახობდი.

— ვინ ვაბედა ასეთი მკრეხელობა? ო, ყოვლის შემძლე ბიოთხა, შეხადა და ელვად დაატყდი თავს იმ ბოროტობაზე. წყევლიმც იყოს უკუნითი უკუნისამდე მთელი მისი მოდგმა! — ქუდი მოეხადა და ცისკენ აცახცახებულ ხელებ-აპყრობილი იწვევლებოდა მოხუცი თათლასტანა.

— ამინ! — გამოეხმაურნენ. ხალხიდან.

„ამას უბიბი არ ჩაიდენდა,“ — გავიფიქრე მე, მაგრამ თურმე ხმაძალდა ვამიფიქრია და ვილაცამ ხალხიდან მიბასუნა:

— სწორია, ზურყანი ეს ჩვენი მტრის ჩადენილია.

მაგრამ ტაპირის მელოტმა, უგვენო და ელამმა მეზობელმა (სამწუხაროა, სახელი რომ აღარ მახსოვს), გაიცინა და დაიძაბა:

— სხვაზე დაბრალება ადვილია, ვინმე ჩვენიანმა თუ ჩაიდინა ეს?

— ნუ სულელობ! — ხმა გააკმენდინა ელამს დაუთმა.

— რატომ აღრე ვერ შეგნაშნეთ, ბიოთხა რომ აღარ იყო თავის ადგილას? — იკითხა შავთავსაფრიანმა ქალმა. მისი

შეკითხვა ყველა მამაკაცისადმი საყვედურად გაისმა.

თითქოს მოხუცებს ბრალდება მოხსნათ, ახალგაზრდებისაყენ გაიქნია თავი დაუთმა და უპასუხა:

— გასაკვირი რა არის? უბიბებმა კარგა ხანია ზურგი შეაქციეს თავის სალოცავს და სხვას სცემენ თაყვანს. ტყუილა კი არ გვადარებენ ქარქვეტას.

განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, თქვენ თვითონ რომ ილესავდით კბილებს ქურუმ საულაჰზე სწორედ ამ ადგილას? ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

— უცეცხლოდ კვამლიც არ არის. ქურდს სხვა სოფლებში ეძებდნენ და იმას კი თავის სოფელში ეძინა მშვიდად... — ისევ გაისმა მელოტის ხმა.

ხალხმა ყურები დაცქვიტა: — თუ ვინმეზე ექვობ, ბარემ პირდაპირ თქვი! — მოითხოვა ხალხმა.

— თქმას რა ჰქუა აქვს, უნდა დამტყიცო, — გააფრთხილა მელოტი სითმა.

— მოწმეები მოიძებნება, — გაიღრიქა მელოტი.

ხალხი შემჭიდროვდა და იმ წამსვე გაისმა შეძახილი:

— გამატარეთ!

ხალხმა გზა დაუთმო და თეთრებში გამოწყობილი, მუცელზე საათის ძეწვეჩამოკიდებული რახმანი გამოვიდა წინ თავისი ვაქიშვილით. ეს კაცი რა ხანია ვაჭრობასა და საბაზრო საქმეებს აწარმოებდა ჩვენთან. თვითონ არ იყო ვაჭარი, მაგრამ ხშირად ეწეებოდა გამვლელ ქარავნებს და ქარავანბაშის დავალებებს ასრულებდა. მოკლედ, უტყუარი ყნოსვა ჰქონდა და სადაც არ უნდა წასულიყო, ვაქიშვილიც თან მიჰყავდა. გეშავდა თავის ლეკვს.

— ო, უბიწო და ყოვლის შემძლე ბიოთხა, — ღაღადებდა დამოქალი რახმანი. წინ ჩალის ქული ედო. — თუ მე ცრუ მოწმე ვიყო, დე შენი რისხვა მხოლოდ მე და ჩემს ერთადერთ ვაქიშვილს დაატყდეს თავზე. აქვე გავ

ქვაგდო, ერთი სიტყვაც თუ არა ვთქვა მართალი.

— მეღამ თავისი კუდი მოიყვანა მოწმედ, — თქვა თათლასტანმა.

— ჩემი თვალით ვნახე, — თქვა რახმანის ვატიშვილმა.

— ბითხა ტაპირმა მოიპარა! — თითქოს წამებით ათქმევინესო, ისე აღმოხდა რახმანს.

ხალხი გაშრა.

— ეს შეუძლებელია, ცილს სწამებენ! — მუქარით აღმართა კვერთხი სითმა.

— ვიცი, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სიმართლეს ვერსაით ვაქეცევით.

— ტყუილი ტყუილს გააჩნია, კინწისკვრით გააგდეთ აქედან!

— კინწისკვრით გააგდეთო, ადვილი სათქმელია, მაგრამ მართალს თუ ამზობს — გაისმა ხალხიდან.

— ეპ, რა არ ხდება ხოლმე, — ისევ შეაწიათ ხმა მელოტმა, — ზოგჯერ მოლას ქალოშვილიც კი შეცდება, აცალეთ მამა-შვილს, თქვან რაც იციან.

— პატივცემულნო, ჩვენს გატაცებულ სალოცავს, სადაც არ უნდა იყოს იგი, კვლავ შესწევს შურისგების ძალა თუ მე ტაპირს ცილს ვწამებ, ბითხას რისხვა მე თვითონვე დამატყდება თავს... ათიოდე დღის წინათ მე და ჩემი ვაჟი ერთ ქარავანს გავყევით, რომელიც კონიაში მიდიოდა. საქმეები მოვაგვარეთ და უკან რომ ებრუნდებოდით, ვდავწყვიტეთ რაღაც-რაღაცეები გვეყიდა ჩვენთვის. სავაჭრო გზას რომ გავცდით, შემთხვევით იმ ფარდულთან აღმოვჩნდით, სადაც ქვის, მინისა და სპილოს ძვლის ძვირფას ნივთებს ჰყიდიან. ვხედავთ, ფარდულთან ტაპირი გამოვიდა. დაუძახეთ, მაგრამ ვერ გაიგონა, ან ისეთი სახე მიიღო, გითომ ვერ გაიგონა და ხალხს შეერია. ვიცოდით, რომ ტაპირი ჩვენ წამოსვლამდე ვაემგზავრა სტამბოლს ჰუსეინ ეფენდიზე საჩივლელად, ის კი ქალაქ კონიაში იყო. მე და ჩემმა შვილმა იმ ფარდულში შევიხედეთ, სადაც უბრა-

ლო ხალხს არაფერი ესაქმებოდა. საიდანაც ტაპირი გამოვიდა. შევიხედეთ და თითქოს ცუდი სიზმარი ვნახეთ: სამი ნოქარი დახლზე დადებულ ქორისხატებიან ბითხას ათვალეურებდა.

ეს რომ გაიგონეს, ხალხმა ამოიგმინა. რახმანს კი ისე დაეწყო წინ ხელეზი, როგორც მუსულმანებმა იციან ხოლმე ნამაზის წინ და განაჯობობა:

— ბითხას ბახალტის სხეული თითქოს ჩაშაგებულყო, მოოქროვილი თვალეები მრისხანედ უუღაღდა და ბრტყალეზიდან თითქოს სისხლი სდიოდა.

„შვინი ამ ჩერტებმა ვაგვაცურა? — თქვა ერთ-ერთმა ნოქარმა. ბითხას რომ ათვალეურებდა. მეორემ კი გაიციან და მხარზე მოუთათუნა ხელი:

— ნუ დარდობ, ეს ნივთი ძვირფასი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ იშვიათია, ისე რომ ბარი ბარში ვართ.

მე და ჩემი ბიჭი იქვე ფარდულში დავეციით მუხლებზე ბითხას წინაშე, მაგრამ ნოქრები მოგკვიფდნენ და გარეთ ვვიკრეს თავი.

— რატომ ვკარგავთ დროს ტყუილად? ყველაფერი ცხადია, ახლა უკვე ვიცი, ვინ არის ქურდი. დაგვიბრუნოს ტაპირმა ჩვენი სალოცავი, თორემ ტყავს გავაძრობთ, — დაიძახა გაბრაზებულმა ქაბუქმა, რომელიც უკანასკნელი ლოცვის დროს, ქურუმს საულაპის სიკვდილის დღეს, აქვე ამ ბორცვზე უსტვენდა.

ხალხი მერყეობდა, ზოგს რახმანის გაგლეჯვა უნდოდა, ზოგს — ტაპირის სახლზე იერიშის მიტანა.

— თუ გინდათ ამეწუწეთ და ამ ვაქრუჯანის არ მჭერა! ტაპირის კი საყუთარი თავივით მჭერა! — წამოიძახა სითმა.

— ყველას ვერ ამოუჯერავთ პირს! — დაიყვირა მელოტმა, — კრახანა გვეყოლია შემძვრალი უბეში. სტამბოლში წავიდა და კონიაში კი ამოჰყო თავი!

მე და კიდევ რამდენიმე კაცმა ვი-

ცოდით, რომ ტაპირი სტამბოლში კი არა, ანკარაში გაემგზავრა, ჩვენს საქმეებზე რომ მოლაპარაკებოდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს, რომელიც, ხალხის ხმას თუ დავეუქვრებდით, უკვე მისულიყო ქემალ-ფაშასთან. ტაპირს უნდოდა შეეტყო: შექცლოთ თუ არა სომეხობაში დაბრუნება იმ უბიძხებს, ვისაც ამის სურვილი ექნებოდა.

ყველას რომ სცოდნოდა ტაპირის ადგილ-სამყოფელი, სახიფათო იყო. ხალხში ალბათ ჰუსეინ-ეფენდის ჯაშუშები იქნებოდნენ და მყისვე აცნობებდნენ ბატონს. ეს სულთამხუთავე კი არ დახანებდა და მაშინვე დააპატიმრებდა ტაპირის ოჯახს.

მე წინ გამოვედი:

— მატყუარებმა ხმა გაიკმინდონ! მალე თვითონვე დარწმუნდებით, რომ რახმანის ნაამბობი სიცრუეა. მას ტყუილა ვგონივართ დიდყურა ვირები. არავითარ კონიაში არ ყოფილა ტაპირი!

მელოტიმ ჩემთან მოიბრინა და დაიწკაწკავეა:

— შეტქმულები ხართ, შეტქმულების ორივენი ერთნაირი ოხრები ხართ. მე ხანჯალი ვიშიშვლე:

— ნაწლავეებს დაგაყრევიანებ ახლავ და ყელზე შემოგახვევ!

მელოტი ქარივით გაქრა, კოტრიალით ჩავორდა ფერდობზე.

ჭორს ვერსად გაქცევი და ისიც უბიძხების მთელ სოფლებს მოედო. ერთმა მოიტყუა, მეორემ გაიმეორა, მესამემ თვითონ წაუმატ-წამოტუმატა რალაციები და ყველაფერი ააბტუტა. გველი გარედანაა ჭრელი, ადამიანი კი შიგნიდან. ისინი ვინც გუშინ ტაპირს აღმერთებდნენ და მის თვითულ სიტყვას კანონად მიიჩნევდნენ, დღეს ჭორს აყენენ და ამ კეთილშობილ კაცს ქურდს ეძახდნენ და მზად იყვნენ, თავი წაეცალათ. კარინჯ-ოვასში და მის ახლო-მახლო მიდამოებში ყველა ბითხას მოპარვაზე ლაპარაკობდა. მე, როგორც ტაპირის სხვა მეგობრები, მოუთმენ-

ლად ველოდი მის დაბრუნებას. მისი სული მქონდა ვამეგო, ვინ მოიპარა სინამდვილეში ბითხა და ვისგან იყვნენ ტაპირზე წაქეზებული რახმანი და მელოტი.

მაგრამ ტაპირი არა და არ ჩანდა და მე და დაუთმა გადაწყვეტეთ, რახმანს მოვლაპარაკებოდით. ეზოში შევედი. კაციშვილი არ ქაქანებდა. ქათმებიც კი არ კრიახობდნენ.

— სად არის რახმანი? — ვკითხეთ მეზობელს.

— ის იმავე საღამოს წავიდა ოჯახიდან, ბითხას დაკარგვა რომ გაიგო. მთელი ავლადიდება ოთხთვალაზე დააწყო, უკან ძროხა გამოაბა და გაემგზავრა.

— სად წავიდა?

— ვინ იცის? ფარხათ ჩიზმამ ინახულა წინა დღეს.

„აჰა, აი, სად მარხია ძალღის თავი“.

— გაეფიქრეთ ჩვენ, მაგრამ საუბედუროდ თურმე ჭერ სად ვიყავით...

ცხენები იყო და საჯინიბო არა, საჯინიბო გაჩნდა და ცხენები აღარ იყო..

ფუქი გამოდგა ალი ხაზრეთ-ფაშას იმედი სულთანის ასკრებად რომ გაეხადა უბიძხები. ტყუილუბრალოდ დაქენაობდნენ ფაშას ცხენოსანი მაცნეები სოფელ-სოფელ და ვაჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს სულთანს!“

როგორც უკვე ვითხარი, შარახ, საქმეს ბარაქა ვერ დაატანეს.

ალი ხაზრეთ-ფაშამ ეს რომ გაიგო, სულ ცოფები ჰყარა თურმე, წყალში ჩავდებული გავარვარებული რკინის ნატეხივით აუქაფიანდა ენა. რანაირად აღარ გვაგინებდა ფაშა. რა წყევლა-კრულვას არ უთვლიდა ცოდვილ უბიძხებს! მაგრამ ყველაფერი მხოლოდ წყევლა-კრულვით რომ დამთავრებულიყო რა გვიჭირდა. ფაშას ყაჩაღები მისი განკარგულებით გვეცივდებოდნენ ბინებში, ყველაფერს გვართმევდნენ, რაც მოეწონებოდათ, ერეკებოდნენ პირუტყვს, აუბატიურებდნენ ქალებს და თუ სადმე წააწყდებოდნენ

ავადმყოფ ახალგაზრდებს, ან ისეუბნენ ვინც ავადმყოფობას იგონებდა, ხერხტდნენ როგორც დეზერტირებს.

— ლა ილაპა ილა-ლლაპა! გაუმარჯოს სულთანს!

ღვთის სახელით ბოროტების ჩადენა შეიძლება და კანონის სახელით — უკანონობისა.

— ასტავფურალლაპა! — შველას თხოულობდა ხალხი.

ისინი ხედებოდნენ, რომ კარინჯოვასში აღარ დაედგომებოდათ, სხვანაირად გადასახლებდნენ. ოპ, ეს გადასახლება ბოროტი ბედით ვედევდა თან უბიზებს.

უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო... ტაპირი ისე მობრუნდა უკან, ანკარამდე არ მიულწევია. გარშემო გუშაგები, კორდონები იდგნენ, გზები გადაკრული იყო. ხიდებთან და გადასასვლელებთანაც სადარაჯოები იყო. მოკლედ ნამდვილი ომი იყო. შუალაშე იყო, საწყალი გულიზარი შინ მობრუნებულ ქმარს ყელზე რომ ჩამოეკიდა ცრემლუბის ფრქვევით.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა ტაპირმა.

გულიზარმა უამბო, როგორ დააბრალეს ბითხას მოპარვა. ძლივს მოასწრო ამის თქმა და ტაპირსაც დაუძახეს ქუჩიდან:

— მასპინძელი შინაა? — იკითხა ვილაცამ უბიზურად.

— არ გახვიდე, დაიმაღე, — ეცა ტაპირს ცოლი.

— ნუ გეშინია, ეს რომელიმე ჩვენთაგანია, ალბათ — თქვა ტაპირმა და ქიშკრის გასაღებად წავიდა.

გაისმა სროლის ხმა და ტაპირი დაეცა.

ოთხი შეარადებული კაცი ცხენებიდან ჩამოქვეითდა და სახლში შეიჭრა. ეცნენ გულიზარს, საშველად რომ უბიზობდა ხალხს, პირი ამოუჩურათეს და ხელ-ფეხი შეუკრეს. დაფეთებული ნამძინარევი ბავშვებიც გაათოკეს, სამივენი უნაგირებზე გადაიწვინეს, სახლს

ცეცხლი წაუკიდეს და გაიქცნენ.

მე და სითმა ტაპირის სახლთან მივირბინეთ, მაგრამ ახრჩოლებული მუგუზლების გარდა აღარაფერი დაგვხვედრია. დაშოშმინებული ცეცხლი ხანდახან ისევ მოიქნევდა ხოლმე წითელ ჩინჩხლებიან ენას. კვამლი, ფერფლი და ჰვარტილი აქეთ-იქით მიჰქონდა ქარს. გასისხლიანებული ტაპირი პირქვე ეგდო ეზოში. მე პირველად მკვდარი შეგონა, მაგრამ ცოცხალი იყო, ოღონდ სასიკვდილოდ დაქრული.

თვალი რომ გაახილა, ძლივს გასაგონად მკითხა:

— ცოლი და ბავშვები სად არიან?

— ცოცხლები არიან, ცოცხლები! — არ ვიცოდი რა მეთქვა და ისე ვუბასუხე. სიმწრისაგან მზად ვიყავი, ავლრიალებულიყავი.

მივხვდი, რომ ტაპირმა არ ირწმუნა ჩემი სიტყვები, ლოყახე ცრემლი ჩამოუვგორდა.

თავი წამოვუწეე და ვკითხე:

— ვინ გესროლა?

— ფარხათ ჩიშხაამ.

მოვარდა ხალხი; ყველამ იქ მოიყარა თავი, ვისთვისაც ტაპირი ძვრფასი და ახლობელი იყო, ვინც ტაპირზე ამყარებდა იმედებს. დახოცილები იყვნენ დარდისგან. დაკრული სახელდახელოდ გაკეთებულ ფარდულში გადავიყვანეთ. მივჩერებოდი საყვარელ ვაჟკაცურ სახეს, თანდათან რომ ეპარებოდა სიკვდილი და არნახული უშწეო ნალგელი გულს მიწურავდა. ტაპირი კვდებოდა. ცეცხლმა შთანთქა ყველაფერი, რასაც მან მთელი სიცოცხლე შესწირა. უკვე აღარავინ დაწერს უბიზების ისტორიას, აღარავინ შეადგენს ანბანს უბიზი ბავშვებისათვის.

ტაპირმა ოდნავ შეანძრია უღონო ხელი და ჩაიჩურჩულა:

— შინ დაბრუნდით! კავკასიაში... ყველანი... შინ...!

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, მისი ანდერძი. შუის ამოსვლამდე დაღია ტაპირმა სული. მთელი სოფელი

შევგროვდა მის დასატირებლად. მოლაღ კი მოვიდა, სულ ცოტა ხნის წინ ვიპოვეს რომ ეძახდა ტაპირს. რახმანის გაპარვა და ტაპირის შეკვლეობა უტყუარი საბუთი იყო, რომ მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ბითხის დაკარგვასთან. ვინც რახმანის მონაწილეობის ხიზნობა, ცრემლის ღვრიდა და პატიებას თხოვდა განსვენებულს.

— ვაიმე, ნან, ჩემო ტაპირ, — მოთქვამდა განსვენებულის თვითან თმაგაშლილი მამიდა ხიშტაყი, — გადმოიხედე, ნან, რამდენი ხალხი შეგროვდა შენს პატივსაცემად!..

ჭეითინებდნენ ქალები და მძიმედ ოხრავდნენ მამაკაცები.

მანსოუც მოვიდა სიყრმის მეგობართან გამოსამშვიდობებლად!

— ცოდვია, ნამდვილი სწავლული იყო. ტყუილა დაიღუბა თავი და ოჯახიც დაღუბა. ვფართხილებდი და არ დამიჭერა... ნეკით უნდოდა ქვის კედლის დანგრევა... მეოცნებე..

შორიასლო მდიდრული ეტლები გაჩერდნენ. სანამ ჩაჯდებოდა, მანსოუ ჩვენთან — მოხუცებთან მოვიდა:

— ღმერთმა სიკეთე ნუ მოგაკლოთ! თქვენს ამაგს არ დავივიწყებ, დიდი მადლობა. ალბათ ერთმანეთს ევლარასოდეს ენახავთ. მამული გავყიდე და საფრანგეთში მივდივარ, ცოლის სამშობლოში. როგორც ამბობენ, ძველს ვინც გაგისხნებს, ვაყვაცი არ არის, მაგრამ არ დავიშალავთ და ნაწყენი ვარ თქვენზე: ხალხის წმიდათაწმიდა სალოცავი ჰუსეინ ეფენდის ხელით რომ გაუგზავნეთ ალი ხაზრეთ-ფაშას. განა მე არ ვიყავი ამ საჩუქრის ღირსი? თავის გამოსყიდვა ვინდობდა? მერედა, ამ ყაჩაღებთან საქმის დაჭერა შეიძლება? უფრო ჰკვიანური იქნებოდა სულთანის მხა-

რეს ყოფილიყავით. მაგრამ როგორადაც არ უნდა მომქცეოდით, მე მაინც არ დამვიწყნია, რომ მამაჩემი უბიზი იყო, დიამ, პატივცემულნი, არ დამვიწყნია. და იცით რა ვქენი? არ ვიძუნწე და ალი ხაზრეთ-ფაშასაგან თქვენი საჩუქარი გამოვისყიდე. ახლა თან მიმაქვს ბითხა, იქნებ მე მაინც მომიტანოს ბედნიერება უტხოვთში. მშვიდობით... აუგათ ნუ მომიხსენებთ...!

მანსოუ, შარდინის ძე ეტლში ჩაჯდა და მტვრის კორიანტელში გაუჩინარდა.

ტაპირი გორაკზე დაეასაფლავეთ, იმ გორაკზე, სადაც წინათ ბითხა იყო დასაფლავებული. ჩამავალმა მხემ უკანასკნელი სხივებით გააცისკროვნა ახალი საფლავი.

ხალხი დამოლას არ ჩქარობდა. თავები ჩაეჭინდრათ და ნაღვლიანად ფიქრობდნენ. მაშინ მე გორაკზე ავედი, ტაპირის საფლავთან დავდექი, პირთან ბუკი მივიტანე და უდაბნოს უბიზების ბუკის გაწამებული ხმა მოეფინა, ის ტაპირის საფლავს დაჭეითინებდა და უბიზების ქვეყნისკენ — სამშობლოსკენ მოგვიწოდებდა.

ავადმყოფები საკაცებზე, ჩილი ბავშვები ზურგზე, ნაჯახები და ხანკლები ქამარში... თუნდაც სისხლიანი გზა იყოს, ჩვენ მაინც წავალთ, წავალთ, რადგან ვინც სამშობლო დაკარგა, მას ყველაფერი დაუკარგავს.

ასე ნაღვლიანად ხშიანობდა ბუკი, სანამ არ დავიჭინე და ხელს არ ჩამომივარდა.

ბინდი უფრო და უფრო ეფინებოდა არე-მარეს. ცისკიდურზე, აქა-იქ ციანლებდნენ ვარსკვლავები, თითქოს ზეცაც ცრემლებს აფრქვევდა. ეს იყო უბიზების უკანასკნელი დამე იმ მიწაზე, რომელზეც ფეხი ვერ მოიკიდეს.

## მინიატურები

სოჭიანი კაღები

მეფის დროს სამხედრო სასწავლებლებში და კადეტთა კორპუსებში ჩვეულება იყო: მომავალ ოფიცრებს სასიაროოდ უშვებდნენ კვირა დღეებში. ოუნკერები და კადეტები გამოეწყობოდნენ საგარეოდ, დაიკიდებდნენ ხიშტს და გამოვიდოდნენ ქალაქში. უხიშტოდ გამოსვლა აკრძალული იყო.

ერთ კვირა დღეს, თბილისის კადეტთა კორპუსიდან გამოვიდა ერთი კადეტი, დაადგა გოლოვინის პროსპექტს (ასე ერქვა მაშინ რუსთაველის პროსპექტს) და არხეინად გაიარა მოსიერნე ხალხში. თბილისელებს ჩვეულებად ჰქონდათ კვირა დღეებში გოლოვინის პროსპექტზე სეირნობა.

აი, მოვიდა ერთი კადეტი დიდების ტაძართან და უცებ გენერალი შეეფეთა. კადეტი გამოეჭიმა გენერალს სამხედრო წესით.

— სდექ! — დაიგრუხუნა გენერალმა, — ეგ რა არის, კადეტი?

კადეტმა არაფერი იცის და სუნთქვა შეეკრა. თვალები მიაშტერა გენერალს. თვალების მიშტერებას კი მეფის არმიის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას „თვალებით უფროსის ჩაყლაპვას“ ეძახოდნენ, დგას უძრავად კადეტი, წყდება წელში და თვალები ვადმოუკარკლავს. მოსიერნე ხალხი კი მხიარულად მიდი-

ოდის, გაზაფხულის მზეც მხიარულად ანათებს და საცოდავი კადეტის დარდი არავის აწუხებს.

— სად არის ხიშტი? — გრგვინავს გენერალი.

კადეტმა მარცხენა ხელით მოსინჯა ქაშარი. ხიშტი დაეიწყებია, რა უპასუხოს გენერალს? როგორ მოუფიდა მომავალ ოფიცრს ასეთი შეცდომა?

— შენ ოფიცერი არ გამოხვალ! — დაასკვნა გენერალმა დარწმუნებით. — მომყვი! პატიმარი ხარ!

გენერალი მიტრიალდა, გააყვა კადეტი, კადეტმა იცის, რომ გენერალი მას საკომენდანტოში მიიყვანს და კარცერში ჩაასამს. საკომენდანტო იქვეა, მთაწრობის სახლის წინ.

მიდიან ორივე: წინ გენერალი, უკან — კადეტი.

დიდების ტაძართან (დღევანდელ სამხატვრო გალერეასთან) მეორე კადეტი შემოხვდათ, ამ კადეტმა გენერალთან შეხვედრის რიტუალი პრწყინვალედ შეასრულა. შემდეგ თვალებით ჰკითხა პატიმარს: რა დღეეპართათ? პატიმარმა თვალებითვე უპასუხა: ხიშტი არა მაქვსო...

იმ კადეტმა წამსვე გაიძრო ხიშტიანი ქაშარი და უკანიდან მიაწოდა პატიმარს. პატიმარმა წამსვე გაიძრო უხიშტო ქა-

მარი და გაუცეალა ამხანავს. შემდეგ განაგრძეს გზა.

თი საკომუნდანტოც. მორიგე ოფიცერი გამოეცემა გენერალს:

— რას მიბრძანებთ, თქვენო აღმატებულება?

— აი, ეს კადეტი უხეშტოდ გამოსულა! ჩასვით კარცერში!

ოფიცერმა შეათვალიერა კადეტი. კადეტი კი დგას დინჯად და თვალბეჭდებში ნაპერწკლები უელავს.

— თქვენო აღმატებულება! — გაკვირვებით მიმართა გენერალს ოფიცერმა, — კადეტი ზიშტიანია!

— რა-ა-ო?... — და გენერალმაც გაკვირვებით შეხედა კადეტს. ერთ ხანს

უყურა. მერე უბრძანა: — შეუტრიალეს!

კადეტი მიტრიალდა. ქაშარზე შექარქაშინი ხიშტი ეკიდა. გაშეშდა გენერალი. ერთ ხანს გაოგნებული იდგა. მერე ჩაიქნია ხელი:

— ეშმაკმა ნუ იცის შენი თავი! წადი შენი გზით!..

და წავიდნენ თავიანთი გზით გენერალი და კადეტი.

თავისდაუნებურად, მართალი უთბრა გენერალმა ახალგაზრდა კადეტს: შენგან ოფიცერი არ გამოვაო; საშაგიეროდ ის ახალგაზრდა გახდა ბრწყინვალე ხელოვანი, საქართველოს ბულბული. დიახ, ის ახალგაზრდა კადეტი ვანო სარაჯიშვილი იყო.

### ხილკოვის პროსპექტი

იყო ფოთში და ახლაც არის ერთი დიდი ქუჩა. ის რიონის მარცხენა ტოტის ხილთან იწყებოდა, გადასჭრიდა დიდ კუნძულს და რიონის მარჯვენა ტოტის ხილთან თავდებოდა. მას ხილკოვის პროსპექტი ეწოდებოდა. დღეს ამ ქუჩას ლენინის პროსპექტი ჰქვია.

ვინ იყო ხილკოვი და საიდან გაჩნდა ის ფოთში?

1894 წელს რიონმა გაანგრია კაპარტინის დამბა და დატბორა ფოთი. ეს დიდი წყალდიდობა იყო და დიდი ზიანი მიაყენა ფოთს. როგორც კი ჩავარდა რიონი კალაპოტში, ნიკოლაძემ ქალაქის ინჟინრებს ახალი დამბის გაყვანის პროექტის შედგენა დაავალა. ინჟინრებმა გამოიანგარიშეს: ახალი დამბა 180.000 მანეთი დაუჭდებო. აილო ნიკოლაძემ და ხარჯთაღრიცხვა 250.000 მანეთად გადააკეთა. შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგს, რომ პირადად გამოეთხოვა მთავრობისათვის ეს დიდი თანხა.

მაშინ ფინანსთა მინისტრად იყო სერგეი ვიტე, კაცი დიდად გავლენიანი. აგრეთვე ნიკოლაძის კარგი ნაცნობი. ნიკოლაძემ იცოდა, რომ ვიტე ფინანსთა

საკითხებში მომჭირნე იყო და ამოდენა თანხას არ გაიღებდა. ამიტომ ზერხს მიმართა. მინისტრთა კაბინეტში (მაშინ ასე ერქვა მინისტრთა საბჭოს) მას ერთი მეგობარი ჰყავდა — გზათა მინისტრის მინისტრი თავადი ხილკოვი. აი, ამ მინისტრს შეუთნხმდა ნიკოლაძე: ვიტე ამ თანხას არ მომცემს, მაგრამ შენ დამიჭირე მხარი 180,000 მანეთი მაინც მომცესო. სხდომაზე ნიკოლაძემ ილაპარაკა ფოთის დიდ მნიშვნელობაზე, რადგან ფოთიდან გადიოდა მარგანეცი ევროპაში. ნიკოლაძემ მოხსენება იმით დაამთავრა, რომ 250.000 მანეთი მოითხოვა. ვიტემ ცივი უარი განაცხადა: ისეთ პატარა ქალაქს ასეთ დიდ თანხას ვერ მივცემთო... მაშინ სიტყვა აილო გზათა მინისტრმა თავადმა ხილკოვმა და თქვა:

— ვეთანხმები ბატონ ფინანსთა მინისტრს. დიდი თანხა, ვერ მივცემთ... მოდი და მოკლედ მოვკრათ: მივცეთ 200.000 მანეთი.

ხილკოვმა ხომ იცოდა წინასწარ ნიკოლაძისაგან, რომ დამბა 180.000 მანეთი დაჭდებოდა. და ზერხს მიმართა: მე-

ტი მოითხოვია, რომ საჭირო თანხა გადაერჩინა.

ვიტე წამოეგო ანკესზე. როგორც კი ხილკოვის წინადადება მოისმინა, წამსვე დაატანა თანხმობა:

— მივეცეთ ბატონ ნიკოლაძეს 200.000 მანეთი მეტს ერთ კაპიკს არ მივეცემი..

ნიკოლაძემ მხრები აიჩეჩა, მწუხარე სახე მიიღო და დათანხმდა... ხოლო ხილკოვის მადლობა იმით გადაუხადა, რომ დიდ ქუჩას, რომელიც დიდ კუნძულზე გადიოდა, ხილკოვის პროსპექტი უწოდა...

ასე შემოვიდა ფოთის ცხოვრებაში ხილკოვის სახელი...

### მისაზამი უბრალოება

ნიკოლაძემ ფოთის საჭიროებისათვის დიდი თანხა რომ მიიღო, მაშინვე აცნობა ფოთს. დატრიალდა ფოთის ხელმძღვანელობა. მოიწვიეს თვითმმართველობის საგანგებო სხდომა. იმსჯელეს თუ როგორ შეხვედროდნენ ნიკოლაძეს. მადლობის დეპეშებიც აფრინეს პეტერბურგში.

დაადგინეს — ნიკოლაძეს ჩამოსვლის დღეს ქალაქის ვაგზალზე დახვდებოდა მთელი გამგეობა თვითმმართველობისა. აირჩიეს ორატორები. შეხვედრაზე ცალკე იქნებოდა ქალთა დელეგაცია. ცნობილი მოღვაწის და იშვიათი სილამაზის ქალის პარასკევა ქავთარაძის მეტყურობით. პარასკევა ქავთარაძე ეკლესიაში თუ ქალაქის ბაღში ყოველთვის ეროვნული ტანისამოსით გამოდიოდა. ეს ქალი ქალაქის სიამაყე იყო და ნიკოლაძის მეგობარიც. ქავთარაძის ქალს თაიგული უნდა მიერთშია ნიკოლაძისათვის (ვაზაფხული იყო) და სიტყვაც უნდა ეთქვა. ფოთის მუშებმა რომ გაიგეს შეხვედრის ამბავი, დელეგაცია გაგზავნეს თვითმმართველობაში და მოითხოვეს ჩვენც დახვდებით ნიკოლაძესო. ისიც კი თქვეს: ყველანი ჩოხა-ახალუხებში ვიქნებით გამოწყობილიო. გავარდა ფოთში ეს ხმა და ყველას უხაროდა. უხაროდათ ის, რომ ახალი დამბა აშენდებოდა და ისიც, რომ ეს ნიკოლაძემ გააკეთა.

ნიკოლაძემ კი დეპეშა გამოგზავნა: ამა და ამ დღეს ჩამოვალ პეტერბურგიდანო.

ჩამოსვლის წინა დღეს თვითმმართველობამ დარბაზში შეხვედრის მომწყობი კომისიის საბოლოო სხდომა გამართა.

დააზუსტეს ყველაფერი. ყველას მიეჩინა და დაევალა თავისი. გამოითქვა სურვილი, რომ ყველა ხმოსანი დასწრებოდა შეხვედრას.

— მაშ, ასე, ბატონებო, — დაასვენა სხდომის თავკედომარემ, ცნობილმა ექიმმა, ქალაქის მოსახლეობის საყვარელმა ადამიანმა, კოწია მიქაბერიძემ. — ხვალ ყველა ხმოსანი ვუხვდებით, სხვებთან ერთად, ქალაქის ახალგაზრდა მამას.

მეფის დროს ქალაქის მოსახლეობის მიერ არჩეულ ხმოსნებს, „ქალაქის მამებს“ ეძახდნენ განურჩევლად ასაკისა. ნიკოლაძე მაშინ ორმოცდაათორმეტი წლისა იყო და თანამდებობითაც ქალაქს „მამად“ ერგებოდა.

წამოიშალა კომისია და სწორედ ამ დროს გაიღო დარბაზის კარი. ღია კარში მომღიმარი ნიკოლაძე გაჰოხნდა.

გაშეშდნენ კომისიის წევრები. თვალებს არ უჯერებდნენ. — როგორ? რატომ? აჲი ხვალ უნდა ჩამოაუღიოყო მისცვიდნენ. გადაეხვიდნენ. ჰკითხეს ადრე ჩამოსვლის მიზეზი.

— ვიცოდი, თქვენ ზეიმით შემხვდებოდით, — უპასუხა ნიკოლაძემ, — თქვენი დეპეშებიც ხომ ამის ლაღადისი იყო? მე კი, ხომ იცით, არ მიყვარს ზეიადობა! უბრალოება სჯობს...



## გაბელუი პახუხი

1927 წლის ივნისში გაიხსნა ზაქესი. მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ხელმძღვანელი ამხანაგები. ჩამოვიდა კალინინიც ზაქესის საზეიმო გახსნის შემდეგ კალინინმა დაათვალიერა ჯვრის მონასტერი.

კალინინი ადრევე იყო საქართველოში. 1900 წლის აპრილში ის რუსეთიდან თბილისში გადმოასახლეს, როგორც „პოლიტიკური დამნაშავე“. ერთ დროს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მუშაობდა ხარატიად. აქაც გააჩადა რევოლუციური მუშაობა და დაითხოვეს.

ამჯერად მან მუშაობა დაიწყო კერძო მეწარმის — იარაღების მექანიკურ ქარხანაში ისევე ხარატიად. აქაც გააჩადა ბრძოლა თვითმპყრობელობის დასამხობად. დიჭირეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში.

შემდეგ მეტეხის ციხიდან განთავისუფლებას მისთვის თავისუფლება მაინც არ მოუტანია, მთელი თვე უწევდა პოლიცია ზედამხედველობას მერე კი ისევე გადაასახლეს რველში. ასე რომ, რევოლუციური მოღვაწეობა, ციხე და დევნა კალინინის ცხოვრების მთელი შინაარსი იყო, — შინაარსი მებრძოლი და შესანიშნავი. კალინინს ქართველი ამხანაგები ყოველთვის დიდი მზრუნველობით და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

კალინინს უყვარდა საქართველო. გაცნო მის ისტორიას, მის აღმავლებს, მის დიდებულ კულტურას. მეფის დროს ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური ურთიერთობის დამყარებისათვის. და ახლა, როცა რევოლუციამ გაიმარჯვა, როცა დიდი მშენებლობა დაიწყო, როცა ამ მშენებლობის დიდი პირმშო — „ზაქესი“ მიულოცა კალინინმა ქართველებს, მას სურვილი დაებადა. ქართული უძველესი კულტურის ძეგლი — ჯვრის მონასტერი დაეთვალიერებინა.

მეფის დროს კალინინი და ქართველი რევოლუციონერები სად არ მართავდნენ არალეგალურ კრებებს. მართავდნენ მლაშე ტბებთან, შაპის გორასთან, ბოტანიკურ ბაღში, ნაძალადევის მიდამოებში. ერთი ასეთი კრება თურმე ჯვრის მონასტრის კედლებთან გაიმართა. კალინინი იყო მაშინ მომხსენებელი. ეს იყო ოცდაშვიდი წლის წინათ კალინინი მაშინ ოცდახუთი წლისა იყო...

ახლა კი, 1927 წლის ივნისს, კალინინს თავისი ახალგაზრდობის გახსენება უნდოდა... ჯვრის მონასტერი უნდა დაეთვალიერებინა... აჰყვა მთას, აჰყვნენ ქართველი მეგობრებიც. რამდენადაც ვიცი, კალინინს ახლდნენ ფილიპე მახარაძე, ვანო სტურუა, ლადო სუბიშვილი. სხვები არ მახსოვს. ნახევარი საუკუნის ამბავია...

იმ დროს ჯვრის მონასტერში მარტვილობდა ერთი შუა ხნის ბერი. მინახავს ის ბერი. საშუალო სიმაღლისა, შავწვერებიანი, მღელვარე თვალებიანი. მომისმენია მისი საუბარიც: ენამოსწრებელი კაცი იყო. მისი სახელი და გვარი კი არ მახსოვს.

კალინინმა დაათვალიერა მონასტერი. მისცა შეკითხვები ბერს. ბერი დინჯად აძლევდა პასუხს. ბოლოს კალინინმა ჰკითხა ბერს, რით დაგეხმარო?

— არაფრით, მიხაილ ივანოვიჩ! — უპასუხა ბერმა, — თქვენი აქ მობრძანება უკვე დახმარება ჩემთვის!

კალინინს მოეწონა პასუხი. გაიღიმა, ერთ ხანს უყურა ბერს და ჰკითხა: რამდენი წელია აქ მარტვილობ?

— თვრამეტი წელია — უპასუხა ბერმა.

— მერე, შე კაი კაცო, არ მოგწყინდა თვრამეტი წელი მორჩილების ქადაგება და „უფალო შეგვიწყალე!“ „უფალო შეგვიწყალეს“ ძახილი?

ბერმა თამამად შეჰხედა კალინინს და ჰკითხა:

— თქვენ კი, მიხაილ ივანოვიჩ, რამდენი წელია რაც რევოლუციას ქადაგებთ?

— ოცდაათი წელია, — უბასუხა კალინინმა.

— ჰო და, არ მოგწყინდათ, ოცდაათი წელიწადი რომ სულ ურჩობას ქადაგებთ და ასწავლით ხალხს — „არ დაე-მორჩილოთ ბატონს“, „არ დაემორჩილოთ ღმერთს“.

კალინინს გაეცინა. გაეცინა ამხანაგებსაც და უთხრეს:

— ესეც თქვენ, მიხაილ ივანოვიჩ! ხომ გაიხსენეთ ახლგაზრდობა...

— გავიხსენე და ეგ არის!.. პასუხი მაინც ხარტი და გაბედული იყო... როცა კაცს სჯერა თავისი რწმენისა; გაბედულიც უნდა იყოს!..

რწმენის კაცი იყო თვითონ კალინინი და ამიტომ მოეწონა გაბედული პასუხი.

### კეთილი მასწავლებელი

ეს ამბავი 1925 წლის ზაფხულზე, ივლისში მოხდა. იმ წელს თბილისში საკავშირო ცაქის მესამე სესია გაიმართა ოპერის თეატრის შენობაში. სესიას ხელმძღვანელობდა მიხეილ კალინინი. ის მაშინ საკავშირო ცაქის თავმჯდომარე იყო. მე მივიღე სესიაზე დასწრების მოსაწვევე ბარათი და ვესწრებოდი სტო-მებს. ცაქის წევრები მაყურებელთა დარბაზში ისხდნენ, მოწვეული სტუმრები კი ლოკებში და იარუსებში.

მაშინ პირველად ვხედავდი კალინინს. მის მღელვარე ბიოგრაფიას კი ვიცნობდი.

ჩემთან ლოკაში იჯდა ცნობილი რევოლუციონერი ქალი ჯავაირა ხუტუ-ლაშვილი, სახელგანთქმული კამოს და ის პარადად იცნობდა კალინინს და მისი დიდი თავყვანისმცემელი იყო. ჯავაირამ ალტაცებით მითხრა:

— რომ იცოდე, რა უბრალო და გულითადი კაცია კალინინი!..

მართლაც, იმ დღესვე დაერწმუნდი ჯავაირას სიტყვებში. აი, როგორ: შესვენებისას კალინინი თეატრის ფოიეში გამოვიდა. მას გაჰყენენ ქართველი ამხანაგები: ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა, ვანო სტურუა, ლადო სუხიშვილი.

უცებ ხალხს გამოეყო ერთი კაცი, 9. „საათობა“ № 8.

კალინინს მიუახლოვდა, გაუღიმა და უთხრა:

— მიშა, ეს შენა ხარ? გამარჯობა შენი!

კალინინმა გაისწორა სათვალე. შეაჩერდა იმ კაცს და მზიარულად შესძახა:

— ნესტორი ხარ? გამარჯობა! გამარჯობა ჩემო კარგო!...

მერე მე გავიგე, რომ ნესტორ ჩახავაც ხარატი ყოფილა. კალინინთან უმუშავნია რეინიგზის სახელოსნოებში. კარგი ამხანაგობა ჰქონიათ. კალინინი რომ პოლიციის მოთხოვნით სამუშაოდან დაითხოვეს, ჩახავას მისთვის დახმარებაც გაუწევია, ქართული გულუხვობა გამოუჩენია... მას შემდეგ ოცდახუთი წელი გავიდა და ასე შეხვდნენ ერთმანეთს. კალინინი გაშლილი ხელგებით მივიდა ჩახავასთან და გადაეხვია. გადაკოცნეს ერთმანეთი... შემდეგ, შესვენების დამთავრებისას, კალინინმა ჩახავა მთავრობის ლოკაში მიიწვია...

უბრალო და კეთილი ხასიათის კაცი იყო კალინინი!

მე ვუყურებდი ამ ამბავს და არასოდეს დამავიწყდება. და იმიტომ ვიამბებთ, რომ ეს პატარა ეპიზოდი ბევრის მთქმელია.

კალინინის სახელი დღესაც ჩვენი კეთილი მასწავლებელია...

## ნ ე ო ბ ა

ეს მოხდა 1925 წელს. თბილისის მილიციის უფროსთან ერთი ახალგაზრდა გამოცხადდა და მილიციელის ადგილი სთხოვა. „არა მექნს თავისუფალი ადგილიო,“ უპასუხა უფროსმა.

— მე თქვენთან ფილიპე მახარაძემ გამოგზავნა, — უთხრა უფროსს ახალგაზრდამ.

— ფილიპემ გამოგზავნა? — ჩაფიქრდა უფროსი. — რა გაეწყობა მიგიღებ!...

ახალგაზრდა ჩარიცხეს მილიციელად. გავიდა ერთი თვე. ერთხელ, მილიციის უფროსმა უთხრა მახარაძეს:

— ამხანაგო ფილიპე, ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი გამოგზავნილი ახალგაზრდისა. კარგად ასრულებს დავალებებს.

— ვინ ახალგაზრდა? — გაუკვირდა მახარაძეს.

მილიციის უფროსმა, მოახსენა საქმის ვითარება.

— ჰოო!.. შენ ამბობ კარგად ასრულებს დავალებებსო? — ჰკითხა მახარაძემ.

— კარგად, ამხანაგო ფილიპე! ჩინებული ახალგაზრდაა!

— გამოგიგზავნე ხვალ! მოვიდეს ჩემთან!

მეორე დღეს ის ახალგაზრდა ფილიპე მახარაძის კაბინეტში იდგა სულგანაბული, ხელებდაშვებული.

— საიდან ხარ, ბიძია? — ჰკითხა ფილიპემ.

ახალგაზრდამ ხმადაბლა უპასუხა.

— ხმამალა მიპასუხე! ჩემი რისი გეშინიან?

ახალგაზრდამ ხმას აუწია. მკაფიოდ უპასუხა, ვაჟკაცურად, ისე როგორც ეს მიღებულია მილიციაში.

— კი მაგრამ მე როდის ვაგზავნე მილიციის უფროსთან?

ახლა კი ისევ განაბა სული ახალგაზრდამ.

— აბა მიპასუხე!

— ვისარგებლე თქვენი სახელით! — ამოიღო ხმა ახალგაზრდამ. — მაპატიეთ!.. თან მუშფაკში შესვლა მინდოდა.

— ჰოო! — გაეღომა ფილიპეს! — მაშ, იცოდე, შენ ჩემი ხელდებული ხარ!.. არ შემარცხვინო სამსახურში. გენდობი!..

ფილიპემ ხელი ჩამოართვა ახალგაზრდას.

შემდეგში ის ახალგაზრდა მილიციის თვალსაჩინო მუშაკი გახდა.

## ამჟღაბორია

თბილისის უნივერსიტეტში მისი დარსების მეათე წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო საღამოა. საღამოს ესწრებიან პროფესორები, სტუდენტები, სხვადასხვა ორგანიზაციების დელეგაციები. არს მილოცვები და სიხარული დარბაზში.

ორატორები ზედიზედ ცვლიან ერთმანეთს. აი, ტრიბუნაზეა ერთი დიდი ორგანიზაციის დელეგატი. ის პროფესიონა მუშაა, ამჟამად დაწინაურებულია და ხალისიან სიტყვას ამბობს. ისე ლაპარაკობს როგორც ფიქრობს. ხელში „შპა-

რგალკა“ არ უჭირავს, მან მიულოცა პროფესორებს სასიხარულო თარიღი და მადლობა უთხრა კარგი მუშაობისათვის.

— თქვენგან მუშათა კლასი, ჩვენი ქვეყანა ბევრ სიკეთეს მოელოან! თქვენ დიდ პასუხსაგებ მუშაობას ეწევით... თქვენს მეცნიერულ ამჟღაბორიაში... პროფესორებმა ერთმანეთს გადახედეს: რა შუაშია აქ ამჟღაბორია.

დელეგატი კი დინჯად განაგრძობდა: — ხალხი დააფასებს თქვენს კეთილ მუშაობას ამჟღაბორიაში...

ახლა ყველამ გადახედა ერთმანეთს. მართლაც და რა შუაში იყო ამბულატორია? დელეგატი კი განაგრძობს:

— დიდია მეცნიერების ამბულატორიის როლი ...

დელეგატს მდივანი ახლდა. ის მიხვდა შეცდომას და ჩუმად უკარნახა:

— მეცნიერების ლაბორატორია!... ლაბორატორია...

— რაო? — შეეკითხა ორატორი.

— ლაბორატორია უნდა თქვა! ლაბორატორია! — უთხრა მდივანმა.

— ჰო! — დააქნია თავი ორატორმა და განაგრძო. — ჩვენ დიდი პატივისცემით გილოცავთ ამ კეთილ ზარის და გისურვებთ მომავალშიც კეთილად გა-

ნაგრძოთ მოღვაწეობა თქვენს ამბულატორიაში.

— ლაბორატორიაში! — ისევ წასჩერჩულა მდივანმა.

გაბრაზდა დელეგატი და ხმამაღლა უყვირა მდივანს:

— დამანებე, კაცო, თავი! ამით ხო ესმით რა უნდა ვუთხრა? და შენ რა გენაღვლება?

ატყდა დარბაზში გულწრფელი სიცილი, გაეცინა დელეგატსაც...

იყო ასეთი დრო! იყვნენ ასეთი ორატორებიც და იყო ასეთი აუდიტორიაც: ერთმანეთის პატივისცემით ერთმანეთისა ესმოდათ, მთავარი კი ის იყო, რომ იგრძნობოდა ახალი ცხოვრება თამამი გულწრფელობით და მუშური უშუალობით.



# სოციალური დემოკრატია



სიკბი ზილანი

## ოქტომბერი და ქართული მწერლობა

ოცინი წლების ქართული მწერლობის მომხილვა უშუალოდ ეხმარება დღევანდელი ლიტერატურის უაღრესად აქტუალურ პრობლემებს: მაშინაც ისევე მწვავედ იდგა ლიტერატურული ფორმების, გამოხსახველობითი საშუალებების ძიებათა პრობლემა, როგორც დღეს დგას ჩვენი მწერლობის წინაშე, რადგან მაღალიდურ ლიტერატურას უფროდ უნდა ჰქონდეს შესაბამისი ფორმა. ფორმისთვის ბრძოლა უნდა განვახვედროთ ფორმალისმისაგან. თვით ოცინი წლებშიც ასე იდგა ეს საკითხი; ამიტომაც იმ პერაოდის გამოცდილება უნდა შევისწავლოთ და გამოვიყენოთ დღეს ჩვენს მწერლობაში გაჩაღებული მაღალიდურ და მაღალმხატვრული ნაწარმოებებისათვის ბრძოლაში.

ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების მაკსიმალური გზა მუდამ ერთნაირი, რეალისტური მწერლობის გზა იყო. ტრადიციების განვითარება და ვალრავება თავიდანვე ერთი მხრივ პრიმატივიზმის, ენობრივი ნატურალიზმის, რიტორიკის, შინაგანად გაღარბებული და ვაცვეთილი მხატვრული ფორმების დაძლიების გზით წარიმართა, ხოლო მეორე მხრით, ქართულმა საბჭოთა მწერლობამ უკუაგდო თავისთვის უცხო და მიუღებელი, დეკადენტური, ხელოცნერი ვაზუნდოვნება გამოხსახველობის მხატვრული ფორმებისა, უარყო ამორფული, დეკორატიული, ოპორტუნებზე შეყენებული „თეორია“ — ხელოცნება ხელოცნებისათვის.

სწორედ რეალიზმის სახელების განვითარებით, გამოხსახველობის ინდივიდუალური საშუალებებით და ორიგინალური პოეტური ხერხებით, ახალი ფორმების, ფერების, ინტონაციების აღმოჩენით, ადამიანის სულის საიდუმლოებათა წედომის ღრმა ფსიქოლოგიური ხერხებით ოცინი წლების საუკეთესო მწერლებმა ახალ ხმაზე ააწყეს ქართული მწერლობის ინსტრუმენტი და ნიადაგი შეუმზადეს სოციალისტურ რეალიზმს.

მწერლობა ოდითგანვე იყო მოტრფილედ შევნიერებისა, ამაღლებისა და კეთილშობილისა, ან უკეთ, როგორც ბარნოვი იტყოდა „ვარდუელი ტემპარატებისა, შეურყეველი კეთილისა, დაურჩდილავი სიმშვენიერისა“. მწერლობიდან ხალხის სულში გადასული ეს ცნებები ცოცხლობს, როგორც სიმბოლო ხალხისა და მწერლობის განუყოფელი კავშირისა. ამ აზრით, მხატვრული ფორმა აზრის ვაგებინების საშუალებაა; ტემპარატი მწერლობა არა მარტო გამომხატველია, მოწინავე აზრისა, არამედ ამ მოწინავე აზრისათვის მხატვრული ფენომენის, ესთეტიკური მნიშვნელობის მინიჭებელიც არის.

მწერლობის იდეურ-აღმწერლობითი მხარე იმდენად მაღალია, რამდენადაც მაღალია და მრავალფეროვანი ამ აზრის გამოსახატავად გამოყენებულია მხატვრულ-ემოციური საწყარო, რამდენადაც სუსტია ნაწარმოები მხატვრულად, იმდენად სუსტია მისი აღმწერლობითი ძალა და გავლენა მკითხველზე. ეს ანა-

წერი კრემარტიკა; ოციანი წლების მთელ დიქტირატურულ ბრძოლებს მხოლოდ ის აწრთ ქონდა, რომ მოძებნილყო ახალი საშუაროს გამოხატვის ადვიკატურის მხატვრული ფორმები, რომლებიც ცხოველშოფელ გავლენას მოახდენდა ადამიანების ესთეტიკურ აღწრდაზე. კრემარტიკი მწერლობა, მშვენიერი პიკურია მუდამ ხალხის პერქვეშ ცხოვრობდა, ხალხისგან განყოფილი იყო.

რევილუციურმა საქართველომ ახალი შენაარსით გაამდიდრა და გამოშხაველობათა მრავალფეროვნებით გაალამაშა მწერლობისა და ხალხის ეს განყოფიელი კავშირი. ამ ნიადაგზე შეიქმნა ოციანი წლების ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები.

ყოველი ერის სულიერი ცხოვრების ისტორიაში მწერლობას დიდი ადგილი უჭირავს. უფრო მეტიც: ერების, ხალხების, ეპოქების ისტორიას უველაზე დასახსობებლად და საინტერესოდ მხატვრული სიტუციის ისტატიები წერენ. ქართულმა მწერლობამ არა მარტო გამოსახა, შემატაინს სოფსტით აღწერა ქართველი ერის გმირული ტრაგიკული ისტორია, არამედ გამოაწრო, წარმართა და წინ წარუდგა ქართველ ხალხს ვარგთა და შინაური მტრების წინააღმდეგ. კირსა თუ ლბინში ქართული მწერლობა გვერდში ედგა ხალხს, ჩაგონებდა, ამხნევებდა, აქვეშებდა და ასე გამოატარა მძაფრ ისტორიულ ქარცხლებში ქართველი კაცის ეროვნული მგობა და თვითშეოფობა.

რუსთაველი საქართველომ დაბადა, მცირამ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა საქართველოს უყვადება შიანიჭა. ქართულმა მწერლობამ უგაყვიმის ქართველი ხალხი ერთ ეროვნულ მოგანაშადა. ქართული მწერლობა ქართველი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა, იმარტოდა, იღვწოდა. არ შეიძლება დავიწებება იმ ამავისა, რომელიც XIX საუკუნის მწერლობამ დასდო ქართველ ხალხს.

 დროს და სხვა კონტექსტში შეიძლება მხოლოდ  
 ორნამენტულ სამკაულად უოფილიყო ხმარებულ-  
 ლი, რადგან უოველ ამ ორწევრიან შედარება-  
 ში დოვკურონი პარველობა „ნისლს“ და  
 „ქარს“ აკისრია, მომხდარი საშინელების ათი-  
 ნათები კი მხოლოდ მათს მტეფორულ იპოხ-  
 ტასში გვევლინება. მისანი კი მიღწეულია იმ-  
 დენად, რომ ეს ლექსი თანამედროვე ქარ-  
 თულ ლირიკაში სწორედ ის ტოროული პატ-  
 რიოტიკის ნამდვილ შედევრად გვესახება.

თემის კონტრასტული განვითარების ქარ-  
 მონაული პრინციპი დაცულია შემდეგ „ვარა-  
 ციაშიც“, ხედავ პოეტის ლირიკული ორეულის  
 ფორმალურ-გარდასახვა კიდევ უფრო კონ-  
 კრეტულ ხასიათს ღებულობს და ეს ორეული  
 უკვე „ნისლი“ ან „წვიმი“ კი არ გვესახე-  
 ბა — თვით ალუდად წარმოგვიდგება და ალუ-  
 დას შუკალიან მტერ-მოყვრობის განცდის  
 თავიანტურ გარძელებას გვთავაზობს. „არ  
 მოგხვდეთა, რაჭულაღლო?“ — კვლავ მიგვი-  
 თითებებს ეპიგრაფი ვაფას პოემის დრამატულ  
 კანქზე, რათა თვით ლექსში გვამცნოს აწქე-  
 რად, რომ ვარადა იმ რეალური ტყვისა, რო-  
 მელმაც ხაცოცხლე მოუწრაფო მიუცალს, იქ  
 სხვა ტყეების მამოქროდენს, სხვა პრილობები  
 და ტყვილებიც იშენენ — მარადიულნი, მტრო-  
 ბის მძობად და მოყვრობად გარდაქმნილნი:

შეშფოთებული ძველი სიზმრებით  
 მთაში გაერბოდი ბილიც და ბილიკ-  
 როგორც კარავი რამე ცისფერი,  
 სადღაც მელოდა ღრუბელი თბილი.  
 უკან მომდევნა მესვლის ღანი  
 და მომამბოდა:  
 — მომკალი ბარემი  
 მაგრამ ღრუბლებში მე აღარ ეჩანდი  
 და აღარ ჩანდა სამშობლო მხარე.  
 არავის ვუძხელ,  
 მეცლის ტყვო

გულში მჭირს,  
 გულთ დამაქვს რა ხანი  
 და წულულში ვატე დეკას და ლეის  
 და მერმე,  
 როგორც უკვილის,  
 დავხარი.  
 მე ისევე მესმის:  
 — მომკალი ბარემ  
 ან დამიბრუნე მარჯვენა ჩემი-  
 რა ვქნა,  
 დავიღუე ცას, როგორც მთავრე,  
 ჩემი ლამაზი მეგობრის ხელი.  
 ერთმანეთს მთაში ვესროლეთ ტყვია,  
 უვილით ცას და მიწას ვსარავდო...  
 მის სიკვდილს ძილი მარადი ქვეია,  
 და ჩემს სიცოცხლეს — ტანჯვა მარადი.  
 აწ მტერი ჩემი მძა არის ჩემი  
 და უოველ ლამე სიზმრად მეწვევა,  
 მიღება ღრუბლის თუ ნისლის ფერი  
 და იარაზე ცრემლიდ მეცემა,  
 და შებურულნი მერმე ნისლებით  
 მთაში მივდევარ ბილიც და ბილიც,  
 როგორც კარავი რამე ცისფერი  
 ჩარგალში გვიცდის ღრუბელი თბილი.

ჩვენ დავინახეთ მალე, თუ რა სახეს მთი-  
 ლებს და რა ნაყოფს გამოიღებს ეს „მტერ-  
 მოყვრობა“, ეს დრამატული ზნეობრივი კონ-  
 ფლიქტი, არჩილ სულაკაშრის ლექსიდან მი-  
 სივე პაროზის ნიადაგზე გადარგული. ახლა კი  
 ამ საკულისხმო ლირიკული ციკლის ფინალურ,  
 მუსიკალურ კოდად ადგირებულ ლექსს მიუყ-  
 ბრულდეთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ, თემატური  
 მასალის პარმონიული განვითარების კანონთა  
 თანხმად, ამ ფინალშიცა მიღწეული განზოგა-  
 დების საგანგებო მასშტაბი, ხოლო ქისტეთის  
 ერთ მიურუებულ სოფელში მომხდარი ტრაგე-  
 დია, რომელმაც ეგროს ადამაღლა ამ ტრაგე-  
 დიის მონარლეთა სული და შეგნება, კიდევ  
 ერთხელაა წარმოდგენილი უნივერსალურ სა-  
 ციკლობრიო კოლიზიად, ამ კოლიზიით შობილი  
 შეგნება კი; ადაზას უკვდავ სახით სიმბო-  
 ლაზებულს, სრულად საქართველოს თუ  
 მსოფლიოს. უკვლა მკვიდროთა კუთვნილებადა  
 წარმოხაზული. ადაზას განცდივა და ზედის  
 მანიშნებელი სტრიქონები ვაფასი — „ნამტირა-  
 ლევი რადა ზარ, ღაწვეზე ცრემლი გდენია“  
 და „წყალმა წახლო ადაზა“ — აქაც არა მარ-  
 ტო ეპიგრაფადა აქვს წამდვარებულ არჩილ  
 სულაკაშრის ლექსს, არამედ კვლავ ლირიკული  
 სიუჟეტის საყრდენ საფუძველს შეადგენს:

უკვლა მდინარე არის ადაზა,  
 არაგვია თუ ალაზანია.  
 ვატყობ ცრემლიან,  
 ფერმკრთალ სახეზე —  
 უკვლა მდინარეს ადაზა, ქვეია.  
 უკვლა მდინარე ღე აყოს ზემი,

სტალინი

სმურინი ანთუ მღვმარე და მჭატის ყოველი ცრემლი, რომელიც ცოლმა მჭარს დაუშალა, და ისიც:

ჩემი ცოლი თუ ტირის უცხო მიწაზე მოკლულ ვაისისთვის, დე, მომარდოს შემკრალმა პირი, ნისლში დამალოს ცრემლი თავისი. ...მდინარეების ცისფერ მხარეში არაგვი მისწამს: — წამოდი მალე. წავალ, ჩვეირავ მეგრდში აღერსით, როგორც იყრავენ საყვარელ ქალებს...

ახეა შერუღი ეს მტად საგულახში და, მე ვიტყოდი, სამარგამო პოეტური რადი. ის კი, რაც ამ ღირიყულ მოწოდოგთა წყებაში მოწოდოგისთვის ბუნებრივ აღსარებადა გამოთქმული, არჩილ სულაკაურისავე პრინციპში როგორც წესით აღნიშნეთ, უჩინარ და იღუშადაა განუენილ-განსტოებულ ან მეტ-ნაკლებად „გაბეჭდილია“ ავტორისათვის მახლობელ და თვისტომ პერსონაჟთა განწყობა-მოქმედებაში, მათს სულიერ დრამაში, წერეობარე შემარტებაში და, საერთოდ, ბედობადაა.

არის ერთი, იქნებ ვადაშეწყვეტი, ნიშანი თუ თვისება, რაც ახეთი უაიდეხ პერსონაჟებს თუ გიორებს ურთიერთ ანთებაეებს კიდევ და ერთ ზარს სულიერ პირველწარსოხანაც აუაშორებს ეს თვისება, როგორც ვტყვიო, ვახლავთ მთე ტურბა. უველა აქ ნაცულისს-მევი გიორი — უპირველესად პოეტური, არტისტული ნატურა, პოეტია და არტისტიკის თავისი სულიერი წყობით, აღმშენა და ხილვის თავისებურებით, განცდა-განწყობის გამოთ, თვით მოქმედების რიტმით; ურველ მათგანში ძლიერია მალსტაკური და მუხაკა-ლური ხაწყისი, არტერისთვის არაა უცხო მართი ასოციაციურ-ხატოვანი შეგარქნება სამყაროს — ვარებაშარა ეს თუ გულის სიღრმე, მარტოკისობის თუ ყოვლით, ურველ-ღიური ვარემო და ვარემოცვა, საქმიანი ურთიერთობა თუ ტკბილმწარე ოქანური უღელი, ხეუარული თუ სიმუღელი, ხიხარული თუ აღშფოთება, არც ვინ მათგანი არ ერის ღეჭებს, არც ვინ ხატავს ან ძერწავს, არც ვინ მიხედვს სახიობას და თამაშს; თუ წამოიღებრებს ხელ-მე ვინმე მათგანი, გუნება თუ წამოაღებრებინებს ან სახედისწეროც ვაშს თუ აღმოხდება სიმღერასავით ცენება თუ ცენებასავით სიმღერა, უველა კი — პოეტია, არტისტია, მხატვარია, მარწმონის პირშია, არსებობს, თუ არსობის უმაღლეს და უღრმეს მუსიკალურ კანონებს აუოღალი და დამორჩილებული. მათთვის ეს იქნებ მორჩილების ერთადერთი ფორმაცაა. ახეთია მარტოკი და ღაღო მეთფევეც, ღევეანიც

„მტარდებიდან“ და „დიდოფეხეხეხე“ [შეძრავ] გაბოც და ნაგაზის მფარველ-მეგობარი ბიჭიც, გურამიც „ხიდაღან“ და გოგაც ნოველიდან „წვეთ და ქვეით“, ახელიცა და ბეჟანის მეგობარიც „ქველი ამხავიდან“, დათოც, ლუკაც და არა ერთი სხვა გვიარი არჩილ სულაკაურის მოთხრობისა, რომანისა თუ ზღაპრისა. ეს გვიარები თავისუფლების, ხიხარების და სამართლანობის რანდნი არიან. უფრო ზუსტად — თავისუფლება მათი ნიდავი და პერტი, გულისტქმა და სულისკეთება. ოღონდ მით უფრო ემორჩილებიდან ისინი მარწმონის კანონებს. რაც კაცობისა და ადამიანობის სინონიშია. ესაა ერთადერთი მათი „შემოკველი“ ძალა. ამ ვარემოებამ „გადაღიანა“ და „გაბაგნა“, როგორც ვახსოვს, წესით დასახლებული კრიტიკოსი, აქ დინახა მან სულაკაურის „გვირთა საქველში ერთგვარი იძულება და მორჩილება“. რა თქმა უნდა, არჩილ სულაკაური უღიამ შექსპირის არაა, მარგამ მე მანაც ვავიხსენებდი ბორის პასტერნაკის ერთ შენიშვნას თუ დასკვნას შექსპირის გვირებზე მიმართ — იმღენად მორგებულა იგი ამ კერძო შემთხვევისათვის. თვით შექსპირის სიდაიდევ ხომ ასეთ უნივერსალურ, ნებისმეორ დროსა და სივრცეში „მოსარგებ“, სულიერ და ფსიქოლოგიურ „გახადებთა“ შექსპირია, ბორის პასტერნაკი ასე ვანხადა შექსპირის გვირთა ბუნებასა და ბედს: „რტელოსა და დეუღე-მონას არსებაში უველაფერი შეურეველად, შეუბღაღავად ბუნებრივია, ნაღდაა და ხაღასი, ისინი იღუბებთან საკუთარი ხიწმინდისა და შეუღახავი ბუნებრიობის სიჭარბის გამო, თვისივე შენიგავს სიმდიდრის მიწეუთი — იმ დროს, რადესაც მათი ბუნების სიუხვე და ხავსეობა, მათი მართალი და ტეშმარტი არსება წაწყვედება იავოს უაღბ და გამოგონილ საშუაროს... თან ის კი არაა აქ მთავარი, რომ იავო ცილიმწამებელი და ბორტმეოქმედი, არამედ ის, რომ იგი სიყოფილის ნაჭქრობა და ნაშქოღავი, რომ იგი შემწარავად უნყოფოა და უნეყო ხაღასი ბუნებრიობისა და თვითმყოფადობის მოგაგვიწე და მშურაველ ბრჭმეღის წინაშე. ამტომაც არა ჰქვს ხახვარი იავოს ჩიხავა-ვეიობისა და სარტეხის. მის არარა ვაანია თავისი, მიხეული, მისმიერი, ამტომაც არ არის რამეთო შეუღუღული თუ შემოკვილი, ამტომ სარტეხლობს ვანუხა-წღვარელი თავისუფლებით. აშვე დროს კი რტელი და დეუღემონა ვერ განაგებენ საკუთარ თავს, მათი თავისუფლება როდია თავის თავზე უსაზღვრო უფლება, ისინი შემოკვილნი არიან იმავეთვე თავისივე უტეველი და ხაღასი არსით, საკუთარი ადამიანური არსისა და ბუნების კანონი ემორჩილებიდან“.

ასეთია შექსპირის ტრადიციების დიდებული მთარგმნელისა და ინტერპრეტატორის მიერ

უხადოდ ამოხსნილი დიალექტთა ამ ტრადიციების გმირთა სულია, ცხადია ისიც, რომ საკუთარი ბუნებისა და ადამიანური არსის კანონთა ასეთი მიწოდება-მოჩენილება სწორედ უმაღლესი, უპირატესი ფორმა პირადი თავისუფლებისა და რომ ეს ინდივიდუალური მოვლელი სოციალურ-პოლიტიკური ენათმეცნიერება თანავე სტრუქტურით, აქვე უნდა შევიხსნოთ, რომ სხედრებული მოსკოველი კრიტიკოსიკ მაშინ კი არ შეესადა, როდეს არჩილ სულაქაურის გმირებში მათი ბუნებისა და ამ ბუნების გამოხატვა სინდის-ნაშუის მორჩილება აღმოჩნდა ანდა მათს საქციელში ხალხის ბუნებისა და ალაღი ხინდისის კანონთა ეცადი ფორმა, არამედ მაშინ, როდესაც უკვე ეს თავისუფალი მიუტყვებულ ნაკლად გამოაცხადა და „წინააღმდეგობა“ თუ „სენტიმენტალური ინფანტილიზმი“ მონაღლა ისინი ირწონის დაუფარავად.

— ვთა... იქნებ ფიროსმანიც, აი ვინ გვაგონდება კიდევ არჩილ სულაქაურის სამუაროში გაწინაურებული, არის რაღაც „ფიროსმანი“ ამ სამუაროს ზოგიერთი მკვიდრის, განსწავლულად მათი სოციალური რაობისა. ჩარისკაციც, მთელი თავისი სულიერი წყობით, ლაღვ და გაბოც, დათოც და ლუკაც მწილად გარშობდადგენი რაღაც აჩიან მის „სულიერი მწილად“, უკლავა ისინი — გარეშეთათვის — „უცნაური მეცნიერება“. ლაღვს „ოღლა“, „ნავა“ და „უთორი კიბეც“, გაბოს „უთორი გუბუბუცა“ და მისი „ორთქლივადიც“, დათოს „ოქროს თევზიც“ და „ბუბა ეშაბაც“ — ეს ხომ თავისებურად იცავს სანუკვარი, „მარგარიტა“ ან თუნდაც ის „სამოვარი“, რომელზედაც საწყალი ნიკალა ოცნებობდა მხატვართა კეთილშობილი არიფიონის შესაბამისებლად. მერე რა, რომ ოცნებამაც შეიძლება უმტყუნოს შეცნებებს...

არჩილ სულაქაურის რჩეულ გმირთა ურთიერთობისა და აშკარა და საგულისხმო ხასიათის, ხასიათის, საქმიანობის, სოციალური მისამართისა ან ამა თუ ამ ცენზის განსწავლულად, ისინი ერთი კაცური მოდგმის, ერთიანი ადამიანური ბუნების ხალხია. უფრო ზოგად ანექტ-ვიც კი ერთსა და იგივე სტრუქტურას, როგორც ვიცით, სხვადასხვა ფუნქციის შეიძლება დაეცნოს. ხომ არსებობს, მაგალითად, კატეგორია თუნდაც უნიკიტრის მსახიობთა, ვინც ასე ვთქვათ, თავის თავს ანსახიერებს მუდამ სხვადასხვა „მოცემულ“ თუ „შეთავაზებულ“ გარემოებაში (სტანისლავსკო რომ «предлагаемые обстоятельства» — უწოდებდა). გარდასახვა აქ კონკრეტული ხასიათის ინდივიდუალური ნიშნითა და ზემოწამოთვლილ „შეძენილ“ თვისებათა სფეროში ხდება. თან სხვადასხვა ნაწარმოებში ასეთი მოდგმა გმირ-

ბისა, როგორც წესია, თვით ავტორის პიროვნების „გმანაცია“ შეიცავს და მასთან არის „მაგნიტური აბათი“ დაკავშირებული. სწორედ ასეთ „შეთავაზებულ გარემოებაში“ წარმოა მოხედრებულ და თანაც ასეთსავე „მაგნიტური აბათი“ მიწოდული არჩილ სულაქაურის პროზის მთავარი პერსონაჟები. ავტორი არ უფრთხის ამ პერსონაჟთათვის საკუთარი პოეტური აღმშენის თუ ხილვის უნარისა და ნიჭის გამოხატვას. ამგვარად ავტორის ხმავე გვეხის და მისი ზედვაც — გვეცნაურება გმირთა პიროვნების გამოხატვით — „ტალღებისა“ და „წყავლიდობისა“ „მტრედებისა“ და „ბიჭისა და ძაღვისა“, „ძველ ამავისა“ და „აბიღის დარსუნებისა“, „ოქროს თევზისა“ და „ლუკისა“.

პერსონაჟთა ურთიერთობათაგანაც ავტორისეული სულიერი მრწამსისა და განწყობის მიზიდულობის არეში — აი რა არის აქ მთავარი.

არჩილ სულაქაურის პროზის ტიპში ამით რაღაც შეზღუდული ხასიათი ხასიათად რჩება, კონკრეტული პიროვნება — პიროვნებად, მაგრამ აქაცაა გაბმული რაღაც უხილავი ძაღვი, მონათესავე სულბის რომ აკავშირებს, ზოლო თვით ამ „კავშირის მონათესავე სულთა“ — უქვემდებარებს ავტორისავე სულიერ განწყობის უკველი პერსონაჟის „რეალიტური ავტორისის“ ფარგლებში.

აქ მტკად საგულისხმო „ზოგადი თვითი ქაქვის“ გაბმაც შეიძლება — რა თქმა უნდა, პირობითი და სავარაუდო ხასიათისა. ეს „ქაქვი“ არჩილ სულაქაურის ნაწარმოებთა გმირების ერთიანი „სულიერი სუბსტანციის“ სხვადასხვა „განსხვავების“ წარმოგვიადგენს — ხან ამ „განსხვავების“ ასაკობრივი საფეხურებით, ხან დროსა, სივრცის, სოციალური მდგომარეობის ან სხვა „შოკის მდგომარეობითა“ შენაცვლებით. ეს პირობითი და სავარაუდო გმირი ჯერ კიდევ მტრედულივანია „ბიჭისა და ძაღვის“, უკვე უმწველია — „მტრედებისა“, ქაქვი — „ტალღებისა“ მისი მომავალი ჩვენ „მეცნიერება“ ან მართანის, ან დათოს ბედს დაეუწყველით, ზოლო კოტა უფრო ადრეულ ეტაპზე მისი სოციალური „მისამართის“ შეცვლით — ლაღვსა და გაბოს ბედს. ამავე გმირის ორეულს სხვადასხვა დროს ბეჯანის ხედრაცი შეიძლება რგებოდ და „ძველი ამბავიდან“ და აბიღისაც კმაყოფობის ხანაში იგი ასეთივე წინააღმდეგ კოლიზის შეიძლება შეხედროდა, როგორც „ხილისა“ და „უკეთუ კაცობედებს“ გმირებს შეხვდათ. არც ეს გარემოება დარჩა შეუმწველი კრიტიკის, თუნდა იგივე ა ლეივადებს, რომელმაც მართებულად აღნიშნა შეიძლება:

„ სხვადასხვა ადამიანებზე, სიტუაციებზე და შემთხვევებზე მოგვიტოროს სულაქაური — ჩარისკაცზე, რომელიც ომში იღუპება, პენსიონერი კინეგულზე, რომელიც სტუმრად შეილი-შვილს ელოდება, პატარა ბიჭზე, რომელსაც



სუვარელი ნავაზი წართევს, თანამედროვე ჭაბუკა მეგობრობაზე, სუვარულზე, რომელიც თევქმეტა წლის უმაწვილეს ვულში აღიბებს, ან თერაპიტი წლის პატონობის შემდეგ უდანაშაულო კაცის მშობლიურ ქალაქში დაბრუნებაზე... და მაინც სულაკაურის მოთხოვნების წინა უპირველეს უკვლესა — მონოლოგია, დიარკული მონოლოგია ავტარება, რომელიც ყველა ამ ელემენტზე და მათს ბედობაზე თხრობით ედვოლბს მხოლოდ ერთი საკითხის გადაწყვეტას. ამატომაც, სულაკაურის უმართა ხასიათების არსში ჩაწვდომა, მის მიერ დახატული სიტუაციათა აზრის ამოცნობა — ავტორის ერთი მთავარი აზრის ამოცნობის ნიშნავს... არსებითად ჩვენს წინაშე ერთი გამორჩეული სხვადასხვა სიტუაციაში და სხვადასხვა იერით წარმოგვიდგება“.

ახლო მსგელობას ჩვენ საცემით გავიზიარებდით, მას რომ არ მოხდებოდა სწორედ ამ ავტორისებური „შთავარი აზრის“ უარყოფა და ირონიული — სექტიუარი შეუახება იმ „ზნეობრივი კანონისა“ ანუ „ნიმდისის კოდექსისა“, რომელსაც არჩილ სულაკაურის გამრბეობა იზიარებენ და მისდებენ...

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს მიერ მიწინააღმდეგებულ „ტექსტს“, რომელსაც არჩილ სულაკაურის პერსონაჟთა ურთიერთათესაობა ავლენს.

გავიხსენოთ, რომ „ბიჭი და ძაღლის“ გმირი — იმ ბუნებრივი მონაცემებით, იმ ზნეობრივი იერით, იმ თუნდაც ინტინქტური მახსრადებებით, რაც მას, როგორც ბავშვს, ახასიათებდა, — მოთხრობის „სივრცულ“ განვლილი დრამის შედეგად თავისაჩინოდ მომწიფდა და დაუფაცდა, ბავშვურა უთანასწორო ორთაბძობლიდან თავისებურად გამობრძობლივ გამოვიდა. გავიხსენოთ თუნდაც ექსპოზიცია თხრობისა, სადაც თავსებულად მხუბუნ-სახეობის შეხვედრის მონოლოგით „ბიჭი მართო მიიღოდა... ძველი ჩანთა ილღოში ამოიარა და უხალხოდ მიაბრუნდა ფილანზე... ქუჩაში მართო მიიღოდა პატარა, შავგვრქანა ბიჭი, მუკლდისდარი დადი თვალზე მქონდა, წულიან და დაღვლილი ოდნავ“. შევადაროთ ეს მხიარული ექსპოზიცია მოთხრობის მკაცრ ფინალს, სადაც სუვარელი ნავაზისთვის თავგამოდების შემდეგ, ბავშვისათვის კუშმარტად გმირული შემართებისა და სულიერი სიმტკიცის გამოჩენის კვალად, მან იმ თავსებულად მხუბუნ-სახეობის თავგამობა და, თუმცა ისევ „მართო მიიღოდა“, მაინც უკვე „მამაკაცი, დიდი ნაბიჭით მიიღოდა“ ეს „პატარა, შავგვრქანა ბიჭი, რომელსაც მკრად დაბულჭა ზღუში თუნუქის მრგვალი ნაჭირი“ (სუვარელი ნავაზისთვის ნავაზივად, თუცა კუშმარტი თავგამოდებით მოპოვებული ნომერი, რომელსაც მეგობარი უნდა გადაერჩინა). გავიხსენოთ ეს სიტუაცია და ეს ევოლუცია, რათა წარმოვად-

გინათ, რომ უკვე ახაკითაც დაუწყველებულა და წამოზრდილი ბიჭი ამქრად „მართობისა“ შეგვხვდა სამამულო ომის ეპის თავის სახლის სახურავზე მოთხრობისას. აქაც რომ სულ რაღაც ხამი—ოთხ კვირის მანძილზე ზღუდა დევანის თვალახინო სულიერა წართობა და მომწიფება: უმაწვილის გულში სუვარულის გრძნობის პირველი გამოვლენება, ომის ცეცხლში გაჭვეული სამშობლოსა და ურონტილი მძის ბედის შატურა ვანცდა, ბოლოს კი ქარში ვაწვედა და გმირულად დაღუპული მძის კვალში ჩადგომა.

ახლა კი არც იმის წარმოდგენაა ხაზნელო, რომ „ტალღებშიც“ სწორედ ეს ჭაბუკი ქარსიკაცია — იმ სიტუაციაში და კლოზიაში მოხვედრილი, რაც იმ შექმნა. ბოლო ეს ქარსიკაცი რომ გადარბობილიყო და ომის ხისხლად ვწვები მოვარა, ტყვედ მოხვედრილიყო, ტყვეობიდან გაქცეულს ეპარტინა უცხოეთში, შემდეგ კი ხაზინელი გაუგებრობის თუ ბორბი ნების მსხვერპლად გამძარბყო, მაინც დაბრუნებოდა მშობლიურ კერას ხიმაროლის ავღგენის ეპის — მაშინ რომ მის წინაშე პარობლმათა და საკითხავთა ეს კომპლექსი წარადგებოდა, რომელმაც მირიანის ბედი განაპარობა „ოქროს თევზში“? არც იმის დაშვებაა ძნელი, ამ სავარაუდო გმირის უცხოერების თარადუნება და სოციალური მისამართის ვადავგვიდებისას, რომ იმ ჩვენი ბიჭი ქარშავობის ეპის მეთევვე ღაღას „ტავაშვი“ აღმოჩნდა (ღაღომაკ რომ ძაღლის ვადარწინით ვაგვაცნო თავი და მისხსაკის შესაფერი სულიერი ევოლუცია განცხადა, ნაბიჭი კი შეეცვალა თავისებურად, იმ ბიჭისა არ იყო). ჩვენ უკვე ვტყვი, რომ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ასაკში, სათანადო სოციალური წრის გათვლისწინებით, ამვე გმირს შეიძლება ბევრნახა ან აბეღის ბედი რგებოდა, ან ვოჭვალ, მირიანზე გვიან დახადებულს, მირიანის უმცროს მამად, დათო ნათესავლად გაეცნო ჩვენთვის თავი. ცხადია, რომ ამ შქრავში არჩილ სულაკაურის ზოგიერთ სხვა პერსონაჟს (მათ შორის ლუკასაც) მოეძებნება სათანადო ადგილი.

სავლულისში მისიაცა, რომ ვის „სხვერულშიც“, ვის „ცხოვრებაშიც“ არ უნდა შესახლებულიყო ეს ჩვენი ბიჭი — მისი ანტაგონისტები და ანტიპოდებია ჩვენი საზოგადოებრივი ზნეობის ანტიპოდებიც უნდა აღმოჩენილიყვნენ ამა თუ იმ უზამაღდ — ვინდ დაშწევები „ჩხუბისთავები“ უოფილიყვნენ იხინი, ვინდ „მებურთ ვახყო“, ვინდ „შემდეგი“, ვინდ „ქუჩი“ ან „აკი“, ვინდ „ბუზუტა“, ვინდ „შეწისკვილიე სტრფანე“ და ვინდ „შავი ნიყო“ ან „პლატონი“. თვით „ბიჭი“ კი — თავისი ბიჭობით დაწვეული, ჭაბუკობა, ვუყვარობა და ქარშავობა გამოვლილი, ცხოვრობის გამოცდილებით დაბრძენებულად — მაინც ჩვენი დროის „კაი უზამ“, ამ პორტრეტს და არ-

ტატული ნატურად დაგვიჩა მიანიც იმ „დიდ ბავშვად“ და კაცთმოყვარე მეოცნებედ, რომლის ხულიერი პრაგმათა თუ წინებობივი კოდექსი იმ თავითვე უყარხახა არჩილ სულაქარის მის მხატვრულ აღაზრე თუ მოქალაქეობრივ ფარზე აღხედილმა ვეახებულმა აღუქმამ:

გონებას ფიჭვი სტანაქედეს,  
გულს ცეცხლი სწავადეს ჭლიერი,  
მზიოდ-მწუწუროდეს კეთილი,  
გვირ გაეძღვი, მოვეკდე მწიერი,  
ნუ დაშესვენოს ნურასდროს,  
მიმყოფე შეჭრწუნებული,  
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი,  
როცა ვარ შეწუხებული.  
როცა გულს ცეცხლი ვედება,  
გონება მსკერლობს საღადა,  
შაშინ ვარ თავისუფალი,  
თავს მაშინა ვგრძნობს ლალდა!

ვახტანგ კობეტიშვილმა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა მოუძენა ვაჟს მიხი ხაკადრისი და მასზე მოტკეპული „სახომა“ ხაკაცობრივი ჩანაბროფორ და წინებობივი „დას-პუტში“ ფასამბედად, ერთგვან კანტის სიტყვები გაიხსენა: „როცა რამ შეთქმულებს და მადლებებს, როდესაც მათზე ჩერდება ჩემი გონება: ვარსკვლავებით მოქედითი ცა ჩემს ზევით, და წინებობივი კანონი ჩემშიო“. გაიხსენა და დასძინა: „ეს იყო ვეჟა ფშაველას ძირითადი ამოცანად და მთელი მიხი შემოქმედებაც ამას ეწირება. რა ვუყვით, რომ ეს კარდინალური და „ფედოსოლოური“ ხაკიბებმა გოგოთურისა და შინდისა ხახით გადაშალა და არა დოქტორ ფუტის მსგავსი ინტელექტუალური არისტოკრატის ხახით. ამას არა აქვს შინიწვნილობა. ვეჟამ სრული შეგნებით ალაპარაკა თავისი „ველურა“ გმირები, რადგან იგი ადამიანობის სათავეს ეძებდა, სადაც ბუნება და კაცი შეუღლებულენი არიან. და ამ სათავეს მოავლო კიდევ. და ნახეთ, როგორი ხულის ორგანიზაციის ამფლავნებს, მოვლენათა მიმდგომის როგორი ინტენსივობა აქვს. მასში უყოველი ძალა დაქობულია, შახ, თავისი შინდას მსგავსად, ესმის ბეგრით უთქმელი, იგი ხედავს ნუნების ზრდის უყოველ პრაქტიკას, იგი უყოველ წუთს მზად არის მოაქედების მისადგებად, და მიხი ინტელექტუალური, წინებობივი თუ მხატვრული სიმბავილე ექმნე ვანეთობრებულია, რომ შორეულ სავანთა შორის არხებულ ურთიერთობასაც კი აღნიშნავს. ერთი სიტყვით, ვეჟა-ფშაველა ვამფლავნული ციკრულაციის მდგომარეობაში იმყოფება, ვამფლავნით შეიგრძნობს თუ შეიცნობს, და იტანება. იტანება თვით უდიდესი სიხარულის დროსაც, რადგან უტანავ სიხარული ერთგვარი მოხუნება, ვეჟა კი, როგორც ნამდვილი შემოქმედი, უყოველთვის მოუსვენარი და სულს სტიგმატებით შეტურთბობდა. აქ არის

ვეჟა-ფშაველას ტრავედია, მიხი მხატვრული ორგანიზაციის ხირთულე და მიხი ნამდვილი კულტურისნობაც. ახ რომ ჩამორჩენილი უყოველიყო, იგი უფრო მთლიანი პიროვნება იქნებოდა... მაგრამ არა, ვეჟა-ფშაველა ვაგორებული პიროვნება. მის არ შეუძლია ნამდვილი ვახარება, როგორც ეს სოფლის შველს სჩვევია. ადამიანი, ვეჟა-ფშაველას ახრით, ვეჟა-ფშაველა მან დაკარგა ორი უდიდესი დირსება. თავისი მებობა და სხვისი სიუჟარული... მას რა უნდოდა ჩვენს პოეტს? როგორა ქედდა მას წარმოადგენილი კაცობრიობის ვანეთობრება? დიდი შედგომა იქნება იმის ფიჭვი, თითქმის ვეჟა-ფშაველას ზედაღურის ცხოვრება ესახებოდა უყანსკელე მიხანად... მას უნდოდა ადამიანის აღდგენა, პიროვნების ამაღლება და შემოქმედებითი თავისუფლება... ბურჟუაზიული კულტურა ვზახ ასცდა. ნეჟა იხე დაიმორჩილა ადამიანი, რომ სული აკარგება. ამ გზით ადამიანის თავისუფლებაზე და პიროვნების ვანეთობრებაზე ლამარაკი ცი შეუძლებელია... სულ ზეჟა არის შოაში. იქ ძველი ნიდავა ვიქრ კიდევ შენახულია, იქ ნამუსი კიდევ წელგამართული დაღის და მომავლიც მხოლოდ ამ ნიდავზე არის შესაძლებელი... მათში „იქი უმის“ კულტია. თუ შეიძლება ასე ითქვას, რომელსაც ჩვენი პოეტიც აღებს ორთოდოქსალური ხასობით... ახე რომ, გმირობა, თაოსნობა, სიმტკიცე, სილაღე, ამხანაგების სიუჟარული, ხელგაშლილობა, სიხარბის დარჯობა, უხამართლობის წინააღმდეგ თუ ძვირდებაც თავმდაბლობა, უშორობა... ახ ეს ძირითადი თვისებები, რომელნიც კულტურის წინმსვლენლობამ უნდა ვანეთობროს, არამცოუ ჩაქვას. ამ ნიდავზე შლახ ჩვენი პოეტის მომავლის სურათსა... ა

ეს დიდი ამონაწერი მე მხოლოდ ერთი მიწნით მოვყვანი: კარგადაა ცნობილი, რომ ჩვენმა ეპოქამ, რომელმაც ბურჟუაზიული ვეჟა უარყო და ადამიანი ნეჟიერ დამონებას გადაარჩინა, ამ ეპოქამ შექმნა უველა წინაპირობა კვლავ თავისი მებობით და სხვისი სიუჟარულით ასულდგმულენი ადამიანის ინტელექტუალური, წინებობივი თუ მხატვრული სიმბავილის ვანეთობრებისა. მაგრამ ახე ისაა საიდუმლო, რომ ნეჟის ძალა სწორად ებლავება და უყან ეწვეა ადამიანს, როგორც ტალდა ღამობს ხოლმე ნაპირის ჩამორცევახე რომ ადამიანში, — ამა თუ იმ სიტუაციაში თუ ხელსაგრულ პირობებში — შეიძლება ფეჟუქის დრომოქმედი „გრძნობების შეთქმულებამ“, როგორც ეს ერთ დროს ავეწერა იტრა ოღეშამ ამავე სახელწოდების ნაწარმოებში, ან როგორც ეს მოუვიდა, ვთქვით, საუღაას — დენა შენგოლიას „განმისი“. შემიხვევითა როდდა, რომ „განმისი“ და არჩილ სულაქარის „აღაღდობიც“ თითქმის ერთდროულად დაიწერა და ვანა

არ არის ცხადა ის ვარემოვნაც, რომ — ორმოც-დაათიანა წლების მიწურულთანაა წამოწყებული — ამ მტკიცეულმა საკითხმა ხელ უფრო და უფრო მტკიცეული მიიღო. რადგან ნებისით თუ უნებლიეთ გადავივებულმა ბურჟუაზიულმა ტრადიციებმა გარკვეული ფენისა თუ გარკვეული კატეგორიის პიროვნებათა ფსიქიკაში კვლავ მიიღო „ნივთის კულტისა“ და მომხმეველთა-მტაცებლობის შემზარავი სახე? ქართული წყნრობის, მათ შორის არჩილ სულაკურის, დიდი დამახატურება იმაშიც მდგომარეობდა, რომ ამ პირობებში მან — ქართულმა წყნრობამ — არ დასთმო ქართულად ხალხის უწყვეტი წინებრივი ტრადიციები და მიიღოს ძალით შეიცვალა შებღვნილებანი გადაერჩინა ის ისტორიულად ჩამოყალიბებული „ფორმა“, რომელიც ჩვენმა ხალხმა და ჩვენმა ქვეყანამ დიდი სიღრმე წინადად უძღვნა ჩვენი მრავალეროვანი საზოგადოების ხელმძღვრე, წმინდა-ბიძე, უფროსი და ესთეტურად ხაჯანძურს. ეს ის თვისებები გახლდათ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისა, რომელთაც ეგზეზი მოხიბლეს და განაცვიფრეს სიკარგოდანიათა წილებს მიერაწე შორის პასტერნაკი, ოღეს მან სწორედ საქართველოში დაიანახა მისთვის მახლო-ბელი და აშკარა ფორმა დროის სიახლისა და ისტორიული უწყვეტობის (ანუ რევოლუციისა და ხალხის კულტურის) ორგანული შერწყმისა. გვიხსენითო: „...რომ ახალგაზრდა ვიქტორ მის (საქართველოს) ზღაპრულ თვითშეფასებაზე, უფრო ზოგადი თვალსაზრისითაც კი ეს ისეთი ქვეყანაა, რომელსაც რაღაც განვივებლობის ძალით არ ჰქონია ბარევი, არ ჰყურებია უწყვეტილი თვის არსებობაში, ახლაც მუაზად დგას მიწაზე და არ აფრენილა აბსტრაქციითა ხეფროში. ესაა ქვეყანა მარადიული ფერებისა და ყოველდღიური ხინამდვილისა, რარფი დიდი არ უნდა იქონი მისი დღევანდელი გასაქონი. სწორედ ასეთი შექით განათებული წარმოგვიდგება ახლა ჩვენ საქართველო... ალბათ სწორედ ამის წინათგანმობა იშვა ჩემში, როცა დაბნეულად და ენადამბულად ვეხაუბრებოდი მიხილ ქავახიშვილს საქართველოზე, როგორც ფორმაზე“.

დაახლოებით იმ დროს კი, როდესაც არჩილ სულაკურის „ტალღები“ და „წვალადიღობა“ შეიქმნა, მაშვე ბორის პასტერნაკმა, საქართველოში უკანასკნელი სტუმრობის კვლად, ასე ამიწერა მეგობრულ ბარათში თავისი შთაბეჭდილებანი:

„მოხარული ვიყავ ტრადიციული ადრეთიანებად ზეაწეულობის გარემო და მათ უფრო გულწრფელად, საქმიანად განმეცადა საქართველოს ცხოვრებისა და ქართული კულტურის ის ძირითადი და მოუხსნებელი ელემენტი, რომელიც დღემდე ვერ დაუჭირე და ვერც გამოხატე და რომელიც აქნებ ვერც ერთმა თქვენმა

ხელთაწმაც ვერ გამოხატა (თორემ ვერ ანე ადარ შემაწუხებდა, არ მსდებოდა კვლად, არ მიამერობდა ასე ჩემს გულსკურს და კვლავ არ ვამისხლტებოდა). ამის ბოლომდე ვაზრებას მე ადრე თუ გვიან მიზნად და ამოცანად დავიხსენებ. ესაა რაღაც საოცრად ცოცხალი და ცხოველი რამ, შემდგარი თანამედროვე ქალაქური ცხოვრებისა და ბუნების თუ ბუნებრივი ტიპის, ხოლო, რაც მითარაია, რამე რაგის მრავალსაუკუნოვან შერეთა შერწყმა-შეგახების შედეგად, რომელთაც პირველი ავლენს გამარჯვებით თრობისა და ზეიმის, თითქმის ზერელობის ზღვარამდე მისულ განწყობილებათა ფენა, მეორე კი — შემაწრუნებლად ტრაგიკულს, უსაზღვრო სიღრმეთა და სიმაღლეთა შემოცველს, გამოგნებელს, დამაღმებელს ქვერთათა და ვედროშით საცნაურს. მე მოვიაჩე თქვენი მუხე-უმიები და ევზიარე მას, რაც თქვენში ცოცხალ მუხეუმს ან წარსულს, დღევანდელს გაგრძელებას წარმოადგენს, — თქვენს მხატვრულ ახალგაზრდობას, მე ალბათ უკვე ადარ განვიცდი ჩემს სიცოცხლეში რაიმეს ეგზეზი ნათელსა და წმინდას“.

ძნელი ამოსაცნობია აჩაა, რომ ის „მოუხსნელი თვითი ელემენტი“, რომელიც უფრო მეგობრისათვისაც კი „ფორმის“ ეტალონად აქცევდა საქართველოს, ან ის „ქალაქური ცხოვრებისა და ბუნებრივი ტიპის“ შერწყმის განსახიერება, რომელიც „გველის-შეამელის“ მთარგმნელს ქართველობაში ეგვლუბოდა, საოცრად ენათესავება ადამიანის იმ სანუჯარ და სანატრელ ხატს, რომელსაც ვაფა-უშაველა ეტარფოდა სწორედ და რომელიც ასე მკაფიოდ დახასიათა ვახტანგ კოტეტიშვილმა. იმ „მხატვრულმა ახალგაზრდობამაც“, — ქართველის დღევანდელში გაგრძელებლად“ რომ მოვლენის ბორის პასტერნაკს, — სწორედ იმ წლებში დაიხსნა მიზნად კალით თუ ფუნჯით, კანკა-მერთი თუ საქრეთელით, სცენიდან თუ ტრიბუნადან ემოლავანა და ემეცადინა, ებარძოლა და ეტლუშვანა დროისა და მომავლის შესაფერისი თუ სკადრისი „კაი უმის“ იდეალის დასამკვიდრებლად. „მამათა“ თაობის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად და მათ მიერვე გზადლავალით, ამ ახალგაზრდობამ სწორედ ისინი წლების მეორე ნახევარში წამოიწყო ის სულიერი, წინებრივი და მხატვრული მოძრაობა, რომელმაც იმ წლებში გახატებული უზენობის ჩანარავი გაარღვია და დღევანდელი — სამოცდაათიანი წლები — საქართველოს წინაშე წარმდგარი ამოცანების სიმაღლედეც აღმოჩინდა. არჩილ სულაკურიც გახლდათ მათს რიგებში, ვინც ამ უკანასკნელი თხოთმეტი-ოცი წლის მანძილზე იტვართა ხსენებულ ამოცანებთან შეხმა და სამშობლოში „კაი უმის“ იდეალის აღორძინება-დანერგვა, გაცოცხლება განსახიერება.

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრის

ახე აღმოჩნდა ორმოცდაათიანი წლების მიწურულიდან არჩილ სულაბაურის სახელთან დაკავშირებული ქართულ პროზაში გაცოცხლებული პოეტური და რომანტიკული ნაკადი. აქ არა მარტო და არა იმდენად თხრობის თუ ხატვის მანერა იგულისხმება, არა მარტო სხვადასხვა თანრის ნაწარმოებთა სტილისტიკა და პოეტიკა. (ეს სხვა საკითხია და ჩვენ მას საგანგებოდ შევხებით), არამედ თვით შინაგანი ზუნება მათი, სულიერი წუობა, მარმოწიული სტრუქტურა და სულისკვეთება ამ ქმნილებებისა. პოეზია აქ არა მარტო სიხლგა და სიფაქიწეს მგერის ხელწერას, არამედ თავსებურ ნათელსა მდენს თვით თხრობისა თუ აღწერის საგანს, ობიექტს. აქ პოეტურია „ფასადიცა“ და „ინტერიერიც“, თვით შენობაცა და მისი ბინადარნიც. პოეტურობა და არტისტიკა თითქოს ადამიანთრობის, სათნოებისა და კაცობრივ უარობის საწონიძად, პიროვნების მარმოწიული

ლი სიმტკიცის თუ მარმოწიულივე გერებლის შინაგანი ორთაბრძოლის „ტანჯული სხარულის“ უკუდენად გვედინება, ხოლო ამა თუ იმ სიუჟეტის მარმარავებელი კონფლიქტები— სწორედ პოეზიისა და ანტიპოეზიის, აღწრთოვანება-ფრთიანობისა და ფრთა შეკვეცილობის, კაცობისა და არაკაცობის შეტაკებისას გამოკვეთილი კონფლიქტებია. „ტაღლებიც“, „წუადიდობაც“, „მტრელებიც“, „გაბოც“, „ზივი და ძაღლიც“, ისევე როგორც „უკეთუ გაცოუნებდეს“ და „ხილი“, „ძველი ამბავი“ და „აბელის დაბრუნება“ ანდა გვიანდელი „ოქროს თევზი“, თუ ზღაპრები „უამი დასვენებისა“ თუ „ღუკა“— ახე თუ ისე, ამა თუ იმ ასპექტში, სწორედ ამ საპირისპირო, წინააღმდეგობრივ, ანტიპოდურ საწიისთა შეჭიდების კონტრასტულ, თუმცა შექმრდილოა რთულ და ზღართიან განდენით საცნაურ სურათს ავლენენ.

□ ბაბრძელობა იმნება □

ვლადიმერ ჯიბუტი

## მუდამ ხალხთან ერთად

ვლადიკონის ტრიბუნა — პოეზია იყო, მაგრამ იგი დრო და დრო წერილებსაც აქვეყნებდა ლიტერატურისა და ზელოცების აქტუალურ პრობლემებზე, მწერლებს როდღე საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მისი აზრით, მწერლის დასაურდენი ცხოვრებაა, მაგრამ მთავარია არა შემთხვევითობანი, არამედ საერთო კანონზომიერება. ნამდვილი მწერალი, — წერდა იგი, — არ კმაყოფილდება მხოლოდ ასახვით, თვალნათლივ ზედავს ახალ გზებს, ესმარება ადამიანს სამუაროს შეცნობასა და გაუმჯობესებაში, წინ წყვს ცხოვრებას.

რა ფასი აქვს იმ ნაწარმოებს, რომელსაც თან არ ახლავს გულწრფელი უშაღღესი კათოსი, თუ იგი არ ემსახურება სახალხო ინტერესებს — ვითხოვლობთ მის ერთ წერილში. კენჭმარობა მწერლის შემოქმედებაში ანარკულს პოულობს ეპოქის პოლიტიკური, სოციალური და ზნეობრივი ნორმები. ამას მოწმობს ვლადიკონის პოეზია, რომელიც ესოდენ ღრმად არის ჩაქსოვილი ჩვენი საუკუნის აზრს, განწყობილება, მისწრაფება; უკეთ რომ ვთქვათ, ვლადიკონის პოეზია ეს არის ახალი ეპოქის ხმა, მისი მთავალი იდეა და მოწოდება.

ნიქო პოეტისა, — წერდა ვლადიკონი, — შეიძლება ვამოსჭეოიდეს ხშირად მოუქნელ წყობაშიც, მაგრამ ნამდვილმა პოეტმა მთლიანად და სრულყოფილად უნდა გამოხატოს თავისი ტალანტი, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი სახეობით დაუფლებულია დიდ ტექნიკას. თვითონ ვლადიკონი საოცრად ფლობდა ლექსის ტექნიკას, მისი ლექსები უაღრესი ოსტატობითაა შესრულებული; მაგრამ არსებობს პოეტის ესოდენ დიდი წარმატების სხვა მიზეზიც: მხედველობაში მათებს მისი მუსიკალური ხუნება, არჩვეულებრივი სმენა. თავის ჩანაწერებში, ერთ ადგილას ვლადიკონი ამბობს:

„რაც უფრო მაღლა მიდიოდა ადამიანის აზრი, მით უფრო მდიდარი ხდებოდა ლირიკა; შედგირის, გოეტეს, ბაირონის, შედის, ვიქტორ ჰეგელის, პუშკინის, ლერმონტოვის შემოქმედებაში ლირიკის შინაარსით შექმნილი შექიბრბოდა ფილოსოფიას — ფორმით კი, ე. ი. მათა შერჩევით, ანბანთა წყობით, ხმოვანებითა და რითმების სხვადასხვა ქარგით — მუსიკას“. ამას სახეობით ადასტურებს ვლადიკონის პოეზია. მან ლექსი მუსიკად აქცია, მუსიკა კი ლექსად ვარდაქმნა.

არ მიუყარს ნახევრად ბნელი გამოთქმები, დაქმნული და შერყევი აზრებით — წერდა ვლადიკონი. პოეტა მუდამ სრულ სინათლეს და გარკვეულობას მოიპოვებდა. ყოველი მისი ლექსი აღსავსეა სტროფებით და გამოთქმებით, რომლებსაც შეიძლება იმასსოვრებს თავისუფლად და საშუალოდ. ახეთია მაგალითად, „მთაწმინდის მთვარე“ (1916 წ.); მას ღღერზე არ დაუყარავს თავისი ცხოველმყოფელობა, ის დღესაც გვადეფებს და უფილეს მხატვრულ სიამოვნებას გვანიჭებს. რაკი სიტყვა „მთაწმინდის მთვარე“ ჩამოვარდა, აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ლექსის უველაზე კარგი განხილვა თვითონ ვლადიკონმა მოგვცა წერილში „საკუთარი ლექსების შესახებ“. ამ წერილში პოეტი „მთაწმინდის მთვარის“ გენეზისს ნ. ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის პოეზიაში ეძებდა. აქვე იგი ებებოდა თავის მეორე შედევრს — „მე და ღამეს“. როგორც ჩანს, მას არ აკმაყოფილებდა ამ ნაწარმოებების მანამდე არსებული ანალიზი. იგი სვამს კითხვას: „ისმის თუ არა ამ ლექსში („მე და ღამე“) სუბიექტი სიმტკიცე ახალგაზრდობას, ისმის თუ არა შიგ სიადუშლოების დაცვის ფაცო? რა თქმა უნდა, ისმის. ჩანს თუ არა აქ ზუნება? დიახ, ჩანს. მაგრამ არა ადამიანის



გარეშე, გაწუნებულად, არამედ აღმაინის მიერ განცდილი. ეს მთავარია.

წერილში „საეუთარი ლექსების შეხახებ“ პოეტი ცხება თავის ადრინდელს წიგნის ხათურსა და დედამზარს და დასკვნებს: „თავის ქალა არტისტული უკვალებით“ — იგულისხმება თავის ქალა (სიკვდილი), არტისტული უკვალებით (ხელოვნება). სიკვდილი და ხელოვნება... რომელშია უნდა გაიშარჯოს? რა თქმა უნდა ხელოვნებაში: რა არის ხელოვნება? ხალხისადმი, სამშობლოსადმი სისამხურია“.

გალაქტიონმა ხელოვნება აღიარა რა ქმედით, კაცთა საზოგადოების ერთ-ერთ შემოძრავებულ ძალად, მთელი თავისი შემოქმედება დეკადენტებს, ამორალიზმის მქადაგებლებს დაუპირისპირა.

„ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარყოთ კაცე-შანტაჟების პოეზია, — წერდა სახელდასახე შემოქმედებში — იგი დამახასიათებელია საშინელი დაცუვის მდგომარეობის ხანისა, დეკადანსისა“. გალაქტიონმა არათუ უარყო კაცე-შანტაჟების პოეზია, არამედ ბევრი რამ გააკეთა აღმამართა, ნათელი და ძლიერი ლირიკის განვითარებისათვის. „ოქტომბერში, — წერდა გალაქტიონი, — შრომებლებს წინ განათა ახალი პერსპექტივები და პორზიონტები. სწორედ ამ დროიდან იქმნება უკეთესთა შორის უკეთესი ქმნილებანი ლირიკისა“. ამის მაგალითად გალაქტიონის ლექსებიც კმარა. რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში გვაქვს პოეტის საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც მან ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შექმნა. ისინი ხალხის სამხრანის, ნება-სურვილის, ერთუნიანობის, რატიონისა და ნათელი გამოსატყულებია.

ხალხის შრომა სიეთის დაუსრულებელი უკარა, ხალხი სიღამისა შემოქმედია, ლიტერატურის მთავარი ვიარა და სიამაუეა, ამას გალაქტიონი ხაჯასით ადრინდავდა წერილში „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ (1922 წ.): „ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სიამაიმით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში, იქ დაჯიკოვდითა უმრავლესი გრანობები: წყურვილი სიყვარულის, წყურვილი ოცნების; ჩვენ მივეცემთ ხალხს უკვლავს კეთილშობილურს, ახალ ერთეას, ახალ წინაწარმეტყველურ განათებას პირბლებებისა, ჩვენ იქ მოვსახეთ ახალ აღმამართებს, რომელთაც ენოზლება ყოველივე არაესოტიკური და მისინჯი, სწყურით თვითონ ვახდენენ ხელოვნებას ნაწარმოებად. ჩვენი დახლოება ხალხთან გვიჩვენებს როგორი სიამარბით ეწაფება იგი მხატვარულ სიტყვას“.

წერილობაში უპირველესი თანამედროვეობა და ახლის გრანობა. პროგრესული ტრადიციების განთქმვა იქ ხაჯებით ბუნებრივია. მართალია, — წერდა გალაქტიონი — ჩვენნი ხამ-შობილი, სამშობლოა ლეგენდების, პოემების,

ტრადიციების. მაგრამ პოეტი გრანობს — არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით: ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრანობს, რომ არ შეიძლება ჩამორჩეს მას, მას აქვს მეტი გამბედაობა, რომ წავიდეს წინ, შემდეგი ერთ-პიხაკენ. იგი ერთი წამიც კი არ გაიქურბებს, რომ მხოლოდ ჩვენს შორეულ წინაპრებს შეეძლოთ შექმნათ მშვენიერი და უბრუნელი... მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვები, სახეები, შედარებები“.

გალაქტიონი, როგორც უკვეა დიდი მწერალი კვლადკვალ მისდევდა ცხოვრებას, თავისი დროის ლარშესანიშნავ ფაქტებს და მოვლენებს. რაც მთავარია, მან საოკრად შეთანაბრა ლექსის ერთგული ფორმა ინტერნაციონალურ თემატიკას და თავისი შემოქმედებით ცხადყო, რომ სოციალისტური მშენებლობის უდაღვისი პათოსი უმადლეს სილიერეს აღწევს ინტერნაციონალურს. მის ერთ ადრინდელ წერილში ვკითხულობთ: „ქართული ხელოვნება თუ არის, უსათუოდ უნდა იფოს რევოლუციურით“. ამ განცხადებას მოჰყვა ლექსები ლენინზე ოქტომბერზე, პარტიზე, ზალსთა შეგობობაზე, ახალ საქართველოზე, კომუნისის მშენებელ აღმამართებზე. ერთი სიტყვით, რევოლუციის პირველ დღეიდანვე გალაქტიონის პოეზიაში მთავარ ადგილს სოციალური თემა და მოქალაქეობრივი ლირიკა იჭერს.

„ჩვენ პოეტები, — წერდა გალაქტიონი, — მოკვდივით ერთი გამოვაცოცხლოთ, სული ჩავუდგათ ჩვენი საუღუნის იდეებს, გავხსნათ მათი სიღამეზე და ვავუაფოთ ვსა გამარჯვებისაკენ, დღესასწაულისაკენ“. პოეტის ეს მეტად სახატო მისი გალაქტიონმა ბრწყინვალედ შეასრულა. ამას მოწმებს კლასთა ბრძოლასა და რევოლუციისაში დახადებული მისი ეთოდენ ფართო რეზონანსის ლექსები. გალაქტიონს დიდი პოეტის სახელი რევოლუციამ დაუსვიდრა.

გალაქტიონი დიდად არის დატლებული აგრეთვე კლასიკური პოეზიისად. ქართულმა რეალიზტურმა ხელოვნებამ მას უანდერა ბუნებრივობა, ესთეტიკური სისპეტაკე და მაღალი ლიტერატურული სინდისიერება. მადლიერების გრანობით გამსჭვალული თანამედროვე საქართველოს დიდი პოეტი არა მარტო ლექსებით მინამრთავს მათ, არამედ წერილებითაც გამოხატავს ერთგულებას, დიდ პატივისცემასა და სიყვარულს კლასიკოსებისადმი. აქ მხედველობაში გვაქვს წერილები ნ. ბარათაშვილზე, ა. ქავთაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვჟა-ფშაველზე, ა. უსუბუზე, ე. ნინოშვილზე, დ. კვლიაშვილზე. ეს წერილები იმდენად ღრმად შენარჩინი და ორიგინალურია, რომ მათზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია ახე მაგალითად წერალი „ნიკოლოზ

ბარათაშვილი“ კრიტიკული აზროვნების უბადლო ნიშნულია. მასში იშვიათი პარაფსიონადური ოსტატობით არის განხილული ლექსები „არად პუბლიკაციას“ და „მოდლო შენს გამჩენს“. გალაკტიონი რომ ზედმიწევნით კარგად იცნობდა მთელ მსოფლიო ზელოვნებასა და ლიტერატურას, ეს ამ წერტილიდანაც ჩანს.

გალაკტიონის ღრმა რწმენით განუზომელია ილია ქავეკავაძისა და აკაკი წერეთლის როლი ქართული ინტელიგენციის ისტორიაში. ილია ქავეკავაძის გონების ძალა, — ვკითხულობთ ერთ წერილში, — არაა მარტო სიტყვებში. იგი ზომავდა საგნებს თავისი განსაკუთრებული თვალთახედვის ისრით, ეს თვალთახედვის ისარი ზშირად ეცლიდა საგნების ნამდვილ ხახებს; როგორც იცხლება უკველგარი საგანის ძიის და მიხედვით, თუ საიდან უსკიბრა მას. სხვებისაგან შეუფასნავეი რამ მიხატვის ადელი მისაგნენი თუო მისი ტეტტები თუო ნელი, იშვიათი და თადებერლი, მაგრამ გუიხერტი.

ერთი სიტყვით, გალაკტიონი ილია ქავეკავაძეს წარმოგიდგენს უდიდეს მხატვრული პოეტისად, უმწიკველო პარაფსიონად და უზარმაზარი მორალური ავტორიტეტის მქონე აღმინად.

გალაკტიონმა ბრწყინვალედ დახასიათა აგრეთვე აკაკი წერეთლის პარაფსიონად და შემოქმედება. ციურთი ნიჭით დაქილდოვებული აკაკი „ნამდვილი სერვანტისი თუო ხუმრობაში, ნამდვილი ბარონი მწუხარებაში. ნამდვილი მერე ტროტინში და შეუღარბელი მოქალაქე მამულის სუფარულში, ამ სქემას ვაშლაგარმავება სქირდებაო“, — წერდა გალაკტიონი.

გალაკტიონ ტაბიძე ხსჯავსით აღნიშნავდა აღტქანადერე უახბეგის უდიდეს ნიჭიერებას, როდესაც სუნებით და შემოქმედებით თრომანტაქონის, ამ სიტყვის ყველაზე ფართო აზრით. ნაწარმოებებს ვკითხულობთ — ამზობდა იგი — თვალწინ იშლებდა სათნოებაც და სიკუცხლის დრამაც, ვნებათა და ტანჯვათა მრავალფეროვანი სურათები. იხადება მხურვალე წყურვილი „ქალწულეებრივი წმინდა ჰერისა, უმწიკველო მერეუარის თოდლე უფრო სულთა ჰერის, სთერტე, ბრწყინვალე სილფეარდის წყურვილი“.

დიდი რომანისტია ის, ვინც ტაბი შექმნა. ერთ-ერთ ასეთ დიდ მწერლად გალაკტიონს მიაჩნდა ეგნატე ნიშოშვილი, რომელმაც მძღვარი მხატვრული ფუნქციით დახატა რამდენიმე განუმეორებელი ტაბი და იშვიათ ოსტატებს გაუტოლდა. ე. ნინოშვილი, წერს გალაკტიონი, განიცდის და წუხს, რომ „სოფლის წმინდა, უღრუბლო ღაფარდე ზეცა და სოფლის უმაჯო, უბიწო ვარსკვლავები თანდათან ეხვევიან დაქვარტლულ ორთქლში. არის ანგარი მდგომარეობაში ხანაოიცი და ეგმექტიცი,

როგორც რემზრანდტის სურათებში...“ და „თუ შენა თავისთავად ბერის მოქმელია, კომენტარს არ საჭიროებს.

„დავით კლდიაშვილი რომ არა, დაუხატველი დარჩებოდა მსოფლიო ლიტერატურაში სოლომონ შორბელაძე, ვერტიკალი მწერალი ვერ მოისზარებდა ვაშოვასა ბეკინა და ტრაფერტი მთელ შევი ზღვისპარზე დარისპანი, რომელიც მოგზაურობს თავისი ურყევი მიწით, მოგზაურობს თავისი „მე-იმე“-თი; დავით კლდიაშვილი რომ არა, დაუხატველი დარჩებოდა კარონა, შშენიერზე მშვენიერი კარონა, ნამდვილი სახე რეკლუციამდელი ქალიშვილისა...“ ეს რამდენიმე ფრაზა დავით კლდიაშვილის მთელი შემოქმედების გასაღებია.

მწერლობა ნიჭის ვარდა, — წერდა პოეტი, — შემეცნებას, გამოშგონებლობას, გემოვნებას, ორიგინალობას და კიდევ განეთარბულ ტექნიკას მოითხოვს, რაც მდწეული იქნება მხოლოდ შეურყეველი, შეუდრეკელი შეუპოვარი, ვულადებელი მუშაობის შემდეგ სიტყვებზე. ერთადერთი სიტყვისათვის საჭიროა ათასეული ტონები სიტყუერ მაღნი — ამზობდა შაიკოვსკი, — ვკითხულობთ წერილში „ლირიკა“.

რა თქმა უნდა, ხალხი ამიდრებს მწერლობის ენას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მწერლებსაც თავის მხრივ დიდი წვლილი შეაქვთ ეროვნული ენის გამდარბებისა და განეთარბების საქმეში. გ. ტაბიძემ ოსტატურად წარმოქმნა მრავალი სიტყვა, რომლებმაც შეიფლება კარონიერი უფლება მოიპოვენ წენს ლექსიკონში რადგან ეს სიტყვები შექმნილია ქართული წამბატისის ბუნების გათვალისწინებით. ასეთებია, „მეგალითად, „ნადავარი“, „გადმოყოვრება“, „მომოძრაობა“, „მგლოვარი“, „იერადი“, „მხასოვარი“ და სხვა.

ზოგს ჩიის ვარდა, ზოგს — ეინოვარი, ზოგს თქრომკერდით მონაქსოვარი, სურათი რამე, კარგზე მგლოვარი — ყველას რამე აქვს სახსოვარი, შენი სამშობლოც, მხასოვარი ჰა, ჩემი მანგი სწორუბოვარი, ჰა, ჩემი გულიც, რადგან მგზოვარი, ყველას რამე აქვს სახსოვარი. („ჩემი სიმღერა“)

ვერ ეღირსა ფაშინვი ყუმბარათა მთოვარი, რომ მოსკოვი ეხილა ჩვენგან დანატოვარი. („კრემლი“)

ერთი სიტყვით, გ. ტაბიძის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული ქართული პოეტური სიტყვის კულტურის წინსვდა და განეთარბება.



გალაქტიონის აზრით, პოეტის ერთი მთავარაღიბება სიახლე და მოულოდნელობაა. რათქმაუნდა გაშიშვლება თვითონ გალაქტიონის პოეზია.

გალაქტიონის ჩანაწერთა შორის გვხვდება ერთი ფრაგმენტი, რომელსაც ხათურად აქვს „სურეალიზმი“, ავტორი აქ დაწვრილებით ვანიხილავს ერთ-ერთი ფრანგ სურეალისტის სურათს „საათს“ და თვალნათლივ გვიჩვენებს ამ უიდეურესი ფორმალისტური შიშართულების მიერ უაზრობას. „დაახლოვებით რა არის სურეალიზმი? იგი შეუვარებულია სიკვდილზე, დაპარაკობს მასზე სიუჟარულით, პათოლოგიური გულდასნით, სიციხისხილინადმი გულგრილობით. ეს რადიკალური დეგუსტატორია სიკვდილის“. გალაქტიონს სძულდა უშინაარსო, გაუგებარი,

არაესთეტიკური ნაწარმოებო, ხელსაღიბება იქნებოდა ეს თუ სურათი. მაღალ შეფასებას აძლევდა მხოლოდ რეალისტურ ხელოვნებას.

ამჟამად ჩვენ გვაქვს,—წერდა დიდი პოეტო,— ერთი დიადი, მთლიანი ემოციური. უაღრესად იდეური, ყველაზე პროგრესული ხელოვნება, იგი მთელი სიხვედრით და ძალით ასახავს საბჭოთა ადამიანების გმირულ საქმეებსა და ამბებს, გრძნობებსა და განცდებს. ასე შეაფასა გალაქტიონ ტაბიძემ ჩვენი ღრობის ხელოვნება, დაუძინებელი სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე, ზოლო თვითონ გალაქტიონი სწორედ ამ ერთი დიადი და მთლიანი ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფორმირებელი იყო.



==



ნოდარ ფულანისპირი

# მითხუთმაცა საუკუნისდროინდელი ანდაზა

ქ. ჯოხის „ულისეს“ მკვლევარები „მოდერნიზმის ენციკლოპედიაში“ „თანამედროვე ოდისეს“ უწოდებენ, მიიჩნევენ მას ახალი პროზის სათავედ.

პართლაც, ეს რომანა ისეთი ნაწარმოებია, რომელიც შემოქმედებას ახდენს დიდ სივრცეებზე, გარდაქმნის შეხედულებებს, ცვლის აზროვნებას, ზოგჯერ მთლიანად შემოაბრუნებს ლიტერატურული ცხოვრების გეზს.

ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს „ულისეს“ პირველი თავები ქართულად („ხომლი“, მ, 1971 წ.: „საუნჯე“, 1, 4, 1976 წ., თარგმანი ნიკო უიასაშვილისა).

როგორც ყველა ახალ ქვეყანაშიც მხატვრულ კმნილებას, ამ ნაწარმოებსაც სჭირდება შეტყევა, ჩაწვდომა და გავება.

ზოგერთი მკვლევარი და მთარგმნელი ისეთ სურათსაც გვიხატავს, თითქოს ამ რომანის შინაარსის ამოკითხვა რჩეულთა ზედტარი, დიდი ბედნიერება — ღვთაებრივი საიდუმლოს ზიარებას მსგავსი სიკეთე იყოს. ეს ალბათ გადაშეტებაა, მაგრამ ისრთულდ მართლაც ახლავს „ულისეს“ თარგმანს. ამ სიტყვებში, როგორც ჩანს, მოითხოვა ახსნა-განმარტება, ე. წ. კომენტარი.

„რთული ასოციაციები, უამრავი ისტორიული რეალია, ლიტერატურული თუ მუსიკალური ალუზიები შესატყვისად შიტ კომენტარს მოითხოვს“ — წერს „ულისეს“ ქართულად მთარგმნელი, პროფესორი ნიკო უიასაშვილი.

სხვა ენაზე მთარგმნელებიც ამ აზრთან არიან; ფრანგულად და გერმანულად „ულისეს“ კომენტარები ახლავს.

ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში ნიკო უიასაშვილი წერს, რომ „ულისეს“ ფრა-

გული თარგმანი, „რომლის რედაქტირებაში მონაწილეობა მიიღეს“ ჯოხის მკვლევარებმა და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ბრწყინვალე მკვლევარებმა ვადერიო ლარბოშ და სტიუარტ გილბერტმა, ჯოხის შედეგრად მიანდაო.

შემდეგ ნ. უიასაშვილი განაგრძობს: „თუმცა ეს ვიცი, კომენტარი თარგმანს ამომიშვს, მაგრამ ეს ის ადვლენია, რომელთა ამოკითხვა განათლებულ ინგლისელებს უჭირს. კომენტარებს წყარო ბევრად, ვასხელებ მხოლოდ ჩემი საშავილო წიგნების ატორებს: სტიუარტ გილბერტს, რინარდ ელმანს და განსაკუთრებით უდლონ თორნტონს“.

მაშასადამე, ცნობილი ქართველი პროფესორი პატრიკიშვილი ნიკო უიასაშვილი, მისივე სიტყვით რომ უთქვით, თარგმნის „თანამედროვე ოდისეს“ — მაგიდაზე უდევს სტიუარტ გილბერტის „შედევი“ და სხვა „დიდალი კრიტიკული — ინფორმაციული ლიტერატურა, რაც ქართველ მკითხველს არც ქართულად და არც რუსულად არ გაჩნია“, გვიხსნის, ვასწავლის, დაბეჭიბებით მოითხოვს, თარგმანის ზოვა ადგილი ღუკას სახარებას შევადართო, ზოგჯერ გამოსვლათა მოსება ვიხილოთ, ყურნალის წინა ნომრების კომენტარების ვახსენებასაც გვიჩრევს და ასე ნელ-ნელა ვაშაადებს მკითხველად. ჩვენც ის-ღა დავგრჩენია მთარგმნელი მთარგმნელს და მორჩილად შევასრულოთ ყველა დავალება.

მთუბდავად ასეთი გულწრფელი ცდისა და მოწადინებას სინამდღე შეიტანოს ჯოხის ნაშრომში, ქართველი მკითხველისათვის ვასაგება ვაშაადებს. ე. წ. რთული პროზა, მთარგმნელი, ჩემი აზრით, ამაშ მაინც ვერ ადწევს. ზოგჯერ თავისი ახსნა-განმარტებით, პარტიით, უდლო-

პუნქტების, ანუ ახსნის, ახსნის ნაწილების წყობისა.

გაეცნეთ ამ კომენტარებს ახლოს, უკრძალვით.

დავით აღმაშენებელი. ეს ანდა და მისი ახსნა-განმარტება ტიპური მაგალითია მისი, თუ რა ზედმეტი არაფრისმჭიქელი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები „რუსებისათვის“.

რომანის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი ლეონოვმა ბლუმი ქალაქში დახეტიალობს. ქიბეში ზელი ჩაიქო და წერალი მოსინჯა თი-ღებით. იქნისისთავი ამოაძრ. ჩვეულებრივი ქანძისთავი. მმ, ჭვანთილზე გადაადგო. სი-დანაც მისი ტანსაცმელიდან ქანძისთავით და-მარტებული. გასაოცარია, რამდენი ქანძისთავი უმწვეთო ხალხი. ვარღვი უმკლად ვის გაუგონია“ („საუნა“, 4, 1978 წ. გვ. 115 თარგმანის ენა ცალკე მსჯელობის საგანია, მომავალში აღბათ ენასაც ვუღლიქად ვანე-ხალე).

თარგმანის მიხედვით ქანძისთავმა გამოიწვია ცელის ასოციაცია, ანდაც ამას მომყვა. ნიკო უახაშვილმა განმარტება კი ასეთია: „მე-15 საუკუნის დროინდელი ანდა“.

ქართულ ენაზე ანდა ტერმის ასე ვარდი უფლოდ არ ავთის მოუკრფია. ასე ვა-მიგონია ხალხში, ქართულმა მწერლობამაც ასე იცის და ლექსიკონებშიც ასეა. თ. ხახო-კიას ჩაუწერია: „ვარდი უფლოდ არავის მოუ-წვევია“.

ნ. უახაშვილისეული „ვარდი უფლოდ ვის გაუგონია“, რა თქმა უნდა, დიდი ცოდვა არ არის. ანდა ხალხური შემოქმედება, შეი-ძლება ვინმემ მართლაც თქვას ვარდი უფლოდ ვის გაუგონიაო. მაგრამ რაღა ანდა რაწერი-ლია, მრავალქერ დატანული და ძალზე გა-კრძელებული სმწერლობა ენაში, სასურველია ისე დაუწეროთ, როგორც დაქანებული და მიღებული.

ახლა ვიკითხოთ, საიდან ჩანს, როგორღა მივხედოთ, რომ ანდა მაინც და მაინც მუ-სულომეტ საუკუნისდროინდელია?

ქნებ დედაწი თვით ანდასის ტექსტით რკვეთა ეს? რა ვიღებოთ? რა ვიგულისხ-მით?

დავუშვათ, მე-15 საუკუნის ინგლისური ლიტერატურის რომელიმე ძეგლში დადასტუ-რებულია ეს ანდა. ამით შეიძლება მისი მე-15 საუკუნისდროინდელია ვამტყვოთ?.. ქნებ წინა საუკუნეებში ხალხში ვრცელდუ-ხალა და ლიტერატურაში მხოლოდ მე-15 სა-უკუნეში გამოჩნდა?

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ ხა-ცხეა ანდაზეთ და ხალხური თქმებით, რუს-თაველია წინამორბედ მწერალთა ნაწერებში

კი ანდაზეთ იწვიათად ასოვის მკობელებმა შეიძლება მისი მტკიცება, რომ ვეფხისტყა-ოსნის ანდაზეთ მეთორმეტე საუკუნისდრო-ინდელია?

მეტი შეიპყრობს ადამიანს; თვით ინგლისელ მკობელებს მტკიცედ მისი თქმა კი უჭირს, შექსპირის პიესები შექსპირმა დაწერა თუ არა და პატრიცეზულ ნიკო უახაშვილს როგორღა შეუძლია დაბეჭდვით ამტყვოს ესა თუ ის ინგლისური ანდა? ამა და ამ საუკუნისაო?

ერთივე ვნახოთ და დავამტყვოთ, დავა-ღინოთ ანდასის საუკუნე, მეთხუთმეტე საუკუ-ნისდროინდელი აღმოჩნდა ის, მერ რა? ამით რა აიხსნება, რა შუჭს მომყვანს დედანს ეს ან-და? — არაფერს.

ამ უწყინარ ანდასა და მის განმარტებს რამდენიმე უზუსტობა ახლავს: ანდასა ქართუ-ლად წერად არ არის მოტანილი. ანდასის თა-რილის დადგენა იქვს იწვევს. დედანი არ მოი-თხოვს ანდასის განმარტებას, ანდასის მეთხუ-თმეტე საუკუნისდროინდელია არაფერს მშა-ტებს დედანს.

მეტი, იმავე გვერდზე სადაც ეს ანდასა იხილება, მთარგმნელი გვიჩვენებს ჩავახუდოთ ლუკას სახარებაში. რატომ? — აი რატომ.

ლეონოვმა ბლუმი, როგორც წინა ვთქვით, ქალაქში დახეტიალობს, მას ქიბეში უღევს მარ-თა მიერ გამოგზავნილი წერილი, ამ წერილმა და ქანძისთავმა სწორედ ზემოთხსენებული ან-დასა გაახსენა, ხოლო ამ დროს „ქუჩის ხლები მის თავში უყაყუნდნენ“, ამ ზებეში ასეთი ბი-მღერის ტექსტიც ურევია:

— მარიაჲ იცის ნიუხვის ტოტების დაბის წესი და რივი, ქანძისთავს მაინც ნელაქ დაქარგავს, რომ არ წავარდეს იგი.

...მართა და მარიაში სადაც მინახავს ეს სურათი. ახლა დამავიწყდა, ძველი მხატვარი ანდა წაუღებვი... — წერს ჩოხი.

ამ სტრიქონებს ასეთი განმარტება ახლავს: „წერილს ავტორი მართა და ხიმღერაში ნახ-სნები მართა ბლუმის ცნობიერებაში ბიბლიურ ასოციაციას იწვევს (იხ. სახარება ლუკასი, 10, 88-89)“.

რატომ მაინც და მაინც ლუკას სახარება? იქნება ბლუმის ცნობიერებაში ითანეს სახარე-ნის მართა და მარიაში ამოტივტივად? — ლაზა-რის დედა, შენელსაცხებულე მარიაში და მართა.

● გასაკვრია პირდაპირ, ნუთუ „რუსის“ ურანგულ და გერმანულ თარგმანებს ასეთი კომენტარი ახლავს?

ჩოხის გარკვევით წერს: მართა და მარიაში, სადაც მინახავს ეს სურათი, ძველი მხატვრის თუ ცრუ მხატვრის მიერ დახატული ან წაუღ-ბევიო. სჯობს, ძველი მხატვრის აღბოშებ-გადავათადიეროთ, ვიდრე სახარება.

საქართველო  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრის განცხადება

ბიბლიური შენელებაცხედენ ქალების თემაზე უამრავი სურათი არსებობს აღორძინების ეპოქიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე. ბლუმს იმ ძველ მხატვართა დახატული სურათი ახსენდება და არა დღეის სახარება.

როცა „ულისეს“ რელიგიური და მითოლოგიური შრეების განმარტებას შევეცდებით, ალბათ დიდი სიწესტი, დაკვირება და გაკოხვ-გამოკოხვება გვმართებს.

როგორც ცნობილია, ჯ. ჯოსი იეზუიტურ კოლეჯში აღიზარდა, შეძლებდა სწავლა განაგრძო კათოლიკურ უნივერსიტეტში და მიიღო საფუძვლიანი თეოლოგიური განათლება.

ცხადია, ასეთი მწერლისათვის ბიბლიური მისტიციზმი და რიტუალები ისევე ნაცნობი და მახლობელია, როგორც ჩვენთვის დღის გამოხატულებული ვარჯიში.

ამდენად, უველაფერი, რაც რელიგიას შეეხება „ულისესში“, მტკაღ ფრთხილად და ჩვენი ცოდნის შემოწმების შემდეგ უნდა განიშარტოს.

სტივენ დედალოსი. ბაქ მალიგანი და ბენისი სასაუზმოდ ეშვადებიან.

„ბენისი შემობრუნდა და წყნარად თქვა:

— დედაკაცს რძე მოაქვს.

— გიშველა ღმერთმა, წამოძაბა ბაქ მალიგანი და სკამიდან წამოხტა. დახედოთ. ჩაიდასხით. შაქარი პარკშია. რა ჯანდაბა ვუყო ამ კვრცხებს. ტაფიშქარი გაუო და სამ თეფშზე გადააწყო. თან დააყოლა:

— In nomine Patris et Filii et Spiritus Sancti.

ამ ქრისტიანულ ლოცვას ნ. უიასშვილი თარგმნის „ახლებურად“: „სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა“ („სომელი“ № 1971. გვ. 185).

საღმრთო სულით ქრისტიანმა ყოველი სკიპე, მათ შორის ქამაც, თვით ლოცვაც და პირქვარის წერაც ამ სიტყვებით უნდა დაიწყოს. ბაქ მალიგანიც ამ რიტუალს ასრულებს ქამის წინ და როგორც კათოლიკე, ლოცვას ლათინურად წარმოხსენებდა.

